

საქართველოს




მონაწილე


2015-2016 წელი, № 5-6 მიხეილ ილია შარტლის სახელობის სალიბერალური ქორეალი



წყალობის წმინდა გიორგი



მეცნიერებათა საბჭო




საქართველოს

ქორონა

ზვიად ილია მართლის სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი

გამოდის 1996 წლიდან

2015-2016



**წმიდა ილია მართალი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!**

№ 5-6

2015-2016

საქართველოს ქოაქბე

**წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)
სახელობის სალიტერატურო ჟურნალი**

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



შინაარსი

მრწამსი	5
პატრიარქი	
2016 წლის საშობაო ეპისტოლე	6
ერისა და ეკლესიის ურთიერთობა	23
წმიდა ილია მართალი	13
გაზეთ „ივერიის“ საიუბილეოდ	
130 წელი ილია ჭავჭავაძის განახლებულ გაზეთ „ივერიის“ გამოცემიდან	14
„ნანახი და განაცონი ილიას ცხოვრებიდამ“ (იონა მეუნარგია)	15
„ივერიის“ წინასიტყვაობა ყოველდღიური გაზეთი ივერია № 1. თბილისი, 31 დეკემბერი, 1885 წ.	19
„ივერია“ სამღვდლოებაზე 1886 წ.	22
ახალი ტაძარი	
ფოტო-რეპორტაჟი	26
მოძღვარი	
სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი) ლექციები სამოძღვრო ღმრთისმეტყველებაში (გაგრძელება)	28
მთავარეპისკოპოსი აბაშის (ტაუშვი)	
რა არის მართლმადიდებლობა	35
მოღერნიზმის შხამი	40
მეცნიერება	
მერაბ მიქელაძე ღვთაებრივი სიყვარული ხალხურ აზროვნებაში	44

ლიტერატურული ნობათი

კლათონ ჩადუნელი მატარებელი	52
თაბარ ლომიძე	
„მზე შინ შემოდო“	62
მფარველ ანგელოზს	63
ფიქრია ლეჟავა	
საქართველო – იანანა	100
ენა ქართული	100
სმა წარსულიდან	
შოთა ლეკვეიშვილი დაუეწყარი აბაგი	55
სელოვნება	
სიმონ ჯაფარიძე „რთველი სისპეტაკის, ფერი გაზაფხულის...“	57
ლეგენდა და სინამდვილე	
სიმონ ჯაფარიძე „განდევილი“ და ბეთლემის ლეგენდა	64
ორი ინტერვიუ	
ბრიგოლ (ბოჩა). სოზიაშვილი	
ციხე-ტაძრის საგალობელი	92
„მიუვალ მამა-პაპათა“	95
სტუმრად კომეტას	
კოფიით განვლილი ცხოვრება (შოთა ხოლაშენელი)	101
„სამერცხლეთი“	
იმერი სრეველი ჩხიკვათა ოქროს ქორწილი	111



მადლობას ვწირავთ

ქალაქ თელავის მერს

ბატონ კლათონ კალმასელიძეს

და

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ ალექსანდრე შათირიშვილს

რომელთა უშუალო თანადგომითა და უმფრობითაც

გამოიცა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ წინამდებარე ნომერი



რედაქტორ-გამომცემელი: მღვდელი ილია (ჩიკვაძე)

პასუხისმგებელი რედაქტორი: ბრიგოლ (ბოჩა) სოზიაშვილი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

აკრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ

მ ზ ა მ ს ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოველისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

პ ა ტ რ ი ა რ ძ ი



ენმიდესისა და ენეტაიხის, სხეიად საქათველოს
ჯათოლიკოს-პატრიარქის

მცხეთა-თბილისის მთავაჟისკოპოსის,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
ილია II - ის

საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო,
ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო,
მკვიდრნო საქართველოდსა
და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„ღღეს ყოველი დაბადებული იშვებს და იხარებს, რამეთუ ქრისტე იშვა ქალწულისაგან“

(საღღესასწაულო)

ღღეს ხარობს ყოველი სულდგმული, ცა და ქვეყანა, ხარობს ჩვენი სულები და სამყაროც
ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მალაღთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვი-
დობა და კაცთა შორის სათნოება“.

– რა არის მიზეზი ამ საოცარი სულიერი ზემოქმედებისა?

– ის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სამოთხისეული ნეტარების მოპოვებისა, დაკარგული სიწმინდის აღდგენისა და სულიერი განახლებისა. დღეს ძე ღვთისა განხორციელდა, რათა ადამიანი ღმერთამდე აღამაღლოს!

„საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქუაბი ცათა ემსგავსა, ქალწული – ქერუბიმთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროჲსა, რამეთუ დაიბა დაღეს ქრისტე ღმერთი, დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ“ (სადღესასწაულო).

მაშ, მივეგებოთ ახლადშობილ ყრმას და გავხსნათ კარნი გულისანი, რათა ჩვენშიც იშვას ქრისტე.

– ვართ კი ღირსნი, რომ იესო მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს გულებში?

– რა თქმა უნდა, არა და არც არასდროს ვიქნებით მზად ამ დიდი საიდუმლოსათვის, მაგრამ მოწყალება და სიყვარული ღვთისა იმდენად მიუწვდომელია და უნაპირო, რომ ეს სასწაული სრულდება. ოღონდ ამას თავისი აუცილებელი პირობაც ახლავს.

– კერძოდ?

– ადამიანი თანაზიარი უნდა გახდეს ღვთაებრივი სიყვარულისა.

– როგორ შევძლოთ ეს?

– წმ. პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ღმერთთან კავშირისათვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამათ შორის კი უპირატესად სახელდება სიყვარულს (I კორ. 13.13), რადგან რწმენა და სასოება, მხოლოდ ამქვეყნად არსებობს და ჩვენი მიწიერი ყოფისთვისაა აუცილებელი, ხოლო სიყვარული ჰგვიყვანებს უკუნისამდე.

– როგორია ღვთაებრივი სიყვარული?

– ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ, – „ღმერთი სიყვარულია“ (ინ.4,8).

ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც ადამის მოღვმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხოვნების ერთადერთ გზას გაუკვალავდა.

„შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგი-

ყვარეთ თქვენ“ (ინ. 13,34); „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის (ინ. 15,13.), – ბრძანებს იესო.

ქრისტიანობამ აბსოლიტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, – მისი ერის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი!

„მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მღვდნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (მთ. 5.44-45).

ეს არის მანამდე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა.

ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც, თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და, ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ. ჩვენს დევიზად იქცა რუსთველის უკვდავი სიტყვები:

„მე იგი ვარ...ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად...“ „სიყვარული აღგვამადლებს.“

ასეთმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების ასეთმა წესმა გადაგვატანინა ათასგვარი ქარ-ტეხილი და დღემდე მოგვიყვანა. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ?

აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც.

სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე

ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან.

მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგენენ პირად ინტერესებზე მაღლა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნებების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხიმგებლობაზე და „ახალი სიყვარულის“ ძებნას იწყებენ.

ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყიდონ?

ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ხორციელი ერთობისათვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განღმრთობა.

ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოღობას, რაც ოჯახურ ყოფაში ვლინდება ღვთის სადიდებლად ურთიერთმსხვერპლშეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით.

რა თქმა უნდა, განღმრთობის მიღწევის სურვილი არის ბერ-მონოზენური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში

სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იგი უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. **ბერ-მონოზენობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით.**

წმინდა წერილი ბრძანებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ.1.27), – როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებლად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება.

უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოდვა აღარ არის ცოდვა, არამედ – ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოდვის სიყვარული, – თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისაგან არ იქნენ მხილებულნი, არამედ, მისაღებნი გახდნენ ყველასათვის. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება.

ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: „ღვთისმგმობელის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი, – შეურაცხყოფას“ (სიბრძნ. სოლ. 9,7).

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოდვა. ქრისტე მკვეთრ ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მთ. 10.34).

გავხსენოთ პავლე მოციქულიც: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მემკვიდრე ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი,

ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი“ (Iკორ. 6.9-10).

მათლამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოვხატოთ, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცლომილება. **ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს.** თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვეღარ იტანს შენიშვნას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხშირად სხვაში ვხედავთ გამოსასწორებელ ნაკლს და საკუთარი თავი გვავიწყდება. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: „შეიცანი თავი შენი“; რომაელებიც იმეორებდნენ: „NOSCE TE IPSUM.“ სახარებაც გვარიგებს: „რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში ღირესაც ვერა გრძნობ?“ (მთ.7.3).

საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახურებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს იგი საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში.

ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური „მე“ ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწყნარებელია მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩლუნგებს.

გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შელამაზებას არ მოინდომებს. მაშინ მიემსგავსება იგი იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნათლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიალ დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისაკენ ისწრაფვის.

ჩვენი ნამდვილი „მე“-ს დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდ-მეტყველება და ცუდი აზრებია.

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშ-

ვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა? წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: „პირველითგან იყო სიტყვა“ (ინ. 1.1).

ღიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმერთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდება, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთან ცხადჰყოფს მამის და მხოლოდ-შობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: „სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა...და ყოველივე ძის მიერ შეიქმნა“ (ინ. 1.1-3).

სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი...და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად... და იქმნა ასე“ (დაბ. I. 3,6,7,14,15)...

ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილება-ბათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმერთის თვისებაა!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვა-სახელს, როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა თუ მოვლენისათვის, რადგან მასში ჩადებული შინაარსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოველადწმინდა სამების მიერ მოხდა:

„ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე, ...მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს, – მიწა (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა...“

შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმნის გვირგვინს.

ადამა სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე მის შემწოდ შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ

ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავლთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ.

სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმშობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძნობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებლობა გაჩნდა მატერიალური სიტყვისა.

ღმერთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალა აქვს. ოღონდ, უფლისგან განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: „ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით“ (მთ.12,36).

ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ ნახეთ, როგორი შემწიკვლებულია ჩვენი ბაგები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხვით, უმადურობით, ცრუ ფიცით, წყევლით, გინებით...

„ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აჰა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს“ და „სავსეა მომაკვდინებელი გესლით“ (იაკ.3,5, 8).

„ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც“ (იაკ. 3;9). ამიტომაც, თუ ვინმეს „ღმრთისმოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოსდებს ენას, იცოდეს, ფუჭია მისი ღვთისმოსაობა“ (იაკ.1, 26).

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა:

„იცოცხლე უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: „დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?“

– ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისაგან მოვისმინე.

– რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

– არა, პირიქით.

– ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

– ვფიქრობ, არა.

– „**თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომავლოდ, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?!“** – უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს.

დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა.

ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაჟებიც და ახლა უკვე გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხვდებიან, რომ თავის თავს იწყველიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის.

საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყვდიადისკენ მიმავალი გზა. ღმერთმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისაგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენა. ეკლესიის და სასულიერო პირებისათვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ იგი ასევე მოვალეობაა საერო პირთათვის.

აი, როგორ გვარიგებს მოციქული: „უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნის იგალობოს... რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს... და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო... ბევრი რამ ძალუძს მართლის ლოცვას“ (იაკ. 5. 13, 15-16).

მართალში კი მაცხოვრის მცნებებით

მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან „სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა“ (კოლ.3,15).

ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი „სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჭხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს“ (1კორ. 13.4-9). სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება. აი, რა სულისშემძვრელ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღერიალე... წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ... მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკათთვის, და დასაწავავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარას მარგია“ (1 კორ. 13.1-3).

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მარკ. 12.30-31).

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ღმერთმა მრავალი გზა დასახა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინავენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკნენ, ვიდაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა, – სანახევროდ;

– ცოდვამ გძლია?

– სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე.

– მდიდარი ხარ?

– მოწყალეა უზვად გაეცი.

თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუგეშე...

თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უღვრტვივლად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იობით უდიდეს ჯილდოს მიიღებ.

ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთან ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მაღლობდა ღმერთს ყველაფრისათვის.

აი, ასეთი ცხოვრების გამო დაიმკვიდრა მან აბრაამის წიაღი.“

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდე; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უღვრტვივლად, მაღლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს.

ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ. ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელს მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი, დევნილთა სიმწარე და ხვალისდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი...რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ იგი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს.

მოვუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები:

„ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლის ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმერთის ჩვენის სულით.“ (1კორ.6,11)

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, უდინნი, ქურთნი, იეზიდნი, ბერძენნი, რუსნი, აზერბაიჯანელები, სომეხნი, ებრაელები, ქისტნი, ჩეჩენნი, ლეკნი და ყოველნი შვილნი ივერიისა, ჩვენს სამ-

შობლოში მკვიდრო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო, ანთებული სანთლით კვლავაც მივეგებოთ ბეთლემს მიმავალ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და მართალ იოსებს. დავითის ქალაქს უკვე უახლოვდებიან მოგენი, სადაცაა მწყემსებიც მოისმენენ ანგელოზთა საგალობელს. მაშ, ჩვენც ნუ დავყოვნდებით, სულით მივეახლოთ ახალშობილ ყრმას და მუხლმოდრეკით შევთხოვოთ: შენი ვარ, გვაცხოვნე ჩვენ!

ყველას გილოცავთ შობა-ახალწელს და გისურვებთ, რომ ამ დღეების მადლით მოხდეს ჩვენი განწმინდა, განახლება და სიკეთით აღვსება. შევიყვაროთ და გავიხაროთ ერთმანეთით; მაშინ ღმერთიც შეგვიყვარებს და გვაცხოვნებს.

ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერად აღგამაღლოთ.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, შობა ქრისტესი,
2015-2016 წელი.



წმიდა ილია მართალი



წმიდა ილია მართლის ტ რ ო კ ა რ ი

ღუაწლითა და სისხლითა შენითა უღაბნოდ იგი სოფლისად მოიმუშაკე და გონებითა ღმრთივბრწყინვალითა დაცემულნი კუალად აღგვადგინენ, ჭეშმარიტებად სთესე და გვირგვინი უკუდავებისად მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთა სოფელი დიდებისად დაიმკვიდრე, ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო, წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

ლოცვა წმინდა ილია მართლისადმი

ჰოდ, ღმრთივსათნოო და სულითა წმიდითა განბრძნობილო წმიდაო ილია მართალო, სისხლისა უბრალოდსა დამთხვეველო და მადლითა ღმრთისადთა წმიდათა და მართალთა თანა შერაცხილო, მსწრაფლშეწვენადითა ლოცვითა შენითა განანათლე და განაბრწყინვე ღმრთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი. განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე მამად ჩვენი ილია, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტესმიერ დიაკონნი, სამონაზონი წესნი ზიარნი წმიდისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანნი.

ჰოდ, ღმრთივგანათლებულო და ზეშთაცოდნითა განმდიდრებულო წმიდაო ილია მართალო, ევედრე მოწყალებსა ღმერთსა ჩვენ, უძღურთა და დაცემულთათვის, რათა გონიერისა სულისა წყაროდსა ხმევითა დარწყულებულნი და განცოცხლებულნი მოწყლულისა მამულისა ვენახოანსა შინა კეთილმუშაკობად განმზადებულ ვიქმნეთ და ღმრთისა სიყვარულითა სამშობლოდსა მსახურებად აღმართულნი ხმითა კეთილითა ვუგალობდეთ შენსა განმარწყინვებელსა ქრისტესა ღმერთსა, რომელსა ჰმვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანადაუსაბამოდთ მამით მისით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



გაზეთ „ივერიის“ საიუბილეოდ

2016 წელს სრულდება 130 წელი

ილია ჭავჭავაძის განახლებულ გაზეთ „ივერიის“ გამოცემიდან

გაზეთი „ივერია“ ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან ყოველკვირეულ გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ისევ გაზეთად, უკვე ყოველდღიურად.

გამოცემის დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო.

1881 წელს „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას მისი თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. 1882-1884 წლებში „ივერიას“ რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი. 1901-1903 წლებში ალექსანდრე სარაჯიშვილი, 1903-1905 წლებში გრიგოლ ყიფშიძე, შემდეგ გაზეთის დახურვამდე (1906 წლის 27 აგვისტო) ფილიპე გოგიჩაიშვილი.


„ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს და სხვა. ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „ივერიაში“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, და სხვ.

გაზეთ ივერიის“ კორესპონდენტები იყვნენ: ალ. ყიფშიძე, ალ. ნანეიშვილი, გ. ლასხიშვილი, ი. მანსვეტაშვილი და სხვები.




და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს და სხვა. ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „ივერიაში“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, და სხვ.

„ნანახი და განსაკონი ი ლ ი ა ს ც ხო ჯ რ ი დ ა მ“



იონა მეუნარგია

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)



ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი, როგორც მსხვერპლს „მუშტრის თვალით“ და როცა მისგან მოვდიოდი შინ, მის ნაღაბარაკებს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებული ჩემის სამახსოვრო წიგნიდამ, ან თითონ საკუთარის ჩემის მესიერებიდამ, და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდამ იყოს ამოღებული.

...გაზეთის „ივერიის“ გამოცემას რომ მოჰკიდა ხელი ილიამ, ის დიდს ფაცა-ფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და, რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა აღთქმული (სხვათა შორის გაზეთში უნდა დაწვეულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვეთების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად „ლულო“ ეწერათ. თითონ სათაური (ნაკვეთი) ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ. 1885-წელს ილია წერდა თბილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრი-სათვის. ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყოველგან გაგზავნილს უწყებას ჩვენის ახლის გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და

„...მე გაგიცანი ილია პირველად 1879 წელს.

ამ წლიდამ დაწყებული დღემდე მისი სიკვდილისა მე ილიას კეთილგანწყობილებას არ მოვკლებილვარ. პირველ 4-5 წელს, როდესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც ვაჭრების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ დროებიდამ ჩემ სამახსოვრო წიგნში არაფერი თითქმის არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდამ. მაშინ ჯერ არ მქონდა განზრახული შექმდებინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდამ, რასაც დღეს შექმლო მისი ბიოგრაფიის გახალისება მე მიმაგიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე მივყავი ხელი ორბელიანის,

ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ღალადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: ЗНАЧИТ, СВЕТ НАС ЗАМЕТИЛ. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისა გული არ გაგიყინოს და არ დაგვკლუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ თუმცა გრძელაია, მაგრამ შენზედ ზედ გამოჭრილია;

2) „აბელი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბელს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბელი რუსულ ИДЕА-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მამებარს გეძახოდა და დაქცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრაფით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან. წიგნები რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემ-მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვწბილდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წერილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქალაქის თაობაზე სერებრიაკოვს წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ ხანად Новое обозрение-ს ფორმატის ქალაქს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, – ეგ ჩვენი მუხრან ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად ერთი მეგობარი გყავს და ის ერთად ერთი-შენი ილია ჭავჭავაძეა“.

20 დეკემბერი.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ილიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები“.



„ივერიის,, პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 1886-წ.

„ივერიას“ რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი – პატარა ტანის ოთახი – სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს – პოეტს დამამულის მოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადის სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები მეფის ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედელზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილლიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, სტოლებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთაველისას, გარიბალდისა.

იქა-აქ კედლებზე: კაკაბს და ზოზობს.

და რადგანაც ნამდვილს ქართველს ძველ-თაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთს მეორეზე უდიდესს.

მთავარი სტოლი კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ სტოლზე არეულ-დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურს დაუდევნელობაზე. აი, აგერ დიდი ამომშრალი საწერელი, რომელშიაც ვილაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგავს, აი, სველი ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი, გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვრით შუა გულში, აი, გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი კარანდაში...

თუ სადამოა, ამ სტოლთან თითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ზვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოლამ დაწვებული სოხუ-მამდის და კაკაკასის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი-მესვეური ილია, დიდად ნაყოფიერი იყო, ის ბევრსა სწერდა და გრძლად სწერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულევანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახდა კაცმა რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თვისს ღირსებას კარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ ან მიჯექით სადმე, ზელტერის წყლით სიცხი-დამ სული მოუიბრუნეთ და უფრო მეტი ხანი მონადომეთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრაფები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებებით ერთმანეთში აცმულ გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ: „როგორცა ვთქვი“, „რომელიც რომ“ და სხვა ამგვარები, თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ.

და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ.

უმეტესობა კი ათის მკითხველიდამ ცხრამ,

ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო სთქვა რუსთაველმა, ალბათ იმიტომ რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას გაზეთის „ივერიის“ კოლექცია და მაგალითს აქ ვეღარ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებლის სტატიებისათვის არა სცალია.

ფრანცუზები იტყვიან: quand vous voulez dire: il pleut, dites il pleut. ეს ქართულად ასე ითარგმნება: თუ გინდათ სთქვათ, რომ წვიმს სთქვით სწვიმს. და ნუ მოყვებით ათადა-ბაბადა ნუ დაიწყებთ ცილამ, ღრუბლიდა, ჰაერიდამ, სთქვით მოკლედ: წვიმს.

ისევე ითქმის საზოგადოდ იმგვარ მეთაურ წერილებზე, რომელსაც ეკუთნოდა ილიას წერილები. ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პოეტს მას შეეძლო.

მეშინია მეტის თქმა არ გამოძვიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვსთქვა. ყოველი გაზეთის ნომერი, რომელშიაც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი წვალებაა ჩემთვის.

ერთი დიდი, საფრანგეთის ფილოსოფოსი, ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, სწეროს როგორც იმას უნდა. ყველაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველს ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდაბოდეს, მძიმე დაესმებოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება, თუნდ ისეთ გვარად როგორმე, როგორც მაგალითად სახელმწიფო სათათბი-

როში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წამის ლაპარაკის შემოღებით.

ჩემი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ჟურნალისტი ჟირარდენი. აი, როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი იწყებს რამე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთ აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში-საქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟორარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწვენილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენსკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგავარად მებრალეებით და ის მტრად აქცევს ჩვენს ნათქვამს ან დაანახევებს სხვებს რომ თქვენი ნათქვამი მტრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისრლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა“.

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბუქლათ გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგავრ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ “ივერიაში”, მეორე დღეს მკითხა:

-წაიკითხე ჩემი წერილი?

-წავიკითხე გუშინ ღამე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებითა და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებინათ – შიგ შრომის მოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

– რა სიტყვები?

– ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

– ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე რაკი სტამბაში მოხვედრილხარ, მითხრა ნაღვლით

რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანათ ეპყრობოდა, მხოლოდ ენის მხრით კი რედაქტორი უღმობელია, მეტადრე იმერეთიდან გამოდგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართულის ენისა.

ვილაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

– არ არის, მაგრამ იქნებო, – თავემოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიაზე და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან “Господин”. ილიამ სთქვა: „უფალი მესხი“-ს თქმას „ბატონი მესხის“-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ ენას ვერ განდევნის ეხლა ჩვენის ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგულის ენიდან „მონსიურ“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომუნის Compagnon“-მა .

მისგან მოგონილი სიტყვებთაგან მახსოვს: სულთა სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერულ წერილებში სიტყვები – „ვლებულობ“, „ამნაირად“, საცა ეს სიტყვები მოხვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს, სიტყვებს: „ვიღებ“, „ამ გვარად“..

საცა რომ ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“-ს ილიას ხშირად „გარნა“-ს სწერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებიავარ, რომელიც არც ერთ ძველს წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „ჰსჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდან ჩასვლა, მაგრამ „ჰჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს ილიას მუდამ ერთი აზრი აქვს, გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთის „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა რომ თითონ უმართებულოდ ეხსენებია ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ “НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ”-ში ერთი წერილი დასწერა მისი პიროვნების შესახებ ილიამ თავი შეურაწყობილად მიიჩნია და ორი თვისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს — კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკოვი. ამან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თვისი ამხანაგი — დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილის ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მოყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ უკანასკნელის შერიგების სიტყვით მიმართა დეულიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების პროტოკოლი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაწყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, რომ რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა ის ჩემის თანხმობით იყო. ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ უკან მიმაქვსო.

რედაქციაზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დაურთოდ აკაკის სიტყვებიც:

აკაკი თამარაშენში იყო მაჩაბლისას და დაძინების დროს „ივერიას“ კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სამთლიდამ ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო — და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

— მაღლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაგროვებდიო, ამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის ღირექტორს...“.

„ივერიის“

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ყოველდღიური გაზეთი ივერია № 1.
თბილისი, 31 დეკემბერი, 1885 წ.

მოგილოცავთ ამ ახალის წლის პირველს დღეს — პირველს ნომერს ახალის გაზეთისას. მოგილოცავთ თქვენ, და ჩვენს თავსკი მაშინ მივულოცავთ, როცა ამ წლის დასასრულს ჩვენი გაზეთი თავის ეკლით საყსე მანძილს გაივლის ისე, რომ უკეთესის ქართველის იმედს და მოლოდინს არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს. ძნელი საქმეა გაზეთის საქმე ყველგან და ნამეტნავად ჩვენში, ნამეტნავად მაშინ, როცა მარტოდ-მარტოა, ერთად-ერთია. სხვაგან, საცა ცხოვრება მრავალ-კეცია და საცა თვითოეული ნაკეცი იმოდენად გაძლიერებულია, რომ თავის ადგილს და თავის საკუთარს ხმასა თხოულობს ცხოვრების სარბიელზედ, იმდენი გაზეთია, რამდენიც წყობაა, მოწადინე ხმისა და ადგილისა ცხოვრების საომარზედ. ამიტომაც იქ თითო გაზეთს იმოდენად შესუბუქებული აქვს მძიმე ტვირთი გაზეთობისა, რამოდენადაც გაზეთების რიცხვია. იქ, სხვაგან, ერთ-ერთს წყობას საზოგადოებისას, თუ ერისას, თქვენის მიდრეკილებისა დაგვარად ირჩევთ, იმ წყობის შემოფარგლულ მოედანზედ სდგებით. ეს გარემოება წინ გიძღვებათ, რომ თქვენი თვალი იმოდენად გადააწვდინოთ საგანს, რამოდენადაც თქვენის რჩეულის წყობის თვალი იმავე დღეს გასწვდება; თქვენი გონება იმდენად ამოქმედოთ, რამოდენადაც იმავე დროს თქვენის წყობის გონებას ძალღონე აქვს მოგყვით; თქვენი გული იმოდენად ამოაკნესოთ — ნატვრა იქნება ხვალისა, თუ მწუხარება და სამღურავი გუშინდლის — რამოდენადაც იმისი გული შესძლებს ამოიკნესოს, და იმ სიტყვით ელაპარაკოთ, რომელიც იმ წყობაში ცნობილია და მიჩნეული. ყოველივე ეს ჩვენში შეუძლებელია. იმიტომ რომ ჩვენში ჯერ, ჩვენდა სამწუხაროდ, მარტო ერთად-ერთი გაზეთი გვაქვს და ამის გამო იგი საყოველთაო უნდა იყოს. რაკი საყოველთაო იქნება, ანბანიც უნდა იყოს შიგ და მეცნიერების უკანასკნელი

დასკვნა და სიტყვაცა. ჩვენის გაზეთის მკითხველთა საზოგადოება ერთის მხრით შემდგარია მათგან, ვინც არა იცის-რა, მეორეს მხრით, ვინც განსწავლულნი და გამეცნიერებულნი არიან. თუმცა ამ ორთა, რიცხვით არათანასწორთა, წყობათა შორის მრავალი სხვადასხვა ხარისხია, ახლო და შორი ან ერთზედ, ან მეორეზედ, მაგრამ ჩვენ რომ თუნდა მარტო ეს ორი უმწვერვალესი თავი და ბოლო ავიღოთ ჩვენის საზოგადოებისა, მაშინ ცხადი იქნება, რომ მოვალეობა გაზეთისა ჩვენში უფრო ძნელი და რთული უნდა იყოს. ამ ორ წყობას შუა უდევს უშველებელი ზღვარი. ერთის მხრით ანბანის მწყურვალნი არიან, მეორეს მხრით — ეგრეთ-წოდებული ინტელიგენციაა. ერთის გონება, თვალი და გული ერთს ზომაზედ სჭრის, მეორისა — სხვა ზომაზედ, ამიტომაც, თუმცა მარტო ერთი და იგივე გაზეთია, ერთიც და მეორეც იმ ტანის სჯას და საუბარს თხოულობს, რომელსაც მისის გონების სინრძე-სიგანე საჭიროებს. რა ჰქმნას გაზეთმა? ერთსავე და იმავე დროს როგორ აამოს ერთს, რომ მეორე არ მოიმდუროს? ანბანის მწყურვალთ შეუწონავ სჯას და საუბარს, ინტელიგენცია ჰყვირის: დიდის ხნის ნაღვესა ხელახლად გვაცოხნივსო; ინტელიგენციას შეუწონავ, — პირველნი ჰყვირიან: ჩვენ-კი არა გვესმის-რაო და მაგისტანა გაზეთი თუნდა იყოს, თუნდა არაო. გასაჭირი ის არის, რომ ორნივე მართალნი არიან. ამის გამო ჩვენ უნდა ვეცადოთ ერთსაც ვემსახუროთ, ჩვენის შეძლებისამებრ, და მეორესაც, და თუ ვერ შევძელით ორივეს სამსახური, უფრო ანბანთ-მწყურვალთაკენ გადავიხრებით. მაშასადამე, ჩვენის გაზეთის სიკეთე ყველაზედ უწინარეს ჯერ ამ თვალთ უნდა გაიზომებოდეს.

ჟურნალ-გაზეთობა ერთ-გვარი ნაწილია ლიტერატურისა. ამის გამო თავის საკუთარის კუთვნილების გარდა უნდა ჰქონდეს ზოგადი კუთვნილებაც ლიტერატურისა. ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა და არა იმ ცრუპენტელობისა, რომელიც ჩვენში ლიტერატურის სახელით დაიარება, გულწრფელობაა, უბოროტო განზრახვაა, სინიდისიანობაა, პირ-მოუფერლობაა და იმა გრძნობის და რწმენის გამომეტყველობაა, რომელიც სულსა და გულში ნამდვილად ჩაგსახვია, ნამდვილად გამოგკვანძია და შენის სულიერის ღონის შეძლებისამებრ გაგიზრდია, გაგიწურთვინია.

ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობს, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა. უზრდელობა, უმართებულობა, გაუპატიურება ადამიანისა, უწურთვნილობის, გონება-გაუხსნილობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია. ლანძღვა-თრევა გოგო-ბიჭების ჩაღურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ — რაღა თქმა უნდა! თუ ჩვენში მოიპოვება კიდევ, თითით საჩვენებლად მაინც, უკანასკნელი მოდიკანი იმ სასაცილო და ბავშვების სამაცდურო მოძღვრებისა, რომ ერთი წყვილი ჩექმა მთელს შექსპირს მირჩენიაო და ერთი ჯამი ლობიო მთელს დიდებულს ნაშის ხელოვნებისას, — არ დაგვინდობს და წამოიძახებს: დახე, „ივერიას“ საზოგადოება „დამად“ გაუხდიო და ლიტერატურა „კავალერადო“. ამას ბანს მისცემს იმისთანაც, რომელსაც იქნება ღმერთი რაზედმე გასწყრომია, ლანძღვა-თრევა ზეგარდამო შთაგონებად მიაჩნია და ამის გამო ჭირვეულობს, გენიოსად რატომ არ მიცანითო. რასაკვირველია, ამ უთავბოლო ჯურის ხალხმა, თუკი არის სადმე, — ასე უნდა სთქვას, თორემ თუ, ჩვენდა საბედნიეროდ, ქარის მოტანილ ლიბერალობის სახელით მორთულმა ცრუპენტელობამ და იმავე ლიბერალობის სახელით გაკადნიერებულმა ლანძღვა-თრევამ ჩვენის ლიტერატურიდამ ფეხი ამოიკვეთა, იმათ საფანელი მოაკლდებათ, კრიჭა შეეკვრით და ამის გამო ლიტერატურას ძალაუნებურად უნდა დაეთხოვნონ. ეგრე მოსდით ხოლმე



ვაჭართა, რომელთ საქონელსაც ბაზარში მა-
ზანდა დაუფოლდა და გასავალი არა აქვს და
რომელთაც სხვა საქონლის მოპოების შნოც
ღვთისაგან არა ჰქირსებიათ.

თუ უწურთვნელს, უზრდელს, სხვის გამ-
აუპატიურებელს, ჩვენს შინაობაშიაც, სახ-
ლობაშიაც, საცა მარტო ერთი-ორი კაცია,
ვერ ვიშვნიკებ და ვთაკილობთ, თუ მაგაების
პატრონს ჩვენს საკუთარს პატარა ოჯახშიაც
ფეხს არ შევადგმევინებთ და კარს ამოვუქო-
ლავთ, მაშ როგორ-ღა უნდა შევიშვნიკოთ,
შევიწყნაროთ იგი იმ დიდს ოჯახში, საცა
არამც-თუ მარტო მე და თქვენა ვართ ჩვენის
ცოლ-შვილით, არამედ მთელი ერია, მთელი
ქვეყანაა, იმიტომ რომ ლიტერატურას მთელს
ერთანა აქვს საქმე, მთელს ქვეყანასთან.

ეს რაცა ვსთქვით იმას კი არა ჰნიშნავს,
რომ აღმა მხვნელს და დაღმა მფარცხველს
საქციელი უსათუოდ მოვუწონოთ, ანუ გა-
ვუჩუდდეთ, ავის მომქმედი არ გავამხილოთ, არ
გავკიცხოთ. არა. ხოლო გამხელა და გაკიცხვა
წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადას-
ცილდეს. წუნის აღება და ლანძღვა-თრევა
შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ.
განა ცუდს ცუდი, ავს ავი არ დაერქმის ადა-
მიანის ღირსების შეუღახებლად, ადამიანის
გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? ამ
შემთხვევაში ავის მომქმედი არ უნდა გაა-
ბოროტო ლანძღვითა და თრევითა, იმიტომ
რომ გაბოროტება, ვით ძლიერი თავდაუჭერე-
ლი ვნებათ-ღელვა, გულის-ყურის კარს
დაუხშობს, და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც
ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამ-
კითხავია და მწურთვნილი კაცისა, ხმას აღარ
ამოაღებინებს. ავის საქციელის მღვენილი
ზრდილობიანი, მართებული, გონება-გახსნილი
პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე
ღვენად? იმისთვის ხომ არა, რომ ზოგი-
ერთებსავით სიხარულით ქუდი ჭერსა ჰკრას,
აცა, ჩემს მოძმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და
ძლივს ჩემი ლანძღვით სავსე გუდას პირს
მოვუხსნიო. არამედ იმისთვის, რომ ან ავის
მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას
აუხილოს თვალი. ორივე შემთხვევაში გულ-
დამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად,
გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი
სიტყვა, თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია,
უფრო შემძლებელი, ვიდრე ნიშნმოგებული,
გაწიწმატებული და გაბოროტებული ავყო-
ბითა და წიწლაკიანობითა.

ამისთანა სიტყვას, წუნისა იქნება თუ ქები-
სა, ვერც ვერავინ ითაკილებს, ვერც ვერავინ
იწყენს, იმიტომ რომ რაც გულის-ტკივილით
და წრფელობით არის ნათქვამი, ბუნებითად
არც სათაკილოა, არც საწყენი.

ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც
კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და
რომელიც უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა
ადამიანთათვის მომადლებული, უნდა პატივცე-
მულ იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში,
გლახაა თუ მდიდარი, ავაზაკია თუ ზნეობა-
მალალი; ასე მოიქცევა იგი, ვისაც თავისის
საკუთარის კაცობის ღირსების გრძნობა
მჩვრად არ გადუქცევია. ადრეც გვითქვამს და
ეხლაც ვიტყვით: კაცობრიობის დიდებულთა
ნაღვაწთა თტრკმლები რომ გაუსინჯოთ,
მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს
თავიდან ბოლომდე გონების ნესტარი გაუტა-
როთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და
დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა,
გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა,
თუ არ ძლევაძილი სვლა კაცებურ ღირსე-
ბათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული:
რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია,
იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი,
ისე მთელი ერიც. ჩვენის ფიქრით, ყოველს-
გვარს უბედურებას, უძლურებას ადამიანისას
სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა
ეგ გრძნობა ცოტად თუ ბევრად ფეხადგმუ-
ლია, იქ კაცი არამც-თუ ვისმე ან რასმე გაე-
ქვლევიება თითონ, არამედ სხვის გაქვლევის
დანახვაზედაც მთელის თავის სამართლიანის
გულის-წყრომით გამქვლეველს გულ-და-გულ
შეეფეთება, როგორც დამრღვეველს იმ ზნეო-
ბითის კანონისას, რომელიც საყოველთაო
ღირსების ფარია და, მაშასადამე, მისიცა.
როგორც სხივნი მზისაგან, ყველა ნიჭი და
მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი,
ამ გრძნობიდან წარმომდინარებს და ყოველივე
ისევე უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს.

ეს არის ჯერ-ზანად ჩვენი აღსარება, ჩვენი
გულის-ნადები. ამ გზას დავადგებით და არას
შემთხვევაში არ ვუღალატებთ, სხვა —
ღროსა და გარემოებას დავაცალოთ.



ყოველდღიური გაზეთი

„ივერია“

სამღვდელოებაზე

1886 წ.

ჩვენს სამღვდელოებას დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. რასაკვირველია, ამას ჩვენს ეხლანდელ სამღვდელოებაზედ, ვერ ვიტყვით. ჩვენ ვამბობთ ჩვენის მამაპაპის სამღვდელოებაზედ, იმ დროის სამღვდელოებაზედ, როცა ღვთის სამსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის სამსახურცა; როცა იგი ჭირში პირველი მეშველი იყო, უკეთესი მამა, გულშემატკივარი დამრიგებელი, მაღალის ზნეობის მაგალითი, გამკითხავი ყოველის უძღურისა და დავრდომილისა, გამკიცხავი ყოველის ბოროტისა და უკაცურობისა, უშიშარი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, თავ-დამდებელი და თავგამომეტებული რჯულისა და ერისათვის! **ჩვენი ისტორია სავსეა ხელოვანის მოღვაწეობითა იმ ნეტარხსენებულის სამღვდელოებისა.** წავიდნენ ის მამაპაპანი და თან გაჰყვნენ ის სახელოვანნი ღვთის მსახურნიცა, რომელთაც საქართველოს გაქრისტიანების დღიადამ ამ საუკუნის დასაწყისამდე ხელთ ეპყრათ ჩვენი ერის სწავლა და მეცნიერება. მწიგნობრობის, მეცნიერების, სწავლისა და განათლების დროშა მათ ეჭირათ ხელში და ამ გონებითს სიმდიდრეს ისე კი არ ეპყრობოდნენ როგორც ბუნწი ფულსა, არამედ გულ უხვად, თავდადებით ახმარდნენ ერს, ავრცელებდნენ ყველგან საცა კი ხელი და ღონე მიუწვდებოდათ. **დიახ, იყო დრო, როცა განათლებით და სწავლით დაწინაურებული სამღვდელოება წინ მიუძღოდა ერს უანგაროდ განათლების და წარმატების გზაზედ.** ეხლა კი სულ სხვაა. დღეს სამღვდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენის უწინდელის სამღვდელოების ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნისათვის. დღეს ყოველი საკუთარის სტომაქისათვის იღწვის და საკუთარის სარგებლობის დევნაშია გართული. ორიოდე პატივცემულნი გვამნი ძლივსდა მოჩანან ჩვენს სამღვდელოთა შორის ისეთნი, რომელთაც შერჩენიათ ძველთა მამა-მთავართა გულმტკივნეულობა ჩვენის ქვეყნისადმი. ორიოდლა არიან, რომელთ მოქმედებაზეც შეიძლება კაცი სიამოვნებით სეჩერდეს და ტკივილით წარმოჰსთქვას: ჯერ კიდევ სული მართლღვთის მსახურებისა არ წარწყმენდილა ჩვენშიო.

ერთმა ჩვენმა სამღვდელო გვარმა ამ ახლო ხანში გამოიჩინა თავი ამ გვარის მოქმედებით და ჩვერნ გვიარიან რომ ეს მოხდა ჩვენის კაცისაგან და ჩვენის ქვეყნისათვის. ქრისტეშობის 13.ს იმპერატორის ალექსანდრეს პირველის დღეობისა გამო გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წაუგზავნა ტფილისის სემინარიის გამგეობას ასი თუმანი. აქედან 1) ხუთასი მანეთი ქართულის გალობის ნოტებით დაწერისა და დაბეჭვდისათვის, 2) სამასი მანეთი სემინარიის სამოწაფო ბიბლიოთეკის წარმატებისა და გამდიდრებისათვის, 3) ორასი მანეთი რუსულიად ქართულად თარგმნისა და დაბეჭვდისათვის იმისთანა თხზულებისა, რომელიც სარწმუნოებისა და ზნეობის მოძღვრების შესახებ იქნება.

ეს სამაგალითო საქმეა, არამც თუ ჩვენში, საცა ესე იშვიათია საზოგადო საკეთილოდ შეწირვა რისამე, არამედ იქაც საცა თითქმის ჩვეულებად არის მიღებული საზოგადოებისათვის რისამე შეწირვა. ამიტომაც ჩვენის სამღვდელოების სასიქადულოდ მიგვარჩნია ეს სამაგალითო ღვაწლი მისის წარმომადგენელისა.

ჰ ა ტ რ ი ა რ ძ ი



უნმიდესისა და უნეტახესის, სხეიად საქაითველს
ჯათოლიკოს-პატრიარქის ილია II



ერისა და ეკლესიის ურთიერთობა

ჩვენ ჩვენი წარსულით, წინაპართა მიღწევებითა და ტრადიციებით სიამაყე გვახასიათებს. ეს კარგიცაა, რადგან ჩვენი წარსული ჩვენი ფესვებია, რომელიც გვასაზრდოებს. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ფიქრი ხვალინდელ დღეზეც, კერძოდ იმაზე, რას შევიტანთ იმ საგანბურში, რომელიც წინაპრებმა შექმნეს და მომავალ თაობებს რას დავახვედრებთ.

დღეს ერისა და ეკლესიის კავშირზე მინდა გესაუბროთ. თუ საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, თუ რა დიდი როლი აქვს შესრულებული ჩვენი ერის ცხოვრებაში ეკლესიას. დღეს კი არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეკლესიამ თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგა, რაც უდიდეს შეცდომას წარმოადგენს. მე ვიტყვოდი, რომ შეიძლება ჩვენი

წინაპრებისათვის ისე საჭირო არ ყოფილიყო ეკლესია, როგორც იგი დღეს თანამედროვე ამპარტავან ადამიანებს სჭირდება. რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისაა ერისათვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე. ჩვენ მომსწრენი ვართ იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე თაობებს რწმენისა და ეკლესიის უარყოფით ზრდიდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ეკლესიისა და რელიგიის ბორკილებისაგან განთავისუფლდება, უდიდეს სიმაღლეებს მიაღწევს. მაგრამ როგორც ვნახეთ, რწმენისა და ეკლესიისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო, ადამიანი ცოდვის ტყვეობაში აღმოჩნდა და დაღუპვის პირამდე მივიდა. მაღლობა ღმერთს, რომ ამის დანახვის ძალა

შეგვრჩა და ჩვენში საბოლოოდ არ წაიშალა ხატება ღვთისა.

როდესაც ქართული სულიერი კულტურის შედეგებზე ვფიქრობთ, რომელნიც ძირითადად შინაარსით ქრისტიანულია, გვიკვირს, როდის ასწრებდა ქართველი ერი მათ შექმნას, რადგან განუწყვეტლივ უზღებოდა ბრძოლა შემოსეული მტრებისაგან თავის დასაცავად. მაგრამ ის, რაც ჩვეულებრივად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, ღვთის მადლით შესაძლებელია. ღმერთი აძლევდა ძალას ჩვენს ერს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედობრივი კალთა იფარავდა, და იქმნებოდა ეს კულტურა ჩვენთვის, ოღონდ არა იმიტომ, რომ გვეამაყა, არამედ იმიტომ, რომ გველოცა და სულიერად ავმაღლებულიყავით. იმიტომ კი არ შენდებოდა ტაძრები, რომ იქ თეატრები, მუზეუმები თუ სხვა დაწესებულებები გახსნილიყო, არამედ ღვთის სახლებად და სალოცავებად. ტაძარი უნდა ყოფილიყო კარიბჭე ცისა, რათა იქ მისულ ადამიანს ზეცა ეხილა და ღვთისთვის გული გადაეხსნა. ასეც იყო, სანამ რწმენას დაკარგავდით. რწმენის დაკარგვამ ადამიანის სულიერი ტაძრის ნგრევა გამოიწვია, რასაც შედეგად - არა მხოლოდ წინაპართა თავდადებული ღვაწლით ნაშენები ეკლესიამონასტრების, არამედ საერთოდ ყველაფრის ნგრევა მოჰყვა.

ერთხელ კიდევ ვმადლობ უფალს, რომ მოგვცა ძალა შეჩერებისა, რათა ირგვლივ მიმოგვეხედა და დაგვეჩინა, რა საშინელი საფრთხის წინაშეც აღმოვჩნდით.

ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, სხეულია უფლისა ჩაინისა იესო ქრისტესი და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოებას წარმოადგენს. როცა უფალმა ბრძანა, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისახი ვერ მოერეოდნენ მის მიერ დაფუძნებულ ეკლესიას, ამ სიტყვებით საცნაურყო, რომ ეკლესიას ბრძოლა დასჭირდებოდა მის წინააღმდეგ ამხედრიბული ბნელი ძალებისაგან თავდასაცავად. ნუ იფიქრებთ, რომ ეკლესიას თავისი არსებობის მანძილზე რომელიმე პერიოდში მაინც უცხოვრია მშვიდად. მას მუდმივად უზღებოდა ბრძოლა ხან გარეშე, ხან კი შიგნით მოკალათებული მტრების წინააღმდეგ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკლესია ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას წარმოადგენს და სამოციქულო ეწოდება, რადგან ჩვენთან ქრისტიანობა მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და სხვებმა იქადაგეს.

როცა კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი რომიდან დაბა ბიზანტიონში გადმოიტანა და კონსტანტინეპოლი დააარსა, საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული. მირიან მეფემ დელეგაცია მიავლინა კონსტანტინე დიდთან, რომელმაც ქართლში სამღვდლოება გამოგზავნა და თან უდიდესი სიწმინდე - სამსჯვალე გამოატანა, რომლითაც უფალი ჩვენა იესო ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული.

V საუკუნემდე საქართველოს ეკლესია ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა, რომელიც პენტარხიის ერთ-ერთი წევრი იყო. ამ ხუთთა მმართველობაში, ანუ პენტარხიაში, გარდა ანტიოქიის ეკლესიისა, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიები შედიოდნენ. მე-5 საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალურობა ანუ დამოუკიდებლობა მიიღო, რასაც ბიზანტიური წყაროებიც ადასტურებს. კერძოდ, თეოდორე ბალსამონი, რომელიც მე-12 საუკუნეში ცხოვრობდა, გვამცნობს, რომ ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა ანტიოქიაში უწმიდესი პეტრეს პატრიარქობის დროს მიიღო. გასარკვევი გახდა, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი რომელი პეტრეს დროს მოხდა. პირველი პეტრე თავად პეტრე მოციქული იყო, რომელმაც ანტიოქიის ეკლესია დააარსა, მეორე პეტრე V საუკუნეში ედგა სათავეში ანტიოქიის ეკლესიას, ხოლო მესამე პეტრე - XI საუკუნეში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბალსამონი სწორედ პეტრე მესამეს გულისხმობდა და აქედან გამომდინარე თვლის, რომ ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა XI საუკუნეში მიიღო. მაგრამ საბედნიეროდ შემონახული გვაქვს ქართული წყაროებიც, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში გაგზავნა დელეგაცია ანტიოქიაში, სადაც ქართლის კათალიკოსად პეტრე

აკურთხეს, მე-11 საუკუნის ერთ ქართულ საბუთში კი საქართველოს ეკლესიის მამამთავარი კათოლიკოს-პატრიარქად იხსენიება, ე.ი. კათოლიკოსს უკვე პატრიარქის ტიტულიც მიემატა. ეს იმის შედეგად მოხდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას შეუერთდა და მცხეთა-თბილისის გამგებლობაში შევიდა. ამიტომ ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესი და უნეტარესი ეწოდა. მსოფლიოში არ არსებობს პატრიარქი, გარდა საქართველოს პატრიარქისა, ორივე ტიტულს რომ ერთად ატარებდეს. ყოველი მათგანი ან უწმიდესია ან უნეტარესი.

წინა კვირას ჩვენთან სტუმრად კონსტანტინეპოლის დელეგაცია ბრძანდებოდა. ჩვენი საუბარი სწორედ ამ საკითხებს შეეხო. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აზრით, რომელიმე ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების უფლება მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას ან კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს აქვს, რაც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ავტოკეფალიის მინიჭების უფლება ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიას აქვს; ეს საერთოდ მიღებული კანონია. ყოველი ავტოკეფალური ეკლესია უფლებამოსილია, თავის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ავტოკეფალური ცხოვრებისათვის მომზადებულად თვლის, ავტოკეფალია მიანიჭოს. მაგალითად, მე-20 საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ ავტოკეფალია მიანიჭა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიებს, ხოლო ამ ბოლო წლებში - ამერიკის ეკლესიას. სწორედ ამგვარ ქმედებას არ სცნობს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კანონიერად. საპასუხოდ ჩვენ ვამბობთ, თუკი, როგორც ბალსამონი გვამცნობს, ანტიოქიას ჰქონდა უფლება ავტოკეფალია მიენიჭებინა საქართველოსათვის,

რატომ არ შეიძლება იმავე უფლებით სხვა ეკლესიაც სარგებლობდეს.

ასე რომ მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა ყველა ეკლესიამ სცნო და ყველა პატრიარქი საქართველოს ეკლესიის მამამთავარს როგორც კათოლიკოს-პატრიარქს ისე მიმართავს, მხოლოდ რიცხვში მხოლოდ კონსტანტინეპოლის ეკლესია აღმოჩნდა.

ჩვენ მასთან გვაქვს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ავტოკეფალურობა თვითონ კი არ მოგვანიჭოს, არამედ ცნოს, რომ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში მივიღეთ. გარდა ამისა, დგას საკითხიც ჩვენი ეკლესიის ადგილისა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის.

ამა წლის ივნისში რუსეთის ეკლესიის ათასწლისთავთან დაკავშირებით რუსეთში კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი უნდა ჩამობრძანდეს. ჩვენ დელეგაციას ვაცნობეთ, რომ მოხარული ვიქნებით, თუ მსოფლიო პატრიარქი საქართველოსაც ეწვევა. გარდა ამისა, მომავალში დელეგაციის კონსტანტინეპოლში წარგზავნას ჩვენც ვაპირებთ. ასე რომ, საუბარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის, მისი ადგილისა და მისი მამამთავრის წოდების გამოკვლავაც გაგრძელდება და იმედი გვაქვს, რომ ღვთის შეწევნითა და მადლით კეთილად დასრულდება.

მინდა ისევ იმ საკითხს დავუბრუნდე, რითაც საუბარი დავიწყე და ერთხელ კიდევ შეგახსენოთ ეკლესიის მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში. ეს უდიდესი საუნჯე, რომელიც ადამიანს რწმენით, სიყვარულით, სათნოებითა და მშვიდობით ცხოვრებას ასწავლის, არ უნდა დავკარგოთ.

შევსთხოვ ღმერთს, რომ ჩვენი ერი სარწმუნოებითა და სათნოებით განამტკიცოს.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო. ამინ.

16 თებერვალი, 1987 წ.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II**

ახალი ტაძარი



წყალობის წმინდა გიორგი

წყალობის წმინდა გიორგის ხატი —
იდეა და ესკიზი მამა ილია ჩიკვაიძისა,
ხატწერა ეკატერინე კენკიშვილისა.


წყალობის წმინდა გიორგის ხატმა
დალოცოს, აკურთხოს, ხსნილჰყოს და
გააერთიანოს სრულიად საქართველო, ამინ!



24 ნოემბერს ურბნისისა და რუისის
მიტროპოლიტმა იობმა აკურთხა
წყალობის წმინდა გიორგის ტაძარი,
სადაც მღვდელმსახურებას აღავლენს
მამა ილია ჩიკვაიძე.

წყალობის წმინდა გიორგი იყოს
შემწე სრულიად საქართველოსი.





2016 წლის შობის ღამეს
წყალობის წმინდა გიორგის ხატიდან
მირონმა იწყო ღენა



მ ო ძ ღ ვ ა რ ი



სქემარქიანდრიტი იოანე (მასლოვი)



1932-1991

ლექციები
სამოძღვრო ღმრთისმეტყველებაში



სწავლება

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა
(329-389 წწ.)

წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი ცხოვრების მკაცრ წესებს და რაიმეს საეკლესიო თანამდებობის მიღწევისკენ არ ისწრაფოდა. მისი სული ანთებული იყო საღმრთო სიყვარულით განმარტობისკენ. მაგრამ სხვაგვარად მოხდა. მამამ გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, რომელიც ეპისკოპოსი

იყო, თავისი ძის სურვილის წინააღმდეგ იგი ხუცესად აკურთხა. ამან ისე შეძრა სული წმ. გრიგოლისა, რომ იგი პონტოში თავის მეგობართან, ბასილი დიდთან იღუმლად წავიდა. იცხოვრა რა იქ ერთხანს, ცოტა დამშვიდების შემდეგ, მან გადაწყვიტა ისევ თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო და ის მრევლი ჩაებარებინა, რომლისთვისაც იქნა ხელთდასხმული. აქ მან თავისი სამწყსოს წინაშე წარმოთქვა სამი სიტყვა; პირველით, მიესალმა რა ყველას ქრისტეს აღდგომის უდიდესი დღესასწაულით, განაწყენებულთაგან პატიება ითხოვა მისი წასვლის გამო; მეორეთი – სიმდაბლითა და სიყვარულით ამხილა ისინი, რომელთაც მისი მოსმენა არ უნდოდათ, დაბოლოს, მესამე სიტყვით გადმოსცა სწავლება სამოძღვრო მსახურების მნიშვნელობისა და უაღრესობის, მისი უდიდესი სიძნელისა და პასუხისმგებლობის, მოვალეობების, ამ მსახურებისთვის როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად მომზადების აუცილებლობის თაობაზე. აქვე მძაფრად არიან გაკიცხულნი ისინი, რომელნიც მღვდლობის ხარისხს წინასწარი მომზადების გარეშე იღებენ.“

თუმცა, გრიგოლ ღმრთისმეტყველის სწავლებით, სამოძღვრო მსახურება მძიმე საქმეა, მაგრამ ღმრთის დადგენილებით, ქრისტეს ეკლესიისთვის აუცილებელია. უკეთ გასაგებად, წმ. მამას ადამიანის ორგანიზმის

მიზანშეწონილობა მოჰყავს მაგალითად: „როგორც მასში სხვა უფროსობს და როგორღაც თავმჯდომარეობს, ხოლო მთავრობასა და მმართველობას სხვა ექვემდებარება, ასევე ეკლესიაშიც... ღმერთმა განაჩინა, რომ ზოგნი, ვისთვისაც ეს სასარგებლოა,.. სამწყსოს წევრნი და ხელქვეითნი ყოფილიყვნენ, ხოლო სხვები, რომელნიც სათნოებითა და ღმერთთან სიახლოვით უფრო მაღლა დგანან, ეკლესიის სისრულისთვის მოძღვრებად და მასწავლებლებად დადგენილიყვნენ და სხვებთან ისეთივე მიმართება ჰქონოდათ, როგორც სულს ხორციდან და გონს სულთან აქვთ, რათა ერთიცა და მეორეც, ნაკლოვანიცა და გარდამეტებულიც, მსგავსად სხეულის ასოებისა, ერთად შეერთებულიყო და შეუღლებულიყო, გაერთიანებულიყო და შეკავშირებულიყო თვით ქრისტეს – ჩვენი თავის – სულის საკვრელით“. „ყველა ასო ერთნაირად არ მოქმედებს, თუმცა ყველას ერთმანეთი თანაბრად სჭირდება... ასე მაგალითად, თვალი არ დადის, მაგრამ მიუთითებს გზას; ფეხი ვერ ხედავს, მაგრამ ერთიდან მეორე ადგილზე გადადის და (მთელი სხეული) გადააქვს; ენა ვერ მიიღებს ხმას, რადგან ეს სმენის საქმეა; ყური არ ლაპარაკობს, რადგან ეს არის საქმე ენისა... ასევე ჩვენშიც – ქრისტეს საერთო სხეულში“. „ამიტომ არ მგონია, რომ უმთავრობობა და უწესრიგობა უფრო სასარგებლო იყოს“.

საუბრობს რა ქრისტეს ეკლესიაში სამოდვრო მსახურების აუცილებლობასა და ამ მოწოდების განუხრელ დაცვაზე, წმ. მამა ამასთანავე რჩევას იძლევა, რომ ეს **მაღალი ხარისხი იმ პირებმა მიიღონ, რომელნიც სულისა და ხორცის განწმენდით მოემზადნენ**. „ვინ იკისრებს, – სვამს კითხვას წმ. მღვდელმთავარი, – რომ მსგავსად ერთ დღეში დამზადებული რაიმე თიხის ნაკეთობისა, ჭეშმარიტების დამცველი შექმნას, რომელიც ანგელოზებთან ერთად უნდა იდგეს, მთავარანგელოზთა თანა დიდებისმეტყველებდეს, ზეციურ საკურთხეველზე მსხვერპლს აღამაღლებდეს, ქრისტესთან ერთად მღვდელმოქმედებდეს, ქმნილებას აღადგენდეს, ღმრთის ხატს განაახლებდეს, ზეციური ქვეყნისთვის ქმნიდეს და – მეტსაც ვიტყვი

– იყოს ღმერთი და ღმერთებად ჰყოფდეს? ვიცი, ვისი მსახურნიცა ვართ, თვით სადა ვართ დადგენილნი და სხვებს რას ვუმზადებთ. ვიცი დიდებულება ღმრთისა და კაცობრივი უძლურებაც, ხოლო ამასთან ძალაც მისი. „ცა მაღალ არს და ქუეყანა ღრმა“ (იგ. 25,3). ცოდვით დამხობილთაგან ვინ ავა ზეცად? ვის, ჯერ კიდევ ქვემო სიბნელითა და უხეში ხორციით გარემოცულს, შეუძლია მთელი გონებით ცხადად განჭვრიტოს ყოვლადმთელი გონი; ცვალებადსა და ხილულს შორის მყოფს, უცვალებელსა და უხილავთან დაკავშირება ვის შეუძლია?“ „დიდებულება, უაღრესობა, ღირსება, – ამბობს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – წმიდა არსებებისა ძნელად იტყვენ ღმრთის ბრწყინვალეობას,... რომელიც ყოველივეშია და ყოველივეს გარეთაც, რომელიც არის ყოველგვარი სიკეთე და ყოველგვარ სიკეთეზე უაღრესიც... ასეთი უნდა იყოს სძლის წინგამძლოლი და სულის სასძლოდ დამწინდველი. მეშინია, რომ ხელფეხი არ შემიკრან და საქორწინო სასახლიდან არ გამაგღონ იმ მიზეზით, რომ საქორწინო სამოსელი არ მეცვა და იქ თანამეინახეთა წრეში თავხედურად შევიჭერი“.

სიმაღლე სამოდვრო მსახურებისა მღვდელმსახურისგან პირად ცხოვრებაშიც უაღრეს თვისებებს მოითხოვს, რომელთა მეშვეობითაც მან ცხოვნებისკენ სხვათა მიზიდვაც უნდა შეძლოს, მოძღვარი, წმ. მამის აზრით, მკაცრი წესებითა და ბიწიერებათა გარეშე უნდა ცხოვრობდეს. „მოძღვარი, – წმ. მღვდელმთავარი, – ყველგან მიმოქცევაში მყოფი ვერცხლისა და ოქროს მსგავსად, ყოველგვარ ვითარებასა და საქმეში არ უნდა გამოსცემდეს ხმას, ვითარცა ყალბი და არაწმინდა მონეტა... თორემ მით უფრო მეტი ბოროტება წარმოიშობა, რაც უფრო მეტი რაოდენობის ხალხზე იუფროსებს იგი... როგორც ადვილად იღებს ქსოვილი გამოუყვანელ ფერს და როგორც ახლოს მდებარე საგნები იღებენ ერთმანეთისგან მყარალ სუნს ან კეთილსურნელობას,... ასევე იღებენ ხელქვეითნიც უფროსთა ბიწიერებებს... ამგვარად, ბიწიერის მიერ მოძღვრობის მიღება მხოლოდ ბოროტებისა და ბიწიერების გაძლიერების

მაჩვენებელი იქნებოდა ქვეყანაზე“ (შეად. ანგ. 2, 14-15).

წმ. მამის სწავლებით, მოძღვრის კეთილი და სამაგალითო ცხოვრება მიჩნეული უნდა იქნეს პირველ, მთავარ და უცვალებელ საშუალებად მოძღვრული ზეგავლენისა, რადგან თვალსაჩინო სწავლების მეთოდი ყველაზე ბუნებრივი და ქმედითია. „ან საერთოდ არ ასწავლო, – ამბობს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – ან ასწავლე კეთილი ცხოვრებით. სხვაგვარად, ერთი ხელით მიიზიდავ, მეორეთი ხელს კრავ... ნაკლები სიტყვები დაგჭირდება, თუ იმას აკეთებ, რაც საჭიროა, ფერმწერი ნახატებით უფრო ასწავლის... განსაკუთრებით თქვენ, საკურთხევლის მსახურებს, გირჩევთ არ იყოთ თვალი, ბნელით მოცული, რათა პირველები არ შეიქნეთ ბიწიერ ცხოვრებაში... იყავ უფრო მეტად ერთგული ღმერთისა, ვიდრე დამცველი სწავლებისა ღმერთზე. ყოველ სიტყვას შეიძლება შეედავო სიტყვით, მაგრამ ცხოვრებას რით შეედავები!“

მოძღვარი თავის სამწყსოს შორის უნდა იყოს, ვითარცა მხედართმთავარი ჯარისკაცთა შორის, უნდა ბრწყინავდეს სახელითა და სათნო ცხოვრებით, რათა, როგორც წმ. მღვდელთმთავარი ამბობს, „სხვებისთვის შებრკოლებისა და საცდურების ლოდად არ იქცეს, არ შესცოდოს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეჭვის საბაბიც არ მისცეს ვინმეს ამისთვის“.

„ვისაც მინდობილი აქვს ეს (მოძღვრობა), – გვასწავლის წმ. გრიგოლი, – იგი არა მხოლოდ უბიწო უნდა იყოს, ... არამედ სათნოებითაც უნდა გამოირჩეოდეს... იგი მოვალეა არა მხოლოდ წარხოცოს თავის სულში ავი სახეები, არამედ საუკეთესონიც აღბეჭდოს მასში, რათა იგი სხვებს სათნოებით იმდენად აღემატებოდეს, რამდენადაც იგი მათზე აღმატებულია ღირსებით. მან სიკეთის ქმნასა და სისრულისაკენ სწრაფვაში ზღვარიც კი არ უნდა იცოდეს, იმდენად არა უკვე მოპოვებული უნდა მიაჩნდეს მონაგებად, რამდენადაც დაკარგულად ჩათვალოს ის, რაც მიუღწეველი დარჩა, ხოლო განვლილი (გზა) ყოველთვის უმაღლესისკენ აღსავალ კიბის საფეხურად აქციოს და დიდი წარმოდგენა არ შეიქმნას

თავის თავზე, ბევრსაც რომ აღემატებოდეს, არამედ დანაკლისად მიიჩნიოს ის, თუ რაიმეთი ხარისხს არ შეეფერება“. თუკი ჩვეულებრივ ადამიანში, წმ. მამის აზრით, ბიწიერებად ის ითვლება, რაც მან ცუდი საქციელი ჩაიდინა, ამისთვის სასჯელს იმსახურებს და კანონით მკაცრად განიკითხება, მოძღვრისთვის უკვე ისიც კი ბიწია, რომ იგი შესაძლო სისრულეს ვერ აღწევს და სიკეთით არ წარემატება. „უფროსისა და წინამდგომელისთვის, – ამბობს გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – უკვე ისიც კი ბიწია, თუ იგი ბევრად არ აღემატება მდაბიო ხალხს, თუ მუდმივად უკეთესი და კიდევ უკეთესი არ ხდება.“

საუბრობს რა მოძღვრის უაღრესობასა და სათნო ცხოვრებაზე, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მღვდლობის კანდიდატებისგან სულის წინასწარ მომზადებასა და ზნეობრივი სრულყოფის ყოველმხრივ გამოცდას მოითხოვს. ამ მაღალი მსახურებისთვის მომზადებისას, წმ. მამის აზრით, „ჯერ საჭიროა საკუთარი თავის განწმენდა, ხოლო შემდეგ სხვებისა... ჯერ ნათელი უნდა გახდეს, რომ შემდეგ სხვებში ნათელი შეიტანო, ჯერ უნდა მიუახლოვდე ღმერთს, რომ შემდეგ მასთან სხვებიც მიიყვანო; ჯერ უნდა იკურთხო, რომ შემდეგ აკურთხებდე“. მას, ვინც მღვდლობის წოდებას ეძიებს, მაგრამ თავისი სულიდან ბიწიერებანი არ ამოუძირკვავს, წმ. მღვდელთმთავარი ურჩევს „ისწავლოს დაცხრობა მრისხანებისა, აღვირსხმა ენისა, კრძალულება თვალისა, მოთოკვა მუცლისა და გაქეღვა ამქვეყნიური დიდებისა... ასეთი სიბრძნისმოყვარებით ცხოვრება სჯობს, ვიდრე ხელისუფლებისა და სულების მართვის უფლების მიღება, და, როცა ჯერ კიდევ სამწყსოს კარგი წევრი არ გამხდარხარ და, როგორც ჯერ არს სული არ განგიწმენდია, სამწყსოს მართვის მოვალეობას როგორ იკისრებ“. შემდეგ წმ. მღვდელთმთავარი „ხარისხისთვის უცხოვდ, უსჯულოდ და უღირსად თვლის იმ მღვდლებს, რომლებიც მღვდლობის მიღებამდე თავის თავს არაფერს მატებენ; სათნოებისთვის სრულიად არ შრომობენ და კეთილმსახურების მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის აღმოჩნდებიან ხოლმე, და როცა თვით ჯერ კიდევ ან განწმენდილან,

სხვათა განწმენდას იწყებენ“. მართლაც, სამწყსო თავის თავს წმინდად როგორ შეინახავს, როცა მისი მოძღვარი უწმინდურებაშია ჩაფლული? აკი ცუდი მაგალითი, ვიდრე კარგი, გაცილებით ძლიერ გავლენას ახდენს გარშემომყოფებზე, რომლებიც ძალიან იოლად ითვისებენ მას. ამიტომ **ეკლესიის მოძღვარმა, წმ. მამის სწავლებით, თავისი სული ყველა ბიწისგან უნდა განიწმინდოს და მაშინ იგი ცხონების გზით თავისი სამწყსოს წაყვანას შეძლებს. ამისთვის მოძღვარმა სამწყსოს წევრთა სულები ღრმად უნდა შეისწავლოს და მათი მოთხოვნილებების შესაბამისად მითითებების მიცემა და წამლობა შეძლოს.**

წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველს სამწყსოს ხელმძღვანელობისა და მისი განკურნების უკეთ გაგებისთვის მოჰყავს შედარება სხეულის მკურნალობასთან. ძნელია განკურნება სხეულისა, მაგრამ სულისა – „კიდევ უფრო მეტად, ხოლო ამასთან მასზე უმჯობესიც არის – განსაკურნებლის თვისებითაც, ცოდნის ძალითაცა და მკურნალობის მიზნითაც. ერთია დაშვრე სხეულისთვის, ნივთიერისთვის, რომელიც უსათუოდ დაირღვევა და დაემორჩილება თავის ხვედრს, თუმცა ახლა მასში წარმოქმნილი უწესრიგობა ხელოვნების დახმარებით დაიძლევა კიდევ... ხოლო მეორე – მზრუნველობა სულებზე, რომელნიც ღმრთისგან წარმოიქმნენ და ღმრთებრივი არიან, რომელნიც ზეციური კეთილშობილების თანაზიარნი არიან და მისკენ იჩქარიან... სხეულის მკურნალი მხედველობაში იღებს ადგილს, შემთხვევას, ასაკს, წელიწადის დროს და მისთ... აძლევს, უნიშნავს ცხოვრების წესს, აფრთხილებს, რომ რაიმე მავნებელი არ მიიღოს, რათა ავადმყოფის ახირებამ ხელოვნებას ხელი არ შეუშალოს; ზოგჯერ კი, როცა ვისთვისაც საჭიროა, მიმართავს მოწვას, კვეთას და მკურნალობის სხვა კიდევ უფრო სასტიკ მეთოდებს. თუმცა ყოველივე ეს ძალიან მძიმე და ძნელია, მაგრამ არც იმდენად, როგორც განკურნება ჩვენი ზნე-ჩვეულებისა, ვნებებისა, ქცევისა, თავისუფალი ნებისა და მისთ; (ყველაფერი) უნდა ამოვაგდოთ, რაც კი ჩვენზე ცხოველური და ველური ამოიზარდა, ხოლო მის ადგილზე ყოველივე ის

შევიტანოთ და დავენერგოთ, რაც მღაბალია და კეთილშობილი, და დავამყაროთ სათანადო ურთიერთობა სხეულსა და სულს შორის... მკურნალის მიერ დაცული სხეული სრულიადაც არ განიზრახავს ბოროტს და ხრიკებს არ მიმართავს იმ საშუალებათა წინააღმდეგ, რომელნიც ხელოვნებით იქნენ გამოყენებულინი... ხოლო ჩვენში არსებული ბრძნობა, თავმოყვარეობა და ის, რომ არ ვიცით და არ შეგვიძლია ადვილად დათმობა ვისმესთვის გამარჯვებისა, სათნოებისთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენენ და თითქოს აჯანყებას აწყობენ მათ წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენ გვეხმარებიან. რამდენი მონღომება იქნებოდა საჭირო, რომ მკურნალისთვის ავადმყოფობა გაგვემზილა... ჩვენ ხან მონურად ვმაღავთ ცოდვას... ხან სხვადასხვა საბაბით ჩვენ თავს ვპატიობთ მას... ხან სასმენელს ვიზშობთ და ყველა ზომას ვიღებთ, რომ არ გვესმოდეს ხმა გამამტყუნებლებისა (ფს. 57, 4-5) და არ ვისარგებლოთ განსაკურნებლებით, რომლებითაც სულიერი სენი იკურნება; დაბოლოს, ხან აშკარად არ გვრცხვენია არც ცოდვისა და არც ცოდვის მკურნალების, ყოველგვარ უსჯულოებაზე მივდივართ, როგორც იტყვიან, შიშველი ხელებით... ამიტომაც მგონია, – წერს წმ. მამა, – რომ ჩვენი სამკურნალო ხელოვნება გაცილებით ძნელია და, მაშასადამე, სხეულის სამკურნალო ხელოვნებაზე უპირატესიც... რაც შეეხება ერთი ან მეორე მკურნალობის მიზნებს, ერთის მიზანია – ან შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, როცა იგი არსებობს, ან დააბრუნოს, როცა იგი დაკარგულია... მაგრამ მიზანი მეორე მკურნალობისა არის სულისთვის ფრთების შესხმა, მისი გამოტაცება სოფლისგან და გადაცემა ღმრთისთვის, შენარჩუნება ღმრთის ხატისა, თუკი ის მთელია, დაცვა, თუკი ის საფრთხეშია, განახლება, თუკი დაზიანებულია, გულში ქრისტეს დამკვიდრება სულიწმიდის მიერ; მოკლედ რომ ვთქვათ, ღმერთყოფა და ზეციური ნეტარების თანაზიარად ქმნა იმისა, ვინც ზეციურ ხარისხს ეკუთვნის“. წმ. მამის აზრით, მკურნალის საზრუნავი ავადმყოფის სხეულისთვის ის არის, რომ ამქვეყნად მისი სიცოცხლე გაახანგრძლივოს და მძიმე ტან-

ჯვა შეუმსუბუქოს ავადმყოფ სხეულს, მაგრამ „სულიერმა მკურნალმა ადამიანი სამუდამო სიკვდილისგან უნდა დაიფაროს; აი, რატომ დგას იგი მუდამ საშიშროების წინაშე სულის ცხონების დაკარგვისა, სულის – ნეტარისა და უკვდავისა, რომელიც საუკუნოდ ან დაისჯება ბიწიერების გამო, ან განდიდება სათნოებისთვის“.

შედარების მშვენიერ სურათს სულიერი და ხორციელი მკურნალობისა წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ასე ასრულებს: „რამდენი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება მოძღვარს იმისთვის, რომ ამა თუ იმ სულს შესაბამისი მითითება მისცეს მისი ცხონებისთვის!“ ამიტომ, წმ. მღვდელთმთავრის სწავლებით, “როგორც სხეულებს არ ეძლევათ ერთნაირი წამლები და საზრდელი, ... ასევე სულებიც სხვადასხვა სახითა და მეთოდით იკურნებიან... ერთნი სიტყვით აღეშენებიან, მეორენი მაგალითით გამოსწორდებიან. ზოგისთვის საჭიროა შოლტი, ხოლო სხვებისთვის ალვირი, რადგან ერთნი ზარმაცები და სიკეთისკენ არაადვილად მიდრეკილნი არიან, და ასეთებს განღვიძება სიტყვის შოლტით სჭირდებათ; სხვები სულით ზომაზე მეტად მხურვალენი და მისწრაფებებში თავშეუკავებელნი არიან, მსგავსად გაუხედავი და ძლიერი ცხენებისა, რომელნიც ნიშნის იქითაც გარბიან, და ასეთების გამოსწორება ლაგმის ამომღები და შემაკავებელი სიტყვით შეიძლება. ზოგიერთებისთვის ქება სასარგებლოა, სხვებისთვის კი საყვედრებელი; მაგრამ ერთსაცა და მეორესაც თავისი დრო აქვს; წინააღმდეგ ამისა, დროისა და საფუძვლის გათვალისწინების გარეშე ისინი მავნებელნი ხდებიან. ერთნი გამოსწორდებიან ღარიგებით, სხვები – საყვედურით, ზოგიერთები კი – ან საერთო სახალხო მხილებით, ან საიდუმლო ღარწმუნებით. რადგან ერთნი მიეჩვივნენ არაფრად ჩაადგონ პირისპირ მიცემული ღარიგებები და გონს მხოლოდ მაშინ მოეგებიან, როცა მათ მრავალთა წინაშე საყვედურობენ; ხოლო სხვები საქვეყნოდ მხილების დროს სირცხვილის გრძნობას კარგავენ, მაგრამ მათ თბილი საყვედური აწყნარებს... სხვები, ქედმაღლობენ რა იმ იმედით, რომ მათი საქმე დაფარულია, რაზეც ისინი

ზრუნავენ კიდევ, და თავიანთ თავს სხვებზე ჭკვიანად მიიჩნევენ, – ასეთების ყოველ, ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვან საქციელსაც კი საგულდაგულო დაკვირვება სჭირდება; ხოლო სხვების ამგვარი საქციელი უმჯობესია არ შევამჩნიოთ და, როგორც იტყვიან, ვხედავდეთ და არც ვხედავდეთ, გვესმოდეს და არც გვესმოდეს... ზოგჯერ საჭიროა მრისხანება განრისხების გარეშე, გამომჟღავნება უგულუბელოფისა შეურაცხყოფის გარეშე, დაკარგვა იმედისა სასოწარკვეთილების გარეშე, რამდენადაც ამას თითოეულისთვისება მოითხოვს; სხვების მკურნალობა საჭიროა სიმშვიდით, სიმდაბლით და მათ საუკეთესო იმედებში თანამონაწილეობით... ქება ან გაკიცხვამ ზოგს შეძლება და ძლიერება უნდა შესძინოს, ხოლო სხვებს – სიგლახაკე მისცეს და საქმეები ჩაუშალოს. ამის გამო რამდენი შრომა უწევს კეთილ მოძღვარს, რომელიც მოვალეა კარგად იცოდეს თავისი სამწყსოს წევრთა სულები, იყოს მათი წინამძღვარი სჯულის სწორი და სამართლიანი გამოყენებით და შეიქმნეს ღირსი ჩვენი ჭეშმარიტი მწყემსისა“.

ეს, რა თქმა უნდა, ბევრ შრომასა და დიდ ცოდნას მოითხოვს, რადგან, წმ. მამის სიტყვით, „მართვა ადამიანისა, ყველაზე ცბიერი და ცვალებადი ცხოველისა, ნამდვილად არის ხელოვნებათა ხელოვნება და მეცნიერებათა მეცნიერება“.

შემდეგ წმ. მღვდელთმთავარი მოძღვრებს ურჩევს, რომ იყვნენ გულმოდგინე მქადაგებელნი საღმრთო ჭეშმარიტებისა, რომელიც მრავალ სიძნელეთა გადალახვას, სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. „რაც შეეხება თვით განაწილებას სიტყვისა, ... თუ ვინმე ამ საქმეს გაბედულად შეუდგება და მას ყოველგვარი გონებისთვის მისაწვდომად მიიჩნევს, მე მაკვირვებს მაღალგონიერება (რომ არ ვთქვა: დაბალგონიერება!) ასეთი ადამიანისა, მე მგონია, – ამბობს წმ. მამა, – არ არის უბრალო და ნაკლები სულის მომთხოვნელი საქმე – თითოეულს მისცე სათანადო სიტყვა ჟამსა თვისსა (ლკ.12,42) და გონივრულად უძლოდე განგებულებას ჩვენი დოგმატების ჭეშმარიტებისა“. დოგმატებსა და მათ ამაღლებულ ცნებებზე რომ ისაუბროს,

წმ. მამის აზრით, მოძღვარს „ყოველთვის სჭირდება სული (სულიწმინდა), რომლის შემწეობითაც არის მხოლოდ შესაძლებელი ღმერთზე ფიქრიც, საუბარიცა და მოსმენაც“. სიძნელეს სამოდვრო ქადაგებისა ის წარმოადგენს, რომ მისი მსმენელები სხვადასხვა მღვდომარეობის (შეძლების), ასაკის, სქესისა და უნარების მქონე ადამიანები არიან. „მრავალრიცხოვან კრებულში ყოველგვარი ასაკისა და სხვადასხვა უნარის მქონე ადამიანები არიან, – წერს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – რომელნიც მრავალსიმიანი ორგანის მსგავსად არაერთგვაროვან დარტყმებს საჭიროებენ, ძნელია მაშინ პოვნა სიტყვისა, რომელიც ყველას დამოდვრავდა და მეცნიერების ნათლით განაბრწყინებდა“. ხალხთან ურთიერთობის ამ სიძნელეს წმ. მღვდელთმთავარი ერთ შედგენილ, ნაირგვაროვან ცოცხალ არსებას ადარებს. „რადგანაც საერთო სხეული ეკლესიისა, – ამბობს წმ. მამა, – ჰგავს ერთ შედგენილ და ნაირგვაროვან ცოცხალ არსებას, რომელშიც მრავალი და განსხვავებული ზნე და აზრი არის შეკრებილი, ამიტომ სრულიად აუცილებელია, რომ წინამდგომი იყოს როგორც უბრალო, ყველას მიმართ სამართლიანობის თვალსაზრისით, ასევე, რამდენადაც შესაძლებელია, ... მრავალმხრივიცა და მრავალფეროვანიც ყველასადმი შესაფერი მიმართვისათვის, აგრეთვე უნარიანიც ყველასთან სასარგებლო საუბრის გასამართად“. წმ. მამის აზრით, ყველას ერთნაირად არ შეუძლია დაიტიოს ის ჭეშმარიტებანი, რომელთაც ისინი გადმოსცემენ, არამედ ერთის კვება საჭიროა რძით, მეორეს მაგარი საჭმელის მიცემა უნდა, ზოგს დაწყებითი ჭეშმარიტებანი უნდა გადაეცეს, ხოლო სხვებს – უფრო ღრმა და საიდუმლო.

მსმენელების გულში ამ საიდუმლო ჭეშმარიტებათა ჩანერგვა რომ შეძლოს, წმ. მამის აზრით, **მოძღვარი სულიერი, ამასთანავე, გონებრივად განვითარებული და თეორიულად მომზადებული უნდა იყოს.** „ვინც არც ის იცის, რა უნდა ილაპარაკოს, და არც ის, რა უნდა აკეთოს, – ამბობს წმ. მღვდელთმთავარი, – უკეთესია ისწავლოს, ვიდრე არ იცოდეს და ასწავლიდეს... ხოლო ამიტომ თავს იღებდეს

შრომას სხვათა სწავლებისა, როცა ჯერ კიდევ საკმარისად თვით არ განსწავლულა და, ანდაზური გამოთქმით, დიდი თიხის ჭურჭელზე ქოთნების კეთებას სწავლობს, ანუ სხვათა სულებზე კეთილმსახურებაში წვრთნა, ჩემი აზრით, მხოლოდ უკიდურესად უგუნურ და უტიფარ ადამიანებს ახასიათებთ, – არაკეთილგონიერთ, თუკი ისინი თავიანთ უეციობას ვერ გრძობენ; უტიფართ, თუკი მათ ესმით ეს და საქმესაც ბედავენ.“

განვითარებული გონებითი მჭვრეტელობა, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით, ძლევაპოსილი თანამგზავრია ზეცისკენ მიმავალ გზაზე, ხელის შემწყობია ცხონების საქმეში და წარმოქმნილია სათნოებისა. „არსებობს მეცნიერებანი, – შენიშნავს წმ. მამა, – რომელთაც სწავლობენ, რომლისთვისაც საჭიროა დრო, განუწყვეტელი შრომა და ძალისხმევა, ზოგჯერ საჭიროა ფულის ხარჯვა, გამოძებნა ადამიანებისა, რომელნიც ახსნიდნენ მეცნიერებას, ... ხოლო სიბრძნე, რომელიც ყველაფერს აღემატება და თავის თავში ყველა სიკეთეს ერთად მოიცავს... ნუთუ შეიძლება ისეთ ადვილ და არა საძნელო საქმედ მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერის მარტო სურვილიც კი საკმარისი იყოს, რათა ბრძენი გახდეს? ასე ფიქრი დიდი უეციობაა“.

შემდეგ წმიდა მღვდელთმთავარი მღვდლობის კანდიდატებს კონკრეტულად მიუთითებს, პირველ რიგში რომელი მეცნიერებანი უნდა შეისწავლონ, რომ თავიანთი სამწყსოებისთვის ჭეშმარიტი მეგზურები შეიქმნენ საუკუნო ცხოვრების მისაღწევად. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი უწინარეს ყოვლისა მათ წმიდა წერილის შესწავლას ურჩევს. კითხვა წმიდა წერილის წიგნებისა, წმ. მამის აზრით, „წმენდს სულსა და ხორცს, ადამიანს ღმრთისთვის სათნო ტაძრად და იმ ორგანად ყოფს, რომელსაც სულიწმიდა აჟღერებს, ღმრთის ღიდებისა და ღმრთის ძლიერების მგალობლად აქცევს... მის მიერ მე განათლებები, კეთილგანგებული ვხდები, სხვა კაცად გარდავიქმნები, საღმრთო შეცვალებით ვიცვლები“. წმ. მღვდელთმთავარი ამბობს: „შესაძლოა, ჩვენ სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა არცოდნა მდაბიოთათვის გვეპატიებინა, ეს რომ


მათ შემთხვევად; მაგრამ როგორ შეიძლება ეს ეპატიოს მასწავლებელს, რომელიც, თუ ეს მისთვის ცრუ სახელი არ არის, სხვებს უცოდინრობის დაძლევაში უნდა მიეხმაროს? თუკი არავის არ ეპატიება არცოდნა რომის რომელიმე კანონისა, – წერს წმ. მამა, – მაშინ განა საკვირველი არ არის, რომ ცხონებისკენ წინამძღოლელმა ცხონების საფუძვლები არ იცოდეს“.

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი თუმცა დიდ ყურადღებას აქცევს წმიდა წერილის შესწავლას, მაგრამ, ამასთანავე, იგი თვლის, რომ მღვდლობის კანდიდატმა საერო მეცნიერებებიც უნდა იცოდეს. ასევე სასარგებლოა „სწავლა... რიტორთა მჭევრმეტყველური ნაწარმოებებისა და ფილოსოფოსთა დახვეწილი მსჯელობებისა, მაგრამ ყოველივე ამის მიმართ კეთილგონივრული მოპყრობა არის საჭირო; ყოველი მხრიდან ბრძნულად უნდა შევაგროვოთ ის, რაც სასარგებლოა, გონივრულად თავიდან ავიცილოთ ყოველივე ის, რაც თითოეულ მწერალთან საზიანოა, შრომაში ბრძენ ფუტკარს უნდა მივბადოთ, რომელიც ყველა ყვავილზე ჯდება, მაგრამ ძლიერ გონივრულად იღებს თითოეულიდან მხოლოდ იმას, რაც სასარგებლოა“. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველს საერო განსწავლულობის მაგალითად წმ. ბასილი დიდი მოჰყავს: „რა სახის მეცნიერებანი არ შეისწავლა მან. ეს იყო ზომადი, სწავლულობით იმდენად დატვირთული, რამდენიც ეს კაცობრივმა ბუნებამ შეიძლება დაიტიოს“. შემდეგ წმ. მამა, ამხელს რა საერო განათლების მოწინააღმდეგე ქრისტიანებს, კერძოდ, მღვდლობის კანდიდატებს, მათ უმეცრების გამო კიცხავს. ამ პირებს სურთ, – ამბობს წმ. გრიგოლი, – „ყველა მათი მსგავსი იყოს, რათა საერთო ნაკლულოვანებაში თავიანთი (ნაკლულოვანება) დაფარონ და უმეცრებისთვის მხილებას თავი აარიდონ“. შემეცნება საერო მეცნიერებებისა, წმ. მამის აზრით, მოძღვრებს იმისთვის სჭირდებათ, რომ ჯანსაღ, გარკვეულ და თანამიმდევრულ აზროვნებას მიეჩვიონ,

ასევე სხვაგვარად მოაზროვნეთა მხრიდან ქრისტიანობაზე თავდასხმები წარმატებით მოიგერიონ და მათივე იარაღით დაამარცხონ ისინი.

საუბრობს რა სამოდვრო მსახურებისთვის ყოველმხრივ მომზადებასა და ამ საქმისადმი პასუხისმგებლობაზე, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან რამდენიმე ამონაწერი მოაქვს, რომელთა მიხედვითაც სამოდვრო მოვალეობათა უღირსად შესრულებას სასჯელი მოსდევს. „დიდი შიში მიპყრობს, – ამბობს წმ. მამა, – ერთი მხრივ, როცა ნეტ. ოსე ამბობს, რომ ჩვენ – მღვდლებსა და მთავრებს – სამსჯავრო გველის, ხოლო, მეორე მხრივ, როცა საღმრთო მიქია ვერ ითმენს, რომ სიონს სისხლისა მიერ აშენებდნენ და იერუსალიმს უსამართლოებათა მიერ (მიქ. 3,10). მე მაშინებს გაკიცხული ფარისევლებიც... ჩვენ შეგვრცხვება მათ წინაშე, თუ ჩვენი ბიწიერების გამო მათზე უარესნი აღმოვჩნდებით და სამართლიან გაკიცხვას მოვისმენთ: გველნო, ნაშობნო იქედნეთანო, წინამძღვარნო ბრძანო, საფლავნო, შინაგან სავსენო ყოვლითა არაწმიდებითა (მთ. 23,24-33). ეს აზრები არ მტოვებენ მე დღე და ღამე, ტვინს მიშრობენ და ხორცს მიფიტავენ... ეს ამდაბლებს ჩვენს გულს, ხუნდს გვადებს ენაზე და ფიქრს გვაიძულებს არა მთავრობაზე, არამედ იმაზე, თვით როგორ ავიცილოთ მომავალი რისხვა“.

აი, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი თავის თხზულებებში რატომაც ამხელს იმ მოძღვრებს, რომელთაც მღვდლობის ხარისხი „სარჩოს საშუალებად“ აქციეს და მას მიიჩნევენ „არა საპასუხისმგებლო მსახურებად, არამედ ანგარიშმიუცემელ მთავრობად“. ამგვარად, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სწავლებით, მოძღვარი ყველა ბიწიერებისგან იდეალურად წმინდა უნდა იყოს და მასზე მინდობილი სამწყოს განკურნებას ცდილობდეს. იგი უნდა იყოს ცეცხლოვანი სვეტი, მანათობელი გზისა ცათა სასუფეველისაკენ.



მთავარეპისკოპოსი აბჰერკი (ტაუშევი)

მწყემსმთავარი სირაკუზისა და წმიდა-სამების ეპარქისა,
წინამძღვარი ამავე სახელობის მონასტრისა,
რექტორი ჯორდანვილის სემინარიისა.

დაიბადა 1906 წლის 19 ოქტომბერს,
გარდაიცვალა 1976 წლის 31 მარტს.

რა არის

მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა ?

*„ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვევლინე სოფლად, რადთა ვწამო ჭეშმარიტი.
ყოველი, რომელი ჭეშარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისა“.*

(იოანე, 18, 37).

ჩვენთვის ფრიად ყურადსაღები და საწურ-
თელია, რომ დიდი მარხვის პირველი კვირიაკე
წმიდა მართლმადიდებლობის დღესასწაულით
მთავრდება; და ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენი
მოუცლელობის ხანაში ეს დიდებული დღე-
სასწაული ხშირად ისეთი შესაფერი პატივით
არ აღესრულება, როგორც სამართლიანად
იმსახურებს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ
ჩვენს ღრობი ბევრს, მათ შორის მღვდელთმ-
სახურთაც, და თვით უმაღლესი სამღვდლო
ხარისხის მქონეთაც კი ნათლად არა აქვთ
წარმოდგენილი, თუ რა არის მართლმადიდე-
ბლობა – რატომაა ის ჩვენთვის ასე უსაზღვ-
როდ ძვირფასი, რატომ უნდა დავაფასოთ და
დავიცვათ იგი, როგორც უსაჩინოესი საუნჯე
ამა სოფლისა.

ჩვენს ღრობი ფართოდ გავრცელებული,
„მოარული“ აზრია, რომ მართლმადიდე-
ბლობა მხოლოდდამხოლოდ ერთ-ერთ რიგით
მოდღვრებას წარმოადგენს ქრისტიანობის
მრავალ სხვა სახეობათაგან, არსებობის
სრული უფლების მქონეთა და მეტნაკლებად
ტოლფასთაგან.

მაგრამ ამგვარად ფიქრი ან უმეცრებაზე
დაფუძნებული უკიდურესი გულუბრყვილო-
ბაა, ანდა – სიმართლის ბოროტგანზრახული
დამახინჯება.

თუკი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას
გადავშლით და თავს-ვიდებთ შრომას – მშვი-
დად და პირუთვნელად, ყოველგვარი წინას-
წარგანსჯის გარეშე საფუძვლიანად გავეცნოთ
მას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ჭეშმა-
რიტი ქრისტიანობა მხოლოდდამხოლოდ მარ-
თლმადიდებელი სარწმუნოებაა – უფლისავე
სიტყვებით რომ ვთქვათ – ის ჭეშმარიტება,
რომლის საწამებლადაც ამქვეყნად მოვიდა
ხორცშესხმული მხოლოდშობილი ძე ღვთისა
(იოანე, 18, 37).

როგორც ვიცით, ადამიანთა ცხოვნების
უპირველესმა მტერმა – ეშმაკმა ჯერ ბაგა-
შივე მოინდომა მაცხოვრის მოსპობა, რათა
წინააღდგომოდა მას ადამიანთა ცხოვნების
საქმის აღსრულებაში. აქ რომ ხელი მოეც-
არა, მაშინ მთელი თავისი სიბოროტე თა-
ვად მასზე აღაზვა და იარაღად იუდეველ
მღვდელმოდვართა, მოხუცებულთა ერისათა,
მწიგნობართა და ფარისევლთა ამპარტავენება,
მზვაობრობა, ხელმწიფებისმოყვარება და პა-
ტიემოყვარება გამოიყენა.

როცა ეს მზაკრული ვერაგობანიც მარ-
ცხით დასრულდა და თავად მისი ხელმ-
წიფებაც ქრისტეს აღდგომით დაითრგუნა,
მაშინ ბოროტმა ჯერ იუდეველთა და მერმე
წარმართთა ხელით ქრისტეს მიმღევართა უს-

ასტიკესი დევნა დაიწყო, რათა ქრისტიანობა პირისაგან მიწისა აღეგავა.

მაგრამ მტრის არც ეს მანქანებანი დაგვირგვინებულა წარმატებით, არამედ პირიქით; ქრისტიანობა გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა იმდროინდელ კულტურულ ბერძნულ-რომაულ სამყაროში.

უკეთური მტერი მაინც არ დაეცა თავსდატეხილი დამარცხებებისაგან. მაშინ მან ახალი ბრძოლა წამოიწყო მისთვის საძულველი ქრისტიანობის წინააღმდეგ – იმ ღვთაებრივი ჭეშმარიტების წინააღმდეგ, რომელიც ადამიანთა საცხოვრებლად მოიტანა ამსოფლად ხორცშესხმულმა ძემ ღვთისამ, – ბრძოლა, ბევრად უფრო რთული და სახიფათო.

როგორც წინასწარგანჭვრიტა წმიდა მოციქულმა პავლემ (საქმე, 20, 30), ამპარტავნებითა და პატივმოყვარებით ეშმაკისაგან მოხიბლულმა ადამიანებმა მისივე დარწმუნებითა და შეგონებით ქრისტიანთა შორის სარწმუნოებრივი ღვაწლი წამოიწყეს, და მრავალგვარი უთანხმოებანი და განყოფანი წარმოშვეს ღვთივგანცხადებული ჭეშმარიტების აღგილას საკუთარ წმიდა-ადამიანურ მსჯელობათა და მოსაზრებათა დაყენებით.

ასე აღმოცენდა მწვალებლობანი და განხეთქილებანი, რომლებიც ძირის გამოთხრას უქადოდნენ ქრისტეს მოძღვრების ცხოველყოფელსა და მაცხოვრებელ ძალას ჭეშმარიტების სანაცვლოდ სიცრუის შეპარებით.

ამ ცრუმოდვრებათა და განხეთქილებათა სამხილებლად და დასაგმობად იწვევდნენ ღვთაებრივი ჭეშმარიტების ებგურნი, წმიდა მოციქულთა მემკვიდრენი, ეკლესიის წმიდა მამანი – მღვდელმთავარნი ადგილობრივსა და მსოფლიო კრებებს, რათა მსოფლიო „კრებით“ გონით ერთხელ და სამუდამოდ ნათელეყოთ და განესაზღვრათ ყველა ქრისტიანისათვის აუცილებელი და უცვალებელი სწავლება ეკლესიისა, და დაედგინათ, როგორ სწამდათ ყოველგან, რა სწამდათ ყოველთვის, რა სწამდა ყოველს. (წმ. ბიკენტი ლირინელი).

და მაშინ ეწოდა ჭეშმარიტ ქრესტიანულ სარწმუნოებას – მართალ აღმსარებლობას, – „მართლმადიდებლობა“, სხვა „ქრისტიანულ“ სახელობებ მწვალებლობათა და სექტათაგან განსხვავებით.

და ესრეთ, აი, რა არის მართლმადიდებლობა!

მართლმადიდებლობა უზადო და შეურყენელი ჭეშმარიტებაა ქრისტე-მაცხოვრის მიერ ადამიანთა საცხოვრებლად ამსოფლად მოტანილი: ესაა – სრულ სიწმინდესა და უვნებლობაში დამარხული ნამდვილი მოძღვრება ქრისტესი რწმენასა და კეთილმსახურებაზე (სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე); გარდამოცემული საღვთო წერილში წმიდა მოციქულთაგან; დაწვრილებით ახსნილი და გამოთარგმანებული მოციქულთა სჯულიერ მემკვიდრეთა – მოციქულთა მოწაფეთა, წმიდა მამათა და ეკლესიის მასწავლებელთაგან აღმოსავლეთის კათოლიკე* – მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთო გადმოცემაში; ეკლესიისა, დღესაც ერთადერთი იგი რომ იწოდება სამართლიანად ეკლესიად „მართლმადიდებლად“ როგორც ამ სწავლების უცვალებად დამცველი.

საუბედუროდ, დღეს იმდენად განქარდა სარწმუნოებრივი ამაღლებული ჭეშმარიტებებისადმი ცხოველი ინტერესი, მათი სწორი გაგება და განსაკუთრებით კი მათი ცხოვრებისადმი მისადაგება, რომელიც „კეთილმსახურებად“ იწოდება ჩვეულებრივ, რომ ბევრს მართლაც ჰგონია, რომ მართლმადიდებლობასა და სხვა აღმსარებლობებს შორის სხვაობა მხოლოდ წეს-ჩვეულებებშია, და რადგანაც „წეს-ჩვეულებანი მეორეხარისხოვანი საქმეა, ღმერთი კი ერთია“, მაშ სულერთი არაა, რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის, საკმარისია „გწამდეს ღმერთი და იყო კარგი ადამიანი“.

ასეთია მოღური „მოარული“ აზრი.

მაგრამ ასეა კი ეს?

*კათოლიკე – ბერძნული სიტყვა – „საყოველთაოს“ ნიშნავს, არამცდარაამც არ უნდა აგვერიოს ლათინურ, „კათოლიკურ“ სარწმუნოებაში.

ერთია ღმერთი, ერთია ქრისტე, სარწმუნოება კი რატომღაც არაა ერთი: განსხვავებული სარწმუნოებანი ბევრია.

თუკი ერთია ღმერთი, შესაძლებელია კი, რომ ყველა ეს სხვადასხვა აღმსარებლობანი ერთგვარად – ჭეშმარიტნი და მამასადამე ერთგვარად – მაცხოვრებელნი იყვნენ?

მართლაც, თუკი ერთია ღმერთი და ერთია ქრისტე, მაშინ ნუთუ ეს არ ავალდებულებს ყოველ წრფელადმორწმუნე ქრისტეანს, რომ ყოველივე, რაც მათ სარწმუნოებასა და კეთილმსახურებას ეხება, ჰქონდეთ ერთი: ერთგვარი და არა სხვადასხვა?

სწორედ ეს ჭეშმარიტება დაადგინა ღვთიურმა სიტყვამ, რომელიც ამბობს: „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებად, ერთ ნათლისღებად, ერთ არს ღმერთი და მამად ყოველთა“.

ნუთუ უფალმა მრავალი სხვადასხვა ეკლესიანი განაჩინა?

ნუთუ ნათლად და გარკვევით არა ბრძანა: „აღვაშენო ეკლესია ჩემი – სწორედ ერთი და არა მრავალი სხვადასხვა ეკლესია! – „და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მათ. 16, 18).

ნუთუ შეგვიძლია მაცხოვრის სიტყვები ცრუდ და განუხორციელებლად მივიჩნიოთ და მკრეხელურად განვაცხადოთ, რომ „ბჭენი ჯოჯოხეთისათა“ მაინც „სძლეს ეკლესიას“ და მრავალ სხვადასხვა ეკლესიებად დააქუცმაცეს?

ნუ იყოფინ!

ნუ მივცემთ თავს ნებას ძე ღვთისას ასე საშინელი გამოხისას!

მხოლოდ ერთი – ერთადერთი ეკლესია დააფუძნა კაცთა საცხოვრებლად მხოლოდ-შობილმა ხორცშესხმულმა ძემ ღვთისა: მხოლოდ ერთადერთია ეკლესია, თავად უფლით დადგინებული და არა ჩვეულებრივ ცოდვილ კაცთა მიერ შექმნილი, არსებობდა მარად, არსებობს ახლაც და უცვალებლად იარსებებს სოფლის აღსასრულამდე.

რა შეიძლება აქ გაუგებარი იყოს?

ამის მტკიცედ რწმუნებაა მხოლოდ საჭირო, და არა ბოროტად ბრძნობა.

სწორედ ამ „ბოროტადბრძნობამ“ წარმოშვა ამქვეყნად ესოდენ მრავალი ცრუ-ეკლესიები და „დომინაციები“, ჭეშმარიტების არმქონენი ასე სასტიკი თვითდაჯერებით რომ აცხადებენ პრეტენზიას მის მფლობელობაზე და მეტწილად ცხადი სიცრუის მქადაგებელნი ყოველგვარ ტყუილს რომ იგონებენ ადამიანის გარყვნილი გულის საამებლად.

ჭეშმარიტი ეკლესია ჭეშმარიტებაა მთლიანად და მას სიცრუისა და შეცთომილების ერთბეწო აჩრდილიც არ უნდა ეკარებოდეს. შესაძლოა ცდებოდნენ მხოლოდ საკუთარ გონებაზე დაყრდნობილნი ეკლესიის ცალკეული წევრები, და თვით უმაღლესი მღვდელმთავარიც კი, მაგრამ მთლიანად ეკლესია – არასოდეს.

ერთი, მხოლოდდამხოლოდ ერთი – ჭეშმარიტი ეკლესიაა უცოდველი.

რადგან მასშია დადგრომილი სოფლის აღსასრულამდე თავი მისი – თავადი უფალი იესო ქრისტე (მათე, 28, 20) და მადლს მიჰფენს მას და წინაუძღვის სულიწმიდა (იოანე, 14; 16-17).

ეს მტკიცება ფუჭისიტყვაობა არაა, რადგან ღვთიური სიტყვის ნათელ მოძღვრებაზეა დაფუძნებული: „ეკლესია ღმერთისა ცხოველისად სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისად“ (I ტიმ. 3, 15) – ასე ამბობს წმიდა პავლე, დიდი მოციქული წარმართთა.

ტყუილსა და შეცთომილებაში ჩავარდნილი კაცი ღვთის უხილავი მსჯავრით მაშინვე განიკვეთება ეკლესიის სხეულიდან, განეშორება მას და ამგვარად ცხონების გზასაც კარგავს, და ეკლესიასთან ხელახლა შეერთება მხოლოდ გულწრფელი მონანიებით ძალუძს.

ამიტომაც ვერ ეთვისება ეკლესიას ვერანაირი სიცრუე, ვერ ისადგურებს მასში ვერანაირი ტყუილი.

ამიტომაც ვერ იქნება მასში ვერც აზრთა სხვაობა, ვერც უთანხმოება, ვერც განყოფილება.

ამის შესახებ ნათლად ამბობს წმიდა პავლე მოციქული, როცა პირველ ქრისტეანებს არიგებს: „გლოცავ თქვენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი – იგი წვალებასა და

საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორებით მათგან. რამეთუ ეგევითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვსსა მუცელსა და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნნიან გულნი უმანკოთანი (ე.ი. აღერსობითა და მჭერმეტყველებით ხიბლავენ უმანკოთა გულებს) (რომ. 16, 17-18)“.

„მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქონდეს, ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით (ე. ი. ერთი აზრი გქონდეთ, იგივე „სიყვარული და ერთსულნი და ერთაზროვანნი იყავით); ნურარაჲ ნდომით გინა ზუაობით, (ნურაფერს იქმთ პაექრობითა და მზვაობრობით), არამედ სიმდაბლით ურთიერთის უმეტეს შეჰრაცხდით თვითოეული თავისა თვისისასა“ (ფილმ. 2, 2-3).

როგორღა გამოიყურება ახლა ასრერიგად მოღური „ეკუმენისტური“ მოძრაობა ღვთიური სიტყვის ესოდენ ცხადი და კატეგორიული მოძღვრების შუქზე?

განა სრული სიცრუე არაა იგი, ჭეშმარიტი ეკლესიისათვის არაბუნებრივი და შეუწყნარებელი?

ღვთიური სიტყვა სრულ ერთაზრობასა და ერთსულოვნებას მოითხოვს ქრისტეანეთაგან, და ასევე ცხადად და კატეგორიულად გაუწყებს, თუ როგორ უნდა მოეკიდონ ჭეშმარიტი ქრისტეანები ცრუმოდვარ-მწვალებელთ, ეკლესიის სწორი სწავლების განმრყვნელთ: „რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურება არა მოაქუნდეს (ე.ი. მოციქულთა მიერ ქადაგებული მოძღვრება), ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენტა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყ თ მას“ (ე.ი. ნუ მიესალმებით – 2. იოანე, 10). „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (პირველი და მეორე შეგონების მერმე გასცილდი – ტიტ. 3. 10).

იქცევიან კი ამგვარად თანამედროვე „ქრისტეანები“ – თუ მათ ღვთიური სიტყვის მოთხოვნის „ერცხვინებათ“, როგორც „მომძველებულისა“, „დრომოჭმულისა“ და „არასაკმაოდ პროგრესულისა“

აი, რატომ ეცრუებიან ჭეშმარიტებას ყველა ეს „ეკუმენისტები“ და თანამედროვე „გამაერთიანებლები“ შეუერთებელის შეერთებას რომ ცდილობენ: სიმართლისა უსჯულოებასთან, ნათლისა ბნელთან, ქრისტესი ბელიართან, მორწმუნისა ურწმუნოსთან (2, კორ. 6, 14-15).

ამის შემდეგ რაღა გვეთქმის იმ მღვდელმთავრებზე, თანამედროვე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მამამთავრებსა და სულიერ მოძღვრებზე, „ეკუმენურ“ მოძრაობაში რომ ჩაებნენ და „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს“ სრულუფლებიანი წევრები და აქტიური მოღვაწენი გახდნენ?

თულა აქვთ მათ უფლება თავს მართლმადიდებლები უწოდონ?

უკვე აღარაფერს ვამბობთ მართლმადიდებელი ეკლესიის მთელ რიგ სჯულის კანონებზე, რომლებიც მწვალებლებთან ლოცვას კრძალავენ. ამგვარი ქმედებისათვის ხომ ეკლესიიდან განკვეთაა დადგენილი, ხოლო ეპისკოპოსთა და სასულიერო პირთათვის სამღვდლო ხარისხის აყრა (იხ. მოც. კან. 45, 56, 65; ლაოდიკ. კან. 32, 33, 37). ახლა ბევრს მიაჩნია, რომ კანონები უკვე „ჩამორჩნენ“ შორს „წინწასულ“ ცხოვრებას, და ისინი ან უნდა გავაუქმოთ, ანდა ისე გადავაკეთოთ, რომ მოიხსნას ყველანაირი შევიწროვებები და თავისი სიამოვნებისამებრ ყველამ ისე იმოქმედოს, როგორც სწორად მიიჩნევს.

თუკი იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ეკლესიათა ბევრი მამამთავარი, უმაღლესი იერარქიის და სამღვდლოების წარმომადგენელი, უბრალო ერისკაცებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღეს ანტიქრისტიანულ ორგანიზაციებშიც კი შედიან ანდა ხმამაღლა აღიარებენ ათეისტურ ღვთისმგობ ხელისუფლებას „ღვთივ მონიჭებულ ხელმწიფებად“, რომელსაც „შიშით კი არა, სინდისით“ უნდა დაემორჩილო, და ქრისტეს მტერთა სრულ მსახურებაში მყოფნი მათ მორჩილ იარაღად გარდაიქცევიან, უკვე ძლიერი შიში მოგვიცავს!

რას მოვესწართ?!

შეიძლება კი ყველაფერ ამაზე თვალი დავხუჭოთ და უზრუნველად ვუნანავოთ თავსაც და სხვებსაც, და ვარწმუნოთ, რომ თითქოსდა არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და რომ თითქოსდა ასე „იყო ყოველთვის“?

რადაც-რადაც შეიძლება მართლაცდა იყო, მაგრამ არა ასე, არა ამგვარი უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, ყოვლისმომცველი მასშტაბებით, თითქმის რომ აღარ რჩება ჯანსაღი ადგილი და პატიოსანმა წრფელმა ქრისტიანმა აღარც კი იცის, საით და ვისთან წავიდეს, ვის დაენდოს.

ბნელმა სატანურმა ძალებმა ხანგრძლივი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგაც რომ ვერ შესძლეს ეკლესიის განადგურება, ჩვენს დროში მთელი ძალისხმევით გამძვინვარებული იერიში მიიტანეს ეკლესიაზე. შიგნიდან ცდილობენ მის აღებას და თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ეკლესიის დამყოლ მსახურთა თანადგომით. ამას რწმენისა და ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის დაკნინებაც უწყობს ხელს, რეკლამასა და ამაო დიდებას გამოდევნებულნი და მატერიალური სარგებლის მაძიებელნი კი ხომ სატანურ გეგმათა პირდაპირი შემწენი ხდებიან.

და აი, საბოლოოდ ჩვენს თვალწინაა დარდისმომგვრელი სურათი მარილი განქარდება.

ჩვენს დროში ბევრს ავიწყდება, რომ ეკლესია არის ეკლესია: არა რაიმე მიწიერი, ადამიანური დაწესებულება, არამედ ღვთაებრივი სახლი, რომლის უმაღლესი დანიშნულება სულის ცხოვნება . ავიწყდებათ, რომ ეკლესიაში „პოლიტიკასა“ და „დიპლომატიას“ არაფერი ესაქმება და დაუშვებელია მკრეხელობა სინდისის ხმის ჩახშობით მიწიერი მიზნების განსახორციელებლად, როგორც არ უნდა იყოს ისინი, თუნდაც შენიღბულნი ცრუ, ყალბი ლოზუნგებით, „მსოფლიო მშვიდობის“, „საყოველთაო კეთილდღეობის“ და თვით „ქრისტიანული სიყვარულისა“ და „სიმდაბლისაც“ კი, დღეს ასე რომ შემოვიდა მოდაში.

ყველა ამ თანამედროე სიყალბეს, აყალმაყალს და რადაც „უმაღლესი პოლიტიკითა“ და „ფარული დიპლომატიით“ გატაცებას

გაძლიერებულად ესწრაფვიან დღეს არა მხოლოდ მორწმუნენი, არამედ უმაღლესი მღვდელთმსახურნიც; და ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა მომავალი მსოფლიო ბატონობის გზის განმზადება ანტიქრისტიანთვის, რომელიც ერთიან (მსოფლიოს ყველა რელიგიებით გაერთიანებულ ცრუ ეკლესიასა და ერთიან მსოფლიო (ყველა ეროვნებისაგან შემდგარ) სახელმწიფოს უნდა ჩაუდგეს სათავეში.

ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ დღევანდელ დღეს ოდენ „მართლმადიდებლის“ სახელი აღარაა საკმარისი და სრულად გამოძახებული მისი შინაარსისა; და ესაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენს წამებულ ქვეყანაში ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე უკვე „ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს“ უწოდებს თავს.

მხედველობაში თუ მივიღებთ, რა ემართებათ ახლა „მართლმადიდებელ ქრისტიანებს“ ე.წ. „თავისუფალ სამყაროში“, სადაც „ეკუმენიზმი“ ბატონობს, და სადაც თითქმის ყველანი „მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს“ შემადგენლობაში გაერთიანდნენ, მაშინ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ ჩვენთვისაც უპრიანია ასეთი უფრო ზუსტი დასახელება – „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა“ – განსხვავებით იმ „მართმადიდებლებად“ წოდებულთაგან, რომლებმაც სინამდვილეში უკვე დაუტევეს იგი და მხოლოდ გარეგნულ იერსახეს და ინარჩუნებენ.

აუცილებლად უნდა გვანსოვდეს და ვიცოდეთ: ჭეშმარიტ ქრისტეს ეკლესიას არანაირი სიცრუის, ქადაგება და მტკიცება არ ძალუძს, არ ძალუძს მეგობრობა და თანამშრომლობა დაამყაროს ქრისტეს მტრებთან!

და ამიტომაც ის ეპისკოპოსნი, სამღვდლო დასი და ერისკაცნი, რომელნიც ამ სიცრუეში იღებენ მონაწილეობას, – ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მტრებთან მეგობრობენ და თანამშრომლობენ – ოდენ სახელითდა არიან „მართლმადიდებელნი“.

და ისევ და ისევ უნებლიედ გვაგონდება ჩვენი წმიდა მღვდელთმთავრის თეოფანე დაყუდებულის ნამდვილად წინასწარმეტყველური სიტყვები ბოლო დროის შესახებ:

„თუმცა საყოველთაოდ გაისმება ქრისტეანობის სახელი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით ტაძრებს და ვნახავთ საეკლესიო მსახურებს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მირაჟია, შინაგანად კი განდგომა უტყუარი“.

რაღაც ამდაგვარს ხომ არ ვხედავთ უკვე?

მართლმადიდებლობა ხომ რაღაც განყენებული რამ არაა. მართლმადიდებლობა მხოლოდ სარწმუნოება კი არა, სარწმუნოებრივი ცხოვრებაა – ცხოვრება შეთანხმებული სარწმუნოებასთან, კეთილმსახურებად რომ იწოდება ჩვეულებრივ.

და აი; ძალზე დამახასიათებელი ფაქტია, რომ ყველა ეს მოდერნისტ-ეკუმენისტები, თავს ჯერ კიდევ რომ „მართლმადიდებლებად“ მიიჩნევენ, რაღაც თვითკმაყოფილი ქარაფშუტობით უარყოფენ წმიდა ეკლესიის სამოღვაწეო დაწესებებს, ასე სრულად და ნათლად რომ გამოხატავენ მართლმადიდებელი კეთილმსახურების სულს, როგორცაა მაგალითად – მარხვის ღვაწლი, მარხვა სულიერი და ხორციელი.

ჩვენთვის, ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ერთგულთათვის არ შეიძლება განსაკუთრებით ყურადსაღები და საწურთელი არ იყოს ის, რომ მართლმადიდებლობის დღესასწაული თითქოსდა აგვირგვინებს პირველ, მძიმე, კვირიაკეს დიდი მარხვისას.

მოდით, ვისწრაფოთ სამოღვაწეოდ, ამ ღვაწლში ხომ ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტეანული სარწმუნოების არსი გამოიხატება, ღვაწლი ქრისტეს მიბაძვისა ჯვრისტვირთვისა და თვითჯვარცმაში (იხ. I პეტრ., 2, 21; I კორ. 9, 25-27, გალ. – 5,24) – მოღვაწეობრივ სარწმუნოებაში. ვიდგაწოთ სჯულიერად, როგორც გვასწავლის ღვთის სიტყვა, ყოველივე ვიტვირთოთ ჭეშმარიტებისათვის, განუშორებლად მისგან და ნუ მივბაძავთ მათ, ვინც სულმოკლეობითა და ანგარებით დაუტყვეა იგი.

მყარად დავიხსოვოთ:

სადაც არაა ღვაწლი, სადაც არაა დადგრომა ჭეშმარიტებაზე, იქ არაა მართლმადიდებლობა – ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა და ქრისტესი. ამინ.

თარგმნა რუსუდან კობახიძემ.

მოდერნიზმის უხამო

„და აჰა მე უწყი ესე, რამეთუ შემოვიდნენ თქვენდა შემდგომად განსვლისა ჩემისა მგელნი მძიმენი, რომელნი არ ერიდებოდნენ სამწყსოსა; რათა განადგინნენ მოწაფენი შემდგომად მათდა ამისთვის იღვიბებით“

(საქმე მოციქულთა, 20,29-31)

პავლე მოციქულმა სამყარო შემოიარა სახარების ქადაგებით. მისი გამაფრთხილებელი სიტყვები ერთბაშად ახდა და დღემდე საფრთხე არსებობს. ამ ორი ათასი წლის განმავლობაში რამდენი ცრუსწავლება გაჩნდა, რომლებიც ქრისტეს სამწყსოდან ცხვრებს, როგორც მგლები ისე იტაცებდნენ; რამდენჯერ ქრისტეს ეკლესიის წიაღში აღდგნენ ისეთები, რომლებიც „იტყოდნენ გულარძნილს“, ქრისტეს სწავლებას ამახინჯებდნენ და „განადგინნენ მოწაფენი შემდგომად მათდა“ აურაცხელია მათი რიცხვი.

განსაკუთრებით ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში დამღუპველი ერესების მთელი რიგი აღინიშნებოდა ქრისტეს სწავლების ძირშივე, აღმოფხვრა, რომ სურდათ, მაგრამ ისინი მსოფლიო კრებების მიერ მხილებული და დაგმობილია სამარადჟამოდ. (ღვთის სიტყვისა და ეკლესიის გადმოცემასთან თანხმობით, ყველა ძირითადი ჭეშმარიტების ფორმულირებით და ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატების მეშვეობით). ამ ჭეშმარიტების სწორ აღმსარებლად აღიარებული იყო ის „რაც სწამდა ყველას, რაც სწამდათ ყველგან, რაც სწამდათ ყოველთვის“.

ქრისტიანული სარწმუნოებისა და კეთილმსახურების მართალი ანუ მართმადიდებლური სწავლება დადგენილია სრულიად, საბოლოოდ და არანაირ სახეცვლილებას არ

ექვემდებარება უკუნისამდე, რაც მსოფლიო კრებებზე საზეიმოდ იქნა განცხადებული და მოციქულის ანათემითაა განმტკიცებული. წმ.პავლე მოციქული სარწმუნოებაში მერყევ გალატელებს წერდა: „დაღაცათუ ჩვენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქვენ გარეშე მისა, რომელი იგი გახარე თქვენ, შეჩვენებულ იყავნ. ვითარც წინასწარ ვსთქუ და აწ კვალად ვიტყვი უკეთუ ვინმე გახარებდეს თქვენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩვენებულ იყავნ“.(გალ. 1,8-9)

ჩვენს მზაკვარ და მერყევ დროში ადამიანები, რომლებიც „ქრისტიანებად“ იწოდებიან, თავს უფლებას აძლევენ მოციქულის ამ ანათემით აღშფოთდნენ ან ბილწად დასცინონ მას და არ სცნონ მისი ძალა და მნიშვნელობა!

ჩვენს დროში თითქმის აღარ დარჩა ის ერესები, რომლებიც ოდესღაც აღელვებდა ეკლესიას და დაგმობილ იქნენ მსოფლიო კრებების მიერ, მათ ან დაკარგეს თავიანთი სიმახვილე ან ძველებური სიჯიუტით აღარ ეძიებენ მიმდევრებს. თუმცა მათი სახესხვაობები ისევ ჩნდებიან. თვით ეკლესიაშიც შეინიშნება „აზრთა მიმართულება“ ან „მოძრაობა“, რომლებსაც ყოველთვის ვერ ვუწოდებთ ერესს. (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან პირისპირ ეკლესიის დოგმატიკის წინააღმდეგ არ გამოდიან მაგრამ თითქოსდა აუცილებელი „რეფორმების“ საბაბით ძირს უთხრიან ქრისტიანულ სწავლებას, რწმენისა და კეთილმსახურების შესახებ. ცდილობენ იგი – ქრისტიანთათვის „კაცთა მიერ დათრგუნული მარილი“ უნაყოფო გახადონ.

ესაა ე. წ. „მოდერნიზმი“ ანუ ქრისტიანული რწმენისა და კეთილმსახურების ამათუიშ საკითხებში თვითნებური ჩარევა და თავისუფალი აზროვნება.

ვერაგი მოდერნიზმი, რომელსაც ბევრი ზედმეტად მსუბუქად უყურებს, და ვერ ხედავს მასში იმ დამღუპველ სულიერ საფრთხეს, რომელსა იგი სინამდვილეში წარმოადგენს. ჩვენს ვერაგ დროში, თანამე-

დროვე ქრისტიანების „ნელთბილობის“ გამო წარმატებით ვრცელდება. ეს - ნამდვილი სულიერი შხამია, რომელიც წამლავს ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას და ნელ-ნელა ანადგურებს ქრისტიანთა სულებს.

რაში მდგომარეობს დღევანდელ დღეს ამ ძალიან მოღური მოდერნიზმის არსი?

იმაში, რომ ის ყველა ადამიანურ ვნებას ექიმაგება და უპირობო აუცილებლობის შეცნობას განაშორებს კაცს, რომ ცხონებისათვის ყველა ვნებასთან და გულისთქმასთან უწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო(იხ. მარკ. 8.34-37 და გალ. 5.24).

მოდერნიზმი საოცრად მზაკვრები არიან. ქრისტიანული სწავლების ნათელ და კატეგორიულ მოთხოვნებს პირდაპირ არ უარყოფენ, ისინი ქრისტიანულ სწავლებასა და წმ. საეკლესიო გადმოცემაში და ყველაფერში რაც ამ სწავლებაზეა დამყარებული, არ ხედავენ არაფერს მყარს, მტკიცეს, ურყევს. მათი აზრით ყველაფრის „შერბილება“, სახეცვლილება შეიძლება, შეიძლება ქრისტიანული სწავლება ადამიანურ ვნებებს მოარგო, ბოროტებაში მყოფ სამყაროს შეუთავსო. სხვაგვარად, რომ ვთქვათ: მოდერნიზმი - ეს განუსაზღვრელი კომპრომისის რელიგიაა, რომლისთვის ყველაფერი დაშვებულია. ეს ქრისტეს ჭეშმარიტების სუფთა კი არა წყალგარეული ღვინოა, რომელსაც აკეთებენ უპატიოსნო, ანგარებისმოყვარე მიკიტნები.

მოდერნიზმი „ნეოქრისტიანობა“ როგორც ზოგიერთები თავად უწოდებენ თავიანთ თავს „ვარდისფერ“ ქრისტიანებს. სენტიმენტალური, სუსტი, ღვთის ძალასა და მადლს მოკლებული „მარილი კაცთა მიერ დათრგუნული“.

მოდერნიზმის მომხრე, განსაკუთრებით ისინი არიან ვისთვისაც უცნოა ჭეშმარიტი ქრისტიანობა მისი მკაცრი მორალური მოთხოვნებით. მისი ასკეტური სულითა და ცხოვრების წესით, მისი ეშმაკისეულ ბოროტებასთან შეურიგებლობით, ვისთვისაც ქრისტეს უარყოფელი სამყარო მშობლიურია.

თავისი არსით ამ შემადრწუნებელი გზით წავიდა რუსული სამღვდელოების ნაწილი რევოლუციის წინა წლებში, ითხოვდნენ ეკლესიაში „რეფორმებს“, მათ მოწინააღმდეგეებს ლანძღავდნენ „რეტროგრადელებს“, „ბნელეთის მოციქულებს“, შავრაზმელებს ეძახდნენ, რომლებსაც ღმერთზე მეტად „კაცობრიობის პროგრესისა და დედამიწაზე სასუფეველის დამყარების სწამდა, ითხოვდნენ ყოველგვარ თავისუფლებას“ და სურდათ ადამიანთა ვნებისა და სურვილების ყველა ზღუდის დანგრევა. ამ ხალხმა, რომელსაც აშკარად დაკარგული ჰქონდა საღი გონება, ისარგებლა საყოველთაო არეულობით რევოლუციის წლებში და შეეცადა შეექმნა რაღაც „ახალი ეკლესია“, რუსეთში არსებულის ნაცვლად, უწოდეს მას „ცოცხალი ეკლესია“, ვითომდა ძირძველი რუსული მართმადიდებლური ეკლესია მკვდარი იყო, მაგრამ მართმადიდებელმა რუსმა ხალხმა, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა ჯანსაღი რელიგიური მორალური გონება, გადაჭრით უარყო ეს ცრუ-ეკლესია, ისევე როგორც შემდეგ აღმოცენებული „განმახლებლობა“ და ეს ვერაგული წამოწყებები, მიუხედავად ღვთისმებრძოლი ხელისუფლების ძლიერი მხარდაჭერისა, (რომელიც ხარობდა ეკლესიის შესაძლო დაშლით) საზეიმოდ ჩაიშალა.

მაგრამ მოდერნიზმის შხამს უკვე დაწყებული ქონდა მოქმედება, ნელ-ნელა იწყო ყველგან გავრცელება და ადამიანთა სულების მოწამლვა. მან საზღვარგარეთაც შემოაღწია. რუსულ ემიგრაციასა და სხვა ადგილობრივ მართმადიდებლურ ეკლესიებში მის დამლუპველ ნაყოფს იმეიდა, კლავდა ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას, მას სამშენველისეული სუროგატებით ცვლიდა, რომლებიც ადამიანის ცოდვიანსა და ვნებიან ბუნებას ჰარმონიულად ერწყმოდა.

სასტიკ ღვთისმებრძოლთა მიერ დაპყრობილ და შეურაცყოფილ რუსეთში მოდერნიზმის შხამმა ისე მოწამლა სასულიერო პირები (რომლებმაც გემო გაუსინჯეს მას), რომ ჩავარდნენ სასიკვდილე ცოდვებში - სიძვა-

მრუშობასა და კაცთა კვლაში. საკმარისია გავიხსენოთ „ცოცხალი ეკლესიის“ ცრუ მიტროპოლიტი ალექსანდრე ვედენსკი, რომელსაც მორწმუნე რუსმა ხალხმა „სოლომ-გომორელი მიტროპოლიტი შეარქვა“. სხვა ცრუ მოძღვრები, რომლებიც ბოლშევიკებს ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტ მსახურებს სასიკვდილოდ გადასცემდნენ. დაწყებული მღვდელმოწამე პეტროგრადელი მიტროპოლიტ ბენიამინით და დამთავრებული სარწმუნოების სხვა ნამდვილი აღმსარებლებითა და ეკლესიის ჭეშმარიტი მოსაგრეებით.

მოდერნიზმს სარწმუნოებაში, რაც უნდა კეთილ მოტივებსა და მაღალ ღოზუნგებს იყოს ამოფარებული, თანმიმდევრობით და უცილობლად, სრული უპრინციპობისაკენ მივყავართ. სარწმუნოების დოგმატებს ისინი არ უარყოფენ, მაგრამ თავისუფლად და თანამედროვედ ხსნიან, საეკლესიო კანონებს იგნორირებენ, როგორც „მოძველებულს“, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებსა და ახალი დროის სულს ვერ პასუხობს. ამიტომაც მათ შესრულებას სულაც არ თვლიან აუცილებლად. ამავე დროს მოდერნისტები მკაცრად იცავენ იმ კანონებს, რომლებიც მათ აწყობთ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და რომლებსაც გამოიყენებენ მათ მიერ ჩადენილი უკანონობის გასამართლებლად და ჭეშმარიტ მორწმუნეთა მხრიდან მხილებისა და ბრალდებებისგან თავის დასაცავად. ამ კანონებით მოქმედებენ და სისასტიკეს იჩენენ იმათ მიმართ ვინც ქრისტიანული სინდისის მიხედვით ცხოვრობს და შემწნარებლები არიან მათთან, ვინც უხეშად არღვევს „მოძველებულსა“ და „დროისთვის შეუფერებელ“ კანონებს. გავიხსენოთ, რუსეთში ეკლესიის მოდერნისტები იქამდე მივიდნენ, რომ თვით უწმიდესი პატრიარქი ტიხონი, რომელიც 1917წ. სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებამ აირჩია, განკვეთილად გამოაცხადეს. მაგრამ საზღვარგარეთელმა მოდერნისტებმა, რომლებიც სულით ენათესავებოდნენ რუსეთის ახალი ეკლესიის წარმომადგენლებს თავი „ტიხონის“ მიმდევრებად გამოაცხადეს, როცა ეს

საზღვარგარეთის რუსულ მართმადიდებლურ ეკლესიასთან ბრძოლაში მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა.

მოღერნიტები განსაკუთრებით ველარ იტანენ იმას, რასაც ჩვეულებრივ „კონსერვატიზმს“ ეძახდნენ ანუ მტკიცედ დგომას ჭეშმარიტ ქრისტიანულ რწმენასა და კეთილმსახურებაში, სარწმუნოებით ცხოვრებას. ამ „კონსერვატიზმის“ წინააღმდეგ გააფთრებული ბოროტებით იბრძვიან, ცდილობენ დააკნინონ და შეურაცხყონ იგი. ამიტომ მოძებნეს მეტსახელები „შავრაზმელები“, „ბნელეთის მოციქულები“, „რეტროგრადელები“ ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე რუსეთში დამთხვეული რევოლუციონერები ეძახდნენ იმ ადამიანებს, ვინც მტკიცედ იდგა რუსული სახელმწიფოებრიობის საუკუნოვანი ისტორიული საფუძვლებისთვის ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკლესიის, მართმადიდებლური რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვირველია, როგორ ცოცხლობს ეს ჭეშმარიტად სატანიტური ღვარძლი!

ეს ბოლმიანი მეტსახელები - „შავრაზმელები“, „ბნელეთის მოციქულები“, „რეტროგრადელები“ - დღემდე მოვიდა, მიუხედავად იმ სისხლიანი საშინელებებისა რაც, თავს გადახდა რუსეთს და მასთან ერთად წმ.ეკლესიას, რომელიც „თავისუფლებისმოყვარეათა“ ბეჯითი „პროგრესული მუშაობის“ შედეგად მოწამეთა ზღვა სისხლითაა მორწყული.

თითქოს ყველა კეთილსინდისიერ ადამიანს დიდიხნის წინ უნდა ახილვოდა თვალი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც „შავრაზმული“ რუსეთის დაღუპვის

შემდეგ თვითონაც იგივენაირი, დღეს თუ ხვალ მისი დანთქმისთვის გამზადებული სისხლიანი უფსკრულის პირას არმოჩნდა.

უბედურება ისაა: კეთილსინდისიერი ადამიანები ძალზე ცოტანი არიან! დღეს სამყაროს ბედს გამოუსწორებელი დამნაშავეები წყვეტენ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის ზრუნავენ, ისე გადაიჭრნენ თავიანთ „პროგრესულობაში“, რომ სულიერად დაბრმავებულები ვერ ხედავენ, როგორ ითხრიან სამარეს!

ჭეშმარიტად ჩვენი დროის ბოროტებაა მოღერნიზმი, რომელიც ძირს უთხრის რწმენასა და ეკლესიას, ადამიანების სულიერ ორგანიზმს კლავს ნელ-ნელა, მაგრამ კარგად მოქმედი შხამით.

ხოლო მათ, ვისაც სურს საუკუნო გადარჩენის ჭეშმარიტი და სწორი გზით სიარული, აუცილებელია მოიშოროს მოღერნიზმის ჩრდილი და გადაჭრით უარყოს ყველა თანამედროვე თვითმარქვია, ცრუ მასწავლებლები და ცრუ ღვთისმეტყველები, ქედმაღლურად რომ აკრიტიკებენ წმ. ეკლესიის სწავლებას და „ნეო-ქრისტიანობას“ ქადაგებენ. ვისაც სურს გადარჩენა ჩვენი მართმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტი მამების ერთგული და მორჩილი სულიერი შვილი უნდა გახდეს. როგორებიც არიან ოპტინელი ბერები, წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანი-ნოვი) ეპ. თეოფანე დაყუდებული, წმ. იოანე საკვირველმოქმედი კრონშტადტელი. მათ, მხოლოდ მათ შეიძლება ვენდოთ ჩვენს ვერაგ დროში!

თარგმნა მარინე ლომთათიძემ



მ ე ც ნ ი ე რ ე ზ ა



მერაბ მიქელაძე

ღვთაებრივი სიყვარული სალსურ აზროვნებაში

იოანე მახარებლის სწავლებით – ღმერთი სიყვარულია, და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ხოლო ღმერთი – მასში.¹ სიყვარული, ბუნებით ღვთაებრივი, მოკვდავთათვის ბოლომდე მიუღწეველი და შეუცნობადია. სამოთხიდან გამოძევებული, დაცემული ადამიანის ღმერთთან შერიგების ერთადერთი გზა სიყვარულია, ღვთაებრივი ბუნებიდან გამომდინარე – დაუსაბამო და უკიდევანო.

სიყვარულის ღვთაებრივი გაგება ნებაუნებურად გვაბრუნებს სამოთხის ბაღში, სადაც ცოდვით დაცემამდე ადამი ევასთან ერთად ცხოვრობდა. იქ დარგული სიცოცხლის ხე, მარადისობას ანიჭებდა მათ მანამდე, სანამ ევა არ შეაცდინა გველმა და საბოლოოდ არ დაირღვა ის ღვთაებრივი ჰარმონია, რომელიც უკვდავების გარანტი იყო. თუკი სიყვარული თავისი არსით ღვთაებრივია და მარადისობაც მისითაა შთაგონებული. შეგვიძლია ისიც ვიფიქროთ, რომ უკვდავების მომნიჭებელი სიცოცხლის ხე იგივე სიყვარულის ხეა, რადგან განცდა ღმერთში მყოფობისა სიყვარულითაა შესაძლებელი. მართლაც, წმინდა მამის, **ისააკ ასურის** განმარტებით, ცხოვრების ხე არის ღვთის სიყვარული, რომლისგანაც დაეცა ადამი.

ღვთაებრივი სიყვარულის გააზრებისთვის განგვაწყობს სიცოცხლის ხის რელიგიურ-მხატვრული სურათი, რომელიც თავისი მითო-რელიგიური კომპონენტებით უძველესია, და შეიძლება ითქვას, უნივერსალურიც. მისი სიმბოლიკა საქართველოში ასეა წარმოდგენილი: კომპოზიციის ცენტრში თავად სიცოცხლის ხეა მოცემული, რომლის ორივე მხარეს, ანტიპოდი ცხოველები (ირმები, თხები) არიან განლაგებულნი და ხშირ შემთხვევაში მნათობებიც (მზე, მთვარე, ვარსკვლავები). სიცოცხლის ხის ეს სიუჟეტური, უძველესი ორნამენტი (სურ.1) მსგავსებას პოულობს ხურიტულ ძეგლებთან, რომლებიც გენეტიკურად ასევე დაკავშირებულია იმ სუმერულ ვარიანტებთან, რომლებიც სიცოცხლის ხესთან ერთად, ადამისა და ევას პირველყოფილ, სამოთხისეულ სურათს აცოცხლებენ (სურ.2)².

ნიშანდობლივია, რომ ხეზე თუ ქვაზე ამოკვეთილი აღნიშნული მოტივი მეტწილად ქართულ ტრადიციულ საცხოვრისში გვხვდება, როგორც ბუხრის დეკორი, რითაც იკვეთება ცეცხლთან, კერასთან მისი იდეური კავშირი. ის თავს იჩენს კერის, ცეცხლის მახლობლად მდგარ დედაბოძებზეც, სადაც ეს სიუჟეტური ორნამენტი ძირითადად ასტრალური ხასიათი-




(სურ.1)

ლაზური სიციოცხლის ხე. სოფ. წინწყარო

საა³. კერისა და სიციოცხლის ხის მოტივის ასეთი სიახლოვე შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ ქართულ მითოლოგიაში, კერაში ამოსული ხე (იფანი) იმ ადგილის საკრალიზაციის მიმანიშნებელია, რის გამოც, იქ მკვიდრმა ოჯახმა უკვე ხატის, ღვთაების მიერ დაჭერილი ადგილი უპირობოდ უნდა მიატოვოს.

საკულტო დატვირთვის მქონე კერასა და მის შორიანლოს თავჩენილ სიციოცხლის ხის

სიუჟეტურ ქარგას სხვა სიახლოვეც უნდა ჰქონდეს. გავიხსენოთ, რომ ქალური, ხოლო ბუნების მქონე კერა მზისა და დედამიწის კავშირს ასახავდა. მისი მეწყვილე და გამანაყოფიერებელი იყო კერის შესადგარები – ზეცის გამგებელი მამრული ღვთაება.⁴ მტკვარ-არაქსის ტომების საცხოვრისში, სამყარო ვერტიკალურად გაიხზებოდა: ზედა სამყაროს ცის გამგებელი მამაკაცი ღვთაება წარმოგვიდგენდა, ხოლო ქვედას, დედამიწის



(სურ.2)

სუმერული სიციოცხლის ხე. ური, Nielsen-ის მიხედვით

ქალღვთაება. მათი შეუღლებით კი, სამყაროს შექმნის კოსმოგონიური პროცესი მეორდება.⁵ აქვე გასახსენებელია კერასთან დაკავშირებული უძველესი ანთროპომორფული ფიგურები, რომლებსაც საკულტო შინაარსი და დანიშნულება ჰქონდათ. საქართველოში ასეთი ფიგურები თარიღდება ნეოლითის მიწურულთა და ენეოლითის ხანით და მათ აკუთვნებენ ე.წ. შულავერ-მომუთეფეს კულტურას, რომელიც არსებობდა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ.წ. VI-IV ათასწლეულების ფარგლებში.⁶ თიხის ანთროპომორფული ფიგურების უმეტესობა აშკარად არის დაკავშირებული მუდმივი ცეცხლის შესანახად განკუთვნილ საოჯახო კერასთან; როგორც ჩანს, ის ეკუთვნოდა კონკრეტულ ოჯახს, რომლის სახლის კერაში იღო და ამ ოჯახის ნაყოფიერებას უზრუნველყოფდა.⁷ ეს ფიგურები, მეტწილად, ქალის გამოსახულებას წარმოადგენენ, რაც გვაახლოვებს დიდი დედის კულტთან, რომელიც მიწიერი ცეცხლის მფარველად გვევლინება. ფიგურების ქვედა ნაწილი გამოირჩევა უტრირებული ქალური ფორმებით, რითაც ალბათ ნაყოფიერებაა აქცენტირებული, ხოლო ტანის ზედა ნაწილი – თავი შედარებით ვიწროა და კონუსისებრი,⁸ რითაც მისი უკვე მამრულ-ფალიკური ბუნება უნდა იყოს გადმოცემული. კერიის მითოსური შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ კერაში ნაპოვნი უძველესი მდედრობითი ღვთაებები, თავისი არსით, ანდროგინულია, უნდა წარმოადგენდეს მდედრული და მამრული საწყისების კავშირს და შესაბამისად, ნაყოფიერების აქტს უნდა განასახიერებდეს.

კერიის ხთონურ-მდედრული ბუნების მიუხედავად, ქართველთა რწმენით, ციური ცეცხლი ადამიანს ელვა-მეხის სახით მოეკვლინებოდა და სიცოცხლეს აგრძელებდა საცხოვრისში გამართულ კერაში,⁹ ანუ კერიის ცეცხლი, იმთავითვე მაინც ციური, ანუ ღვთაებრივი წარმომავლობისაა. ამის დასტურია კერაში ამოსული იფნის ხეც, რომელიც იგივე სამოთხისეული სიცოცხლის ხის ანალოგია,

რადგან მისი ამოსვლა ღვთაებრივი ეპიფანიის ტოლფასი აქტია.

კერასა და სიცოცხლის ხის ცნობილ კომპოზიციას შორის მსგავსება კიდევ ისაა, რომ ორივე მათგანი მდედრული და მამრული პირველსაწყისების კავშირს უნდა წარმოადგენდეს. შეიძლება ამ მსგავსებასაც განეპირობებინა კერიის, ბუხრის სიახლოვეს სიცოცხლის ხის კომპოზიციის გაჩენაც. კერა რომ სქესთა სიმბოლურ კავშირს გადმოსცემს იმითაც დასტურდება, რომ ძველად საქორწილო რიტუალს თან ახლდა ნეფე-დედოფლის კერიის გარშემო შემოტარებაც. მამრულ და მდედრულ პირველსაწყისთა ურთიერთკავშირის ამსახველი უნდა იყოს სიცოცხლის ხის არქაული კომპოზიციაც, რომელიც გადმოცემულია ადამ და ევას თუ ანტიპოდ ცხოველთა ბინარული ურთიერთშეპირისპირების ჰარმონიული სურათით, რომლის საკრალურ ცენტრში თავად სიცოცხლის ხეა აღმართული. კომპოზიციის სიმეტრიული გააზრება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ერთ დროს ერთი მთლიანის გაორებასთან უნდა გვექონდეს საქმე, რაც სრულ თანხმობაშია იმ ბიბლიურ გადმოცემასთან, რომელიც ევას ადამისგან წარმოშობას მოგვითხრობს.

ქალისა და მამაკაცის შეუღლება, როგორც ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლო, ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლინებაა; ჯვარდაწერილთა ურთიერთობა ისევეა ნაკურთხი უფლისგან, როგორც ქალწულობის აღთქმა. ცოლ-ქმრულ ურთიერთობასა და ქალწულობას შორის არსებობს კიდევ ერთი, ორ საპირისპირო სქესს შორის საზოგადოებისგან დაშვებული ურთიერთობის ფორმა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთამ შემოგვინახა: ფშავში ის წაწლობის სახელითაა ცნობილი, ხოლო ხევსურეთში სწორფრობას (სწორფერი) უწოდებენ. ყურადღებას ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ, ვინაიდან თავად სახელის ეტიმოლოგიაც თითქოს გვეხმარება მისი არსის წვდომაში – სწორი თანაბარს ნიშნავს, ხოლო ფერი, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის

სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველია ქართულ ენაში, რისი დასტურიცაა, დასავლეთ საქართველოში მოკითხვის მიღებული ფორმა: რაფერ ხარ? გავიხსენოთ ცნობილი ანდაზაც: „ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსა“, რაც წყვილის შეხმატკილებას, თანხმიერებას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ ასევე ფერია ჩადებული ალერსის მნიშვნელობის მქონე ზმნაში – მოფერება.

ამრიგად, როგორც თავად სიტყვა გვეუბნება, სწორფრობა ქალსა და მამაკაცს შორის ჰარმონიული, თანაბარღირებული ურთიერთობის ფორმაა. სწორფრობა გულისხმობს ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ერთად წოლას, ყოველგვარი სექსუალური აქტის უპირობო გამორიცხვით და მხოლოდ დასაშვებ ზღვრამდე ალერსითა და მოფერებით.¹⁰ არსებოს ურთიერთობის ამ ფორმის მთელი კოდექსი, რომლის ზღვარის გადალახვაც როგორც ვაჟის, ასევე ქალის მხრიდან სირცხვილად და შეურაცყოფად ითვლება (შეურაცყოფილს შეუძლია მაშინვე ადგეს და მიატოვოს თავისი სწორფერი-მეწყვილე), ხოლო ნებისთ თუ უნებურად, სექსუალური აქტის დაშვების შემთხვევაში, წყვილს საზოგადოებისაგან სრული გაკიცხვა და გარიყვა ემუქრება. სწორფრობის უფლება ხევსურეთში ახალგაზრდებს შორის ნებით ხდება, ის დასაშვებია ნათესავებს შორისაც კი, ზოგჯერ საქმეში ერთვება ელჩი, იგივე შუამავალი, რომელიც ცდილობს ის ახალგაზრდები დააწვინოს ერთად, ვისაც ერთმანეთი მოსწონთ. ქალი ღამით ვაჟთან ელჩს მიჰყავს, თანაც სასურველია ეს ოჯახის სხვა წევრთაგან დაუნახავად გაკეთდეს. იციან აგრეთვე სტუმრისთვის, სწორფრული წესით, შინაური ქალის დაწვენა, რაც განსაკუთრებულ პატივისცემად ითვლება. აღსანიშნავია, რომ ასეთი წოლა ხევსურეთში სიმწიფის ასაკიდან სავალდებულოდ ითვლება, ვინაიდან სწორფრობა ღვთის გაჩენილია. ქალსაც და კაცსაც, რაც მეტი სწორფერი ჰყავს, მით უფრო სასახელოა მისთვის. ასეთ გამორჩეულ გოგობიჭებს ხევსურეთში ღლიანებს უწოდებენ, რაც

მაინცდამაინც მათ ფიზიკურ სილამაზეს არ გულისხმობს. საბოლოოდ, ქალიცა და კაციც ირჩევს მისთვის სასურველ, საყვარელ მეწყვილეს და თუკი ასეთს ამოარჩევს სხვასთან შეიძლება აღარც კი დაწვეს და ამ შემთხვევაში, კანონიერ მეუღლესაც არა აქვს უფლება თავის მეორე ნახევარს ყრმობისდროინდელ სწორფერთან, იგივე ძმობილთან წოლა დაუშალოს. დაოჯახების შემდეგ, მეტწილად ვაჟები აგრძელებენ სწორფრობას, რაც რიგ შემთხვევაში, ოჯახური უსიამოვნების მიზეზი შეიძლება გახდეს. სწორფერთან ხშირი წოლა, ზოგადად სამარცხვინოა და კარგ ტონად არ ითვლება, ისევე როგორც მეწყვილენი თავს არიდებენ საზოგადოებაში, „ღია სივრცეში“ არშიყს, რაც ასევე, მიღებული წესით, დასაძრახია. ხშირ შემთხვევაში, იმდენად ძლიერია სწორფერთ შორის სიყვარულის ძალა, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ თავიდან აცილონ ქორწინება, მით უმეტეს, რომ ხევსურეთში საქმროსა და საცოლეს საკუთარი ნებით ვერ ირჩევენ; მეტიც, მიღებული წესით, ხშირად გოგობიჭი აკვანში ინიშნება ისე, რომ მომავალმა მეუღლეებმა ერთმანეთი შეიძლება მხოლოდ ქორწილის დღეს გაიცნონ. აღნიშნული ნაკარნახევია ერთი მხრივ ეგზოგამიის იმთავითვე თავიდან აცილების მიზნით და მეორეც, ხევსურთათვის დაოჯახება, არა პიროვნული ინიციატივა, არამედ საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და წესების შესატყვისი, გააზრებული აქტია. ზოგჯერ, როცა ქალი უარობს და იწუნებს საქმროს, მას ასე გაეხუმრებიან: თუ სიყვარული გინდა, სწორფერს გაყვიო, რაც ხევსურული კანონმდებლობით, ასევე სამარცხვინოდ ითვლება და ყოველად დაუშვებელია.¹¹ ხევსურები ცოლ-ქმრის გაყვას უფრო მიმტეკვებლურად უყურებენ, ვიდრე სწორფრობის საკითხში რაიმე წესის დარღვევას, რადგან ეს უკანასკნელი სიყვარულის არაპროფანული, მართლაც რომ საკრალური გამოვლენაა. იმდენად ღიღია სიყვარულთან ერთა, სწორფერის ერთგულება, რომ ვაჟის გარდაცვალების შემთხვევაში, ადგილი ჰქო-

ნია ქალის თვითმკვლელობასაც. ერთი ასეთი შემთხვევის დროს, სასიკვდილოდ თავგამეტებული სწორფერი ვიზიონერული წინასწარჭვრეტით უამბობს მეგობარს საკუთარი დაკრძალვის სცენას, რისთვისაც ის წინასწარ იმზადებს საკუთარ სამოსელს, რომელიც თან უნდა ჩააყოლონ... გარდაცვლილი თავისი სწორფერის გვერდით დაკრძალეს.¹²

სწორფრობა ბევრნაირად შეიძლება აიხსნას: დაქორწინებამდე ახალგაზრდა ქალვაჟი ერთმანეთს უნდა გაუშინაურდეს, რათა ქალმა ახლოს გაიცნოს მამაკაცი და პირუკუ; სწორფრობა ეხმარება მამაკაცს თავშეკავებისა და ნებისყოფის გამომუშავებაში, ხორციელ ვნებათა ძლევაში, რაც მის რაინდულ თვისებებს კიდევ უფრო აწრთობს... ამასთან, ამ აღლებული და რომანტიკულია სწორფერთა, იგივე ძმობილთა ურთიერთობა – მიუხედავად არცთუ ხშირი შეხვედრისა, ისინი შორიდანაც აწონებენ თავს ერთურთს, საგანგებოდ ემზადებიან სახუკვარი შეხვედრისთვის, რომლის მოლოდინშიც ერთმანეთს საჩუქრებსაც უმზადებენ; ქალები ცდას არ აკლებენ მამაკაცებისთვის ლამაზი ნაჭრელა შეკერონ (ხევსურული ქარგვის ტრადიცია), რითაც სიყვარულის დაწმენდილი, სუბლიმირებული ენერგია ხალხური შემოქმედების ხალას პროცესში ვლინდება. ხევსურული სამოსელის განსაკუთრებული მშვენიერება შესაძლოა ამითაც ყოფილიყო განპირობებული.¹³ სწორფერის ლამაზი ხელსაქმით აღფრთოვანებული ვაჟი ხშირად ქებას ლექსით გამოხატავდა (ესეც ნიმუშია სწორფრობით გამოვლენილი ხალხური შემოქმედებისა: „ვთქვი: სად ხარ, ჩემო სწორფერო, ქალო ბაბაღევ, მთვარეა, ეგეთ გახოლ ხალხშია, რო ღრუბლიანში დარია, სრუყველა ქალად შამდგარა, ვისაც ტომარა ხფარია, კვირტისა ქოქომოები, ფარაგზე დილის ჯარია, ჩემზე ნულარას იფიქრებ, შენ კადრო გაატარეო, რა ნაჭრელაით ხკერეკდა, ჩემ გულ შიგ ჩაატანეო“.¹⁴

და მაინც რაში იმალება სწორფრობის სარიტუალო არსი? მის შესაცნობად უთუოდ

საგულისხმოა დიდი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის ნოველა – ენგადი, რომელიც სწორედ სწორფრობის ხალხურ მოტივზეა აგებული. ამ ნოველის სიუჟეტი მოგვითხრობს ამბავს თბილისიდან ხევსურეთში სტუმრად ჩასული ვინმე გიორგი ვალუევისა, რომელიც ძმად გაეფიცა მასპინძელ ხევსურს – მგელიკა ალუდაურს. ხევსურთა სტუმარ-მასპინძლური ტრადიციით, გიორგის სწორფრული წესით დაუწვევენ მზექალას, მგელიკას მომხიბვლელ ბიძაშვილს, რომელიც მანამდე ხევსურთ დღეობაში უზომოდ მოხიბლავს გიორგის. სწორფრობის მკაცრი წესი ქალაქელ ყმაწვილს საგონებელში აგდებს. ლამაზი ქალის მოლოდინში, იგი იგონებს ბაბილონში მიღებულ წესს, როცა ყოველმა ქალმა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შესდგას ფეხი აფროდიტეს ტაძარში, რათა აჩუქოს თავისთავი სასიძეოდ უცხო კაცს... თავად ავტორის განმარტებით, ეს ხდება „მისთვის, რომ ერთი წუთით მაინც გამოეყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილისა და ამ გზით იგემონ მარადობა თუ უკვდავება“.¹⁵ მზექალა აცნობს სწორფრობის წესს გიორგის, ვის მკლავებშიც მოქცეული, „იზრდებოდა და ღვივდებოდა, ვითარ უხანო ევა“.¹⁶ მზექალა ეთანხმება გიორგის, რომ ამ სახის ურთიერთობა შეიძლება „წამებაა (ეს ხომ წამებაა!), თუმცა კი – „ტკბილია“ (ტკბილ ხომ არს!).¹⁷ ბოლოს, მოხუცი ხევსური განუმარტავს გიორგის სწორფრობის არსს, რომ ხევსურთათვის სქესი და სიყვარული სხვადასხვა რამაა, რომ „ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“¹⁸ ამავე სულისკვეთებისაა ერთი ხევსური ქალის სიტყვებიც: „ვაჟკაცს ვაჟკაცი უნდა ერქვას. ქალი ცეცხლია კაცის გვერდით ანთებულიო. განა ცეცხლს რომ არ მოვერიდოთ, იქვე არ დაგვწვავს?“¹⁹ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამაკაცია ის, ვისაც ევალება ქალის სასიყვარულო, ცეცხლოვანი ენერგია სქესობრივი აქტით კი არ დაფერფლოს, არამედ განწმინდოს იგი და ღვთაებ-

რივობამდე აღამაღლოს. სწორედ ასეთი სასიყვარულო წვაა მარადიული, რომელიც დაცემულ ადამიანს ღმერთთან შეარიგებს და სამოთხის ბაღში დააბრუნებს. ალბათ, ასეთი სასიყვარულო ჰარმონია უნდა დავინახოთ ცისა და მიწის დუალისტურ კავშირშიც, რომელიც მითო-რელიგიური თვალთახედვით, მამრული და მდედრული პირველსაწყისების საკრალური კავშირის გადმომცემიცაა.

სასიყვარულო კავშირი, როგორც ღვთიურ ედემში დაბრუნების ცდა, ლაიტმოტივად გამოსჭვივის გრიგოლ რობაქიძის მოთხრობაშიც, რომლის სათაური – ენგადი, ბაღ-ვენახოვანი ოაზისია, სატრფოს მეტაფორულ სახედ გამოყენებული სოლომონის ქებათა-ქებაში.²⁰

ამრიგად, სიყვარულის „ცეცხლოვანი ბუნება“ და მისი ღვთაებრივი იმპულსი სწორფრობის ხალხურ რიტუალში, კიდევ ერთხელ ლოგიკურ ახსნას უძებნის ქართულ ხალხურ საცხოვრისში, სიცოცხლის ხის კომპოზიციის ლოკალიზებას ბუხართან და კერასთან, სადაც ჩაუქრალად უნდა ენთოს ცისა და მიწის მაკავშირებელი, ღვთაებრივი ცეცხლი.

ცეცხლი რომ თანამდევია სწორფრობის ციკლისა დასტურდება ერთი რიტუალი-თაც – მხედველობაში გვაქვს, მჩეჩელთაში წასვლა. ეს ხდება ძირითადად ზამთარში, როცა რომელიმე ოჯახში ღამით იკრიბებიან ქალები, რათა მატყლის ჩეჩვაში დაეხმარონ ერთმანეთს. ყველა ცდილობს ოჯახში ნარჩევი ოჯახიშვილები მიიპატიჟოს. რიტუალში ვაჟებიც მონაწილეობენ, ე.წ. ცეცხლთ-მგზეები, რომელთა მოვალეობაცაა ქალებს თავად გაუნაწილონ საჩეჩლად მატყლი და შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში გაამხიარულონ ისინი. ამიტომ ცეცხლთ-მგზეებად ისეთებს ირჩევენ, ვინც ქალებს მოსწონთ. ცეცხლთ-მგზეები ბევრს ხუმრობენ მჩეჩელში, უკრავენ ფანდურს, ჭიანურს, მღერაინ, ამბობენ გამოცანებს, ჰყვებიან ზღაპრებს. მჩეჩელნი ღამის განმავლობაში სამჯერ ჭამენ პურს და ისვენებენ. დასვენების დროს მღერაინ და ზოგჯერ ცეკვავენ კიდევ. მესამე ჭამას საპირბეწვეს ეძახიან.²¹

მჩეჩელთაში წასვლის ეს რიტუალი, უპირველეს ყოვლისა, გვახსენებს თუ რაოდენ ფასეულია ხევსურთათვის სამოსელი, რომლის მითო-რელიგიური მნიშვნელობაც მისი შექმნის საწყისი ეტაპიდან, მატყლის ჩეჩვიდანვე მჟღავნდება. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩეჩვის საერთო, სამხიარულო განწყობა ენერგეტიკულად მოსაქსოვ ტანისამოსზეც უნდა აისახოს; გარდა ამისა, ცეცხლთ-მგზეების სარიტუალური ფუნქციის მიღმა, მათივე სახელწოდების გათვალისწინებით, ალბათ უნდა დავინახოთ სწორფრული წვის კიდევ ერთი სუბლიმირებული გამოვლენა, რომლის მიზანიცაა სამომავლოდ შესაკერი სამოსელი ღვთაებრივი სიყვარულის უხილავი ცეცხლით შემოსოს.

კიდევ ერთი დეტალი გამოვყოთ სწორფრობის სასიყვარულო რიტუალიდან. მხედველობაში გვაქვს სწორფერთ შორის ხანჯლის დადების ტრადიცია, რომელიც რიტუალის მონაწილეთ ზღვარის გადალახვის საშიშროებას გამუდმებით ახსენებს. ეს არის „მატერიალური ხატი სიკვდილისა... რათა მასთან შეხებით, ცეცხლთან მოთამაშე სწორფრულმა წყვილმა სიფხიზლე არ დაკარგოს და დასაშვებ ზღვარს არ გადააჭარბოს.“²² სწორფრობას, ამავე ტრადიციის გამოვლენით, ანალოგი მოეპოვება სკანდინავიურ მითოლოგიაში, კერძოდ, სიგურთ-ბრინჰილდას პოეტურ ედაში, სადაც შეყვარებული წყვილი სწორფრობის წესით წევს, შუაში კი – ხმალი უდევთ: „შიშველი ხმალი, ღიაღმა გმირმა არც ეამბორა არც მკერდს იხვია, გუნარს მიჰგვარა მახვილი სანდო ჩვენს შორის დადო, დედოფლის სადარს, ჰუნების გმირმა, ქალი კისკასა“.²³

სწორფერთ შორის დადებულმა ხანჯალმა, რომელიც მატერიალურ კონტექსტში, სიკვდილის მომასწავებელია (რაც ერთგვარ ასკეტურ დრამატიზმსაც სძენს სასიყვარულო რიტუალს), მისი მეტაფიზიკური გაგების შემთხვევაში, შესაძლოა სიკვდილის ანტიპოდი, სიცოცხლის ხის ჩვენთვის ნაცნობი კომპოზიციაც გაგვახსენოს, თუკი ხანჯლის

თანხლებით სწორფრობის რიტუალის ვერტიკალურ პროექციას წარმოვსახავთ.

თუმცა, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს სწორფრობა, როგორც იდეალური ფორმა სიყვარულისა, სრულად აკნინებდეს ცოლ-ქმარს შორის კანონით დაშვებულ, სექსუალურ ურთიერთობას. გრიგოლ რობაქიძე, ზემომოტანილ ნოველაში, იშველიებს პლატონის „ნადიმიდან“ დიოტიმას განმარტებას სიყვარულის შესახებ: „სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით, ისე სხეულით“. ავტორს ეჭვი შეაქვს, თუ რამდენად ძალუძს სხეულს, შვას წარუვალი, ანუ „მშვენიერი“. ამის დასტურად იგი იხსენებს ხევსურთა ზიზღს მშობიარე ქალის მიმართ (ხევსურეთში ქალი სრულიად დამოუკიდებლად მშობიარობდა მისთვის განკუთვნილ შენობაში, ე.წ. სამრელოში), რაც განპირობებული შეიძლება იყოს იმით, რომ „იგი მატარებელია არა „შობისა მშვენიერებაში“, არამედ უსრულო შობისა, რომელშიაც მორჩი წარმავალისა იმთავითვეა შთასახული“.²⁴ ამგვარი მსჯელობის საპირისპიროდ, შეიძლება გავიხსენოთ წმინდა მამის, ალექსი შუშანიას სიტყვები: „მუცლისა მისისა (ქალის) ნაყოფნი ურიცხვნი წმინდანი სულნი ანგელოზობენ გვირგვინად მშობელთა და სასიქადულოდ ეკლესიისა“.²⁵ წმინდა მამა იქვე განმარტავს თუ რამდენად ბიწიერია სქესობრივი სურვილის დაკმაყოფილების გრძნობა, რომელიც სქესობრივ კავშირს ახლავს თან: „მისი აზრით, ხორციელი გრძნობა სქესობრივ კავშირში ბუნებრივი მოვლენაა და აქ არავითარ ბიწიერებას არა აქვს ადგილი. სქესობრივ აქტში ხორციელი გრძნობის ელემენტი კი არ არის ბიწიერი, არამედ ამ ელემენტის გათვითმიზნირება, როცა ადამიანი სქესობრივ კავშირს გამრავლების საშუალებიდან კმაყოფილების მიზნად აქცევს, იგი ამ შემთხვევაში არღვევს ბუნების საზღვარს, თვრება ამ გრძნობით. აი ეს არის ბიწიერება, „გემოს მიღვენება“... სქესობრივი კავშირის ბუნებრივი და სჯულიერი სახე ქორწინებაა, ურთიერთ

წმინდა მტკიცე, ცოლ-ქმრული კავშირით შეკრული ოჯახი. ამ კავშირის გარეშე სქესობრივი აქტი თავის მიზანს, შვილთა შობას ასცდება და ბოროტებაა... მამა ალექსი აიდელებს მტკიცე სიყვარულით და ზნეობრივი მიზნით შეკრულ ოჯახს, რომელიც იგივე ეკლესიაა, გინა სამოთხე, მადლის წყარო; ქორწილი ადამიანის უმაღლესი სიხარულის, სამოთხის სახეა“.²⁶

წმინდა მამის წარმოდგენილი მსჯელობის ფონზე, როცა თვითმიზანია არა სექსუალური აქტი, არამედ სასიყვარულო ერთობის ღვთაებრივი განცდა, ზღვარი სწორფრობასა და ცოლ-ქმრულ ურთიერთობას შორის მინიმუმამდეა დაყვანილი. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ იდეალიზირებული სწორფრობა ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია მომავალი საქორწილო ურთიერთობისთვის, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხევსურეთში, ცოლ-ქმრული ურთიერთობა უფრო ხშირად მინავლდება სწორფრული სიყვარულის ცეცხლით. თითქოს პარადოქსი – როგორ უნდა სჯაბნიდეს ტაბუირებული სიყვარული (სწორფრობის) განცხადებულს? პასუხი ხომ არ იმალება მშობლიურ ენაში, სადაც აკრძალვას, იმთავითვე რელიგიური დატვირთვის მქონეს, საფუძვლად ნატიფი სიტყვა – კრძალვა უდევს. იქნებ, სწორედ ასეთი კრძალვა გახდა იმპულსი დანტე ალიგიერის ტრფობისა ბეატრიჩესადმი, ვისი უკვდავი ხატებაც (ცხოვრებისეულ ორიოდ ეპიზოდში შეხვედრის შემდგომ), ახალგაზრდა ფლორენციელის გულში სიყვარულის წმინდა საკურთხევლად იქცა...

საბოლოოდ რომ შევარიგოთ სწორფრობა ცოლ-ქმრობასთან, გავიხსენოთ კიდევ ერთი წმინდა მამის, ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები, სადაც ოჯახური სიყვარული, იგივე სიცოცხლის ხის წარუმლელი, ღვთაებრივი ხატია: „სიყვარული დროებითი სიგიჟეა, როგორც ვულკანი ისე ამოხეთქავს ხოლმე და შემდეგ ჩაცხრება. და როცა ეს მოხდება, მაშინ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, დროა მიხვდეთ,

არის თუ არა თქვენი ფესვები ისე მტკიცედ გადაწული ერთმანეთში, რომ ვეღარაფერი შესძლებს მათ დაშორებას. სწორედ ეს არის ნამდვილი სიყვარული. იგი არ არის მუდმივი ვნება ან აღფრთოვანება. ეს გრძნობაა, რომელიც ყველა ჩვენგანმა შეიძლება შეიგრძნოს და გაითავისოს. ნამდვილი სიყვარულია ის, რაც რჩება მას შემდეგ, რაც დროებითი

აღტაცება და ვნება ქრება და სწორედ ამაშია მისი ნამდვილი სილამაზე და ხელოვნება. მე და დედაშენს გვქონდა ეს ყველაფერი. ჩვენ ყველაფერი გამოვცადეთ და ჩვენი ფესვებიც ერთ წამში იზრდებოდა... და როცა ჩვენი ტოტებიდან ულამაზესი კვირტები წამოიზარდა, მაშინ მივხვდით, რომ უკვე ერთი ხე ვიყავით და არა ორი...“

¹ პირველი იოანესი, თავი მეოთხე, 16.

² ლაზური ორნამენტი, ძეგლის მეგობარი, 812, თბ., 1967, გვ. 75-78.

³ იქვე, გვ. 75.

⁴ მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ. 72.

⁵ იქვე, გვ. 73.

⁶ გ. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984, გვ. 12.

⁷ იქვე, გვ. 19.

⁸ იქვე, გვ. 23.

⁹ მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, გვ. 131.

¹⁰ ქვემოთ მსჯელობისას ვეყრდნობით ნათელა ბალიაურის ნაშრომს – სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.

¹¹ ნათელა ბალიაური, დასახ. ნაშრ., გვ.33.

¹² იქვე, გვ. 54.

¹³ ლელა გაბური, რა არის სწორფრობა?! თბ., 2010, გვ. 14.

¹⁴ იქვე, გვ. 15. ამ ლექსში ხევსური ვაჟი ერთი მხრივ, თავის სწორფერს აქებს და ამაცობს მისი „დღიანობით“, მეორე მხრივ კი იმ ქალებს აძაგებს, რომელნიც თავისი ქალობით მის სწორფერთან ვერ მოვლენ, „კვირტისა ქორქომოები“ და „ფარაგზე ღილის ჯარია“ მდარე გემოვნების ხელსაქმეს აღნიშნავს და საუბარია უნიათო ქალებზე, რომლებმაც ლამაზი ნაჭრელას კერვა არ იციან. იგივე აზრის მატარებელია სიტყვები „ვისაც ტომარა ხფარია“. აქაც ნაგულისხმევია უვარგისი, უგემოვნო ჩაცმა-დახურვა. იქვე.

¹⁵ გრიგოლ რობაქიძე, სერიიდან „შერისხულნი“, ენგადი, თბ., 1994, გვ. 207.

¹⁶ იქვე, გვ. 208.

¹⁷ იქვე, გვ. 216.

¹⁸ იქვე, გვ. 218.

¹⁹ ნათელა ბალიაური, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

²⁰ გრიგოლ რობაქიძე, დასახ. ნაშრ., ზურაბ კიკნაძის კომენტარი, გვ. 224.

²¹ ნათელა ბალიაური, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

²² ლელა გაბური, დასახ. ნაშრ., გვ. 34.


²³ ანა მესხი, სკანდინავიური მითოლოგია და მისი ქართველური პარალელები, კავკასიის მაცნე №4, თბ., 2001, გვ. 158, 159.

²⁴ გრიგოლ რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 218, 219.

²⁵ წმ. ალექსი ბერის მოძღვრებანი, სენაკი, 2012, გვ. 29.

²⁶ წმ. ალექსი ბერის მოძღვრებანი... გვ. 30.

ლიტერატურული ნოვატი



პლატონ ჩალუნელი

მატარებელი

ჩაფიქრებული შემოდის მგზავრი,
ნისლით წაუკრავს თავი თრიალეთს,
სადგურზე უკვე დარეკეს ზარი,
რკინის ბორბლებმაც გაიჭრიალეს.

ჩაფიქრებული შემოდის მგზავრი,
ბაგეს ღუმილი სწრაფად სცილდება,
სვეტიცხოვლისკენ ღიმილს აგზავნის
და არმაზისკენ ლოცვა-დიდებას.

ჩაფიქრებული შემოდის მგზავრი,
ყურს უგდებს დილას, როგორც იაღონს,
სადღაც ხევებში ხმაურობს ზვავი,
მატარებელი სივრცეს მიაპობს.

ჩაფიქრებული შემოდის მგზავრი,
ბინდებს უყენებს შუქი ბრალდებას,
მიწას ემხოება ცა, როგორც ძაბრი
და ეს მგზავრობაც აღარ მთავრდება.

ჩაფიქრებული შემოდის მგზავრი,
სურს, რომ დასრულდეს წინსვლა კეთილად...
ფითრდება ღამე, ვით დინოზავრი,
და ფეხაკრებით გადის მცხეთიდან.

ოცნების რაში სივრცეს მიარღვევს,
ფარფატებს ღამე, როგორც თოლია;
აქ ჩაუვლიათ წინათ ნიაღვრებს
და ველ-მინდვრები დაუტბორიათ.

ღრუბლის უბეებს ცრემლი ამძიმებს,
ცელქი ნიავი სარკმელს აწყდება,
მატარებელი ჰკეცავს მანძილებს,
სურს, რომ დაესწროს მზის დაბადებას.

ტრიალებს მიწა, ზეცაც ტრიალებს,
მგზავრი გზას მისდევს დაუსრულებლად
და მტკვარი, როგორც მემათიანე,
ქართლის სვე-ბედზე ეჩურჩულება.

უვრცესი გზები შორეთს მიდიან,
პირქვე ემხოება დარდის მათარა,
რადგან სამყარო ასე დიდია
და მგზავრს ჰგონია მაინც პატარა.

ბულბული გრძნობით კვლავ ხმას ინაზებს,
იმედს ფოთლები არ გასცვენია,
მიდის მგზავრი და თვალს ვერ აცილებს
მწვანე ჯეჯილებს ღია სარკმლიდან.

მწვერვალს ღუმილი შემონთებია,
ფიქრებს ვერ ტოვებს მგზავრი ენამზე
და მისი თმები ყალფზე დგებიან
გარდასულ დღეთა გახსენებაზე.

რიჟრაჟის ფრთები ღამეს აღნობენ,
თვალწინ გაშლილა სივრცე ედემად...
მგზავრი გულისთქმას ვერ მიატოვებს,
სანამდე სუნთქვა ეიმედება...

მიწა ქცეულა გერმის ბალიშად,
მთებზე სხდებიან ნისლის გედები
და ბრწყინავს არე, როგორც ხალიჩა,
წარუხოცველი ორნამენტებით.

შუქი ეცემა ცვრიან ნიადაგს,
ლალობს მერცხალი, შემოფრენილი,
მატარებელი სადგურს მიადგა
აბლავებული ხარირემივით.

არავინ იჩენს უმადურობას,
გზები გააღეს „სემაფორებმა“,
გამეფებულა უსასრულობა,
მგზავრიც ნელ-ნელა ბაქანს შორდება.

დამჯდარა მთვარე უნაგირაზე
და ტატოსავით ფიქრს მისცემია.
უცვლელი რჩება სრბოლის სიჩქარე,
კაბას ისწორებს ველზე ყვავილი,

მთვარე ღრუბლებმა სადღაც მიჩქმალეს
უძვირფასესი ნატურის თვალივით.
ფოთლებმა წვიმა გაინაწილეს,
ღრუბლის ნაბადი ქარმა დაფლითა,

მწვერვალს ამშვენებს მწვანე არშია,
ხევში იღვრება თოვლის ნაჟური,
მინდვრის ყაყაჩოს წითელფარჩიანს
ჰკოცნის ნიავი, გარიჟრაჟული.

ახლა სურვილებს ვინ გაიზომავს,
სივრცეს გაჰყურებს ყველა მხედარი,
ოცნება ჰყვავის, როგორც მიმოზა
და გაზაფხულის სუნთქვას შეჰხარის.

მგზავრსაც სიცოცხლის წინსვლა ახარებს,
სამყაროს უსმენს, როგორც მინდია,
ცა ატკაცუნებს ელვის მათრახებს
და ღრუბელს წვიმა ფრთებზე ჰკიდია.

მგზავრი, ღუმილით, ფიქრებს აგრძელებს,
იზმორებიან ღრუბლის მღევები,
დედამიწას კი, როგორც სარძევე,
შეუშვერია ცისთვის ხევები.

მთები ბრუნავენ დოლაბებივით,
იცვლება წვიმით სავსე ხვიშირა,
წუთით სცილდება ბაღებს ზეფირი
და, მოწყენილი, სადღაც მიფრინავს.

წვება სიჩუმე, როგორც კამეჩი
და მთვარის შუქი ზვრებს ალამაზებს,
ვინ იცის ახლა ამ თეთრ ღამეში,
სად რა სწადიათ უნდო ავაზებს...

ბუღბუღს ატყვევებს ვარდის სინაზე,
სულს აშფოთებენ ძველი მითები,
დგანან ციხენი ქართლის მიწაზე,
როგორც ეგვიპტის პირამიდები.

კიაფობს არე, წვიმით ნაცრემლი,
მგზავრი გაჰყურებს სივრცეს, შორებელს
და, როგორც ჩიბუხს – ბერიკაცები,
მაღალი მთები ნისლს აბოლებენ.

ქედზე აღარ ჩანს მთვარე, დაღლილი,
გადაიარეს ცაზე ღრუბლებმა,
აფეთქებული ატმის ყვავილი
მზეს სიყვარულზე ეჩურჩულება.

მგზავრი გზას მისდევს დაუმთავრებელს,
შემატებია დიდი ძალ-ღონე,
ამბობს: „ირემო, იალადებზე“...
და თვალს უსწორებს ახალ მაღლობებს.

სულმა რომ იგრძნოს მეტი სიამე,
გულში გაივლებს „ომარ ზაიამს“,
იცის, რომ ჟამი ჰკურნავს იარებს
და ეს სიჩუმეც მალე გაიარს.

მისი სურვილი ცხადზე ცხადია,
სძებნოს ნეტარი ყოფის საბადო,
წინსვლა განაგრძოს, თუ აბადია
ოცნების შუქი, დაუსაბამო...

მატარებელი მიჰქრის ქარივით,
ხენი სარკმლისკენ რტოებს აშვერენ
და როგორც გაშლილ სუფრას მწვანილი –
მგზავრს მომავალზე ფიქრი ამშვენებს.

სხივები ტატნობს წითლად ხატავენ
და უსასრულო სრბოლა გრძელდება,
თითქოს მიუშვეს მერნებს სადავე
ამაყი სულის მქონე მხედრებმა.

უკან რჩებიან მწვანე სერები,
სივრცეს მიაპობს ფიქრი მღუმარე
და, როგორც ზღვაში კრეისერები,
მაღალი მთები ნისლში ცურავენ.

იორთქლებიან ფანჯრის მინები,
მგზავრს შორეთისკენ თვალი უჭირავს,
ცვარნამდაყრილი ვარდ-ყვავილები
სურნელს აფრქვევენ ველთა ქუჩიდან.

მზე ყელს იღერებს, როგორც ქორბუდა,
ლაჟვარდს სერავენ თეთრი მტრედები,
მიმქრალა მთვარე, მთების გომურთან,
აყვავებულა სულში ედემი.

მატარებელი მოჰგავს ჯეირანს,
ცაზე არ სჩანან ელვის ისრები.
დგანან მწვერვალზე და არხეინად
იღიმებიან ღიღი მიზნები.



ს მ ა წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ



დაუპინჯარი ამბავი

1933 წელი იდგა. ხშირად ავდიოდი მთაწმინდაზე და ვათვალიერებდი ჩვენი ცნობილი მწერლების საფლავებს. ყოველთვის პირველად დიდი ილია ჭავჭავაძის საფლავთან მივდიოდი ხოლმე, იმიტომ, რომ გულზე მაწვა მისი მკვლელობის ამბავი.

აპრილის თვე იყო, კვლავ ავედი მთაწმინდაზე და ილიას საფლავთან მივედი. იქ 5 მუშა კაცი იჯდა, წერაქვებით და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი. ძალზე არ მესიამოვნა ეს ამბავი და ვკითხე მათ ბრიგადირს: „რატომ სხედხართ ამ საფლავთან?“ მან ხმამაღლა მიპასუხა: „დავალებული გვაქვს ილიას საფლავის კუკიის სასაფლაოზე გადატანა, მე ქართველი კაცი ვარ და ვერ ვინელებ ამ ამბავს!“

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამ კაცის სიტყვებმა მომცა საშუალება მომეგონებინა და მეთქვა ტყუილი: „ბიძია, ეს ამბავი გაუგია პეტა კაპანაძეს, იმ პეტას, რომელიც ინახავდა და იფარავდა სტალინის არალეგარული მუშაობის დროს და წასულია მოსკოვში, რომ თხოვოს სტალინს, ხელი არ ახლოს ილია ჭავჭავაძის საფლავს, ამიტომ დაგუცადოთ, რას იტყვის სტალინი“.

„შენი ოჯახი კი აშენდეს!“ – მითხრა ბრიგადირმა, – მე ხელს არ ვახლებ საფლავს და მუშებს უკან წავიყვან, მხოლოდ შენ ეს ამბავი უნდა მოახსენო ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებას, რომელმაც მე აქ გამომგზავნა“.

იმ წუთშივე გავიქეცი აღმასკომში და ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე სამშენებლო განყოფილების უფროსს (გვარი არ ჩამიწერია მისი). უფროსმა მითხრა, ალალი იყოს შენზე დედის ძუძუ, მხოლოდ ამ ხმებს ნუ გაავრცელებ ქალაქში... მე რა დამამინებს იმ დამეს, როცა ილიას საფლავი არ გვექნება მთაწმინდაზეო. – ასე მითხრა იმ კეთილშობილმა ქართველმა კაცმა.

მეორე დილას ჩავედი ხაშურში, ვნახე პეტა კაპანაძე, მოუყევი ყველაფერი ილია ჭავჭავაძის ცხედრის გადატანის თაობაზე, ისიც ვუთხარი, რომ ხმა გაავრცელე, თითქოს წასული ხართ მოსკოვში სტალინთან ამ საკითხის მოსაგვარებლად-მეთქი!

„რა კეთილი ოჯახის შვილი და დიდი ილიას მოყვარული ბიჭი ყოფილხარ, – მითხრა პეტა კაპანაძემ, – მე, შვილო, მაინც მივდივარ მოსკოვში, სტალინის დეპეშა და წერილი ხელთა მაქვს, მაგრამ რაკი საქმე ასეა, ხვალვე გავემგზავრები მატარებლით და სტალინს ყველაფერს ვეტყვი – ილიას საფლავის ხელუხლებლობის შესახებ და იმასაც მოვახსენებ, რომ ეს ამბავი მომიტანა სრულიად საიდუმლოდ ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა შოთა ლეკვეიშვილმა, რომელიც დარაჯობს ილიას საფლავს, იმასაც ვეტყვი, რომ ეს უთუოდ ფილიპე მახარაძის საიდუმლო განკარგულება იქნება, რომელმაც ხელიდან გამოგვაცალა ილია ჭავჭავაძე. მე, შვილო, – გააგრძელა პ. კაპანაძემ, – სასულიერო წოდების კაცი ვარ, ყოფილი მღვდელი, სპეციალობით პედაგოგი, მასწავლებელი და მიყვარს ის ახალგაზრდები, რომლებიც ასე იცავენ თავის მწერლებს, თავის მოღვაწეებს და თავის ერს, თუმცა დღევანდელ პირობებში ერის დაცვაზე ვერაფერს იტყვი... ხომ ხედავ, შვილო, ერის მამას – ილია ჭავჭავაძეს საფლავშიც აღარ აყენებენ...“

მაშ ასე, შვილო, „მე წავალ მოსკოვში და ვფიქრობ, კარგ ამბავს ჩამოვიტან“.



ბის ამბავი და თქვა: სტალინთან რომ შევედი, ორი კაცი ჰყავდა კაბინეტში. სტალინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, დაბრძანდიოთო, იმ ორ კაცს კი უთხრა, ეხლა ჩვენ ამ ახალ სტუმართან ქართულად გვექნება საუბარი და თქვენ შეგიძლიათ დაგვტოვოთო... ისინი აღვინ და წავიდნენ.

მე, ჩვეულებისამებრ, მოვუყევი ჩემი ცხოვრების ამბავი, მერე საქართველოს ამბები და ძალზე გულნატკენად ვუთხარი ილიას საფლავის ხელყოფის შესახებ. რა მოხდაო, საფლავს რაღას ერჩიანო, მითხრა სტალინმა, აილო ტელეფონი და დარეკა თბილისში. იმ დროს სხვა ტელეფონები აწკრილდნენ და ვის დაურეკა არ ვიცი. მე კი ასე მითხრა, ჩემო პეტა, თქვენ შეგიძლიათ დამშვიდდეთ, ილიას საფლავს კაცი ხელს ვერ ახლებსო. მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ამით დამთავრდა ყველაფერი.

მე დიდი მადლობა მოვასხენე და სამი დღის შემდეგ წამოვედი მოსკოვიდან. აი, ჩვენო ბიჭო, შენს დარაჯობას უქმად არ ჩაუვლიაო... ამიტომ მე შენ გიჩვენებ სტალინის ხელით დაწერილ წერილს და მის გამოგზავნილ ღეპემას, რომელიც უკვდავი საბუთი იქნება იმისა, რომ შენ ჩემთან დადიოდი.

მე მადლობა მოვასხენე და წამოვედი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამოვემშვიდობე პეტა კაპანაძეს და წამოვედი თბილისში.

ორიოდე კვირის შემდეგ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებაში შევიარე. კარები რომ შევადე, ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგვლივ. ვილაც სიხარულით ამბობდა, პეტა კაპანაძის ჩასვლას მოსკოვში უქმად არ ჩაუვლიაო, სასწრაფო განკარგულებაა, ხელი არ ახლოთ ილიას საფლავსო.

მეორე დღესვე ვეწვით პეტა კაპანაძეს ხაშურში. დარბაზში სამი ადამიანი იჯდა – ორი კაცი და ერთი ქალი. პეტამ მათ ხელეგამლით უთხრა, მოვიდა ილია ჭავჭავაძის საფლავის დარაჯიო. ისინი ფეხზე წამოდგნენ, ხელი ჩამომართვეს და ასე მითხრეს, იმრავლოს შენისთანა ქართველებმაო...

გაიმართა საუბარი, პეტამ გვიამბო მოსკოვში მოგზაურო-

შოთა ლეკვეიშვილი

(ჟურნალი „კრიტიკა“, №1, 1989 წ.)

სიმონ ჯაფარიძე

„რთველი სისპეტაკის, ფერი გაზაფხულის...“

„ვის არ მოეწონება ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა! ამაზე მომხიბვლელი სანახაობა რაღა იქნება ამქვეყნად და თბილისი ამ სულწარმტაცი ზეცის გადმობრუნებული ნაწილია. აი, ის ირმის ნახტომი კი, თქვენ რომ რუსთაველის პროსპექტს ეძახით, ჭეშმარიტი ბედნიერების მომგვრელია...“

მე მინდა ვნახო აქ ყველაფერი, მაგრამ საუბედუროდ ბევრი დრო არა მაქვს. ეს ჩემი ბრალია. თქვენს ტურფა ქვეყანაში არ შეიძლება ოთხი-ხუთი დღით ჩამოსვლა. აქ მთელი წელიწადი უნდა იცხოვრო.

მაგრამ ჩვენ, მხატვრებს, ერთი გამოსავალი გვაქვს: როცა მხატვრებს არა აქვთ შესაძლებლობა დაათვალიეროს მთელი ქვეყანა, ის მიდის თავის კოლეგასთან, ნამდვილ მხატვართან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და მისი წრფელი შემოქმედების წყალობით ეცნობა მის ქვეყანას, მის ხალხს”.

ცნობილი ამერიკელი მხატვრის, როკუელ კენტის ეს სიტყვები გამახსენა ამ ცოტა ხნის წინ, „ირმის ნახტომის“ სადარ რუსთაველის პროსპექტზე, მხატვარ ზურაბ წერეთლის სახელობის საგამოფენო ცენტრში გამოფენილმა ნელი ბერაიას „ბისერულმა ფერწერამ“. მძივებით, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით გაბრწყინებული შემოქმედებითი ნიმუშების ხილვით მიღებული შთაბეჭდილების გამოსახატავად ისევ უცხოელი სტუმრის, ბულგარელი ნიკოლაი კინჩევის პოეზიას დავესესხები:

„ბრწყინავენ, ელავენ ჭიაბაიები,
ყველგან სილამაზეა და ნამის მძივები,
აი, ის ქვეყანა, ნანატრი, ნახული,



რთველი სისპეტაკის,
ფერი გაზაფხულის...“

ძვირფასი ქვებითა და ფერადი მძივების შეგროვებით ნელი ბერაია აღრიდანვე იყო გატაცებული, თუმცა მხატვრობაზე მაშინ არ უფიქრია. თავისი პირველი ნამუშევარი – „თამარ მეფის პორტრეტი“ მან ნწ წლის ასაკში შექმნა; მანამდე კი ჰქონდა ხილვა თამარ მეფისა...

განვლო დრომ და ერთხელ, როცა ჟურნალს კითხულობდა, რაღაც ძალამ უბიძგა, კარადიდან გამოეღო ალბომი – „მე დავიწყე ფანქრით ხატვა და როცა დავამთავრე, თავად გავოცდი: ჩემგან დამოუკიდებელი იმპულსის ძალა მახატვინებდა თამარის პორტრეტს! ფანქრით ნახატმა არ დამაკმაყოფილა და გადავწყვიტე გამეცოცხლებინა ფერები ბისერით და აქ გამომადგა წლობით ნაგროვები მძივები. დიდხანს ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეს მე დავხატე“.

მართლაც ძნელი იყო დაჯერება, რომ მხატვრობაში სრულიად გაუთვითცნობიერ-

ებელმა, შეძლო წმინდანად შერაცხული დიდი ქართველი მეფის სრულყოფილი გამოსახულების შექმნა, მაგრამ ამ სასწაულის რეალობა მალე ირწმუნა, როცა პორტრეტი 8000 დოლარად შეიძინეს და ამჟამად იგი ინახება ავსტრიაში, კერძო კოლექციაში.

გოგონა, რომელსაც ოდრი ჰეპბერნს ადარებდნენ, თავიდანვე ხელოვნებით იყო გატაცებული, მაგრამ ეს ხელოვნება ვითარდებოდა სულ სხვა მიმართულებით: დაამთავრა ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედი, თბილისის კონსერვატორიის ვოკალის ფაკულტეტი, 2 წელი სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში...

თბილისელ ლამაზმანს, რეჟისორმა ფილმისა „პოეტის აკვანი“ – კონსტანტინე ჰიპინაშვილმა, შესთავაზა გადაღებაში მონაწილეობა და მისთვის შექმნა ეპიზოდი, რომელიც მანამდე ფილმში არ იყო გათვალისწინებული. ამ დროს ახალბედა კინოვარსკვლავი 15 წლისა იყო. იგი აკაკი წერეთლის სამყაროსთან მამის – შოთას მხრიდანაც იყო დაკავშირებული, რომელსაც დიდ პოეტთან ნათელ-მირონი ანათესავებდა, ხოლო ბებია გვარიშვილობითაც წერეთელთა საგვარეულო დინასტიის ჩამომავალი იყო.

ქართულ კინოსთან კონტაქტი ამით არ შემოფარგლულა: ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოხვდა „ქართულ ფილმში“, თარგმნიდა სცენარებს რუსულიდან ქართულად, ამზადებდა გადაცემებს კულტურის თემებზე. ამ ხნის მანძილზე ბევრი ტკივილი გადაიტანა: ავადმოსაგონარ 90-იან წლებში დაეღუპა შვილი, შემდეგ გარდაეცვალა ქალიშვილი და მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა, დღემდე განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას.

„მძივებით ფერწერის“ ტექნიკის გამოყენებით მან ყველაზე რთული, – პორტრეტული ხატვის მიმართულება აირჩია. ამ ტექნიკით, თამარის შემდეგ შექმნა დავით აღმაშენებლის, დავით სარაჯიშვილის, პაატა ბურჭულაძის, ნანი ბრეგვაძის, ომარ მხეიძის, ნინო ანანი-აშვილის, ლეილა აბაშიძის, ინგლისის დედოფლის – ელიზაბეტ II-ის, კულტურისა და ხელოვნების მრავალ გამოჩენილ ოსტატთა პორტრეტები და პორტრეტთა ეს გალერეა

შესანიშნავი ავტოპორტრეტით დააგვირგვინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა ამ არაორდინარული ფერწერული გალერეიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის პორტრეტი მიაჩნია, რომლის ორი ვარიანტი შექმნა, ხოლო მის მიერ შესრულებული, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის – კირილის სურათის ხილვისას, მნახველებს ანცვიფრებს მის გამომეტყველებაში გამომზეურებული შინაგანი სულიერი სამყარო რუსი მღვდელმთავრისა.

ზურაბ წერეთლის სახელობის საგამოფენო ცენტრში, ვიდრე წარმოადგენდა თავის ნაწარმოებებს, მანამდე გამართა 15-ზე მეტი გამოფენა. თავისი სახვითი ხელოვნების ერთი ვერნისაჟი მიუძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის 80 წლის იუბილესა და აღსაყდრების 35 წლისთავს. უწმინდესმა, რომელიც თავად შესანიშნავი ხელოვანია და კანონიკური ფერწერის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში აქვს შექმნილი – მაღალი შეფასება მისცა ნელი ბერაიას შემოქმედებას.

„ბისერული“ ანუ ფერადი მძივებით „ფერწერა“, რომელიც განცვიფრებას იწვევს ყოველ მნახველში, მხატვრისათვის ცხოვრების არსს წარმოადგენს. განგების მიერ ბოძებული უნარი, მართლაც ატარებს ნიშანს რაღაც შეუცნობელი მოვლენისა, რომელმაც მიანიჭა შეუცნობლის შეცნობის უნარი, მაგრამ ფერისა და ფაქტურის, გამომსახველობით ეფექტს, დახვეწილობასა და კომპოზიციურ მთლიანობას პროფესიონალი მხატვრები ხომ მრავალწლიანი შრომისა და გამოცდილების დაგროვებით აღწევენ? თუმცა, ბუნებისაგან ბოძებული ნიჭით მომადლებული ფენომენის რეალური მაგალითიც გვაქვს საქართველოში ნიკო ფიროსანის შემოქმედების სახით. ამდენად, ვერ დავეთანხმებით იმ ჟურნალისტებს, რომლებიც წერენ, თითქოს „ავტორმა წინასწარ არ იცის საბოლოოდ როგორი გამოვა მისი ნამუშევარი“. მის არც ერთ ნაშრომში არ იგრძნობა, რომ მხატვარს დალატობდეს უნარი, ზედმიწევნით შეიგრძნოს ნიუანსები ფერისა და ფაქტურისა, ზედმიწევნით შეინარჩუნოს „წონასწორობა“ კომპოზიციური სტრუქტურისა, არ დაარღვიოს „ოქროს კვეთი“ სურათის არც ერთი მხატვრული



კომპონენტის შესრულებისას; თუ მხატვარს არ გააჩნია შინაგანი თვითსრულყოფილების ბუნებრივი განცდა მას ვერავითარი ცოდნა და აკადემიური განათლება ვერ დაეხმარება. გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსისა და მწერლის, „ხელოვნების ფილოსოფიის“ ფრანგი ავტორის, იპოლიტ ტენის სიტყვები, როდესაც შემოქმედის ნიჭის ფენომენზე საუბრობს: „მის უქონლობას ვერ შეავსებს ვერავითარი სწავლა, ვერავითარი მოთმინება, თუ არა აქვს ნიჭი, ისინი ასლის უბრალო გადამღებები და ხელოსანნი არიან. ნივთების დანახვაზე მხატვარს უნდა აღეძრას ორიგინალურობის შეგრძნება... როდესაც ადამიანი დაიბადა განსაკუთრებული ნიჭით, მისი აღქმა, ზოგიერთი ნივთების აღქმა მაინც, სწრაფი და სათუთია, იგი ძალდაუტანებლად სწვდება და არჩევს თავისი მრავალმხრივი და უცდომელი ალლოთი ყოველ თანაფარდობას და ელფერს...“

ხელოვნებას ის თავისებურება აქვს, რომ ერთი და იმავე დროს ღიღია და ხალხური.

იგი გამოსახავს ყველაზე უმაღლესს ყველასათვის მისაწვდომად“.

ნელი ბერაიას შემოქმედება სწორედ ამ თვისებებით იზიდავს მნახველს. ისინი სრულიად უნიკალურია – ტექნიკური შესრულებითაც და განცდის სიღრმითაც. მართლაც ზებუნებრივი ძალა მართავს მის ნიჭსა და უნარს! მაშ რას უნდა მივაწეროთ ის მოვლენა, როდესაც ძილში ხილული გამოცხადება ყოველადწმინდა ღვთისმშობლისა, მისმა მარჯვენამ კანონიკური ხატწერისათვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსის სრულყოფილებით წარმოგვიდგინა და ეს არ იყო გამონაკლისი: მან არაერთი წმინდანის ხატი თუ ისტორიულ პირთა სრულქმნილი პორტრეტი შექმნა.

სრულიად ძალდაუტანებლად მიღწეული შედეგი, მხატვარს აძლევს განუსაზღვრელ შინაგან ძალას, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა ისევ და ისევ ახალი ენერგიით მიუბრუნდეს თავის რთულ და სკრუპულოზურ საქმიანობას, თუმცა გული წყდება რომ „უცხოეთში უფრო დაფასებულია მისი ნამუშევრები, ვიდრე სამშობლოში“, რასაც სრულიად გულწრფელად და სამართლიანად განიცდის ხელოვანი. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოყენებული მასალა – ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები, სვაროვსკის თვლები, მარგალიტისა თუ ბრილიანტის ეფექტის მქონე ძვირადღირებული მასალები არაა იოლად მოსაპოვებელი; ეს იმ დროს, როდესაც ანალოგიური მეთოდით მომუშავე ჩინელი კოლექციონერის მიერ ძვირფასი ქვებით შექმნილი, ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ ზუსტი ასლი, მსოფლიოში დღეს ყველაზე ძვირადღირებული სურათია: მის დამზადებას 5 წელი დასჭირდა, ხოლო ძვირფას თვლებს, რომლის საერთო წონა 100 ათასი კარატია, 30 წელზე მეტხანს აგროვებდნენ. ქ-ნი ნელი ბერაია იმისთვისაც მზადაა, მოხსნას ჩინელი კოლექციონერის ეს უჩვეულო „რეკორდი“ თუკი სპონსორობას გაუწევინ.

... და ვიდრე მეცენატი გამოჩნდება, ნელი ბერაია ქმნის თავის უნიკალურ შემოქმედებას და ამ შემოქმედებაში შეხვდებით არა მარტო წმინდანთა თუ მეფე-დედოფალთა სახეებს, არამედ მის მიერ შესრულებულ ორიგინალურ კომპოზიციებსაც: ნატურმორტებს, პეიზაჟებს, ხელოვანთა პორტრეტებს, სადაც, კანონიკური სტატიკისაგან განსხვავებით, დაუოკებელი დი-

ნამიკა იგრძნობა და რომელშიც განსხეულებულია, გრივოლ რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ – „როკით გამოხატული ქართული სული“ და ჰაეროვანი სიმსუბუქე, ბალეტის მოცეკვავის არა მარტო მოძრაობაში, – მის სამოსელშიც რომ აისახება.

ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები ერთხმად აღიარებენ ნელი ბერაიას განუმეორებელ ფენომენს, მის შემოქმედებას მიიჩნევენ „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ და რომ მისი ტალანტი სიცოცხლეშივე უნდა იქნას დაფასებული...

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო ველომოგზაური:

„მე შემოვიარე მთელი პლანეტა და არც ერთ ქვეყანაში, ხელოვნების არც ერთ მუზეუმში, არც ისტორიულში და არც თანამედროვეში, არ შევხვედრივარ მსგავს შედეგებს“.

პოეტი ერეკლე საღლიანი:

„ქალბატონი ნელი თავისი შემოქმედებით საქართველოს ისტორიას ემსახურება, რაც გაძლევთ შესაძლებლობას, მისი სიღრმისეული შეცნობისა“.

„პირველად ვნახე ეს ექსპონატები ბათუმში და მე შოკი მომგვარა...“ წერს საქართველოს დამსახურებული არტისტი, მომღერალი **ირმა სოხაძე**.

საქართველოს სახალხო მხატვარს, **ნელი ოქროპირიძეს** კი მიაჩნია და დარწმუნებულია, რომ ეს ნამუშევრები „იცოცხლებენ საუკუნეების მანძილზე“.

ამ ამაღლებული და, არაერთი ასეთი გამოხმაურების ფონზე, დრამატულ გამოვლენად აღიქმება მხატვრის ის სიტყვები ინტერვიუდან, რომელიც ჟურნალისტმა ჰუბლიკაციის სათაურად გამოიტანა: „როცა მე აღარ ვიქნები, მხოლოდ მაშინ დააფასებენ საქართველოში ჩემს ხელოვნებას“...

სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ჰუბლიცისტ ნინო ჯავახელის სიტყვები:

„ნელი შესაშური ენერგიით განაგრძობს მუშაობას დღევანდელ დღემდე, ქმნის ახალ უნიკალურ შედეგებს. იგი დიდად მადლიერია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორესი, რომელმაც ღირსეულად შეაფასა მხატვრის უდიდესი ტალანტი.“

ბედისწერის განგების გამო, უსახლკაროდ დარჩენილ მხატვარს, საცხოვრე-

ბლად გამოუყო გამოჩენილ ხელოვანთათვის განკუთვნილი ადგილი სამების ტაძართან არსებულ სასტუმროში. დიდი გულისწყრომით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ დღეს, ნელი ბერაია დარჩა თითქმის ყოველგვარი საარსებო სახსრის გარეშე, რის გამოც მას არ შეუძლია თავს ნება მისცეს, თავი მოუყაროს თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს და გამოსცეს იგი; ხელოვნების მსგავსი ნიმუშები, ანუ ბისერებითა და ძვირფასი ქვებით პორტრეტების შესრულების ტექნოლოგია უპრეცედენტოა მსოფლიო ცივილიზაციისათვის. როცა ხედავ ტილოებს შესრულებულს ამ დიდი ოსტატის ხელით, გინდება განცდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება თვით სიკვდილზე ძლიერია: ყველაფერი წარმავალია, ის კი დარჩება!

გვჯერა, რომ აუცილებლად გამოჩნდება სპონსორი, რომელიც ღირსეულად შეაფასებს ნელი ბერაიას შემოქმედებას და იზრუნებს, რომ თანამედროვე მსოფლიომ გაიცნოს ეს საოცრად ნიჭიერი მანდილოსანი, რომელსაც ძალუძს გახდეს წარმომადგენელი და სიმბოლო ჩვენი ნაციონალური კულტურისა. გვჯერა, რომ მას აუცილებლად გამოუჩნდება მიმდევრები და უპირველესად, მათ შორის იქნებიან ქართველები“.

ამ სიტყვების დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნელი ბერაიას ბოლო ნამუშევარი, რომლის პირობითი სახელწოდებაცაა „ღვთიური კვადრატი“, რომელიც წარმოადგენს უკვდავი „დედა ენის“ შექმნის 140 წლისთავთან დაკავშირებულ ხატს, რომელიც გვერდით ამოუდგება მსოფლიოს კულტურული ერებისთვისაც უპრეცედენტო, „დედა ენის“ ელგუჯა ამაშუკელისეულ მონუმენტურ ძეგლს. ეს უნიკალური კომპოზიცია ტექნიკური შესრულების თვალსაზრისითაც განუმეორებელია, რადგან ხატი აგვირგვინებს მილიონზე მეტი მძივით შექმნილ ნიმუშთა გალერეას, რაც გამოყენებული მძივების რაოდენობით რეკორდულია.

სწორედ ამ მიღწევით დაინტერესდა საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირი-„გიორგი“ და მისი თავკაცი, ცნობილი ჟურნალისტი და მოგზაური გვანჯი მანია, რომელმაც მსოფლიო რეკორდების ღირეჟციას წარუდგინა ქალბატონ ნელი ბერაიას განაცხადი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

ბინესის ღირეძციას

ფერმწერ ნელი ბერაიას
განაცხადი:

1. განაცხადის სათაური: მძივებით ფერწერა როგორც მსოფლიო სარეკორდო მიღწევა.
2. ქვეყანა: საქართველო
3. მისამართი: თბილისი, სამების ტაძარი, საპატრიარქოს სასტუმრო, ტელ. 570 509 895.
4. ბოლო გამოფენის თარიღი: ოქტომბერი 2015 წელი
5. რეკორდის დეტალები: ვარ 81 წლის; განათლებით ვარ ჟურნალისტი. 40 წელი ვემსახურე ლიტერატურასა და ხელოვნებას როგორც ჟურნალისტი, მთარგმნელი. საბოლოოდ მხატვრობაში ავირჩიე ჩემი გზა – მძივებით ფერწერას და აქედან, ყველაზე რთული პორტრეტული მხატვრობა. ასევე ვმუშაობ ორიგინალურ ფერად კომპოზიციებზეც – პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვა. შექმნილი მაქვს ქრისტიანული კანონიკური ხატწერის ნიმუშების სერია, საქართველოს მეფეთა პორტრეტები: „თამარ მეფე“, „დავით აღმაშენებელი“, ინგლისის დედოფლის პორტრეტი – „ელიზაბეტ II“, პატრიარქების პორტრეტები: „ილია II - სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი“ და „კირილი – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი“, „ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები“.



რაც შეეხება სარეკორდო ტექნიკურ მონაცემებს: თითოეულ ნამუშევარში გამოყენებული მაქვს საშუალოდ 10-15 ათასი უწვრილესი ფერადი მძივი, ანუ ჩემს მიერ დღემდე შესრულებული 120-ზე მეტი ნამუშევრისათვის სულ ცოტა – 1,5 მილიონი ფერადი მძივი..

ამჟამად, მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, მზად ვარ გავმართო პერსონალური გამოფენა გინესის ეგიდით ლონდონში. თანხმობის შემთხვევაში, წინასწარ შემძლია წარმოგიდგინოთ ჩემი შემოქმედების ამსახველი სრული ვიდეომასალა და მედიის გამოხმაურებანი.

პატივცემულო ბატონებო, ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით, გთხოვთ მომცეთ საიდენტიფიკაციო კოდი და სათანადო რეკომენდაცია, რომ თქვენი ღირეძციის ყველა რჩევა და შენიშვნა გავითვალისწინო.

ნ. ორგანიზატორი და სპონსორი: უკანასკნელ წლებში რამდენიმე ხელშემწყობი მყავდა. ამჟამად ჩემი პიროვნებისა და შემოქმედების უპირველესი მოამაგენი არიან საქართველოს საპატრიარქოს საერთაშორისო

ფონდი, მხატვარ ზურაბ წერეთლის სახელობის საგამოფენო ცენტრი, ფაზისის საერთო-სამეცნიერო აკადემია, კავშირი-კლუბი „გიორგი“.

სასურველი მეცენატის თუ სპონსორის გამოჩენის შემთხვევაში, ჩემი ფერადი ილუსტრირებული ალბომის გამოცემისათვის მყავს თანამდგომთა შემოქმედებითი ჯგუფი: გამომცემლობა „არმაღანი“, ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ინვალიდთა კავშირი „გიდი“.

პატივისცემით,
ნელი ბერაია,
26 ნოემბერი, 2015 წელი.

ლიტერატურული ნოზათი



ჟ მ ე ზ ი ა



თამარ ლომიძე

„მზევ, შინ შემოდი“

შემოდი, მზევ,
შინ შემოდი,
გამითბე სული,
დამჭკნარ ყვავილებს
სულთმობრძავი ფესვით გატარებ...
ეს სახლი ჯერაც
დედაციხის კალთაზე წევს და
ჯერაც ბაგეზე
რძის წვეთივით ჰკიდია მთვარე.
ჯერაც სჯერა, რომ
შემოდგომა ყვავის სხეულში,
სიზმარი ისხამს
უკვდავების ხესავით ნაყოფს...
ქარში ხელები
ნეკერჩხალის მიუგავს რხევას,
რომ ამწვანდება ზამთარივით
ზეცასთან ახლოს...
შემოდი, მზევ,
შინ შემოდი,
აქ რახანია
კედელთან ღვას და
იცრემლება ჩემი უფალი...
მე თითო ცრემლში
თითო ქალი,
თითო ევა ვარ,

წყვდიადში ვკეცავ წუთისოფელს
და უებარი
მარტოსულობის ფიქრებისგან
ვაგროვებ საგზალს,
დამშრალ მზერაში
ნაფლეთ-ნაფლეთ
ვამწიფებ ნისლებს.
სულ არაფერი...
შევისვენებ შენს თბილ ტოტებზე,
ბარძიში
მწველ გულს ჩავმარცვლავ და
სულს ცით ავივსებ.
შემოდი, მზევ,
დაგახვედრებ ფუძის ანგელოზს,
სასთუმალს მიზის,
წლიდან წლამდე ნაოჭებს მიქსოვს...
გაჩვენებ –
როგორ ვიწვავ ხოლმე ტანზე გვირილებს,
კანს როგორ ვაცლი დედამიწას,
როცა შენ გიგრძნობ...
გაჩვენებ –
სახლი სიყვარულით გადაიხარა,
გიაბობ –
როგორ შეუცვალეს ფრთები არწივებს,
ღმერთს
მოპარული ვარსკვლავივით
რომ მაფიცებდნენ,
როგორ მიმაგდეს მგლის ლუკმად და
როგორ გამწირეს...
შემოდი, მზევ,
შინ შემოდი,
ქარვის სანთელი
დამინთე ძვლებზე –
დედაციხის კედლების მთვარედ...
ოდესღაც ჩემს გულს
ლოდინივით ურწყავდნენ ფესვებს,
შენ რომ დაიწყე,
მე
დავამთავრე...
შემოდი, მზევ...

მზარველ ანბელოუს

„ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“
დავით წინასწარმეტყველი

დგახარ,
ულონოდ დაგიხრია მხრები, მტევნები...
და ჩემში მალავ
ცრემლს და სურვილს გამოდარების,
აღარ ვმწიფდები,
ჩემს ოცნებას არ ყოფნის ქუჩა,
შემოვრჩი ბაღნარს
ლურჯი სახით,
ყვითელი გულით...
მახსოვს პირველად,
როცა თრთოლვით შემახე ფრთები
და შემოდგომის
მზის სურნელი შემომაფრქვია,
ჩემს სახლთან
მტვერი და ნაცარი ახვეტა ქარმა,
ჩემს სახლთან მერე
სამუდამოდ დასახლდა ქარი...

როცა მე ვხატავ,
ვმარტოობ და
კვლავ ვსევდიანობ,
ჩვენ გვსტუმრობს წვიმა -
ხვალის მზერით,
ზაფხულის თოვლით...
შენ უღებ კარს და
მწვანე საფლავს აჩვენებ თრთოლვით,
შენ უღებ კარს და
ჩემზე ფიქრით უმასპინძლები.
მერე მიდიხარ,
ხდები ნისლი,
ცეკვავ ჩანჩქერთან,
ფრთებს იბან,
მღერი,
მზეს უგალობ ისე მსუბუქად,
თითქოს
პეპლები მასხდებოდნენ დაბზარულ მხრებზე,
თითქოს კანის ქვეშ გამომწვევდელ
გამომწვარ თიხას

მასხურებ წყალს და
წუთისოფლით მეც ვფერადლები.
შენ გინდა
გულით ვაპურებდე
და ვრწყავდე მთვარეს,
დროს ვთევზაობდე,
ვმღუპარებდე,
ვმწიფდე,
ვჭკნებოდე...
რომ მანუგემო
გამჭვირვალე ჩვილი სიტყვებით,
როცა სტრიქონებს ვასაფლავებ,
როცა ვარ გიჟი...

ქვითინებ ლოცვად,
ყვავილებად...
წანდილით,
ღვინით,
მიგყავარ სოფლად,
სად ყოველთვის მელის სიცოცხლე,
სადაც ასკილით
დაკაწრული ბავშვობა დამრჩა,
სადაც ყოველთვის
პატარა ბებერი გოგო,
სადაც არასდროს
საკუთარ ჩრდილს არ ვზომავ,
სადაც
მორჩილ, სუსტ ფერებს
ფრენასა და მღერას ვასწავლი,
სადაც ყოველთვის
იწმინდება სისხლი ოცნებით,
სადაც არასდროს არ მთავრდება
მთა და მწვერვალი.
სადაც კვიდივარ ნაძვის ტოტზე,
სამყაროს ჩრდილში,
უჩარჩო ფურცელი ზეცის...
შეუკაზმავი...

ლეგენდა და სინამდვილე



„დღეს ჩვენი ფიქრები მიმართულია იმ შორეული დროისკენ, ბეთლემის იმ კურთხეული გამოქვაბულისკენ, რომელმაც შეიფარა ახალშობილი იესო – გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება მთელი კაცობრიობისა. ის იშვა, როდესაც ეძინა იუდეველთა ქვეყანას, ეძინა მთელს კაცობრიობას. პირველნი, რომელთაც შემოესმათ ანგელოსთა გალობა – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და რომელნიც ღირს იქმნენ თავიანთი ეცათ ახალშობილი იესოსათვის – იყვნენ უბრალო, წმინდა გულის პალესტინელი მწყემსები. ეს იყო დასაწყისი ახალი, ქრისტიანული რწმენისა, რომელსაც უნდა გარდაექმნა მთელი კაცობრიობა“...

„იესო ქრისტე ბეთლემში იშვა. მაგრამ ეს საკმარისი არაა. ის უნდა იშვას ყოველი ადამიანის გულში, და არა მარტო იშვას, არამედ მუდამ იმყოფებოდეს მასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის მისაწვდომი ის ზეციური მადლი, რომელიც დედამიწაზე საუკუნით უწინარესმა ლოგოსმა მოგვიტანა – მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან“.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!



ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სიმონ ჯაფარიძე

„განდეგილი“ და ბეთლემის ლეგენდა

1948 წლის შობის დღესასწაულზე ხევში მცინვარწვერის კალთებზე, ზ. დ. 4100 მ სიმაღლეზე მიაკვლიეს ბეთლემის გამოქვაბულს და მასში ლეგენდარული მთამსვლეელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე შევიდა თავის ჯგუფთან ერთად. მომხდარ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოება ამ აღმოჩენით დიდად დაინტერესდა. ამ დროს გადასახლებაში მყოფი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა, თავის დას – მზიას წერდა: „ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგივრად მიულოცე „განდეგილის“ ქვაბულის აღმოჩენა. მეტად მაინტერესებს და ამ აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს ან შენს დაწვრილებით წერილს. რა შესანიშნავი თემაა გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა

დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევე ქალმავე აღმოაჩინა იგი – ალბათ თავისი ძლიერების ხელმეორედ დასადასტურებლად! ეკ, იქნებ ოდესმე დავწერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული და სული შეხუთული მაქვს“.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი“ 1883 წელს დაწერა და გამოაქვეყნა „ივერიაში“. იგი თავის საყვარელ მეუღლეს – ოლღა გურამიშვილს უძღვნა. პოემამ მაშინვე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება.

ავტორს პოემისთვის სათაური რამდენჯერმე შეუცვლია: პირველად მას ერქვა „ბეთლემი“, შემდეგ – „მეუდაბნოე (ხალხში გაგონილი ლეგენდა), ავტორს გადაუშლია ორივე და საბოლოოდ მიუღია „განდეგილი“. ვარიანტებად გამოყენებული სიტყვები:



„განდევილი“. ავტორი: ჰენრიკ ჰრინევსკი.

ჰენრიხ (ჰენრიკ) ჰრინევსკი (პოლ. Henryk Hryniewski. დაიბადა 1869 წ. 22 ნოემბერს, გ. 1937) – პოლონელ-ქართველი მხატვარი, არქიტექტორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს არქიტექტურის მკვლევარი.

დაიბადა ქუთაისში გადასახლებული პოლონელის ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან ერთად გაემგზავრა იტალიაში. ფლორენციაში დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი და ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ 1889 წელს იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ქუთაისში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასაწყველად.

მოგვიანებით ჰრინევსკიმ გააგრძელა სწავლა არქიტექტურის ფაკულტეტზე კარლსრუეს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, რის შემდეგაც დაბრუნდა იტალიაში, სადაც დაამთავრა სამხედრო განათლების კურსი. 1898 წელს ის დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობდა თბილისში.

მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუასაუკუნეების საქართველოს არქიტექტურის შესწავლაში. იგი აკვარელების ციკლ „საქართველოს ძველი არქიტექტურის“, კლასიკურ ორნამენტსა და არქიტექტურული ნაგებობების გაფორმებაში ფერების გამოყენების ნაშრომების ავტორია.

1912 წელს სპეციალურმა კომისიამ ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ჰრინევსკის დაავალა საქართველოს ლიტერატურის კლასიკოსის, ილია ჭავჭავაძის, მოთხრობებზე ილუსტრაციების შექმნა. წიგნი გამოვიდა 1914 წელს და ეს დიდი მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

1902 წლიდან ასწავლიდა კავკასიის საზეითო ხელოვნების ხელშეწყობის საზოგადოების სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1918-1921 წლებში მისი დირექტორი იყო. ჰენრიხი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიისა, სადაც ასწავლიდა 1922–1937 წლებში.

რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

„მეუღლებნოე, ხალხში გაგონილი ლეგენდა“, „ლეგენდა“, „ბეთლემი“, „განდეგილი“, ნიშანდობლივია იმით, რომ ყველა მათგანის შინაარსი უკავშირდება ერთ ობიექტს – ბეთლემის გამოქვაბულს.

პოემის სიუჟეტმა და პერსონაჟთა მოქმედების გარემომ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ პრესამ იმთავითვე – პოემის დასრულებამდე მიაწოდა ცნობა საზოგადოებას: **„ჩვენი ნიჭიერი პოეტი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამზადებს ახალს პოემას მთიელთა ლეგენდიდან, რომელის წარმოებაც ხდება ყინვან წვერზედ, ყინულებით შემოზღულულს გამოქვაბულს კლდეში, სადაც მოქმედ პირად არის გამოყვანილი წმინდა მამა და მეცხვარე ქალი“.** („დროება“, 1883 9/1, გვ. 2)

„განდეგილის“ გარშემო, მისი გამოქვეყნებიდან დღემდე, მრავალი განსხვავებული აზრი გამოითქვა. „არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად ეს პოემა თავისებური გადახვევაა ილიას მწერლური ბიოგრაფიის, მისი შემოქმედებითი ევოლუციის მთავარი ხაზისაგან“, – აღნიშნავს კრიტიკოსი გურამ ასათიანი.

მიუხედავად ზოგიერთი მცდარი და ტენდენციური დამოკიდებულებისა პოემა „განდეგილის“ შეფასებისას, მოწინავე ქართული საზოგადოება ღირსეულად აფასებდა ილიას ამოუწურავ შემოქმედებით ნიჭს და მოუწოდებდა მას, თავისი დიდი ტალანტი ზოგადი პრობლემებისაგან დაეზოგა და იგი მთლიანად შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიეძღვნა.

„განდეგილის“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გრიგოლ ყიფშიძე, რომელიც წერს: „განდეგილის“ თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივანე მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო. „დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორ გამოვა“, – გვითხრა ილიამ საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა. მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლ-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალწინ წარმომიდგა. თითქო თავბრუ დამესხა... და თითქმის ვეღარა გავიგე

რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად“. „განდეგილის“ შექმნის შემდეგ, – აღნიშნავს გრ. ყიფშიძე – სახელი ილიასი, როგორც პირველხარისხოვანისა და ღრმად მოაზროვნე მგოსნისა, უფრო გაითქვა და გადიდდა. სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოებისა ოლიმპის მწვერვალამდე ამაღლებს ილიას და ჰქმნის მის ირგვლივ თავყანისცემის ატმოსფეროს“.

ოპერატიულ ინფორმაციას „განდეგილთან“ დაკავშირებით გვაწვდის 1883 წლის გაზეთი „დროება“, სადაც ვკითხულობთ: **„ერთ კერძო სახლში, ამ სახლის პატრონის მოწვევით შეიყარნენ გუშინ, 8 თებერვალს, ოცდაათამდინ თანამგრძობნი და მოყვარულნი ქართული მწერლობისა და იქ ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თავისი ახალი პოემა „განდეგილი“.** ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მყოფზე ჩვენი პოეტის ახალმა ნაწარმოებმა. სიამოვნებით დავრწმუნდით, რომ „ყჩაღის ცხოვრებისა“ და „აჩრდილის“ ავტორს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთობ იშვიათად ემუსაიფება მუხას, არც ძველი ნიჭი დაჰკლებია, არც ძველი ხელოვნება და საზოგადოდ ლექსთა თხზვის მოხერხება; დავრწმუნდით, რომ ილია ჭავჭავაძე ჩვენს პოეზიას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და შემდგომშიც უნდა მოველოდეთ ამგვარ იმის კალმის ნაწარმოებსა. პოემა „განდეგილი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჩვენს პოეტურ ლიტერატურაში, უეჭველია, საპატიო ადგილს დაიჭერს და რომელიც ავტორის სახელს რამდენიმე ახალ სხივს მოუმატებს“.

(გაზ. „დროება“, 1883 წ. № 29.)

ამ შეკრებაზე რამდენიმე შენიშვნაც გამოთქმულა პოემასთან დაკავშირებით: „...წამოდგა ი. მ-ა (იონა მეუნარგია) ცნობილი მოყვარული ქართული მწერლობისა, და თქვა ალტაცებით: „მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერ ვხედავთ, თვით განდეგილის სურათს, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსო“. ილიამ გაითვალისწინა შენიშვნა და თავის პოემას დაუმატა ოცი სტრიქონი, სადაც

ბრწყინვალე ოსტატობით წარმოგვიდგინა მწირის პორტრეტი, რითაც პოემას კიდევ მეტი სრულყოფილება შესძინა.

მომღეწო თაობის კრიტიკოსებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში „განდევილი“-ს განსაკუთრებული ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ და უწოდებან მას „კლასიკური ფორმის გენიალურ ნაწარმოებს“: „ეს პოემა სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად. იგი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მწვერვალს, და არა მარტო როგორც სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, არამედ აგრეთვე, როგორც უადრესად ღრმა ფილოსოფიური ნაშრომი“ (პ. რატიანი).

„განდევილი“ ილიას ერთი უდიდესი პოეტური ქმნილებათაგანია, რომელიც ამშვენებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას...“

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, პოემამ უარყოფითი გამოხმაურებაც მიიღო: „ისეთი მოღვაწე, როგორც ილიაა, ბერებზე და განდევილებზე არ უნდა წერდეს, უსაგნო ცხოვრებას არ უნდა აღწერდეს“-ო, გაიძახოლნენ ამ პოემის ნაკლებ გამგებნი.

პოემის პირველივე კრიტიკოსი იონა მეუნარგია მხატვრულობის მხრივ „განდევილს“ ილიას ადრეულ თხზულებებზე ნაკლები მნიშვნელობის ნაწარმოებადაც კი მიიჩნევდა, როცა წერდა: „ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველად დაწერილი ლექსები იყო მის აწინდელ ლექსებზე უკეთესი, რომელშიც ხშირად გვხვდება დაუდევრობის ნიშნები“, მაგრამ იქვე იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ, „თუ მწერლის ადრეული ნაწარმოებები მამულის იდეას, მისი გადარჩენისათვის თავდადების საჭიროების ქადაგებას შეიცავს, „განდევლით“ ილია ჭავჭავაძე შევიდა იმ წმინდა ხელოვნების სამფლობელოში, რომელიც არ წყალობს სხვადასხვა ჯურის ტენდენციებს, თავისუფალი მხატვრული შემოქმედების ამ მოსისხლე მტრებს და მკვლევებს... თავისთავადაა ეს ფაქტი ერთობ მნიშვნელოვანი“-ო, — აცხადებდა კრიტიკოსი.

1883 წლის 11 მაისს გაზეთმა „შრომამ“ (№18) გამოაქვეყნა ბოსლველის (ე. მჭედლიძის) კრიტიკული განხილვა: „ბატ. ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პოემა „განდევ-

ლი“: „ამ პოემიდან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქო მიანება თავი ცხოვრებისათვის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია“.

1883 წელსვე „ღროებაში“ (№60) ქვეყნდება დავით სოსლანის (კეზელის) „საკვირაო მასლაათი. კისრული“, რომელშიც გარჩეულია ილიას პოემა „განდევილი“. წერილის ავტორი იწუნებს პოემას როგორც შინაარსით, ასევე ფორმით: „პოემა „განდევილი“ ჩემი აზრით, არის ყველაზე უსუსტესი, რაც კი ჭავჭავაძის კალმიდან გასულა; უსუსტესიმეთქი, ვიმეორებ როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ბუნდოვანი იყო საზოგადოებისათვის თითქმის უკანასკნელ დრომდე, ილიას პოემაში გამოყენებული მასალის წარმომავლობა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ თვით სასწავლო სახელმძღვანელოებშიც კი ძალზედ მწირი სახით და ზოგადი ფორმითაა მითითებული იმის შესახებ, რომ პოემა „რომელიდაც ხალხური ნაწარმოების გამოყენებით“ შეიქმნა: „ილიას „განდევლის“ შექმნა შთააგონა ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ, ამას მკაფიოდ გვიჩვენებს პოეტის მიერ სათაურის რამდენჯერმე შეცვლა: ა) „მეუღაბნოე“, ბ) „ბეთლემი. ხალხში, გაგონილი ლეგენდა“, გ) „განდევილი, ლეგენდა“. ეს სათაურები მოწმობენ, რომ სიცოცხლის სიმშვენიერით მონიბლულმა პოეტმა რომელიდაც ქართული ნაწარმოების გამოყენებით შექმნა საერთოსაკაცობრიო იდეებით, მაღალი აზრებით გამსჭვალული ნაწარმოები“ (ჯოდორ დადიანი).

* * *

წინამდებარე პუბლიკაცია, რამდენადმე შეავსებს და დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს სრული წარმოდგენა ჰქონდეს იმ მრავალფეროვანი მასალის შესახებ, რომლის გამოყენებით ილია ჭავჭავაძემ პოემა „განდევლის“ სახით ქართული ლიტერატურის შედევრი შექმნა.

მწერალი ილია ხონელი (ი. ბახტაძე), ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში, 1896 წელს აქვეყნებდა ლეგენდას განდევლის შესახებ და ნაწარმოებთან მისი შედარებისას აღნიშ-

ნავდა, რომ პოემის შინაარსი მთლიანად არ ემთხვევა ლეგენდასო: „ხალხში გავრცელებულ ლეგენდაში გადმოცემულია განდეგილის ცხოვრება, მისი ერთგულება ღმერთისა და სარწმუნოებისადმი... ლეგენდის მიხედვით მწირი მარტო არ არის, მას წმინდა „ძმებთან“ ერთად შეუფარებია თავი მონასტრისათვის. მისი თანამოაზრენი მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებენ წმინდანის სახეს. გალობენ და ლოცულობენ, მაგრამ არც მარხვას ინახავენ და არც ცხოვრების სხვა სიამოვნებას იკლებენ, მხოლოდ განდეგილი იცავს წმინდანისათვის საკვალდებულო ყველა წესს, მაგრამ ცხოვრება მას მაინც სასტიკად ამარცხებსო“...

საინტერესოა პავლე ინგოროყვას ცნობა, რომელშიც აღნიშნავს: „საქართველოს მთაში, ხევში, მყინვარწვერის ძირობაზე გამოკვეთილი იყო გამოქვაბული ბეთლემი, რომელიც ოდითგანვე ხალხისათვის ლეგენდების საგნად ქცეულა“: „...ხევში ჩაწერილია რამდენიმე თქმულება, რომლებიც უახლოვებიან „განდეგილის“ თემას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, შეხვედრა ხალხურ თქმულებათა და პოემას შორის მხოლოდ ზოგადი ხაზებით განისაზღვრება. ილიას უსვამს წყალი ხალხური ზეპირი ხიტყვიერების მაღლიანი წყაროდან. მაგრამ ილია იმდენად მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მხატვარია, რომ იგი ვერ იშენებს ფოლკლორული მასალის უბრალო განმეორებას. ილია არასოდეს უნდოდა და გადაუმუშავებლად არ იმეორებს ხალხურ სიტყვიერების მარაგს“.

ნიშანდობლივია ილიას ბიოგრაფიის, გრიგოლ ყიფშიძის ცნობაც იმის შესახებ, რომ ილიას განუცხადებია: „ეს ამბავი ლეგენდად არის დარჩენილი მთაში, იქ გამიგონია“.

სარგის ცაიშვილის აზრით, „განდეგილის“ პირველი სტრიქონები: – „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...“ – შექმნილი უნდა იყოს ვახტანგ VI-ის ამაღლაში მყოფი პიროვნების, გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძში“ მოთხრობილი ამბის შთაბეჭდილებით. თხზულების ავტორი თან ახლდა ვახტანგ VI-ს, რომელმაც გზა რუსეთისაკენ დაიღო რაჭიდან კავკასიონის უღელტეხილის გავლით.

„მცირე ანდერძში“ აღწერილია „ვახტანგის მიერ განვლილი ფათერაკებით აღსავსე გზა რაჭიდან ასტრახანამდე“. სწორედ ეს თხზულებაა თითქმის ერთადერთი საიმედო წყარო, – აღნიშნავს სარგის ცაიშვილი, – რომელმაც შემოგვინახა ქართული ისტორიული ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი, თუმცა ტრაგიკული მოგზაურობის ამბავი. მასში შესანიშნავად არის აღწერილი კავკასიონის ზვიადი, დიდებული ბუნება. ერთ-ერთი ადგილი ნაწარმოებისა ასეთ შთაბეჭდავ სურათს გვინახავს: „მეფის ამაღლის მიერ კავკასიონის უღელტეხილის გადალახვის დროს... შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიონისა, მსგავსსა ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამოძინარე თოვლთა და ყინულთაგან, ესრეთ ძნიად განსავლელ იყო კასცთათვის. უკეთუ შთავარდნილიყოს ქვესკნელსა მის შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბნი, გინა არწივნი, მასცა ვეღარა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესოდენტა ურიცხვთა დედა-წულთა“.

სარგის ცაიშვილი, ზემოთ ხსენებული ნაწარმოების ზეგავლენას პოემის შესავალ სტრიქონებზე იმ ფაქტით ასაბუთებს, რომ „ილია ჭავჭავაძე იცნობდა გაბრიელ გელოვანის ზემოაღნიშნულ თხზულებას. იგი პირველად თვით ილიასავე სანქციით დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1875 წელს... ფაქტია, რომ „მცირე ანდერძის“ ზემოთ მოტანილმა ფრაზებმა მისცეს ერთგვარი ბიძგი „განდეგილის“ იმეგარ დასაწყის სიტყვებს, რომლებიც ასეთ პარალელებს ამჟღავნებენ გაბრიელ გელოვანის თხზულებებთან“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დიდი პოეტი კარგად იცნობდა ძველ ლიტერატურულ ძეგლებს და დიდი ანგარიშს უწევდა მათ. სავსებით არ არის გამორიცხული, რომ „განდეგილის“ დასაწყისი სტრიქონები და ზემოთ მოტანილი ციტატა „მცირე ანდერძიდან“, იყოს არა შემთხვევითი ლიტერატურული თანხვედრა, არამედ, მართლაც ამ ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილების უშუალო შედეგი; ერთი კი ფაქტია, რომ „დიდმა შთაბეჭდილებამ შეაქმნევინა ილიას ეს პოეტური შედევი, რითაც იწყება დიდებული პოემა“,

– დასკვნის რ. კუსრაშვილი „განდეგილის“ შექმნის საკითხებზე მსჯელობისას, ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნში – „როგორ იწერებოდა ლექსი“.

კოხტა აფხაზის ცნობით, „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე დაჰყვა ილიას, მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლენკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან, ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს, უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს“.

ილიას სხვადასხვა დროს პირადად ჩაუწერია ათეულობით ხალხური ლექსი, თქმულება და გადმოცემა, ლეგენდა, აფორიზმი და ანდაზა, მითოლოგიურ-რიტუალური ხასიათის ტექსტები, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო ი. ჭავჭავაძის ღუმეთის მაზრაში მოღვაწეობის პერიოდი, იგი მუდამ გლენობაში ტრიალებდა, ხშირად დადიოდა ქართლის სოფლებში. დაუახლოვდა აგრეთვე მთიულებს, მოხევეებს, ხევსურებსა და ფშაველებს, რადგან ფოლკლორი აღნიშნულ კუთხეებში ძველებურად დიდ პატივში იყო, ილია ასეთ შემთხვევებს ხელიდან არ უშვებდა.

გეოგრაფიულ თერგის ხეობასთან და ეთნიკურ ხევთან ილია ჭავჭავაძე თავისი შემოქმედებით ორგანულად იყო დაკავშირებული. მთის არც ერთ კუთხესთან ისეთი სიახლოვე არ იგრძნობა მის ნაწერებში, როგორც ხევთან და მოხევეებთან...

„მგზავრის წერილების“ ავტორი მოხევეების ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდნის რეპუტაციას აღწევს და შემდეგშიც ხევთან კავშირი არ გაუწყვეტია...

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ საფუძვლად შეიძლება დასდებოდა ლეგენდა, რომელიც მაშინ ხევში იყო გავრცელებული: თემურ-ლენგის შემოსევის დროს, ასმა მამაცმა ახალგაზრდამ გადაძალაო საქართველოს განძეული სადღაც, მაღალ მთებში, მიუვალ საიდუმლო მღვიმეში. განძეულის მცველად დარჩა განდეგილი მონაზონი. ამბობენ, რომ მღვიმე ამოქოლილია და არავინ უწყის მისი შესასვლელი.

მკვლევარსა და მთარგმნელს ზურაბ კიკნაძეს, მის მიერვე თარგმნილი რენე გენ-

ონის ნაშრომის – „მთა და გამოქვაბულის“ მიმოხილვის დროს, მოთხრობილი აქვს, ხევში გავრცელებული, გერგეტის სანახებთან დაკავშირებული საკრალური თქმულებები, ამ თქმულებებთან ერთ-ერთი გვამცნობს, რომ „ხევსურმა გახუა მეგრელაურმა, გუდანის ჯვრის მკადრემ, გერგეტის „ბეთლემის სახლში“ იხილა ოქროს აკვანი ყრმითურთ, რომელსაც მტრელები არწევდნენ და იფქლის მარცვლებით კვებავდნენ. აქვე იხილა მან ფუტკრებივით... მორიალე უამრავი ჯვარხატი, რომელთაგან ერთი გუდანამდე წამოჰყვა მას, რათა გუდანის ჯვრის ბეღელში დაედო ბინა და გარეშე თვალისათვის დაფარული ყოფილიყო“.

ხევსურულ ანდრეზში, რომელიც ჩაუწერია ალექსი ოჩიაურს და ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში, ბეთლემის იგივე საკრალური გარემოა აღწერილი, რაზეც ზურაბ კიკნაძე მიუთითებდა: „... გახუა წაუყვანივ ხთიშვილს გერგეტის თავად, შაუყვანივ ბეთლემის სახლში, რო შევედივ, თქვისავ გახუამავ, სავსე იყვ ის სახლივ ხატებითაოლ, თამაშობდესავ;ზოგ ხატებივ ტრედებივით იყვაოლ, ირეოდავ ერთმანეთშიავ. იმთვენ იყვავ ხატებივ, რომ ფუტკრებივით გაღ-გამადიოდესავ. ერთივ ოქროს აკვან იდგაოლ, შიგავ ყმაწვილ იწვავ, ტრედებ დაღბრუნდევდესავ თავზედაოლ, იფქლის მარცვლებს აჭმევდესავ...“

ცროლის მთაზე, სამების ჯვრის პირველდარსების ადგილზე, თოვლიან ზამთარში, ახალი წლის წინა ღამის გასათევად ასული საყმო, სასწაულის მოწმე ხდებოდა:

საკლავის ხორცი თოვლზე უცეცხლოდ იხარშებოდა, სანთელი მისი პატრონის სიწმინდის გამო თავისთავად ენთებოდა. „ისეთ თბილ ყოფილასავე ხალხივ, რო მთელ ღამესავ ოფლ გადასდიოდისავ, ხელ მოგენალთავ, ქვანიც თბილ იყვისაოლ, მიწაიცავ“.

უკანხალური თქმულების თანახმად, მონადირე, რომელსაც ზამთარში, ღამით, ცროლის წვერზე გზააბნეულს, ეხში მოუხდება ღამის გათევა, დილით აღმოაჩენს, რომ ეხი უბრალო გამოქვაბული კი არ ყოფილა, არა-

მედ საფარველდადებული დარბაზი ჯვრისა...

იმ ლეგენდებს შორის, რომელიც კავკასიონის მთებთანაა დაკავშირებული, საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია თქმულება ამირანის შესახებ.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კავკასიონზე მიაჯაჭვა...

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, აღიარებს რა პრომეთეს მითის კოლხურ წარმოშობას, აღნიშნავს, რომ პრომეთე მღვიმეში იყო მიჯაჭვული. პრომეთეს ტანჯვისა და ბრძოლის ასპარეზი ქართული გეოგრაფიული გარემოა – კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებით, კლდეებით, მღვიმე-გამოქვაბულების ლანდშაფტით გარემოცული.

მკვლევართა აზრით, ბერძენების მიერ პრომეთეს მითის დაკავშირება საქართველოსთან და კერძოდ, პრომეთე რომ მიჯაჭვული იყო კავკასიონზე, ერთ-ერთ მღვიმეში, დასტურია იმისა, რომ ძველმა ელინებმა იცოდნენ ამ მთებში არსებული მღვიმეების შესახებ.

ამირანის ეპოსის რამდენიმე ვარიანტის მიხედვით, კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ღმერთმა „ზედ თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაახურა“, – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

ამირანის ლეგენდის ფშავური ვარიანტით, ღმერთმა გააქვავა გველეშაპი, რომელსაც გერგეტის კლდეზე მიჯაჭვული ამირანის ჩაყლაპვა უნდოდა (თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტი. „ივერია“).

ბეთლემის ლეგენდის გამოძახილი ზმიანობს ხევის მკვიდრთა ფოლკლორში:

„ბეთლემის კარზე ჰკილია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
ხანდისხან შაძრავს ქარიო“.

ანალოგიური სურათი შემოუნახავს უძველესი ხალხური სიმღერის – „გერგეტულას“ პოეტურ სტრიქონებსაც:

„ვინ შასწავდა და მყინვარწვერზედა,
ვინ შეაბა რკინის კარები“...

უნდა აღინიშნოს, რომ იგი სრულდებოდა გერგეტის სამების ხატობაზე – ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალური ცეკვის – ორსართულიანი ფერხულის თანხლებით (სიმღერა სამხმინია და მუსიკალურად ახლოსაა სვანურ ხალხურ სიმღერასთან).

ცნობები ბეთლემის გამოქვაბულებზე ჯერ კიდევ XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის – ეფრემ მცირეს ნაშრომებში მოიხსენიება.

XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი (1691-1757) ბეთლემის შესახებ გადმოგვცემს: „...დასავლეთით არს გერგეთი, არაგვს იქით კიდესა ზეით ამისა, არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი, შვენიერს ადგილს. მყინვარსა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გადმოკიდებული ქვაბიდან, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მღვდომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა, არამდ მე ვღუშებ. კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი“.

როგორც პროფ. მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავს: „ვახუშტისეული აღწერა არაა თავისუფალი ლეგენდური და მითოლოგიური ბურუსიდან, მაგრამ მის მიხედვით ერთი რამ მაინც ცხადია: არსებობს ბეთლემის გამოქვაბული და ადამიანთა შესასვლელად ზედ რკინის ჯაჭვი ჰკილია. ვახუშტი იმასაც ბრძანებს, რომ სხვა საკვირველ ამბებსაც მოუთხრობენ ბეთლემზეო“...

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „კალმასობაში“ აღწერილი ამბავი მღვდელ იოსებ მოხევის შესახებ, რომელიც ყოფილა „ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი.“

ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამისა მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ აღსრულ არს მთასა მასა, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარვისა მით, და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“.

ხევაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, იოსებ მოხევეს ჰყოლია შვილი, სახელად – მარკოზი, რომელიც ერთ კვირას მარხულობდა, უძმრახობდა, რძეში ბანაობდა „განწმენდის“ მიზნით და ბეთლემში ისე აღი-



ოდა. მას ბეთლემიდან „მრავალი ოქროული“ ჩამოუტანია და გადაუმალა.

გადმოცემაში მოხსენებული „ოქროს აკვანი“ მარკოზს ჩამოუტანია, რისთვისაც კათოლიკოსის წყრომა დაუმსახურებია, რაც იმაში გამოიხატა, რომ თავისი წინაპრების მსგავსად იგი მცხეთაში კი არ დაუსაფლავებიათ, არამედ სოფელ გერგეტში, განმართებულ ადგილას...

ბეთლემზე შექმნილი ისტორიული თქმულებებიდან საინტერესოა „შეფიცულთა“ ვარიანტი.

თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია: „ურჯულოები ჩათას მთიდან (მაღალმთიანი გადასასვლელია დარიალის დასავლეთით) შემოესივნენ ხევს.

აიღეს დარიალის ციხე, დაიპყრეს ხევი და ვიდრე საქართველოს დედაქალაქზე გაილაშქრებდნენ, სცადეს სამების განძეულის ხელში ჩაგდება... მწყემსმა ლეგამ დატყვევებული ძმისაგან შეიტყო მტრის განზრახვა; განძი, რომელთა შორის იყო „ოქროს აკვანი“, „წმინდა ნინოს ოქროს ჯვარი“ და „სულის სახარება“, მყინვარწვერის გამოქვაბულში გადამალა და მცველად დაუდგა... მას შეეკედლა ცხრა შეფიცული და ვიდრე ვახტანგ გორგასალი მხსნელად მოევლინებოდა ხევს, განძი საიმედოდ იყო დაცული; როცა ხევი დამშვიდდა, მეფის ბრძანებით განძი ისევ სამებაში იქნა ჩამოტანილი...

გამარჯვებულ ვახტანგს ულოცია კიდეც სამების ქედზე... ამ პერიოდს უკავშირებენ მთხრობელები მოხვეურ ლექსს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკვა,
მყინვარწვერზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს ღრეკა...“

„თუ ბეთლემი (ხალხში დარჩენილი ისტორიული თქმულებით) ვახტანგ გორგასლის მეფობის პირველ პერიოდშია შექმნილი, – შენიშნავს გ. მირიანაშვილი, – მაშინ ის კიდევე უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა ქართლის სამეფოსათვის და ქრისტიანული მცხეთისათვის. შემდგომ პერიოდში, როგორც სპარსეთის შემოსევის დროს ასევე არაბობა-მონღოლობისას, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვიმოწმებს, მონღოლების შემოსევისას ხალხი შეეხიზნა „მთასა კაკკასსა“. აი, სწორედ ამ დროს და გაცილებით უფრო ადრეც ბეთლემის ქვაბები გაფართოვდებოდა და მას ხელოვნური თავდაცვითი და საკულტო ნაგებობანი მიემატებოდა. გადაიქცეოდა ის საიმედო თავშესაფრად, ხოლო გერგეტელნი კი პირველნი იქნებოდნენ, როგორც ხალხის, სამეფო და საეკლესიო ქონების შემნახავნი და დამცველნი“ – ასკვნის ავტორი.

ნიშანდობლივ სურათს წარმოგვისახავს ან-დრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის თეიმურაზ ბაგრატიონისეული აღ-

წერა: „მუნით მოიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსაც სახელს ღებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელისა მის კაკკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი... მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ პირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმინდამან ამან მოციქულმან აწ არს მას ზედა ეკლესია, დიდი მონასტერი წმიდისა მოციქულისა პირველმოწამისა სტეფანესი“.

როგორც მკითხველი ამჩნევს, თვით ლეგენდებსა და გადმოცემებში, წყაროების ცნობებსა თუ ადგილობრივ მკვიდრთა ზეპირსიტყვიერებაში დიდი ვნებათა ღელვა გამოსჭვივის ბეთლემისა და მისი სანახების მიმართ და ეს არცაა შემთხვევითი მოვლენა.

როგორც ცნობილია, ბეთლემი, მცხეთის კუთვნილებას წარმოადგენდა და ეკლესიის სამკაულთა სახიზარი იყო. მცხეთის საეკლესიო ქონება, არც მართო სამკაულობათა სიმდიდრით ამოიწურებოდა: „ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის, თუ რა მდიდარი იყო წინა საუკუნეებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში; მართო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა პლატონ იოსელიანის სიტყვით, შვიდი ათასსა ტომსა, უმეტეს ნაწილად სასულიერო შინაარსისა“, – წერდა იაკობ გოგებაშვილი 1896 წ. „ივერიაში“ მოთავსებულ თავის წერილში „მთავარი ღირსება“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიალ მნიშვნელოვანი ფაქტებია მოცემული თვით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ და ალ. ყაზბეგის ნაწერებში.

გავისხენოთ ლელთ-ღუნისა და პეტერბურგიდან დაბრუნებული, საქართველოს სამხედრო გზით მომავალი ილია ჭავჭავაძის დიალოგი, როცა იგი სამების მონასტრით დაინტერესდება:

– „წმინდა სამების სახტარი არნ, უწინდელი განძთა საფარი, ერთა საბჭო.

– როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

– ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარავად აქ ზიდულა მრავალჯერ“.

ალ. ყაზბეგი აღნიშნავს: „წმინდა სამე-

ბაში დიდი ოქრო-ვერცხლეული იყო, მაგას ლაპარაკი არ უნდა, იმიტომ, რომ აქ სტავროპოლიდანაც კი მოდიან მლოცველები და ხევში ხომ კაცი არ დარჩება, რომ ათჯერ მაინც არ წავიდეს იქ სალოცავად და არა მართოს რა წმინდა სამებას, მაშასადამე, დიდ ძალი ნივთეულობა უნდა მოგროვილიყო ამ ადგილას“.

ბეთლემი და სამების ტაძარი მოხსენიებულია მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში, რასაც თ. ჟორდანიას 1392 წლით ათარიღებს. აქ ვკითხულობთ: მცხეთის ეკლესიას ეკუთვნის არაგვზე (თერგი) ხევის სოფელი გერგეტი, მონასტერი წმინდა სამებისა და უდაბნო მისი ეკლესიითა, დარანნი და ქვაბნი, წმინდა ნინოს შეწირული ჯვრით, ცხოველი ვაზითა და თემნი თავის სოფლებითა არაგვზე, ციხე გერგეტულა“...

მოხვევების გადმოცემით, სამების მონასტრის რკინით მოჭედო კარზე უამრავი რკინის რგოლები ყოფილა ჩამოკიდებული, რომელთაგან დღეს ძალიან ცოტაა დარჩენილი. მოხვევები მათ „საყარაულო რგოლებს“ უწოდებდნენ. მათივე გადმოცემით სამების დარაჯი, რომელიც დაუკითხავად არავის უშვებდა ტაძარში, კარს რომ დაკეტავდა ამ რგოლებს ზევით ასწევდა; თუ ვინმე ძალუღად ეცდებოდა ტაძარში შესვლას, კარის ხელის ხლებისთანავე რგოლები ჩამოცვივდებოდა, ხმაურს მცველი გაიგონებდა და უვნებელყოფდა დაუპატიჟებელ სტუმარს. როგორც პროფესორი თამაზ სანიკიძე მიუთითებს, შიგ შესვლა მკაცრად ყოფილა განსაზღვრული. მას მუდმივი „მეკარე“ (მცველი) ჰყოლია, რომელიც სათანადო საფუძვლის გარეშე არავის უშვებდა ტაძარში.

„მეკარე“ – ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ერთ-ერთი გავლენიანი მომსახურე, „სავანის კარის მცველი“ იყო და მონასტერში ყველას შეშვება და გარეთ გამოშვება მასზე იყო დამოკიდებული“.

სამების მეკარესაც ანალოგიური ფუნქცია ჰქონია: „საყდარს არ შევიკრიბნეთ მეკარის უთქმელიო“, აღნიშნულია გერგეტის „მატიანეში“ ჩართულ ერთ-ერთ საბუთში. ჩანს, ამ მონასტერში საიდუმლოების დაცვის მთელი ინსტიტუტი ყოფილა ჩამოყალიბებული, გამორიცხული იყო შემთხვევითი, მოულოდ-

ნელი პირის გამოჩენა სამონასტრო კომპლექსში, რომელიც თავის მხრივ საიდუმლოდ დაკავშირებული იქნებოდა ბეთლემთან, ანუ განძთა მცველნი „საყდრიშვილები“ – გარანტირებულად იცავდნენ გახიზნულ ქონებას ბეთლემის მღვიმეებში. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ძნელბედობის დროს: „სახასონი“ აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი და უმეტეს მოხვევ-მთეულნი“ (ვახუშტი).

მიუვალ გამოქვაბულებში, ქართული მათი-ანეების გადმოცემით, ინახებოდა „მეფეთა განძი“. ვახუშტი ბატონიშვილი წერს – „ხომლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“ ასევე იხსენიებს ვახუშტი ბეთლემს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან იცის ბეთლემში მრავალი „ქვაბნია“...

დიდხანს იყო საიდუმლოებით მოცული ბეთლემი. უნდა ითქვას, რომ ილიას „განდეგილმა“ კიდევ უფრო გაამძაფრა ცნობის წადილი მომღვეწო თაობებში.

* * *

ჯერ კიდევ პოემა „განდეგილის“ გამოქვეყნებამდე 8 წლით ადრე – 1875 წელს, თბილისში რუსულ ენაზე გამოცემულ კრებულში „კავკასია ძველ ქრისტიანულ ძეგლებში“, გამოქვეყნდა დიმიტრი ბაქრაძის ცნობა ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ, რომელიც ადგილობრივი მთხრობელისაგან მოუსმენია და არც ეს პუბლიკაციაა მოკლებული მითოლოგიურ საბურველს: „ბეთლემის გამოქვაბული სამების მალლა მდებარეობს, მისკენ გზა ჯერ ამ ეკლესიას ჩაუდის ზამთარ-ზაფხულ თბილია ნაკადული; გარშემო მუდმივი სიმწვანეა. ბეთლემი სასწაულებს ახდენს: დაჭრილი ჯიხვი თუ დროზე მიირბენს გამოქვაბულთან, იკურნება. ბეთლემისკენ სროლა სახიფათოა, შეიძლება დაბრმავდეს კაცი. ჩემი მთხრობელის ნაცნობთაგან, იგი ერთ მონადირეს უნახავს, რომელიც დღესაც ცოცხალია. საქართველოს სამეფოს უკანასკნელ ხანებში, არაგვის ერთ-ერთი ერისთავის დროს, რომელიც ამ ხეობას განაგებდა, ბეთლემში აუგზავნიათ ვიღაც ბერი, რომელსაც იქ უნახავს ქრისტეს ბაგა, მოსეს კარავი, ზეციური მანანის მარაგი და

ის ძღვენი, მოგვებმა რომ მიართვეს ყრმა ქრისტეს“.

„ხალხური თქმულება – აღნიშნავს ბეთლემის თქმულებებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ შენიშვნებში პროფესორი ზურაბ კიკნაძე – შემთხვევით არ აკავშირებს ბეთლემის ქვაბთან ერთის მხრივ, აბრაამისა და მეორე მხრივ, მოსეს კარავს, რომელიც არის პირველსახე ტაძრისა, სადაც მის წმიდათა წმიდაში უფლის კიდობანი იდგა. ხალხური ქრისტიანული თვალი ბეთლემში იმასვე ხედავს, რასაც ძველი ჰიმნოგრაფი, როცა ამბობს: „გიხაროდენ, ბეთლემო, რამეთუ იქმენ ქალაქ მეუფისა ძალთაისა! განსცხრებოდე, ქუაბო, რამეთუ იქმენ ქალაქ მეუფისა ძალთაისა! განსცხრებოდე, ქუაბო, რამეთუ იქმენ ტაძარ დამტევნელ ცათა დაუტევნელსა“ (იოანე მტბევარი). როგორც მიუწვდომელია ის ადგილი, სადაც განხორციელდა „საიდუმლო სიბრძნისა საღმრთოისაი“ და „დაუსაბამოი დასაბამიერ იქმნა“, ასევე მიუწვდომელია ეს ბეთლემის ქვაბიც, რომლის გამოც წერს ვახუშტი ბატონიშვილი, „გარნა საჭირო ასავალ არსო“. ეს ის სიტყვებია, რომლებშიც სულიერი აზრი უნდა ვიგულისხმოთ. ჭირს აღსვლა, რასაც ჯაჭვის არსებობა ადასტურებს. ჯაჭვი, როგორც სქენელთა დამაკავშირებელი საგანი, ამ თქმულებაში სიმბოლურ ღირებულებას იძენს: იგი ჭეშმარიტი რელიგიის ნიშანია, რომელსაც აჰყვებიან ღვთის რჩეულნი“.

ვინ არიან ბეთლემის საიდუმლოს მხილველნი? ესენია, ხევსურთა ანდრეზით, გახუა მეგრელაური (სოფ. ჭორმეშავის გოგოჭურთაგან). გუდანის საღვთოს ანუ გუდანის წმიდა გიორგის მკადრე, რომლის სულიერი თავგადასავალი – მოგზაურობანი ანგელოზებთან, ჯვარ-ხატებთან, მრავალ თქმულებაშია შემონახული. საგულისხმოა, რომ ხევსურული საკრალური ანდრეზების თანახმად, ბევრი ხევსურული ჯვარი თუ ხატი, ღვთისშვილი, სწორედ გერგეთის „ბეთლემის სახლიდან“ იღებს დასაბამს. ეს ის ხატებია, რომლებიც ფუტკრებივით ირეოდნენ გახუას თვალწინ „ბეთლემის სახლში“; ზოგი მათგანი მტრედის სახით ეჩვენებოდა.

მოხვევური თქმულება ასახელებს ვინმე მამუკა ბერს. საგულისხმოა, რომ იგი

მონადირეც არის; მთიელთა საკრალური ანდრეზების მიხედვით, მონადირენი, „უბრალო“ მოკვდავთათვის მიუწვდომელ საიდუმლოებებს არიან ზიარებულნი.

„კალმასობაში“ ნახსენები იოსებ მოხევე, მხილველი ბეთლემისა, შესულია „საქართველოს საეკლესიო კალენდარში“. მისი ხსენების დღე მოდის 7 ოქტომბერზე (ძველი სტილით): „ღირსისა მამისა ჩვენისა იოსებ ხუცისა, მოხვეისა, სასწაულმოქმედისა (1763)“, თუმცაღა, თითქმის არაფერი ვიცით მის შესახებ.

ღვთის რჩეულთ ბოძებული აქვთ ბეთლემის საიდუმლოთა ხილვის უფლება, მაგრამ ყველაფრის გაცხადების ნება არ ეძლევათ. ამას გულისხმობს ვახუშტის სიტყვები „არამედ ვღუძებ“. ასევე არ აცხადებს მამუკა ბერი ბეთლემის ეკლესიის „საკვირველებას“, მის საკურთხეველში რომ იხილა. ასევე გუდანის წმიდა გიორგის მკადრეს არ ჰქონია ნება მიცემული მის მიერ ხილულ საიდუმლოებათა საჯაროდ გამჟღავნებისა (თქმულების თანახმად, ჯვრის საიდუმლოთა გამოქმედი გახუა მეგრელაური ისჯება იმავე ჯვრის მიერ, რომლის რჩეულიც იყო) (საქართველოს საპატრიარქოს გაზ. „მადლი“, №11, 11 სექტემბერი, 1990, ხალხური გადმოცემები და ქრისტიანობა).

პირველი ქართველი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი, ვინც ბეთლემის სანახებს ეწვია შესწავლისა და არა დათვალიერების მიზნით, პროფ. სერგი მიკალათია იყო. მოგზაურობა 1930 წლის 21 აგვისტოს შედგა. ყაზბეგიდან 20 კმ. გზა გაიარეს. „მრავალი სიმაღლის გადალახვის შემდეგ ჩვენ მივაღექით ყინულის უზარმაზარ ტაფობს და დაბანდული ფეხებით ჩქარა ყინულის ამ დახრამულ ველზე გავცურდით. ირგვლივ ყინულის ნაპრალებიანი კლდეები და კოშკებია, ისმის წყლის ჩუხჩუხი და ყინულვარდნილის გუგუნი. ამ ტაფობის იქით უკვე ბეთლემის საზღვარია, სადაც იწყება ყინვარების ღორღიანი მორენა. მცენარე აქ უკვე ჰქრება და მთელი ეს ადგილი არის ნამდვილი უდაბნო.

„შორს ერთ მაღალ კლდეზე ბეთლემის ჯვარი მოჩანს, მაგრამ მისი გზა და კვალი უჩინარია. გათენდა. დილიდანვე შევუღექით ბეთლემის გზას და მძიმე ნაბიჯით ვარღვევდით



ბეთლემის ქვა-ღორღიან მორენას. შუადღისას ავედით ბეთლემში, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 4000 მეტრს აღემატება“.

სინამდვილეში იგი აგვიწერს სტეფანე პირველმოწმის სახელზე აგებულ სამონასტრო კომპლექსის ნაშთებს: „ჟამთა ვითარებაში ბეთლემში ყველაფერი წალეკილა. მისი სენაკები და გამოქვაბულები დაშლილა, მხოლოდ დიდ მორენაზე ანდუზიტის ქვის ჯვარია შერჩენილი. ანდუზიტის ამ ლოდის აღმოსავლეთ მხარეზე ამოჭრილია ხუცური წარწერა, რომელზედაც გარკვევით რამდენიმე ასო მოჩანს“...

„ამ ლოდს სამხრეთით მიშენებული ჰქონია სამლოცველო, რომელიც უკვე ჩაქცეულა და აქვე ჰყრია მისი კოჭები და სახურავის ფიქლები, მაგრამ მისი სასანთლე და ქვის ორი ბოძი ჯერ კიდევ დგას. აქვეა აიაზმის ქვის ჭურჭელი და მარხილის ნაწილი. ამ მარხილით ბერები შეშას ეზიდებოდნენ თურმე. ჩრდილოეთით ორი მრგვალი სენაკის ნანგრევია. აქვეა დაცული რაღაც ძველი შენობის ორი კედელი, რომელსაც ირმის საწველს უწოდებენ. ამ ირმის საწველის გასწვრივ კლდის ძირში მეუღაბნოეთა სენაკები ყოფილა გამოკვეთილი, ზემოთ კი განდგილის გამოქვაბული, საიდანაც ჯაჭვი იყო თურმე გადმოკიდებული და ამ ჯაჭვით გამოქვაბულში ადიოდნენო. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს კლდე ძლიერ ნიაღვარს ჩამოუნგრევია

და ბერების სენაკები და განდევნილის გამოქვაბულიც თან დაუტანია. ნიაღვრისაგან იქაურობა დღეს ისეა წალეკილი, რომ ნაგებ-ნადგომის ყოველგვარი კვალი წაშლილია. ბეთლემის აღმოსავლეთით დარჩენილია ე.წ. „ამირანის ქოხის“ ორი კედელი“ (ს. მაკალათია, ხევი 1934, გვ. 235-238).

1930 წლის აღწერასთან ერთად შეფასებაც გვაქვს იმავე ავტორისა: „ბეთლემში ძველად მეუღაბნოეებს უცხოვრიათ და ის დიდ სალოცავად ითვლებოდა... მოხევეების რწმენით ბეთლემი სასწაულმოქმედია და მის საზღვრებში მონადირეს თოფის სროლა და ნადირობა არ შეუძლია, რადგან ბეთლემი მას დააბრმავებსო. დაკოდილი ნადირი აქ ხელუხლებელია და ხატის ძალით იკურნებაო. ბეთლემშივე ინახება თურმე ქრისტეს ბაგა, მოსეს კარავი, ცის მანანა და სხვა. აქვეა ოქროს აკვანი, რომელსაც მტრედი არწევსო.“

სერგი მაკალათიას რკინის ჯაჭვიანი ბეთლემის გამოქვაბული არ უნახავს. მან მხოლოდ მის მახლობლად მდებარე სამლოცველოებისა და სამეურნეო თუ საცხოვრებელი ბინების ნაშთები იხილა. ლეგენდის დასადასტურებლად ეს დიდი მიღწევა იყო, ხოლო ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენამდე კიდევ 18 წელი უნდა გასულიყო...

როგორც პროფ. მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავს „მხოლოდ ლეგენდა-თქმულებების საშუალებით ვერ გადაწყდება კომპლექსის პრობლემა. აქ, ალბათ, ქრისტიანობამდელი რწმენის ფენაც იჩენს თავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი შესწავლა საეკლესიო და სახელმწიფო განძთსაცავის თვალსაზრისით, რაზედაც ხაზგასმით მიუთითებენ. „ბეთლემი არის ქართლის საეკლესიო განძის საცავი. ერის გარდასულმა სისხლიანმა საუკუნეებმა აიძულა ხალხი შეექმნა ქალაქი, რომელიც ბუნებრივი პირობებითაც იქნებოდა მტრისთვის ხელმიუწვდომელი“ (გ. მირიანაშვილი).

რამდენიმე მიკროტოპონიმია შემორჩენილი ამ მხარეში: „ამირანის ნაქოხარი“, „მარიამ წმინდის საბრძანისი“, „ირმების საწველი“, „ბერების აბანო“, „ნაბერალი“, „ჯვარი“...

„განდევნილში“ დაწვრილებითი ცნობებია შეტანილი ბეთლემის შესახებ. შეუძლებელია ამგვარად სინამდვილესთან მიახლოებული მონაცემები მგოსნის ფანტაზიის ნაყოფი

იყოს. ვფიქრობთ, თუ პირადად ილიას არ უნახავს სამება-ბეთლემის გარემო, მაშინ ი. ჭავჭავაძეს ისეთი ინფორმაციური ჰყავდა, ვინც თვითმხილველი იყო და კარგად იცნობდა ბეთლემის კომპლექსს, მაღალი მთის ამ პატარა ქალაქს, რომლის მსგავსი, ალბათ, ტიბეტის მთებში თუ მოინახება სადმე“ (მ. ჩიქოვანი).

როგორც სერგი მაკალათია გადმოგვცემს, „ბეთლემის ირგვლივ ბევრი თქმულება იყრის თავს, ყველა მათგანი „სამიჯნურო ცდუნების“ ციკლს როდი მიეკუთვნება სამიჯნურო ცდუნების შემცველი პირველი ლეგენდა გამოქვეყნებულია ს. მაკალათიას ეთნოგრაფიულ ნაშრომში. იგი მყინვარწვერის წარმოშობას შეეხება და შეიძლება ეტიოლოგიური მოთხრობების ჯგუფში მოვაქციოთ. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

„ბეთლემის წინამძღვარი სტეფანე ბერი ყოფილა. ერისკაცობაში მას ღრუბელა რქმევი და კარგი ვაჟკაცი იყო. ჰყოლია ლამაზი ცოლი. პირობა დაუდვიათ ცოლ-ქმარს: თუ რომელიმე ადრე მოკვდებოდა, მეორე ქვრივად დარჩებოდა თავისდღეში. ღრუბელას ლამაზი ცოლი ერთ დღეს ჩერქეზ ბატონს მოუტაცია და მღვერობის დროს დაღუპულა.

დაქვრივებული ღრუბელა პირობას მტკიცედ იცავდა. შეუჩნდა თურმე მეზობლის ქალი, შემირთეო. თავმოებურებული კაცი სოფელში ბერად შემდგერა. ქალი მწყემსად წასულა და ბეთლემს უტრიალებდა, რომ ღრუბელას – აწინდელ სტეფანეს სადმე შეყროდა. ერთხელ ქალს ბერების აბანოში უბანავია და ამით იგი შეუბილწავს. ამტყდარა საშინელი ჭეჭა-ჭეხილი. წმინდა ხატი გაჯავრებულა. მწყემსს ფარა გაჰფანტვია. ცხვრის ძებნაში გამოქვაბულს მისდგომია. შეშინებული ხმით დაუწყია ძახილი, შემიფარეთო. განდევნილ ბერს ჯაჭვი გადმოუშვია. ქალი გამოქვაბულში ასულა. ბერი მაშინვე მთაში წასულა ცხვრის საძებნელად.

ქალმა ბერს თვალი შორიდან მოჰკრა, სტეფანედ მიიღო და მისი ცდუნება განიძრახა. დაჯდა კერასთან, გათბა და გაშიშვლებული წამოწვა. ბერი ხელცარიელი დაბრუნდა, დაინახა ცეცხლთან მყოფი ქალი და შეცდა. დილით ქალი მიხვდა, რომ ცდუნებული ბერი სტეფანე არ იყო. დაიკვივლა და



ხრამში გადავარდებოდა, რომ განდგეილს არ შეეკავებინა. ბერმაც იგრძნო შეცდომის სიმძიმე, მზის სხივები მის ხურჯინს აღარ იკავებდა, კალათით წყალი ვეღარ მოჰქონდა და მონასტრიდან მტრედებიც გაფრინდნენ. აიაზმის წყალი ისხურა ბერმა, მაგრამ არ უშველა. მაშინ შეიყარნენ თურმე ბერები, რათა შეცოდების პატიება ეთხოვათ ღვთისთვის. ამ დროს სტეფანეც გამოჩნდა. ქალს ძალიან შერცხვა თურმე, ერთი დაიკვივლა და ხრამში გადავარდა. დედამიწა საშინლად შენძრეულა, ჭექა-ქუხილი ამტყდარა და ბეთლემის უდაბნოს მყინვარწვერი დაყუდებია თავზე ცოდვის ნიშნად“ (ს. მაკალათია, ხევი, 1934, გვ. 240-24).

„1945 წელს, სამეობოა დღეს გერგეტელმა მოხევემ ერთი ლეგენდა მიაძბო. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ცნობილთაგან“ – გადმოგვცემს პროფ. მიხელი ჩიქოვანი: „ბეთლემში ფილიპე ბეთლემელი ცხოვრობდა. ფილიპე წმინდა ადგილს არავის აკარებდა. იქვე ცხოვრობდა სხვა ბერიც, რომელიც აღკვეცამდე თურმე ერთ მოხევის ქალს უყვარდა. როცა ის კაცი ბერად წავიდა, ქალმა მწყემსობას მოჰკიდა ხელი და ბეთლემის მახლობლად ცხვრის ძოვება დაიწყო. ერთხელ წვიმიან დღეს მოხევის ქალი ისე მიუახლოვდა

ბეთლემს, რომ ფილიპეს არ გაუგია. დაღამდა. ქალს გზა აერია და ცხვარი დაეხრა. ამ დროს კლდეში ცეცხლი დაინახა და მიუახლოვდა. შესძახა. ზვიდან ხმა მოესმა: – ვინა ხარ, აქ რამ მოგიყვანა? ქალმა უთხრა: – გზა და ცხვარი დაგკარგე, ღამე გამათევიეო. ქალს თავისი საყვარელი ბერი ეგონა. ფილიპემ ჯაჭვები გადმოუშვა და როგორც კი ქალი აიყვანა, მაშინვე თავის სენაკში შევიდა. მწყემსი ცეცხლის პირას დაჯდა, გათბა, სველი ტანისამოსი გაიხადა და შიშველი მიწვა. ფილიპე სენაკიდან გამოვიდა და, როცა ცეცხლის პირას მივიდა, მშვენიერი არსება დაინახა, შეცდა. მეორე დღით ადგა ფილიპე ბეთლემელი, გამოვიდა, მაგრამ ქალი იქ აღარ დახვდა (ქალი მიმხვდარა მის შეცდომას, რომ მასთან სხვა ბერი იყო და გადაიკარგა.); ფილიპე სენაკში შებრუნდა და ლოცვა დაიწყო, აიღო ხატი და, როგორც ყოველთვის, მზის სხივებზე დასვენება მოინდომა, მაგრამ სხივმა ხატი აღარ დაიჭირა. ამ დროს მონასტრიდან იქ მყოფი ოქროს მტრედები გაფრინდნენ და ირმები გადაიკარგნენ. ფილიპეს ელდა ეცა, გამოვიდა გარეთ და, როგორც კი მზის სინალე მოხვდა, დაიკარგა, ყინულოვან ნაპრალებში გადაიჩინა“ (მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“).

ფილიპე ბეთლემელის თავგადასავალი უკვე აღარ შეიცავს ყინვარწვერის დაყულების ეპიზოდს. ლიტერატურათმცოდნეობა იცნობს პოეტურ ნაწარმოებს, სადაც აკროსტიხული ლექსის სტრიქონთა თავკიდური ასოებით იკითხება ავტორის სახელი „ფილიპე ბეთლემი“.

**ქება ბეთლემისად,
ქალწულისად და ძისად**

(თავნი იტყვიან „ფილიპე ბეთლემი“)

შესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთისმშობელო,
ღამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებვით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებად ბრალთა ჩვენთა, დიდებულო!
პატიოსან და წმინდა არს სახლი შენი, სანატრელო,
მკლესიად ბეთლემისად ცათა მსგავს არს, უბიწოლო,
ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, ჰოდ ბეთლემო,
მმსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ჰოდ, წმიდაო,
თაყვანის ვსცემთ ქვაბსა მაგას დიდებულსა, ჰოდ, უხწრნელო.
ლოცვად ჩვენი შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო,
მც მოსავთა შენთა პოვნად წყალობისად, სახიერო,
მადლი შენი მფარველ მეყავნ მე, უღირსსა, მოწყალეო,
ითხოვე დღეს თხოვად ჩემი ცოდვილისად, მწყალობელო!“

როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, ლექსში მოხსენიებული ბეთლემი შეეხება ქრისტეს შობის ადგილს, იერუსალიმიდან – „მშვიდობის ქალაქიდან“ 10-ოდე კილომეტრით დაშორებულ ბუნებრივ მღვიმეს, რასაც ქართული ფოლკლორი ასოციაციურად უკავშირებს მყინვარწვერის სანახებში არსებულ მღვიმე-გამოქვაბულებს.

ილია ჭავჭავაძის პოემაში გამოყენებული მზის სხივის სასწაულებრივი მოქმედებაც ქართულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაშიც დიდი ხნიდან არის ცნობილი. ქართლის ცხოვრების მიხედვით ერთ ისტორიზებულ თქმულებაში ხომ არის აღწერილი ფარნავაზის სიზმარი და მზის სხივის სასწაულებრივი ამბავი: „მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდნა, და განიყვანა სარკუმელსა მას, და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე მდაბლად, მიჰყო ხელი და მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა, და იცხო პირსა მისსა“.

ილიას „განდეგილშიც“ მზის სხივი თუ ხატს იჭერდა, შეცოდების გამო სხივმა კეთილი მაუწყებლობის თვისება დაკარგა

ორივე ნაწარმოებში – „განდეგილშიც“ და ზეპირ გადმოცემაშიც.

ილია ჭავჭავაძის განდეგილი სხივებ-ქვეშ განუტევებს სულს; ზეპირსიტყვიერების გმირსაც მოხვდება თუ არა მზის სინათლე, მაშინვე დაიკარგება.

ილიას შემოქმედებას უხვად კვებავდა ქართული ფოლკლორი, მაგრამ ძალზე ნიშანდობლივია სიტყვები ავტორისა, პოემაში გამოყენებული მასალის მიმართ, რაც მისი ბიოგრაფის, გრიგოლ ყიფშიძის მოგონებებს შემოუნახავს: „აი, ერს რა გვარად წამს სიწმინდე, მარტო ოდენ ცოდვილმა ფიქრმა, რომელიც გულში გაიტარა წმინდა ბერმა, დაუკარგა ლოცვანი“.

სამართლიანად ასკენის პროფესორი ლადო მინაშვილი, როდესაც ამ სიტყვებს იმოწმებს თავის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე“: „ილიას, განდეგილობის ზოგადსაყოველთაო მასალაში, ეროვნულის გამოვლენის ფაქტი იზიდავს და გარკვეულ შემოქმედებით იმპულსადაც გამოდის“.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა

ბუნდოვანება და გაუგებრობა სუფევდა მყინვარწვერის ლეგენდებთან დაკავშირებით, ბეთლემის გამოქვაბულის გამოკვლევამდე არც ისე დიდი ხნით ადრე. მოვიტანთ ცნობილი რუსი მთამსვლელის სერგეი ანისიმოვის გამონათქვამს – 1928 წელს გადმოსცემს რა ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ აღნიშნულ ცნობას, თავის მხრივ წერს: «Так помимо всем известного и всем видшого храма Цминдасамеба, где-то на вершине Казбека или может быть на его склонах, имеется будто бы еще какой то монастырь Бетлеми в никому неизвестной и совершенно неприступной пещере... Никто из обыкновенных смертных никогда не видел ни монастыря Бетлеми, ни колыбели, ни шатра и увидеть не может, ибо проникнуть святилище можно только чистому и совершенно святому человеку. Для таких на скалах Казбека имеется будто бы огромная цепь, прикованная к совершенно отвесной, очень высокой скале, и святые люди по ней проникали в монастырь Бетлеми и сообщили людям и о колыбели Христа и о шатре Авраама» (Анисимов С. С. «От Кавказа к Эльбрусу», М. 1928, 51-52).

რუსი მთამსვლელის ამგვარი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში ცნობილი ფაქტისადმი დასტურია იმისა, რომ იგი არა მარტო ილია ჭავჭავაძის პოემაში აღნიშნულ ფაქტებს უკეთებს იგნორირებას, არამედ მისთვის უცნობია თვით ვახუშტი ბაგრატიონის – ლომონოსოვის თანამედროვისა და რუსეთში მისი თანამოღვაწე მეცნიერის ინფორმაციაც ბეთლემზე; მისთვის უცნობია საქართველოში რუსეთის ელჩის – მიხეილ ტატიშჩევის მიერ XVII საუკუნის დასაწყისში ხევში ჩაწერილი ლეგენდა ბეთლემზე, რომლის ხელნაწერი ინახება მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. მისთვის ასევე უცნობი ჩანს მყინვარწვერზე ასვლის მცდელობისას 1811 წელს ფრიდრიხ პაროტის ინფორმაციაც, რომელმაც ნახა ამ მიდამოებში ქვის ჯვარი და რომელიც შემდეგ, 1913 წელს აღწერა რუსმა ინჟინერმა ი. დუხოვსკიმ, რომელმაც ამ ჯვართან ერთად აღმოაჩინა

სამონასტრო კომპლექსის რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. 1913 წლის 15 დეკემბრის №49 ჟურნალ „ისკრი“-ში გამოქვეყნდა მასალა სათაურით – „წმინდა ნინოს ტაძარი“, რომელშიც კვითხულობთ: „კავკასიის მთიელთა შორის – ინგუშებსა და ხევსურებში დიდი ხანია დადის ხმები, ყაზბეგის მწვერვალზე, მის მიუვალ კლდეებსა და მუდმივ ყინულებში არის რომელიღაც ძველი ტაძრის ნანგრევები. ამ მონათხრობს ფანტაზიის სფეროს აკუთვნებდნენ და უკანასკნელ დრომდე არ სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ მთიულები მწვერვალზე შესამჩნევ ჯვარს მიუთითებდნენ და ამ ადგილს „წმიდასა“ და „ბეთლემს“ უწოდებდნენ. მხოლოდ მიმდინარე ზაფხულს, ყაზბეგის მყინვარების გამოკვლევას რომ აწარმოებდა, რუსეთის სამთო საზოგადოების ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა ა. ი. დუხოვსკიმ შეძლო ამ ადგილზე, 12700 ფუტის სიმაღლეზე (= 3800 მ) ნამდვილად აღმოეჩინა ძველი მონასტრის ნანგრევები, რომელიც გადმოცემით დაუარსებია საქართველოს განმანათლებელს წმინდა ნინოს. ნანგრევები გერგეტის მყინვარის უშუალო სიახლოვეს არის. შემონახული საძირკვლის მიხედვით, აქ იყო სენაკი და საყდარი. ძველი ტაძარი, უთუოდ დაანგრია არა დრომ, არამედ კატასტროფამ (ყინულის ან კლდეების ჩამოხვავებით), ასე რომ, შენობის ხის ნაწილიც შემონახულია.

ადგილობრივი პირობების სირთულის გამო, მისაღწევად სამი ასვლა დასჭირდა, პირველი ასვლა მოხდა ივლისში, ბოლო კი სექტემბერში. ჯერ მხოლოდ ადგილის დათვალიერება ჩატარდა, გათხრები კი მომავალი წლისთვის გადაიდო“.

წერილთან ერთად დაბეჭდილია ფოტოები მონასტრის ნანგრევებსა და მასიური კლდის თავზე აღმართული ქვის ჯვრისა (ამჟამად მომტვრეულია).

მიუხედავად იმისა, რომ ხალხში „ბეთლემად“ წოდებული ძველი სამონასტრო კომპლექსის ნაშთების შესახებ მასალები გამოქვეყნდა და საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ, საიდუმლო მინც ლეგენდადვე რჩებოდა.



* * *

ამ ამბის შემდეგ 35 წელი გავიდა...

და აი, ერთ დღეს, ცნობილ მთამსვლელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრა ჯაფარიძეს მოულოდნელად ესტუმრა ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი შალვა წერეთელი, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა ჩამოიტანა:

„— რამდენიმე დღის წინ — ჰყვებოდა იგი — ჩვენს მეტეოსადგურში გვეწვია ლევან სუჯაშვილი; მან განაცხადა, რომ ნოემბრის დასაწყისში, მეტეოსადგურთან გზად მიმავალმა, როცა დასასვენებლად ჩამოჯდა ყინვარზე, შორეულ კლდეში დაინახა... შავი კარები, საიდანაც ეშვებოდა ჯაჭვი...“

ჩვენ არ დაუფერეთ ლევანს, რადგან იმ ადგილებში ასეულ ადამიანს და ჩვენც არაერთხელ გაგვივლია; მაგრამ ცნობა მართალი აღმოჩნდა — კარი და ჯაჭვი დავინახეთ... მხოლოდ ერთი წერტილიდან! თუ ამ წერტილიდან გადაიწევთ თუნდაც მეთექვსმეტე გრადუსით — შიშველ კლდეებს დაინახავთ; ნაბიჯიც გადავდგი თუ არა ამ ადგილიდან, კარები მაშინვე გაქრა თვალთახედვიდან“...

ამ ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ცნობა ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის შესახებ ელვის სისწაფით გავრცელდა.

ზამთრის სეზონის მიუხედავად, დაუყოვნებლივ გადაწყდა ექსპედიციის მოწყობა. რამდენიმე დღის შემდეგ ექსპედიციის პროექტი დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ალექსანდრა ჯაფარიძე.

1948 წლის 2 იანვარს, ალ. ჯაფარიძე და შ. წერეთელი თბილისიდან გაემგზავრნენ. ისინი ჩქარობდნენ მყინვარის დალაშქვრას მოესწროთ თებერვლის ქარიშხლიანი ამინდების დადგომამდე. საქართველოს სამხედრო გზა უკვე ჩაკეტილი იყო, ჯვრის უღელტეხილზე დიდი თოვლი იდო. მთების შემოვლა მათ მოუხდათ ბაქოსა და ძაუჯიყაუს (ახლ. ვლადიკავკაზი) გზით. თერგის ნაპირებიდან კი მგზავრობა მარხილებით განაგრძეს.

ყაზბეგში (სტეფანწმინდა) ექსპედიცია 4 იანვარს ჩავიდა, აქ მათ შეუერთდა ლვან სუჯაშვილი. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების თხოვნით ექსპედიციაში შეიყვანეს აგრეთვე, ყაზბეგის მუზეუმის დირექტორი **სტეფანე ალიბეგაშვილი**, რომელსაც თან ორი თანამშრომელი ახლდა.

6 იანვარს დილის 6 საათზე, 6 კაცისგან შემდგარი ჯგუფი, თოვლიანი ალპური ველების გავლით გაემართა მწვერვალის ციცაბო კალთებისკენ. გაიარეს სოფ. გერგეტი,



ალექსანდრა ჯაფარიძე

მარჯვნიდან შემოუარეს სამების გორას და „ხატის მინდორზე“ გავიდნენ. მღ. ჩხერის მარჯვენა ნაპირის ასწვრივ აუყვნენ „საბერ-წემდე“, მაგრამ, რადგან მყინვარწვერისკენ მიმავალი ნაცადი გზით დიდი თოვლი ჩანდა, წავიდნენ „ზამთრის გზით“, ამისათვის დასჭირდათ უკვე დაძლეული სიმაღლის „დაკარგვა“, სამაგიეროდ, გავიდნენ უფრო გრძელ, მაგრამ სრულიად უხიფათო გზაზე. მიუხედავად ამოვარდნილი ქარისა და თოვლისა, კიდევ რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ გასცდნენ „ნაცარქედს“, გავიდნენ გერგეტის მყინვარის ვაკე მორენაზე და მარცხნივ, მეტეოსადგურისაკენ აიღეს გეზი. გზად, მოხერხებული ადგილიდან დურბინით კარგად დაინახეს გამოქვაბულის კარი, ხოლო ჯაჭვი სიშორის გამო ჯერ კიდევ გარკვევით არ ჩანდა.

ნაშუადღევს, 3 საათზე ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს მეტეოროლოგიურ სადგურს. მოზამთრეები სიხარულით შეეგებნენ სტუმრებს. ყველანი გრძნობდნენ, რომ ისინი უჩვეულო ექსპედიციის მოწმენი და მონაწილენი იყვნენ.

7 იანვარს, დღით, 8 საათზე გაემართნენ გამოქვაბულისაკენ. ამჯერად ექსპედიციაში უკვე 8 კაცი შედიოდა: **ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან სუჯაშვილი, შალვა წერეთელი, სტეფანე ალიბეგაშვილი, არჩილ კობაიძე, გრიგოლ შადური და ორი თანამშრომელი მეტეოსადგურიდან, მთამსვლელები: ირაკლი იმნაძე და ვალერიან სუჯაშვილი.**

გერგეტის მყინვარის დათოვლილი მორენებით გეზი ჯერ ჩრდილოეთის მიმართულებით აიღეს, შემდეგ მოუხვიეს აღმოსავლეთისკენ, ბეთლემის კლდეების პირამდე და შემდეგ აღმა – ქვანაშალი და კლდოვანი გზით.


გამოქვაბულამდე მხოლოდ ერთი შესაძლო მისასვლელი ჩანდა. ქვადორღიანი ფერდობით კლდის პირიდან საკმაოდ ძნელად ასასვლელ კლდეებზე გადაინაცვლეს, რომელიც თითოეული მონაწილისაგან დიდ ყურადღებას, სიფრთხილეს, კლდეზე ცოცვის ტექნიკის ცოდნასა და დაცვის სწორ ორგანიზაციას მოითხოვდა. მიაღწიეს კლდოვანი მასივის იმ ადგილს, საიდანაც უკვე გარკვევით ხელავ-

ნენ გამოქვაბულის კარსა და ჯაჭვს. აქედან იწყებოდა გზის უძნელესი უბანი. აქ, ამ ადგილზე „მეკავშირედ“ შ. წერეთელი დატოვეს საჭიროების შემთხვევაში დახმარების გასაწევად. **სხვებმა კი ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, ვიწრო, კლდოვანი, გასასვლელით გეზი აიღეს ჯაჭვის ბოლოსაკენ პატარა მოედნის მიმართულებით.** ზოგან კლდეები იშლებოდა და ქვები დაბლა ცვიოდა. მამაცი სპორტსმენები ციცაბო კლდეზე მიკრულნი მიიწვედნენ. როგორც იქნა ჯაჭვის ბოლოსაც მიაღწიეს და განცვიფრდნენ: **ჯაჭვს საუკუნეებისთვის გაეძლო და არ დაჟანგულიყო.** გასინჯეს და დარწმუნდნენ, რომ მართლაც შეიძლება აჰყვეს მას კაცი, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც თოკი ამჯობინეს. წინ ლ. სუჯაშვილი ავიდა. მას აჰყვნენ ალ. ჯაფარიძე და ვ. სუჯაშვილი. მაგრამ ბეთლემის სენაკს არ სურს დათმოს საიდუმლო – კარი მაგრადაა დახურული, არ იღება. როგორც ჩანს, ჩაყინულ კარს ჯაჭვის სიმძიმეც არ უშვებს. კარის წინ პატარა მოედანია, რომელზეც სამნი ეტევიან... სცადეს კარის თავზე სარკმელში გადაძრომა და სამივენი სენაკში აღმოჩნდნენ. დანარჩენებიც თოკისა და ჯაჭვის დახმარებით ამოვიდნენ გამოქვაბულში. მხოლოდ ამის შემდეგ ამოზიდეს ზევით ჯაჭვი და კარი შიგნიდან გააღეს.

ბეთლემის გამოქვაბულის ლეგენდა სინამდვილედ იქცა!

ახლა საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა საიდუმლოს მალავს ლეგენდა...

მივყვეთ ალექსანდრა ჯაფარიძის ჩანაწერებს: **„გამოქვაბული მდებარეობს მწვერვალ ყაზბეგის სამხრეთ აღმოსავლეთით კლდოვან ფერდობზე, დაახლოებით 4000-4100 მ. სიმაღლეზე.** მისი გარეგანი სახე მეტად საინტერესოა: გამოქვაბულის კარი გამოკვეთილია თითქმის 400 მეტრის სიმაღლის შვეულ, მართლაც „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ“ კლდეზე. კლდე შორიდანვე განირჩევა თავისი მოწითალო ფერით და სრულიად მიუვალად ეჩვენება თვალს. მანძილი კლდის ფუძიდან კარამდე დაახლოებით 300 მეტრი იქნება, ხოლო კარიდან კლდის წვერამდე 100 მეტრი.



ბეთლემის გამოქვაბულის კარი.
სიმონ ჯაფარიძის ნახატი.

კლდეში გამოკვეთილი კარის სიმაღლე 1 მეტრი და 30 სმ; სიგანე კი – 60 სმ-ია. კედლის სისქე კართან 65 სმ-ია. ზემო ნაწილში გამონაკვეთი კარი რკალისებურია. კარის ორივე მხარე გამაგრებულია ბოძებით, რომელთა დიამეტრია 15 სმ, ბოძების სიმაღლე შიგნიდან მარცხნივ – 1,38 მეტრია, მარჯვნივ – 1,54 მ. ასეთივე ზომისაა გარეთა ბოძებიც. კარი ხის მთლიან ფიცარს წარმოადგენს. იგი ოთხკუთხედის ფორმისაა, სიმაღლით – 1,05 მეტრი, სიგანით – 45 სმ, სისქე – 8 სმ. როგორც კარი, ისე ბოძები ვერხვის ხისა უნდა იყოს.

კარის ზემოთ თავისუფალ ადგილს სარკმელის დანიშნულება აქვს, საიდანაც გამოქვაბულში დღის სინათლე შედის. უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვაბულის კლდის შვეული კედლის მიმართება არის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამრიგად, კარი, და მასადაძე, სარკმელიც პირდაპირ სამხრეთისკენაა მიმართული და მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები არ შორდება. ამით აიხსნება,

რომ გამოქვაბულში საკმარისი სინათლეა და კარის გაღების შემთხვევაში ფოტოგადაღებაც კი თავისუფლად შეიძლება.

ხის კარზე გარედან მთლიანად, ხოლო შიგნიდან ნაწილობრივ გადაკრულია 2 მმ სისქის რკინის ფურცელი, რომელიც მოჭედ-ილია მსხვილთავიანი ლურსმნებით და რკინისვე დაგრეხილი რგოლებით. კარის შიგნით, მარცხენა ბოძის ძირში დამაგრებულია მოკლე, ერთმეტრიანი ჯაჭვი, შუა კარზე დამაგრებული წვრილი ჯაჭვის სქელ ხლართში გამობმულია 5,5 მეტრი სიგრძის მსხვილი ჯაჭვი, რომელიც გადმოკიდებულია კარიდან ქვემოთ, შვეულ კლდეზე. ჯაჭვის ბოლოში გამობმულია ნალისებური რკინა ხელის მარჯვედ მოსაკიდად.

ჯაჭვის ქვემოთ პატარა მოედანია, სადაც თავისუფლად თავსდება სამი კაცი. უეჭველია, ძველად ამ ადგილამდე მისასვლელი ბილიკი იქნებოდა, მაგრამ დროთა მსვლელობაში, კლდეების გამოფიტვის შედეგად დაზარალდა. ამჟამად ასეთი ბილიკის არსებობის არავითარი ნიშნები არ არის.

ამრიგად, უკვე გარეგანი სახე გამოქვაბულისა ცხადყოფს, რომ იგი ნამდვილად იმ ბეთლემის გამოქვაბულია, რომელიც აღწერილი აქვს ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიაში. უდავოა, რომ ილიასეული აღწერაც ჩვენს მიერ აღმოჩენლ გამოქვაბულს ეხება“.

ექსპედიციის წევრთა ყურადღება მიიპყრო გამოქვაბულის სისუფთავემ. „კედლები და ჭერი სუფთად იყო შეთეთრებული. მას ემჩნევა ხელოვნური გამოკვეთის კვალი. კარისკენ ოღნავ დახრილი იატაკი მოგებულ იყო ოთკუთხა პარკეტივით მჭიდროდ ურთიერთ-მორგებული ფილებით. კედლები თითქმის მრგვალადაა გამოკვეთილი კლდეში. უკანა კედელი უფრო განიერია და თანდათანობით ვიწროვდება კარისაკენ. ჭერი გუმბათისებურია. კარიდან მოპირდაპირე კედლამდე მანძილია 3,90 მეტრი, დასავლეთიდან აღმოსავლეთ კედლამდე – 4,10 მეტრი, სიმაღლე – 2,68 მეტრი, იატაკის გარშემოწერილობა უდრიდა 13,35 მეტრს. ყურადღება მიიქცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულმა ტრაპეზმა, რომლის სიმაღლეა 66 სმ, სიგრძე – 73 სმ და სიგანე – 54 სმ. ტრაპეზის ფუძე ქვისაგან ხელოვნურად იყო ნაშენი, გარედან

შელესილი და შეეთერებული, ხოლო თვით ტრაპეზი ანდეზიტის ბრტყელ, თლილ ქვას წარმოადგენდა, რომლის სიგრძეა 82 სმ, სიგანე 65 სმ და სისქე – 7 სმ. ტრაპეზზე გადაფარებულ ნარმის მსგავს, მაგრამ უფრო თხელ და სრულიად თეთრ, კუსტარულ ქსოვილზე ეწყო შემდეგი ნივთები: **მარცხენა წინა კუთხეში მოზრდილი სამფეხა ბრინჯაოს შანდლის ძირი; მარჯვნივ ერთ კუთხეში – ხის ლამბაქი; მეორე კუთხეში – ხისავე ჯამი; შუაში მოთავსებული იყო ხის პატარა კოლოფი ორი განყოფილებით, რომელშიც ეყარა 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული. შუაშივე იდგა მუცელგანიერი პატარა ხის ჭურჭელი გახვრეტილი თავსახურით, რომელიც შესაძლოა მირონისთვის იყო გამოყენებული, ტრაპეზზევე იყო მარმარილოს პატარა ნაჭერი და ორი ხის ფირფიტა, რომლებზედაც შესაძლებელია, ხატები იყო დაკრული.**

ტრაპეზის ორივე მხარეს აღმართულ ორ წვრილ ხის ბოძზე, რომლის ქვედა ბოლო იატაკს, ხოლო ზედა – თაღს ებჯინებოდა, თოკივით იყო გაბმული ქსოვილის ნაჭერი, რომელზეც ტრაპეზის ჩრდილო მხარეზე

ფარდასავით გადაკიდებული თეთრი ქსოვილის რამდენიმე ნაჭერთაგან ზოგი დახეული იყო. ამ ქსოვილებზე მიყრდნობილი ჭედური ხატი (დროშა) ასომთავრული წარწერით – 13 X 19 სმ ზომისა იყო. ხატზე ეფინა ისეთივე ნაჭრის ნაქარგი ხელმანდილი. ხატის მარცხნივ და მარჯვნივ ქსოვილებზე გამოხატული იყო ჯვარი.

ტრაპეზის გვერდით, გამოქვაბულის აღმოსავლეთ კედელთან იდგა მაღალი სამფეხა ხის შანდალი, კლდეზე მიყუდებული 5 წლის ჯიხვის რქა, აღმოსავლეთ კედელთანვე, კარიდან 1,5 მ მანძილზე იდგა ქვის დასაჯდომი, რომელიც ანდეზიტის ორი ქვისგან შედგებოდა: 40 სმ სიგრძის, 30 სიგანისა და 30,5 სმ სიმაღლის. ქვედა ნაწილს ზემოდან ელო იმავე სიგანის, 40 სმ სიგრძისა და 10 სმ სისქის ანდეზიტის თლილი ქვა.

ტრაპეზის ჩრდილო მხარეზე, ზედ კედელთან იდო ოთხწახნაგოვანი გამოთლილი დიდი ქვა, რომლის ქვედა მხარე უფრო განიერია და ზედა ნაწილი ვიწრო. ზემოდან, შუაგულში ნახვრეტია. ქვის განიერ გვერდზე გამოკვეთილია ფართო ჯვარი. მეორე მხ-



ბეთლემის გამოქვაბულში.

არეზეც გამოკვეთილია ჯვარი, დანარჩენი ორი გვერდი თავისუფალია. გამოქვაბულში ადამიანის ცხოვრების კვალი არ შეიმჩნევა. ჩანს, მას მხოლოდ სამლოცველოს დანიშნულება ჰქონდა.

სენაკის დასავლეთ კედელზე ხის ორი ნაჭრისაგან შემდგარი სათადარიგო კარი იყო მიყუდებული, გამოქვაბულის კარის ზომისა. როგორც ჩანს, ოდესღაც ორივე კარი აბმული ყოფილა, შემდეგ კარის ადგილას ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ოთხი ხის ბოძი ჩაუსვიათ, რომელიც შიგნიდან ამოლესილია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისა, აქვე აღმოჩნდა ისრის პირი სატარით (10 სმ სიგანის), ჩრდილო კედელზე ეკიდა დაჟანგული, პატარა ყუნწიანი, ნახევრადსფეროებური, გვერდებშეჭყლეტილი ორი თითბრის ეჟვანი, საზიარებელი რკინის კოვზი, სამი ნემსკავი, ხის ჭურჭლის სათლელი ხვეწი და სხვ. სულ 20 საგანი“.

სამი საათი დასჭირდათ ექსპედიციის წევრებს გამოქვაბულის აღწერისთვის. დაბრუნებისას კი ეს ნივთები, რომელიც დიდად საინტერესო უნდა ყოფილიყო მეცნიერებისათვის – თან წამოიღეს. კვლევის პირველი შედეგების შესახებ, ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსანდრა ჯაფარიძე, დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა საქართველოს ალპური კლუბის წევრების წინაშე. სხდომა გახსნა კლუბის პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნიკო კეცხოველმა. მან შეაფასა აღმოჩენის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ „ესაა პირველი ნაბიჯები ამ საინტერესო ობიექტის კვლევისა, რადგან, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, მყინვარის კლდოვან კალთებზე ყოფილა მღვიმე-გამოქვაბულთა მთელი სისტემა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღეს-დღეობით ამოვსებულ-ამოქოლილია, ხოლო სხვები ყინულთა საფარველითაა დაფარული“.

ბეთლემის საიდუმლოების გასაღები მიგნებულია და თუ ლეგენდების ლოგიკა შემდეგშია დადასტურდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბეთლემის გამოქვაბული ის სადგომია, რომლის ბინადარსაც განძის დაცვა ევალებოდა“.

ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული ნივთები ჩამოტანილ იქნა თბილისში, რომლებიც ყურადღებით გამოიკვლია საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ჩიტაია, ხელოვნებათმცოდნე იროდიონ სონღულაშვილი და ნუმიზმატი თამარ ლომოური.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხატი-დროშა რელიეფური გამოსახულებით და წარწერებით ძველი ქართული ჭედურობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და არაუგვიანეს XII საუკუნისა უნდა იყოს. უფრო ადრინდელი წარმოშობისაა შანდლის ბრინჯაოს სადგამი (ძირი); ვერცხლის ფული სხვადასხვა ეპოქისაა, აქედან ორი მონეტა ერეკლე მეფის დროინდელია, ერთი – XV საუკუნის მეორე ნახევრისაა, ხოლო 7 ცალი – XVII საუკუნის ირანული მონეტებია. გამოკვლევის შემდეგ ეს ნივთები ექსპონირებულ იქნა ყაზბეგის მხართმცოდნეობის მუზეუმში; აქვეა გამოქვაბულიდან მოგვიანებით ჩამოტანილი რკინით მოჭედილი სათადარიგო კარი და ჯაჭვი...

აქვე უნდა დავახუსტოთ, რომ ბეთლემის სამონასტრო კომპლექსში შედის ობიექტები, რომელთაც ეწოდებათ: „ამირანის ნაქოხარი“, „მარიამ წმინდას საბრძანისი“, „ირმების საწველი“, „ბერების აბანო“, მღვიმე-გამოქვაბულები და „ნაბერალნი“, რომლის მთლიანი ფართობი რამდენიმე ასეულ მეტრზეა გადაჭიმული.

„ნაბერალნი“ რომ ბერების სადგომს წარმოადგენდა, ეს პირველ რიგში მისივე სახელწოდებიდან ჩანს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მყონვარწვერის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. ჩხერისა და მისი მარცხენა შენაკადის – ბლოტას შუა წელში, ალპურ ვაკეზე, რომელზეც ზაფხულობით საძოვრად გაშვებულია ხოლმე მოხვევთა ცხენები, ზღვის დონიდან 3100 მეტრზე აღმართულია 12 მეტრის სიმაღლის სვეტისებური დენუდაციური შთენილი, რომელიც დასავლეთის მხრიდან ბერის ფიგურასავით გამოიყურება (ისახება კუზიანი ზურგი, წვერი, ცხვირი, თავზე დახურული კუნკული). ხალხის ფანტაზიას იგი „ბეთლემის ბერის“ სახელით მოუნათლავს.

თვით ბეთლემის მღვიმე მდებარეობს მყინვარწვერის სამხრეთ-დასავლეთით კლდოვან ფერდობზე, ხოლო ბეთლემის მონასტერი –



ალექსანდრა ჯაფარიძე და ლევან გოთუა

მყინვარის შუა წელის ჩრდილოეთით, ერთ-ერთი კლდის თხემზე, ბეთლემის გამოქვაბულიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 0,5 კილომეტრზე და 200 მეტრით დაბლა.

ბუნებრივია, პირველთაგანნი, ვისაც ამ აღმოჩენის შემდეგ ინტერესი გაუჩნდა ილიას ლიტერატურულ გმირთა საასპარეზო ადგილების მონახულებისა, იყო ქართველ მწერალთა და შემოქმედთა დიდი ჯგუფი, რომელსაც 1957 წელს, ილიას დაბადების 120 და მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთამსვლელი, ისტორიულ ძეგლთა მოამაგე და ბუნების მესაიდუმლე ლევან გოთუა, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენი, ლეგენდარული მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე და „ილიას გზით“ წაიყვანა ახალგაზრდები.

ილიას „განდევილის“ გმირთა სამყაროში – ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა და მყინვარწვერის დალაშქრა, ლაშქრობის მონაწილე

მწერლებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა და მათ ხსოვნაში წარუშლელ მოგონებად დარჩა, გურამ თიკანაძემ კი ფოტოსურათებით შემოუნახა შთამომავლობას დაუვიწყარი მოგზაურობის შეჩერებული წამები.

ამ ლაშქრობას მშვენიერი ნარკვევი უძღვნა, უდროოდ გარდაცვლილმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა, რომელმაც გულწრფელად და უშუალოდ აღწერა ლაშქრობის მონაწილეთა გზა „მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე“: „ყველა გავუშინაურდით ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელს, მწერალ ლევან გოთუას, გაგაახალგაზრდავით, ავიყოლიეთ მხიარულებაში. დღემდე გავიძახობთ: საეჭვოა, ალექსანდრა ჯაფარიძე წამოგვეყვას ლაშქრობაშიო. უკვე ამის თქმა აღარ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ პატივცემული ალექსანდრა არათუ მოგვეყვება, ჩვენზე წინ მიქრის: მანქანის კაბინაში ზის. რა დიდი იმედია ეს მათთვის, ვინც პირველად მიდის მთებში, ე. ი. ჩვენთვის. თუ ალპინიზადაში არის ჯაფარიძე (ოღონდ ეს გვარი ჰქონდეს!) ნურც ნაპრალების გემინია, ნურც ზვავისა. პატივცემულ ალექსანდრას სულ შავები აცვია, ახლანა დასაფლავა 12 წლის წინათ უშაზე დაღუპული ძმა, სახელგანთქმული მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე. ეს უფრო გადმოსვენებას ჰგავდა მთებიდან ბარში. განახლებულმა გლოვამ თმის უკანასკნელი შავი ღერებიც გაუთეთრა ალექსანდრა ჯაფარიძეს“...

სხვათა შორის, ალექსანდრა, რომელიც განახლებული მწუხარების შემდეგ მძიმე გლოვით იყო მოცული, ამ ლაშქრობაში მონაწილეობას მუდამ განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდა: „ლევანმა დამაძალა, შეიძლება ითქვას, მაიძულა ბეთლემში წავყოლოდი, უარი ვეღარ ვუთხარი და კიდევ კარგი რომ გავყევი. ალიოშას დასაფლავების შემდეგ, თბილისში რომ დავრჩენილიყავი, უთუოდ გლოვას გადავყვებოდი, ლევანის დაჟინებულმა თხოვნამ ნამდვილად გადამარჩინა, მდგომარეობიდან გამომიყვანა და სიცოცხლის რწმენა დამიბრუნა. ლაშქრობაში, როგორც პატარა ბავშვს ისე მეპყრობოდა და მივლიდა, ნამდვილი ძმობა გამიწვია და რა ბედნიერებაა, რომ ასეთი ღვთისნიერი, უანგარო ადამიანები არსებობენ“-ო, იტყოდა ხოლმე ხშირად. (ავტ.)

„...პირველად მუხადგვერდის ხიდთან



ალექსანდრა ჯაფარიძე და ლევან გოთუა მწერალთა ჯგუფთან ერთად

ვჩერდებით, – განაგრძობს ედიშერ ყიფიანი, – 50-ოდე წლის წინათ, 1907 წლის 30 აგვისტოს, ამ ხილზე უკანასკნელად გაიარა ილია ჭავჭავაძემ. ლევან გოთუა კითხულობს თავის ახალ მოთხრობას, რომელშიც აღწერილია დიდი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის უკანასკნელი დღე, უკანასკნელი საათები...

ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელი ამით მაგალითს გავძლევს და გვანიშნებს ახალგაზრდა მწერლებს, როგორი ხასიათის იქნება ჩვენი ლაშქრობა, როგორ დავუკავშიროთ ჩვენი ლექსები, ნარკვევები თუ მოთხრობები ილიასეულ ადგილებს, რომლებიც ელიან ჩვენს სტუმრობას. აი, სოფელი წიწამურიც, ილიას წყარო. აქ შეაჩერებინა ეტლი, შესვა წყალი, უყვარდა ეს წყარო. გვიამბობს ლევან გოთუა. ...გული აგვიბგერდა, თითქოს მალე უნდა მოხდეს რაღაც უბედურება, თითქოს ჩვენი მანქანა ეტლად გადაიქცა, ამ ეტლში დაღონებული, ჩაფიქრებული ილია ზის, თანდათან უახლოვდება იმ საბედისწერო ადგილს. აჰა, რაღაც ათიოდე წუთიდა დარჩენილა კიდევ, ათიოდე წუთი სიცოცხლე...

ამ შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობდა ლევან გოთუას მოთხრობა, რომლის კითხვა ავტორმა ილიას წყაროსთან განაგრძო. მოთხრობის მსვლელობაც თანდათან გვაახლოვებდა იმ წუთს..

ჩვენი ხელმძღვანელი ლევან გოთუა

მთასავით კაცია, მთებშიც არ იჩქმალება მისი გოლიათობა. მთაზე მცოცავი მთაა. მივალწვიეთ საბერწეს. ყაზბეგიდან წამოსული ალბინისტები აქ, ჩვეულებრივ დამეს ათევენ, ჩვენ კი ვაპირებთ ამაღამვე ავადწვიოთ მეტეოსადგურს. უსახელო წყაროს შევურიეთ საგურამოდან წამოღებული წყალი და ვუწოდეთ „ილიას წყარო“. ლევან გოთუამ და ალექსანდრა ჯაფარიძემ პირველი ქვა მიიტანეს და საფუძველი ჩაუყარეს ილიას ნიშს. ნიშთან წარწერა გაჩნდა ქართულ-რუსულ ენაზე: „მგზავრო, ერთი ქვა შენც შეამატე ილია ჭავჭავაძის ნიშს!“ ამ მოწოდებას სახელდასელოდ გამოეხმაურნენ გერგეთის მყინვარზე მყოფი სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები.

ექსპედიციაში ლევან გოთუასა და ალექსანდრა ჯაფარიძის გარდა შედიოდნენ: აკაკი გეწაძე, ზაქარია შერაზადიშვილი, ოთარ კუბრავა, ედიშერ ყიფიანი, ზურაბ ლორთქიფანიძე, გიორგი ქავთარაძე, რევაზ ინანიშვილი, ემელიან ქურდიანი, ვადიმ მიხაილოვი, ჯემალ ლოლუა, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ თიკანაძე, გივი ყალაბეგიშვილი, ნოდარ შამანაძე, ლევან სუჯაშვილი; ორი კინოოპერატორი და რადიოკომიტეტის ორი თანამშრომელი (ერთ-ერთი მოსე ქარჩავა).

ასვლა, მიუხედავად უამინდობისა, წარმატებით დამთავრდა. სირთულეებისა და უჩვეულო განცდების მიუხედავად, ქართველი

მწერლებისა და პოეტებისათვის ეს ლაშქრობა შთაგონების წყაროდ იქცა...

ბეთლემის კომპლექსმა, რომელსაც ჩამოსცილდა ლეგენდარულობის ბურუსი, ახალი თაობის მკვლევარებიც მიიზიდა.

1978 წლის 14-21 ოქტომბერს, ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ჯგუფი. ექსპედიციამ შეძლო დაემოწმებინა 10 ნაგებობის ნანგრევი, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს ა. დუხოვსკიმ ნახა. მათ ეს ნანგრევები ბეთლემის მიდამოების ტოპოგრაფიულ რუკაზე აღნიშნეს.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ექსპედიციის წევრთა დკვირებისა და კვლევის შედეგად, საინტერესო მასალებით შეივსო ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის კვლევის ისტორია. ექსპედიციის ხელმძღვანელის პარმენ მარგველაშვილის დაკვირვებით: „გერგეტისა და აბანოს მყინვართა გამყოფ ბეთლემის ქედზე გარკვევით შეინიშნება ადგილი, რომელიც ოდესღაც სამონასტრო კომპლექსის ცენტრი უნდა ყოფილიყო. გამოქვაბულსა და სამონასტრო ცენტრს შორის დონეთა სხვაობა 250 მ. აღმოჩნდა, თვით გამოქვაბული კი ზ. დ. 3982 მეტრზე მდებარეობს.“

უნიკალურია ქრისტიანული მცირე აზიისა და ევროპისათვის ასეთ სიმაღლეზე სამონასტრო კომპლექსის არსებობა და საკვირველიცაა, რადგან აქ არ არის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები.

ამ დაკვირვების საფუძველზე კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამონასტრო კომპლექსისა და მღვიმე-გამოქვაბულთა სისტემა სახიზარ-სამალავს წარმოადგენდა და სტრატეგიულადაც ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობდა. მიუვალნი სახიზრების კომპლექსიდან მთელი სტეფანწმინდის მიდამოები და სამების კონტურები გარკვევით მოჩანდა...”

მიყვებით პუბლიკაციაში მოტანილი კვლევის მასალებს: „სხვადასხვა ზომის რამდენიმე ნაგებობა, რომელიც სათვალთვალო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, მშრალი წესითაა ნაშენი. მასალად ადგილობრივი ნაშალი ქანების სანახევროდ დამუშავებული ქვია გამოყენებული. გადახურვისათვის დიდი ზომის ფილაქანია მოზიდული საკმაოდ შორი

მანძილიდან (დაახლოებით 2 კმ-ის რადიუსში მსგავსი ქანები არ შეინიშნება). გამოყენებული იყო ხეც (კარებად, ძელებად).

სამონასტრო კომპლექსის ცენტრს უდავოდ წიაღიდან ამოზიდული კლდე წარმოადგენს, რომლის ზომები დაახლოებით ასეთი გახლავთ: 5 X 4 X 10 მ. მის ოთხივე მხარეს ნაგებობათა ნანგრევების კვალია დარჩენილი. კომპლექსის ყველაზე დიდი ზომის შენობა 4 X 4 მ² გეგმის აფსიდიანი ნაგებობაა. მას ჩრდილო კედლად კლდის სამხრეთი მხარე აქვს, ამ მხარეზე შემორჩენილი კვალი გადახურვის ხერხზე უნდა მიუთითებდეს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების სიანხლოვეს კი ამოკვეთილია ორი ნიშა. აფსიდი აღმოსავლეთის მხარესაა მიმართული, იგი კლდიდან 0,5 მეტრის მოშორებით იწყება, დიამეტრი 1,5 მეტრია. ეკლესიის კედლები შემორჩენილია ჩანგრეული ნაყარიდან საშუალოდ 1-1,5 მ. სიმაღლეზე. დასავლეთის კედელი დაწყებული ჩრდილოეთის კედლიდან 2 მ. სიგრძეზე 20 სმ-ით სქელია და შიგნითაა შეწეული. ნაგებობას შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს და ემიჯნება დასავლეთის კედელს. ზის კარები ჩაყინულია ნანგრევებში და დაახლოებით 40 სმ-ითაა ამოშვებული.“

ობიექტის შესწავლამ ექსპედიციას საშუალება მისცა გამოეთქვა ვარაუდი ქვედა სართულის არსებობის შესახებ. ეს ვარაუდი დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც მონასტრის კლდეში ნაკვეთობაზე მიუთითებს. სხვა ნაგებობები კლდის ირგვლივაა ნაშენი და არა კლდეში. ამრიგად, შეიძლება საქმე გვაქვს ორსართულიან ეკლესიასთან, რომლის დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლის კლდეში ნაკვეთი ქვედასართული, ახლა ჩაქცეული და ამოვსებულია. ეკლესიის დასავლეთის კედლის ორივე სართული მშრალი წყობითაა ნაშენი.

ექსპედიციას საინტერესო მასალა მისცა კლდის აღმოსავლეთ მხარის დათვალიერებამ. აქ აღმოჩნდა გრანიტზე საგანგებოდ გამოყვანილი რამდენიმე დაფა. ამათგან ორზე გარკვევით შეიმჩნევა წარწერა – ერთ მათგანზე ჯვრის გამოსახულებით. წარწერა ჯერჯერობით გაუშიფრავია. პალეოგრაფიული ნიშნებით იგი მე-XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს შესრულებული (აზრი გამოთქვეს აკაკი

შანიძემ, რამაზ პატარიძემ), სხვა დაფებს კლდის ხავსის ფენა ფარავს, შესაძლოა მათ ქვეშაც იმალებოდეს წარწერა.

მიკვლევული წარწერა პატარა ზომის ოთახის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ესე იგი, კლდეს აღმოსავლეთის მხრიდანაც ჰქონია მინიშნებული ოთახი. ამაზე მიუთითებს წარწერების თავზე მდებარე სამკუთხედის ფორმის დარი. წარწერების ქვემოთ ლოდებისგან ადგილის გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა დაახლოებით 40 სმ-ის სისქის ნაცრისა და ნახშირის ფენა და მასში მცირე ზომის კერამიკული ნამსხვრევები.

ქვაზე ნაკვეთი წარწერებისა და ნიშნების ძიებისას, ეკლესიის პირველი სართული შესასვლელთან, კლდეზე და ქვემოთ სათვალთვალ ნაგებობასთან ლოდზე, აღმოჩნდა ჯვრის მცირე ზომის ორი გამოსახულება.

ექსპედიციამ აფსიდიან ნაგებობაში ნახა ქვის დიდი ზომის გატეხილი ჯვარი, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1913 წელს იხილა რუსეთის სამთო საზოგადოების ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა ა. დუხოვსკიმ – მასიური კლდის თავზე აღმართული. ამჟამად კი კლდის წვერზე დარჩენილია ღრუ, ჯვრის ნამსხვრევები და ის დუღაბი, რომლითაც ჯვარი იყო ჩაკირული. როგორც ირკვევა, ჯვარი ადგილობრივი ქვის ჯიშისა არ უნდა იყოს. იგი თეთრი ფერის ფოროვანი ქვაა, რომლის ერთი მხარე მინერალებითაა სავსე. ამ მხარით ჯვარი მიქცეული იყო დასავლეთისაკენ. აღნიშნული ჯვარი, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ 1930 წლის 21 აგვისტოს, მაღალ კლდეზე, კვლავ თავისი აღმართვის ადგილზე იდგა – რაც საკუთარი თვალთ იხილა ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა სერგი მკალათიამ.

კომპლექსის გამოქვაბულებზე დაკვირვების საფუძველზე, სტატიის ავტორი პარმენ მარგველაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვახუშტის „ქუაბნი“ მრავლობითში აქვს ნახმარი, ხოლო რკინის ჯაჭვი გადმოკიდებული იყო „ქუაბიდან“-ო, „ე. ი. ძნელად მისასვლელი მხოლოდ ერთი ქვაბი იყო, დანარჩენებს კი დამხმარე მოწყობილობა ალბათ არ ესაჭიროებოდათ. ჯაჭვი ახლაც არსებობს, ის 5,5 მეტრის სიგრძისაა და ბოლო შვეულ მონაკვეთზე ეკიდა, მაგრამ თვით ამ მონაკვეთამდე მისვლა საკმაოდ რთულია. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვა გამოქვაბულებამდე

მისასვლელიც რთული იყო“, – ასკვნის სტატიის ავტორი. ექსპედიციამ ამჯერად ვერ აწარმოა სხვა გამოქვაბულების ძიება.

ავტორი კიდევ ერთხელ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დამოწმებულ თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობას, მისი „ივერიის ისტორიიდან“, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ: ანდრია მოციქული „მუნით მოიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსაც სახელს დებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელისა მას კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი, მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა დაბა და ადგილსა მას, სადა იგი ჯვარი აღმართა წმინდამან ამან მოციქულმან აწ არს მას ზედა ეკლესია, დიდი მონასტერი წმიდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი“.

„უდავოა, რომ ბეთლემის სამონასტრო კომპლექსის მეცნიერული შესწავლა ქართული საეკლესიო მოძრაობისა და საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფურცელს გადაშლის“, – აცხადებს სტატიის ბოლოს ავტორი.

აღნიშნულ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: კარტოგრაფი გელა გოგილაშვილი, ფილოლოგი გივი ხორნაული, კიბერნეტიკოსი თეიმურაზ ახალკაცი, ფიზიკოსები დევი თარხნიშვილი, იური პაპავა, ვახტანგ ხმალაძე, რუსლან ახალაძე და პარმენ მარგველაშვილი. ექსპედიციას მხარდაჭერა და დახმარება გაუწიეს სტეფანწმინდელმა ალექსანდრე ქირიკაშვილმა და ალიოშა ხუციშვილმა.

ვიდრე მოვლენების ქრონოლოგიის თანმიმდევრობას გავყვებით, წინასწარ უნდა ავღნიშნოთ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი: 1999 წელს, მისი უწმინდესობის, **საქართველოს პატრიარქის ილია II-ის** ლოცვა-კურთხევით, ახალქალაქისა და კუმურდოს მღვდელმთავრის, **მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზის კალისსემვით**. მყინვარის კალთაზე, ზ. დ. 4000 მეტრზე დაიდგა წმინდა სამების მცირე ზომის ტაძარი და მეუფე ნიკოლოზმა აქ **პირველი წირვა აღავლინა**.

1979 წელს უნივერსიტეტის ახალგაზრდებმა კვლავ მოაწვეეს კომპლექსური ექსპედიცია ბეთლემის მიდამოების შესასწავლად.

1980 წლის ექსპედიციაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან – ი. პაპავასთან, გ. რაქვიაშვილთან, კ. კიკაბიძესთან ერთად მონაწილეობდა არქეოლოგი ბაადურ მჭედლიშვილი. ექსპედიციამ საინტერესო მასალებს მიაკვლია მყინვარწვერის ფერდობებზე არსებული სამონასტრო კომპლექსის შესახებ და კვლავ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ლეგენდიდან სინამდვილისკენ.

ამ მასალების და ექსპედიციების შესახებ გვიამბობს არქეოლოგი ბაადურ მჭედლიშვილი: თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრებმა 1978 წელს პირველად დაზვერეს ბეთლემის მონასტრის კომპლექსი, ხოლო 1979 წელს მოაწვეეს ექსპედიცია განახლებული შემადგენლობით, რომელშიც არქეოლოგი შედიოდა. ამ ეტაპზე ძირითადი მიზანი იყო მოძიებული სამუშაოებისათვის მეთოდების დადგენა და დაზვერვები. ერთ-ერთ საკვლევ ობიექტად შეირჩა სათავსი, რომლის კონტურები ჯერ კიდევ 1978 წელს იქნა მიგნებული და რომელიც მოზრდილ გრანიტის მასივზეა მიშენებული სამხრეთის მხრიდან. დიდრონი ქვების ამოღების შემდეგ გამოჩნდა გაყინული ფენა, რომელიც ნაშალი გრანიტის, თივის, ხის ნაშთებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებისაგან შედგებოდა. აქ იყო მენაღმის ნიჩაბი, კონსერვის ქილები, ტანსაცმლის ნაფლეთები და სხვ. ყველაფერი მიაჩნებოდა, რომ ინტენსიურად უძებნიათ განძი, ამასთან – ძალზე უხეშად. სათავსის სამხრეთი ნაწილი მთლიანად გათხრილი და განადგურებული იყო. ნაყარი ფენის ალების შემდეგ, სათავსის ჩრდილოეთ ნაწილში, უკვე სუფთა ყინულის ქვეშ, 12 კარგად გათლილი ფიცრისაგან შეკრული იატაკი აღმოჩნდა. იატაკზე თივასთან და ფიქლებს ნატეხებთან ერთად გვხვდებოდა ბრინჯაოს ნივთები, თიხისა და მინის ჭურჭლის ნამსხვრევები. ჩრდილოეთის კედლის ძირას, იატაკის დონეზე ეყარა: ხის საკალმე, ბრინჯაოს ბაზმა (ლამპადა), თიხის ჭრაქები, ხის გაურკვეველი დანიშნულების ნივთები, მათ შორის რიკულის ორი ნატეხი. იატაკის ფიცრები დალაგებული იყო სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით,

ბოლოები – ჩადმული ხის მრგვალ ძელებში. სამხრეთ ძელის გასწვრივ კიდევ ორი ძელი იყო გადებული, ხოლო სათავსის სამხრეთ ნაწილში, შესაძლოა ჩრდილოეთის ნაწილის მსგავსად, ფიცრები იყო დაგებული.

იატაკის ძელები დაგებული იყო ცოკოლისებრ წყობაზე, რომელიც სათავსს შიგნიდან შემოუყვებოდა. იატაკის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ოთახის ცენტრალურ ხაზზე მიწაში შემორჩენილია ხის ბომბების ნაშთები. ისინი სახურავის საყრდენებად ვივარაუდეთ“...

სათავსის გაწმენდამ შემდეგი სურათი გამოკვეთა მკვლევართა წინაშე: იგი გეგმაში თითქმის სწორკუთხა მოყვანილობისაა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (სამხრეთ კედელში) კარის ღიობია დატოვებული. აღმოსავლეთ კედლის ნაპირებში ორი გაურკვეველი ნიშის მსგავსი მცირე ზომის სათავსია, ჩრდილოეთით – ნახევარწრიული, სამხრეთით – ტრაპეციული.

დასავლეთის კედელი საკმაოდ მძლავრია, მისი ჩრდილოეთის ნაწილი 260 სმ-ს აღწევს. საფიქრებელია, მონასტრის კომპლექსს ამ მხრიდან თავდაცვითი კედელი ერტყმოდა. სათავსის ჩრდილოეთის კედელი გრანიტის ჩამოსწორებული კლდეა. იატაკიდან 3 მ. სიმაღლეზე ამოკვეთილი თარაზული ღარი გადახურვისათვის იყო განკუთვნილი. იატაკის ქვეშ 80 სმ. ყინულის ფენის ალების შემდეგ გამოიკვეთა იატაკქვეშა ოთხკუთხა სათავსი, რომელიც ორ თანაბარ ნაწილად იყო შუაში გატიხრული. ტიხრის ორივე მხარეს, სამხრეთ კუთხეებში დოლაბის მსგავსი გრანიტის ქვები ეწყო. რა დანიშნულება ჰქონდა ამ ქვებს, ჯერჯერობით გაურკვეველია. ერთი კი ცხადია, რომ ისინი საგანგებოდ დაულაგებიათ. ამას გარდა, დასავლეთ მონაკვეთში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მოთავსებული იყო დიდი ზომის ქვის ოთხკუთხა საგანი, ამოკვეთილი ოთხკუთხა ბუდით, რომელშიაც სანთლის ნატეხები და საკმეველი ეყარა.“ აქვე, გრანიტის ფილებიან იატაკზე, ლამაზად დაწნული თივის მრგვალი ჭილოფის დიდი ფრაგმენტი იყო. თივა თითქმის სულ ახალს ჰგავდა, რამაც, ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა. შესაშფოთებელი მართლაც იყო, ვინაიდან ყინულებში ვიპოვეთ ხასხასა მწვანე ღეკის ფოთლები, შავი ყურძნის ორი მარცვალი,

ნაძვის წიწვები, ხის ნაფოტები. ხის ნივთებს სასიამოვნო სურნელიც კი დაჰკრავდა. ძალაუნებურად დადგებოდა ეჭვი, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არც თუ ისე ღიდი ხნის წინათ გაჩნდა ძეგლზე. (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). აღმოსავლეთ მონაკვეთის ყინულებში აღმოჩნდა ხის კუთხოვანი საგანი, რომელსაც წახნაგზე აქვს კონსტრუქციული ღარები და ორი ბუდე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი ნაწილი უნდა იყოს რომელიღაც ავეჯისა.

სათავსში აღმოჩენილ სხვა ხის ნივთებთან შედარება და პარალელების ძიებამ, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აღნიშნული ნივთები საწერი მაგიდის მოვალეობას ასრულებდა. წიგნის დამჭერ ღეროდ, ალბათ, იქვე აღმოჩენილი რიკული იყო გამოყენებული. მეორე საინტერესო ხის ნივთი, რომელიც იატაკის ღონეზე აღმოჩნდა, მთლიანად ხისაგან გამოკვეთილი საკალმეა. მას აქვს ორი განყოფილება და გვერდებიდან შეკრულია სქემატური ორნამენტებით. საკალმე, ისევე როგორც საწერი მაგიდა, მიუთითებს, რომ ბეთლემის მონასტერში კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. როგორც იატაკის ღონეზე, ისე მის ქვეშ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები საეკლესიო-სარიტუალო დანიშნულებისაა. მაგალითად: ჯაჭვები და კაუჭიანი მავთულები საკმეკლის ან ბაზმის საკიდია, რომლის პარალელები ჩვენთვის ცნობილია ქრისტიანული სამყაროდან. საინტერესოა ბრინჯაოს მცირე ზომის ბაზმა – მისი პირი შეკრულია რკალური ორნამენტით. აქვს საპატრუქე ტუჩი და სამი სახელური. იატაკის ღონეზე აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ჭურჭლის ფეხი, რომელიც სტილიზებულია და ერთდროულად ცხოველისასაც გავს და ადამიანისასაც. აღნიშნული ჭურჭლის ფეხი განგებ მოტეხილი ჩანს და ისევე, როგორც სხვა ნივთებს, ეტყობა მოძალადის ხელი; ბრინჯაოს ორი ეჟვანი (ერთი ნაკლულია) შესაძლოა ჯვარზე ან სახატე ღროშაზე იყო ჩამოკიდებული.

მრავალადაა აღმოჩენილი მინის სასმისებისა და ბაზმების ნატეხები. სასმისების უკეთ მოღწეული ზოგიერთი ფრაგმენტი IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება. რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია ისრის პირი, აღმოჩენილი

იატაკის ღონეზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბეთლემის მონასტერს მტერი შემოესია. როგორც სათავსის შიგნით, ისე მის გარეთ, აღმოჩნდა რამდენიმე გამომწვარი თიხის ჭრაქი. მათ შორის გამოირჩევა სათავსის სამხრეთ კედლის გარეთ ნაპოვნი ფეხიანი ჭრაქი, რომელიც გამომწვარია ვარდისფრად. იგი სხვა ჭრაქებთან შედარებით საკმაოდ ლაზათიანადაა დამუშავებული. დანარჩენი ჭრაქები ტლანქია, შავი ან რუხი ფერის. მსგავსი მოყვანილობის ჭრაქები უფრო ადრე ფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი. სათავსში აღმოჩენილი ნივთების ღიდი რაოდენობა საეკლესიო საკულტო დანიშნულებისაა. სათავსის ჩრდილოეთით კლდის თავზე აღმართული იყო ჯვარი, კლდის აღმოსავლეთისაკენ მიმართულ სიბრტყეზე გამოსახულია სქემატური ჯვარი წარწერებით. ყოველივე ეს არის ბეთლემის გამოქვაბულის სიახლოვეს. (რაც მეუღანოებას უკავშირდება) მყარ საფუძველს გვაძლევს, რომ საკვლევი ობიექტი საკმაოდ მოზრდილ სამონასტრო კომპლექსად მივიჩნიოთ.

მონასტრის ის ნაწილი, რომელიც ჩვენმა ექსპედიციამ შეისწავლა აღმოჩენილი მასალების საფუძველზე, ზოგადად IX-XIV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მთლიანად მონასტრის არსებობა კი ადრეულ ხანაშიც ივარაუდება. თუმცა ამას, რასაკვირველია შემდეგი კვლევა დაადასტურებს.“

უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერებმა **ინესა ჟორჟოლიანმა, ნანული მარჩილაშვილმა და თამაზ წინამძღვრიშვილმა** არ დაზოგეს თავისუფალი დრო და ენერგია, რადიონახშირბადის მეთოდით ანალიზი გაუკეთეს ჭილოფს და ასეთი დასკვნა მოგვაწოდეს: ჭილოფი X საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (920+ – 50 წელი). თუ ეს თარიღი დადასტურდება შემდეგი ანალიზითაც ხელთ გვექნება მყარი მეცნიერული საფუძველი, რომ სტეფანწმინდის მონასტრის დაარსება საქართველოში მეუღანოების გავრცელების პერიოდში (VI-VIII სს) ვივარაუდოთ.

1987 წლის 18 ოქტომბერს ღიდი ილიას დაბადების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თსუ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ალპინიადის თანრიგოსანთა რაზმი ეწვია ბეთლემის გამოქვაბულს.

19 ოქტომბერს განხორციელდა ასვლა მყინვარწვევრზე, ხოლო მეორე დღეს მიაკვლია ახალ გამოქვაბულს, რომელიც „განდევილისეული“ სენაკიდან დაახლოებით 250-300 მეტრზე იმავე სიმაღლის შვეულ კედელშია გამოკვეთილი. გამოქვაბულის აღმოჩენაში უნივერსიტეტის მთამსვლელთა გარდა მონაწილეობდნენ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი, თსუ მთამსვლელთა სექციის წევრი **თამაზ წიკლაური, ყაზბეგის მეტეოსადგურის თანამშრომლები და პროფესორი ნოდარ ნათაძე**. ეს ახალი აღმოჩენა თვალნათლივ მოწმობს ბეთლემის ლეგენდის საფუძვლის რეალობას და ამდენად ბეთლემის და ილიას „განდევილის“ პერსონაჟებთან დაკავშირებული მასალების ძიება კვლავ გრძელდება...

2005 წლის 28 აპრილს, დიდ ხუთშაბათს, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსი მეუფე პეტრე, რამდენიმე საეკლესიო პირთან, ორ მთამსვლელთან, ერთ მეკლდეურთან და ტელეკომპანია „იმედის“ გადამღებ ჯგუფთან ერთად, ილია ჭავჭავაძის განდევილის საუფლოს ესტუმრნენ. მიუხედავად იმისა, რომ მომლოცველებმა რამდენიმე საათი თოვასა და ნისლში იარეს, ძალიან დაიღალნენ, მეუფე პეტრემ მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე მაღალ ადგილას ზ. დ. 4200 მეტრზე წირვა აღავლინა და მორწმუნეები უფლის სისხლსა და ხორცს აზიარა. ჯგუფს, როგორც აღვნიშნეთ, ახლდა „დროების“ გადამღები ჯგუფი. ჟურნალისტმა ზაზა წულაძემ ამ ექსპედიციის შესახებ ინტერვიუ მისცა ჟურნალ „თბილისელებს“, რომლის №21-ში (2005 წ.) ვკითხულობთ: „სპონტანურად მოხდა თქვენი შეკრება... ერთადერთი ადამიანი ვინც იქ ნამყოფი იყო, ცნობილი ალპინისტი „თოვლის ჯიქი“ **თამაზ შარაშენიძე** აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ მართლ ის უნდა წამოსულიყო. შემდეგ თამაზმა იპოვა ადგილობრივი, ასევე ცნობილი ალპინისტი **ზურაბ სუჯაშვილი**. რა თქმა უნდა, ორი გამოცდილი ალპინისტი საკმარისი არ იყო, რადგან ბევრნი მივდიოდით, თითქმის ყველანი გამოცდილები ვიყავით. შემდეგ, როგორც ბატონი **ზურაბი** ამბობდა, თბილისში ჩამოსულ თამაზს სვანი იდრის ხერგიანი შეხვედრია. ის ძალიან ცნობილი გვარის წარმომადგენელია, თანაც კარგი მე-

კლდეური. **თავიდან სწოში მივედით, სადაც პატრიარქის საზაფხულო რეზიდენციაა. იქ გავიცანი მეუფე პეტრე. ის არაჩვეულებრივი ადამიანია.** გერგეტის სამებაზე ავედით ფეხით. იქვე დავესწარით მორჩილის ბერად კურთხევას და შემდეგ უკვე დილის ექვს საათზე დავიძარით მყინვარწვერისაკენ... იყო მომენტები, რომლებსაც რაღაც საკრალური დატვირთვა ჰქონდა. ხშირად ყველანი ჩუმად მივდიოდით და ფაქტობრივად, საკუთარ თავთან მართლ ვრჩებოდით. მეუფე მთელი გზის განმავლობაში ამბობდა, ეს გამოცდააო. ალპინისტური თვალსაზრისით ეს არის სერიოზული მწვერვალი, მაგრამ რადგან ვიცოდით, წმინდა ადგილზე ავდიოდით, დარჩენილ ცხოვრებაზე ფიქრს ვიწყებდით. იქ, 2950 მ სიმაღლეზე არის საბერწეს უღელტეხილი. **სანამ ის დაიწყება, 200 მეტრით ქვემოთ არის ადგილი, სადაც ილია მივიდა და ძალიან ცუდი ამინდის გამო გზა ვერ განაგრძო.** მოხვევები იქ ქვებს აწყობენ. საერთოდ ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ ცნობები ვახუმტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიაში“ გვხვდება; ასევე „ქართლის ცხოვრებაშიც“ წერია, რომ ბეთლემში ინახებოდა ქართველ მეფეთა საგანძური – მტრების შემოსევების დროს განძს მაღავდნენ.

1948 წელს გამოქვაბულამდე ავიდა **ალექსანდრა ჯაფარიძე**, რომელსაც ბეთლემში საგანძური არ დახვედრია. რუსული წყაროების ცნობით, უფრო ადრე იქ ასვლა ოთხჯერ უცდია რუს მოგზაურს **ფრიდრიხ პარროტის**. ბოლოს ის მაინც ასულა. როგორც წყაროები იტყობინებიან, მას იქ განძი დახვედრია. შემდეგ ეს საგანძური, რა თქმა უნდა, დაკარგულა. სასულიერო წრეები ამბობდნენ და იმის საფუძველიც არსებობს ვივარაუდოთ, რომ ეს განძი რუსებმა გაიტანეს. 1877 წელს ყაზბეგთან იპოვეს ჩვ. წ. ა-მდე VI-V საუკუნეების ნივთები, რომელთა უმეტესობა დღეს რუსეთის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. ამ საკითხმა ძალიან დამაინტერესა: თუ ეს განძი საბჭოთა კავშირის დროს გაიტანეს, მაშინ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში იქნება მასალები დაცული. განძთმამძიებელი არ ვარ, მაგრამ მაინტერესებს, რა იყო ბეთლემის ტაძარში. ეს არის ჩვეულებრივი გამოქვაბული, არც თუ ისე დიდი. ფრესკები

მოგვიანებით გაუკეთებიათ, თეთრად უფრო გვიან შეღებეს. ის ნამდვილად ტოვებს საგანძურის შესანახი ადგილის შთაბეჭდილებას. არსებობს ინფორმაცია, რომ ქვემოთაც არის პატარ-პატარა გამოქვაბულები, სადაც ბერები მოღვაწეობდნენ. მეუფეს გაუჩნდა იდეა, რომ იმ ადგილას, ანუ ბოლო წერტილში, რომელსაც „მწყემსი ქალის ადგილი“ ჰქვია, ლითონის კიბეები გაკეთდეს. როგორ ავიდა

ის ქალი იმ ადგილამდე ნამდვილად არ ვიცი. ჩვენ იქ ყველაზე მეტად გაგვიჭირდა. კიბეების გაკეთება თუ მოხერხდა მორწმუნეებს ნორმალურ ამინდში შეეძლებათ ბეთლემის მონახულება და მოლოცვა. **ბეთლემის გამოქვაბული 4170-4200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.** საპატრიარქოს „საიტზე“ ვნახე რომ ეს არის ყველაზე მაღალი ადგილი, სადაც შეიძლება წირვა აღევლინოს.

ვასრულებთ რა, დიდი მწერლისა და ერის კაცის, წმინდა ილია მართლის შემოქმედების უბრწყინვალეს ძეგლთან — პოემა „განდევითან“ დაკავშირებული ისტორიული ობიექტის — ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ საუბარს, კვლავ გვახსენდება ასევე, დიდი მწერლისა და ეროვნული მოღვაწის ლევან გოთუას სიტყვები: „აქ — მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ „ქართლის ცხოვრების“ დაფანტული ფურცლები, „ვეფხისტყაოსნის“ დაკარგული დედნები და დედნისპირები... მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშები“...

„ამ მიუვალმა ქვაბებმა, როგორც ირკვევა, დაგვიცვეს და დღემდე შემოგვინახეს ბევრი რამ. რაც ვაკე დედამიწის პირიდან უკვალოდ აღიგავა... ძველი ქართული მშენებლობის შუბლი და გული — დიდი საყრდენისა და ციხე-ქალაქების აგებაში იგრძნობა, მისი ღვიძლი და ალღო კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში უნდა ვეძიოთ. თვაგანწირვათა და ამოტყენილ ქვაბ-სახიზარებში დიდი ბედკრულობის გარდა, დიდი გამძლეობა, ოსტატობა და კულტურა თან გამოსჭვივის! თითქმის ყველგან მაღალმხატვრული ფრესკები, ჩუქურთმები, ქვაჯვარები, ხატ-დროშები და ხელნაწერები გვხვდება... უნდა კარგად შევიგნოთ, რომ ჩვენი ქვაბების დიდი უმრავლესობა პირველყოფილი ადამიანების სადგომ-სამყოფელი როდია, არამედ მაღალკულტურული ერის უკანასკნელი სახიზარი რბევისა და აოხრების ჟამს. ამიტომ ყოველ მიუვალ გამოქვაბულს ისე უნდა ვუმზერდეთ, როგორც ძველ წიგნთსაცავს, ერის დოვლათის საფარს, მისი ხატ-მადლის სამალავს... ამათი მოპოვება და ქართველი ერისათვის დაბრუნება თვითველი ჩვენთაგანის წმინდა ვალია, ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო მარტო ციხე-საყრდენების, მეფე-ერისთავების სასახლეთა თუ გლეხთა დარბაზების ქვეყანა როდია, არამედ ქვაბ-ციხეების, ქვაბ-სენაკების, ქვაბ-ტაძრებისა და ქვაბ-სახიზარების ქვეყანაცაა! განახლებულ საქართველოში რამდენი მიუვალი ციხე-ქვაბული, ქვაბ-ქალაქი თუ თავისუფლების ქვაბ-სახიზარი ჯერ კიდევ დარჩენილა ორბის ამარა! რამდენ ქვა-ფურცლებს ჯერ კიდევ კითხვის ნიშანი უზის! რამდენი დიდებული ნაშთი ჯერ კიდევ ელის თავის „მეოცნებე და გაბედულ მკვლევართ! დრო კი მიდის, მიიხარჯება და ბევრი რამ იშლება, იკარგება დაუბრუნებლივ“...

ო რ ი ი ნ ტ ე რ ვ ი უ



ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი მის თანამედროვე ბალკანეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ასეთი ლაკონური შეფასებით ახასიათებს: „ბალკანეთი იმდენად დატვირთულია წარსული კულტურული მემკვიდრეობით, რომ უჭირს ამ ისტორიის დიდი ტვირთის ტარება“.

ინგლისელი მოღვაწის ეს სიტყვები სრულიად მიესადაგება ჩვენი უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის ისტორიასაც, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია იმ სახით, რაც მტრის მსახვრალ ხელს, სტიქიისა და ჟამთასვლის გამანადგურებელ ძალებს გადაურჩა.

დღევანდელი ჩვენი პუბლიკაციიდან ორ ინტერვიუს გთავაზობთ, რომლებიც ორი მოგვლენის — ნგრევისა და შენების მიმდინარე პროცესებზე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას და ეს პროცესი, სიმბოლურად ასახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ შექმნილ ვითარებას.

ციხე-ტაძრის საგალობელი


გვესაუბრება ნარიყალას სატაძრო კომპლექსის არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე

კორესპონდენტი: გაეცანით ჩვენს მკითხველებს, გვიამბეთ თქვენს საქმიანობაზე.
ტარიელ კიპაროიძე:

ხაშურში დავიბადე, საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე. ჩვენი წარსულის ძეგლების კვლევის ინტერესიც იქ გამიჩნდა, რამდენადაც ქართლის ამ უძველესი ისტორიული გზა-ჯვარედინის ირგვლივ წარსულის მრავალი ნაშთია შემორჩენილი, მრავალი ტოპონიმი, არქეოლოგიური ძეგლები, ლეგენდები თუ მითები და ა.შ.

ჩემმა ამ დაინტერესებამ განსაზღვრა ჩემი მომავალი ცხოვრება და ცხოვრების გზაზე ბევრ საინტერესო ადამიანსაც შევხვედრივარ.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების დღიდან დღემდე არჩეულ პროფესიას ვემსახურები — ვარ არქიტექტორ-რესტავრატორი. როგორც ბატონი ლევან გოთუა ამბობდა — სამშობლო განა მართლ ლამაზი მთებია, ველ-მინდვრები, მდინარეები და ზღვებია... სამშობლო, უპირვე-



ტარიელ კიპაროიძე

ლეს ყოვლისა მისი ადამიანებია, ადამიანები — თავიანთი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ჩემთვის მთავარი ეს სამი მოცემულობაა და შეძლებისდაგვარად ვცდილობ, ვემსახურო სამივე მათგანის სრულყოფასა და განვითარებას.



ნაპო ზაქარაია და ტარიელ კიპაროიძე

ნარიყალაზე პირველად მუშაობა დავიწყე დიმიტრი თუმანიშვილთან და ირინე ელიზბარაშვილთან ერთად, ცხონებული ლეო რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ ნარიყალასთან ვარ შეკავშირებული და არ არსებობს თვალსაწიერში ქვა, აგური, დუღაბი, მშენებლობის ფენა, რომ არ დამეფიქსირებინოს. ქადილი არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სად რა კენჭია – ვიცი! ნარიყალა ჩემი ცხოვრების აზრია და საფიქრალი. მრავალ საუკუნეგამოვლილი ციხე-ტაძრები დღესაც საქართველოს ფარაბჯარი და ჯაჭვის პერანგია, ჩვენი ისტორიაა, რაც დღეს, სამწუხაროდ ბევრს არა აქვს გათვითცნობიერებული...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის მშენებლობა ჩვენი ერის სულიერი და ფიზიკური გამძლეობის გამოცდის პერიოდს დაემთხვა. თავად განსაჯეთ, განუკითხაობა ქვეყანაში, ძარცვა-გლეჯა, ინფლაცია და დევალვაცია, უხელფასობა, უმუქობა, რასაც

ზედ დაერთო სამოქალაქო დაპირისპირება და ძმათამკვლელი შეტაკებები... მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მხოლოდ და მხოლოდ სუფთა ენთუზიაზმით, მეგობრებისა და თანამოაზრეთა თანადგომით შესაძლებელი გახდა არა მარტო ტაძრის არქიტექტურული ჩანაფიქრის ხორცშესხმა, არამედ მეტად რთული და მძიმე მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება,

ნარიყალას ტაძრის აღდგენის იდეის ხორცშესხმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის საზოგადოებას, მის პრეზიდენტს – გურამ ფანჯიკიძეს, საზოგადოების დაარსების იდეის ავტორს და დამაარსებელს რომან გვენცაძეს, თ. კვარაცხელიას, ზ. ვახტანგაძეს, ო. ნარმანიას, ბ. გულუას, ნ. ჩიგოშვილს, ქალბატონებს: ლალი ყენიას, ხათუნა ბრეგვაძეს, მადონა წიწუაშვილსა და სხვებს.

ჩვენს საზოგადოებრიობას ხშირად აყვედრიან – ერმა დაკარგა ინტერესი ეროვნულ

ღირებულებათა მიმართო. ვისაც ნარიყალაზე ტაძრის მშენებლობის პროცესი უნახავს ან შორიდან მაინც შეუვლია თვალი მისთვის, ამ აზრს აუცილებლად შეიცვლიდა. ტაძრები ახლაც შენდება, მაგრამ ნარიყალა ამ მხრივ გამორჩეულია. ჩვენი ჯგუფის წევრები საკუთარ ლუკმას, თავიანთ მწირ ბიუჯეტს იკლებდნენ და ასე გაგვქონდა თავი, ტაძრის მშენებლობა რომ არ შეჩერებულიყო.

ჩემი ძირითადი ფიქრის საგანი ნარიყალაა, სადაც ჩემი პირველი კვლევითი სამუშაოები ჯერ კიდევ ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ახლად გათხრილ ნაშთზე ჩავატარე ბატონ ლევან რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით; მან მომცა მიმართულება თუ როგორ გამეაზრებინა ნარიყალას ტაძარი. მაშინ ქალაქმშენებლური რესტავრაციების სამუშაოები პირველ ნაბიჯებს დგამდა – ძველი ძირითადად განიხილებოდა, როგორც ცალკე აღებული ნაგებობა. ჩემთვის ამ დროიდან იქცა ერთ მთლიან ძეგლად არა მარტო მთელი ნარიყალა წმ. ნიკოლოზის ტაძრით, არამედ მთლიანად ის არქიტექტურულ ლანდშაფტური გარემო, რომელსაც ქმნიდა მეტეხი=თაბორი=ნარიყალა=მთაწმინდა. ამგვარმა ხედვამ გადამაწყვეტინა ნარიყალაში წმ. ნიკოლოზის ტაძრის აღდგენა, რასაც, რასაკვირველია, საკულტო ფუნქციის აღდგენის სურვილიც

აძლიერებდა. წმ. ნიკოლოზის ტაძრის აღდგენით აღვადგენდი შუა საუკუნეებში ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსის კომპოზიციას, მით უფრო, რომ მიჩნეული იყო მეტეხის ტაძრისა და წმ. ნიკოლოზის ტაძრის სტილისტიკურად ტყუპისცალივით თანადროულობა.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მოსაზრებას, აღმედგინა ტაძრის ვერტიკალი, მხარს უჭერდნენ პროფესიონალი სპეციალისტები: პარმენ ზაქარაია, თეიმურაზ კანდელაკი, ბესარიონ ჯორბენაძე და რაც მთავარია, უწმინდესისა და უნეტარესის, ჩვენი საყვარელი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, ვინც გადასწონა ყველა ფარისევლის წინააღმდეგობა. ისიც სათქმელია, რომ აღდგენილმა გარემომ ბევრი წრფელი ოპონენტი დააფიქრა და 1997 წელს არქიტექტორებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა ნაშრომი წლის საუკეთესო ნამუშევრად დაასახელეს.

დღეს ბევრს საუბრობენ ძველი თბილისის იერ-სახის შენარჩუნებაზე. ხშირად ხდება ჩარევა ძველი თბილისის არქიტექტურულ განაშენიანებაში, რაც სახეს უკარგავს ქალაქის ძველ უბნებს. ძველი კალას უბანი და ნარიყალას კომპლექსი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, ისევე, როგორც ყველა სხვა ისტორიული ძეგლები.



ნარიყალას კომპლექსის საერთო ხედი

„მიუვალ მამა-პაპათა“...

გვესაუბრება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი, მხატვრი და პუბლიცისტი სიმონ ჯაფარიძე

კორესპონდენტი:

ბატონო სიმონ, ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლების დაცვასა და შესწავლას მოახმარეთ და წლების განმავლობაში დაგროვილ მასალებზე მუშაობას დღემდე აგრძელებთ. ამაზე მეტყველებს თქვენი ნარკვევების ციკლი, გამოქვეყნებული საერთო სათაურით „განდევილი“ და ბეთლემის ლეგენდა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 180 წლისთავისადმია მიძღვნილი; ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა თქვენს მიერ გამოქვეყნებული ეტიმოლოგიური კვლევები ტოპონიმებისა: „სტეფანწმინდა“, „გულგულა“, „ჭიათურა“, „ხრეთი“. შესწავლილი გაქვთ ჯრუჭულისა და რაჭის ქედის მიდამოებში არსებული კარსტული სიღრმეები, სახიზარ-სამალავეები, მეუღბნოეობის დამადასტურებელი კლდის სადგომები, შემოვლილი გაქვთ ნუნისის, ნავენახვის, სათაფლიას, ბოდორნის, უფლისციხის, დავით-გარეჯის ძნელადმისადგომი ძეგლები. ბევრი წინააღმდეგობა შეგ ხვედრიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეშიც, რასაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ემსახურეთ. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, რას საქმიანობთ და რა მიგაჩნიათ დღევანდელი დღის მნიშვნელოვან პრობლემად ამ მიმართულებით?

სიმონ ჯაფარიძე:

მადლობა უნდა მოგახსენოთ თქვენი ჟურნალის დაინტერესებით ამ პრობლემების გამო და იმის გამოც, რომ მეძლევა საშუალება თქვენი ჟურნალის ფურცლებზე აზრის გამოთქმისა და რამდენიმე კრიტიკულ თემასაც შევხები.

რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ჩვენი წარსულის ძე-



სიმონ ჯაფარიძე

გლების შესწავლასა და დაცვას ვემსახურე და როცა მრავალმხრივ საინტერესო მასალას მოვუყარე თავი, რომ ნარკვევებისა და გამოკვლევების სახით გამოქვეყნებინა, ჯერ იმ ავადსახსენებელმა 90-იანი წლების მოვლენებმა შექმნა მუშაობისათვის მეტად არასასურველი პირობები, შემდეგ სულაც გააუქმეს ჩვენი სამსახური და სხვა თანამშრომლებთან ერთად მეც საარსებო სახსრების გარეშე დავრჩი. გაძვირდა სასტამბო ქალაქი, დაშრა შემოსავლის ყოველგვარი წყარო და ასეთ ვითარებაში სტამბურ გამოცემებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. რადგან ყოველი ახალი ხელისუფალი „თავისი არშინით“ ზომავდა ყველაფერს, ზედმეტი იყო რაიმე სამსახურის ძიება, – ვინც სამსახურებს შემორჩა მათაც ერეკებოდნენ და უმუშევრად ტოვებდნენ...

მიუხედავად უკიდურესი ძნელებლობისა, მაინც გამოვნახე მინიმალური სახსრები და ორიოდ თანამოაზრესთან ერთად დავიწყე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის – „არმადანი“-ს გამოცემა, სადაც ეტაპობრივად ვაქვეყნებდი ჩემს ისტორიო-

გრაფიულ, ტოპონიმიკურ, მხატვრულ თუ პუბლიცისტურ მასალებს.

რამდენიმე ნომრის გამოცემის შემდეგ, უსახსრობის გამო ჟურნალი დაიხურა, ვინაიდან ბოლო წლებში განვითარებულმა ინფლაციურმა მოვლენებმა თითქმის გააორმაგა სასტამბო ხარჯები და ამ მიზეზით ბევრი კარგი ჩანაფიქრი დარჩა ჰაერში გამოკიდებული... და ეს, სამწუხაროდ, მარტო ჩემი პირადული პრობლემა არაა... ვარ ავტორი რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურული კრებულისა.

ჩვენმა ისტორიამ უფრო მკაცრი გაკვეთილებიც იცის, – ჩვენი მწერლები და მეცნიერები ლუკმა პურის ძიებაში ქმნიდნენ შედეგებს, სიკვდილის საშიშროების წინაშეც არ იხევდნენ ერთი ნაბიჯითაც და ახდენდნენ სასწაულებს.

მწერლის, პუბლიცისტის, მკვლევარისა და საერთოდ, ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანისათვის, ვიდრე თვალში სინათლე და პირში სული უდგას, მთავარი – შემოქმედებითი მუშაობაა... მეც რამდენიმე წიგნი მაქვს მომზადებული გამოსაცემად და ველოდები უკეთეს დროს...

დღეს კი მინდა რამდენიმე პრობლემურ საკითხზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

თითქმის წელიწადნახევარია, ვნებათა დელვა არ დამცხრალა აწ უკვე განადგურებული, ოქროს საბადოს მომპოვებელი უძველესი კერის, საყდრისის უნიკალური მალაროს გარშემო, თუმცა, საზოგადოება შეაგუეს აზრს ისტორიული ობიექტის „არა-ისტორიულობის“ შესახებ, დღეს თავი იჩინა მეორე პრობლემამ:

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, „რუსთავი-2“-ის ტელეარხის ეთერში გახმოვანდა, საყდრისის მალაროს ადგილზე, ღია კარიერული წესით მიმდინარე სამუშაოების შედეგად გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების თემა. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მდ. მაშავერას სანაპიროს ეკოლოგიური გარემოს დაბინძურება დადგენილ ნორმებს ბევრად აღემატება, დიდი ღმანისის მაცხოვრებლები ინტენსიური აფეთქებებით გამოწვეულ რყევებს გრძნობენ. სასოფლო-

სამეურნეო ზონა ზიანდება. კომპანია „არენდი გოლდის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების მიზეზით გახშირდა სიმსივნური დაავადებები მოსახლეობაში და სიკვდილიანობა...

საზოგადოებრივი ძალისხმევით შექმნილი საყდრისის დაცვის კომიტეტმა ვერაფერი გააწყო მათ მიმართ, ვინც „მალაროს თხრის უკაცრიელში, კაცის ფეხთაგან მივიწყებულ ადგილებში“ (იობი, 28,4). იქვე ბიბლიაში მითითებულია: „ხომ აქვს ვერცხლის საბადო და ოქროს – ადგილი, სადაც წმენდენ მას“ (იობი, 28,1). მართლაც იობის მოთმინებაა საჭირო, როდესაც თვალსა და ხელს შუა გვინადგურებენ ისტორიულ წარსულს იმ მიწისა, „რომელსაც უჭირს თავისი ისტორიის სიმძიმის ტარება“.

ნათელი წარმოდგენა რომ ჰქონდეს ჩვენს საზოგადოებას საყდრისის უძველესი კულტურული ნაშთის მნიშვნელობაზე, კიდევ ერთხელ შევანსენებთ მკითხველებს ამ წელიწადნახევრის წინ განვითარებული მოვლენების თაობაზე.

ქართველებს მადნეულის მოპოვება-მუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო დვაწლი მიუძღვით. დიდმა ივანე ჯავახიშვილმა განმარტა, რომ კალის გარდა ძველ ქართულში და მის ენა-კილოკავებში არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენებიდან ყოფილიყოს შეთვისებული. არქეოლოგიური მასალების შესწავლამ დაამტკიცა, რომ ჩვენში მეტალურგიას უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი. ქართველური მოდემის ტომები – ხალიბები, მოსინიკები და თაბალები ამ ლითონების პირველმწარმოებლები ყოფილან მთელ მსოფლიოში.

მსოფლიოში ფრიად გავრცელებული სიტყვა „ონრა“, ტერმინ „ოქროს“ პირდაპირი კალკირების სახით მოეგლინა უამრავ ქვეყანას. „ოქრა“ ხომ ის ფერია, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ ფერწერაში ოქროს ცვლიდა წმინდანთა შარავანდედის მოხატულობაში. მხოლოდ ქართულში წარმოითქმის დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სიტყვა, რომლის ეტიმოლოგია უკავშირდება მის განუმეორებელ ეს-

თეტიკურ-ფიზიკურ მახასიათებელ თვისებას – „უქრობი“.

საყდრისში აღმოჩენილი ოქროს მაღაროს აფეთქება მართლაც ვანდალური აქტია, მაგრამ სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა ჩათვლა, რომ ის არც ისტორიულია და არც რაიმე ღირებულების მატარებელი...

საყდრის-ყაჩაღანის საბადოს, რომელიც ბოლნისიდან ოციოდე კილომეტრზე მდებარეობს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2006 წელს, მაშინდელი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის, გიორგი გაბაშვილის ბრძანებით (№3/133) საფუძველზე მიენიჭა. ამ ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა 4000-ზე მეტ ძეგლს, რომლებიც 1999 წელს, შეცდომით ძეგლთა დაცვის სტატუსის გარეშე დარჩა. ამ ძეგლების 148 გვერდიან ჩამონათვალში აღმოჩნდა საყდრისის ობიექტი, რომელსაც 1999 წლამდე ძეგლის სტატუსი არ ჰქონია.

2013 წლის 5 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით (№3/108) გაუქმდა ხსენებული ძეგლის სტატუსი.

2013 წლის 10 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით №563 ობიექტს გაუუქმდა ეროვნული კატეგორია.

2013 წლის 7 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის განკარგულებით №1436 ობიექტს გაუუქმდა არქეოლოგიური ძეგლის სტატუსიც.

საბოლოოდ, კულტურის სამინისტროსა და საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის თანახმად „ობიექტის აუთენტური მდგომარეობა დარღვეულ იქნა 1980-იან წლებში წარმოებული მასშტაბური გეოლოგიური საძიებო საქმიანობის დროს. უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაში ობიექტი შეიცავს სერიოზულ საშიშროებას ვიზიტორთა და მკვლევართათვის...“

რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად ქვემო ქართლის უდიდეს ისტორიულ წარსულზე, აღნიშნული რეგიონი ჯერაც ბევრ საიდუმლოს ინახავს, რადგან სათანადოდ არ არის არქეოლოგიურად გამოკვლეული.



ს ა ყ დ რ ი ს ი

ვიტყვი მათ გასაგონად, ვინც ცდილობს გააუფასუროს და დააკნინოს ამ ისტორიული მონაპოვრის მნიშვნელობა: პირველი სამეცნიერო კვლევა-ძიება გასული საუკუნის 80-იან წლებში რომ ჩატარდა, მაშინვე, სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში გაჩნდა მოსაზრება აქ შესაძლო პრეისტორიული გამონამუშევრების არსებობისა.

საყდრის-ყაჩაღანის ბორცვზე (ტოპონიმს ამახინჯებენ, რადგან ახლანდელ ვითარებაში, ალბათ, „ყაჩაღიანი“ უფრო შეეფერება!) 2004 წლიდან პირველადი არქეოლოგიური კვლევები დაიწყო. 2007 წლიდან 2013 წლამდე კი გათხრებს აწარმოებდა ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია თომას შტოლნერისა და ირინა ლამბაშიძის ხელმძღვანელობით. მათი მტკიცებით, ობიექტი პრეისტორიული ოქროს მაღაროა (ძვ. წ. 3350-2500 წწ.). დავჯერდეთ ამ მონაცემებს და ვკითხვთ იმ ვაი-მეცნიერებს, რომლებმაც არ უსმინეს ექსპედიციის არც ქართველ და არც გერმანულ სპეციალისტებს, – მეტი რა აღმოჩენა უნდა მომხდარიყო, როდესაც ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ აფეთქებულ მაღაროსთან უძველეს სამთოელთა დასახლებასაც მიაკვლია, სადაც მეტალურგიული იარაღებიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, კერძოდ: ქურა და მადნის სასრესი ქვები, სანაყები და უროები – ექსპედიციის წევრთა ინფორმაციით, მადნის დასაფქვავად რომ გამოიყენებოდა!

ვინც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა აღნიშნულ ობიექტს, თუნდაც „მუნდირის ღირსებისათვის“ უნდა დაეცვა ბოლომდე თავისივე გადაწყვეტილება! წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნა შეიძლება ერთმნიშვნელოვანი იყოს: მავანთა ქვენიტერესებსა და სიხარბეს ემსხვერპლა ერის ღირსების წარმომჩენი კიდევ ერთი უძველესი ისტორიული ღოკუმენტი და ასაფეთქებლად გაწირეს საკაცობრიო ღირებულების ნაღვაწი, ღღეს რომ ახალი პრობლემები გაუჩინა იქაურ მოსახლეობას....

მინდა მკვეთრად გამოვკვეთო ერთი მეტად მტკივნეული პრობლემაც, რომელიც ეხება არა მარტო ისტორიულ ნაგებობას, არა-



მედ ხსოვნას ჩვენი წინაპრებისა. თბილისში ვერის ბაღში დიდი ხნის წინ დაწყებულ და შემდგომ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიტოვებულ ქართველ მთამსვლელთა ხსოვნის მემორიალს, რომლის საყრდენებგამოცლილი და ატმოსფერული მოვლენებით ფუნდამენტგამორეცხილი, მრავალათასტონიანი ბეტონის უსახო კონსტრუქცია დამოკლეს მახვილივით ჰკიდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი სატრანსპორტო არტერიის თავზე. ამ საკითხს იმიტომაც ვეხები, რომ მემორიალის ასაგებად გათვალისწინებული ადგილი, სადაც დაკრძალულია ქართული მთამსვლელობის ფუძემდებლები, და-ძმა ალექსანდრა, სიმონ და ალიომა ჯაფარიძეები, მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ვერის კულტურისა და დასვენების პარკში: ესაა მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული წმიდათაწმინდა ადგილი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მეთორმეტე საუკუნის მიწურულს, თამარ მეფის ეპოქაში აგებულ, შესანიშნავი ლურჯი მონასტრის არქიტექ-

ტურულ ანსამბლს და როგორც ცნობილია ეს წმინდა ადგილი მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე წარმოადგენდა ერთგვარ პანთეონს, სადაც განისვენებდნენ ქართველი ერის ღვაწლმოსილი წარმომადგენლები, XIX საუკუნის არაერთი სახელოვანი მოღვაწენი, ცნობილი და სახელგანთქმული მწერლები: გრიგოლ რჩეულიშვილი, ზურაბ ანტონოვი, ნიკო ბერძენიშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის არაერთი თანამშრომელი და სხვანი, რომელთაგან ახლა გადარჩენილია მხოლოდ დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის საფლავები. ძეგლთა დაცვის სამსახურში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც ვერის ბაღში მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოების დროს აღმოჩენილა წარწერიანი საფლავის ქვები, მიუხედავად დიდი მცდელობისა და ამ აღმოჩენის ისტორიული ღირებულებისა, უკვალოდ გაუქრიათ ქალაქის მესვეურებს, რაც იმ დროისათვის ერთგვარ ტენდენციასაც წარმოადგენდა. თუ გავიხსენებთ, რომ სასაფლაოს გაუქმების შემდეგ აქედან აკრეფილი საფლავის ქვებითაა აგებული ქუჩის ორი მხარის კედელი გმირთა მოედნიდან თამარ მეფის სახელობის ხიდამდე და არაერთი სხვა ამ სახის ნაგებობა...

როდესაც ასეთ ფაქტებს ვიხსენებთ, გვაგონდება უწმინდესისა და უნეტარესის, ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის სიტყვები, როცა ეროვნული პოზიციებიდან ანალიზებს თვითოეული ადამიანის მოქმედების შედეგებს, როცა უვიცო პრაგმატიზმს ეწირება უფრო მნიშვნელოვანი, ისტორიული ღირებულების საკითხი. „ამის მიზეზი კი ისაა, – გვმოდვრავს პატრიარქი, – რომ ვერ გავიაზრეთ რამდენად იყო საჭირო ეს საქართველოსათვის. აი ამიტომაც უნდა განეწყოს ადამიანი ამა თუ იმ საქმისათვის და ანალიტიკური აზროვნება უნდა გამოიყენოს, რომ საქმის შედეგები და საჭიროება წინასწარ განსაზღვროს“.

ცხადია, ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ცუდ მაგალითს აძლევს მომავალ თაობას. სასურველი კი ის არის, რომ ქალაქის იერ-სახე გამოხატავდეს თბილისელთა სულითკვეთებას, სადაც უძველესი ქალაქისადმი პატივისცემა და ურთიერთსიყვარული დომინანტობს.

ზოგადად, თბილისში მოუვლელია ბევრი ქანდაკება, თუნდაც ავიღოთ ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი: მისი პოსტამენტი ფილებშემოდარცვულია, მიმდებარე ტერიტორია – დანაგვიანებული.

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი რომ უყურადღებოდაა მიტოვებული, სხვა პრობლემებზე საუბარი თითქოს აზრსაც ჰკარგავს, რამდენადაც, ილია ჭავჭავაძის საფლავსაც კი გრუნტის წყლები უზიანებენ კედლის ფუნდამენტს, ოღლა გურამიშვილის საფლავს გამოცლილი აქვს საძირკველი. სიმონ ჯანაშიას განსასვენებელი დეფორმირებულია, ლადო გუდიაშვილის სამარის თაღს კი უხარისხოდ მიწებებული ქვის კომპონენტები იმაგრებენ ჩამოშლისაგან. არა და, გასათვალისწინებელია – წმ. ილია მართალს ერთი წლის შემდეგ საიუბილეო, 180 წელი უსრულდება, ხოლო ლადო გუდიაშვილს რამდენიმე თვეში – 120 წელი დაბადებიდან...


„იყო შემთხვევა, – ამბობს ამ საფლავების მეთვალყურე ოთარ გაგუა, – როცა უცხოელ ტურისტებს საზოგადო მოღვაწეთა ისტორიას ვაცნობდი, კლდიდან დიდი ლოდი ჩამოვარდა და სასწაულით გადავრჩით“.

თბილისს ბევრი ნგრევა განუცდია შემოსეული მტრებისაგან, მაგრამ ჩვენივე უყურადღებო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით თუ ქალაქს თავის იერ-სახეს ვერ შევუნარჩუნებთ, ვაჟა-ფშაველას ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს, ვერ მიუვალთ „მამა-პაპათა ამოღებული ხანჯრითა“, ანუ ღირსეულ მემკვიდრეობას ვერ გაუწევთ წინაპრებს და შევრცხვებით მომავალი თაობის წინაშეც.

საუბარს უძღვებოდა

გოჩა სოზიაშვილი

ლიტერატურული ნოვატი



ფიქრია ლეჟავა

საქართველო — იაჰნანა

იაჰ ნანა, ვარდო ნანა, იაჰნანინაო,
ჩემი არის ეს ქვეყანა, მეტი რა მინდაო?!
ვაზის ნაჟურს ზიარები ქნარზე დაგიკრავო,
აქ მე ისე ვიარები, სხვაგან რა მინდაო?!
სხვამ რა იცის ჩემი ენა, ჩემი სულისთქმაო,
დაკვნესილი — „ვაი ნანა!“ სხვაგან როგორ ვთქვაო?!
ფუნჯნატარი ეს ბუნება — მზე, ცა და მიწაო,
აქ მე ჩემი მეგულება მთლად დედამიწაო!
ჩემ სამშობლოს ვინ გამცალოს, დამიჩუმოს ხმაო.
სიყვარულმა აქ დამცალოს, მეტი რა მინდაო?!
საქართველო — აკვნის ღერო ლოცვით დაიწნაო,
შვილებს აქ უნდა ვუძღერო „იაჰნანინაო“:
იაჰ ნანა, ვარდო ნანა,
იაჰ-ნანი-ნაო!

ენა ქართული

უსასრულოა ენა ქართული,
არარას ძალუძს დაცემა მისი,
მაცხოვრის ხელით არის მართული,
მეორედ მოსვლის ჟამს უფლის ღირსი.
ეს ენა ესმის ლოცვის ღროს ზენას,
როდესაც ცისკრის რეკენ ზარები,
ჩემო მშობელო< გიბევრებ რწმენას,
შენით ღია მაქვს ცოდნის კარები.
გეთაყვანები, ენავ ქართულო,
სინდის-ნამუსო და ძარღვო ერის,
ქრისტიანულო, არწარმართულო,
მზეც იაჰნანას შენი ხმით მღერის!
საქართველოა წალკოტი შენი
და ღვთისმშობელი გიწევს დედობას,

ხმაურიანი ჯიში და გენი
მტრისგან მოყვრულად ითხოვს შენდობას.
შენ ქრისტეს გზაზე მაღლით მავალო,
რამდენ გოლგოთას გაუძელ დღემდე!
ძარღვში სულ ფეთქდე სისხლო მთავარო,
სამშობლოს მკერდში რომ გულად ვცემდე!
მემატიანევ ქართლის ცხოვრების,
ღმა ისტორიის სვეტიცხოველო,
მეამაყება ფიქრიც გონების,
რომ შენი ფლობის ღირსად მოველო!
ჩემო ბებერო და ღირსო ხმაო,
ნაქანდაკარო კარიბჭევ ერის,
ქართულო ენავ, სიტყვათა ცაო,
შენს გარიჟრაჟზე მერმისი მღერის!

სტუმრად პოეტთან

პოეზიით განვლილი ცხოვრება

ბატონ შოთა ხოდაშნელს ვულოცავთ ახალი წიგნის დაბადებას!

ალექსანდრე კახთა მეფემ თავის მეფობის პერიოდში (1574-1605) საბერძნეთის ათონის ფილოთეოსის მონასტერს 1574 წელს შესწირა სოფელი ზემო ხოდაშენი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესია, რომლის ციხე-მარანში 60 ათასი ლიტრი ღვინო იწურებოდა. სოფელი მდიდარი იყო გომბორის კალთებზე არსებული ტყეებით, სუბალპური მდელოებით და მდინარეებით, ასევე სახნავ-სათესი მიწებებით და ვენახებით, სადაც მრავალი ჯიშის ყურძენი იკრიფებოდა, ისეთი, როგორცაა რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, ჯანაანური, ჩინური და სხვა.

ათონის მონასტერთან კახეთის სამეფოს ურთიერთობა ჯერ კიდევ ლევან კახთა მეფის (1520-1574) დროიდან იწყება. ხარების ეკლესიის სატრაპეზოში შემორჩენილია ფრესკა, სადაც მეფე ლევანია გამოსახული, როგორც მონასტრის აღმდგენელი.

ხოდაშენში საბერძნეთიდან ჩამოდიოდნენ მოხელე მეთვალყურენი და სურსათ-სანოვაგე იგზავნებოდა ათონის მონასტერში ქართველების შესანახად.

1760 წელს, ფილოთეოსის მონასტრიდან ჩამოსულა ბერი კოზმანი, რომელმაც მეფე ერეკლე II-ის შემწევობით გააფართოვა ტაძარი თითქმის ერთი იმდენითვე დასავლეთისაკენ და დაადგა სამრეკლო.

1838 წელს საბერძნეთიდან გამოგზავნეს ჰალიკარნასელი არქიმანდრიტი დამასკინე კონსტანტინიდი, რომელმაც თან ჩამოიყვანა 12 წლის ძმისშვილი ნიკოლოზი. ბიძის გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზი დარჩა საქართველოში, დაოჯახდა და აქედან დაელო სათავე ხოდაშნელ კონსტანტინიდებს.

კახეთის ამ ლამაზი სოფლისა და საბერძნეთის საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთობის ეს ისტორია იმიტომ წავუძმღვარეთ



პოეტ შოთა ხოდაშნელის ბიოგრაფიას, რათა მკითხველისათვის უკეთ გაგვეცნო ქართველი პოეტის ის გენეტიკური კავშირები ჰომეროსის სამშობლოსთან, რომელიც ჰალიკარნასელი პატარა ნიკოლოზის საქართველოში დამკვიდრებით დაიწყო და დღემდე მოაღწია თანამდევ პოეტურ სულისკვეთებასთან ერთად.

„ვეფხისტყაოსნისა“ და თითქმის მთელი ქართული პოეზიის ზეპირად მცოდნე, თავად 200-ზე მეტი წიგნის ავტორის, შოთა ხოდაშნელის სახელი შემთხვევით არ გვიხსენებია დიდებული ჰომეროსის სახელთან კონტექსტში: პოეტური სულისკვეთების გარდა, ჰომეროსის სამყაროსთან იგი წილნაყარია იმითაც, რომ, აგერ უკვე ათეული წელია, სრულიად დაკარგა მხედველობა და მისი ძირძველი წინაპრის მსგავსად, გონების თვალთ სწვდება პოეტური სიღრმეების სამყაროს. მიუხედავად თავს დატეხილი სულისშემძვრელი ქარტეხილებისა, – თვალის ჩინის დაკარგვასთან ერთად დაკარგა ჯერ ქალიშვილი და შემდეგ მზრუნველი მეუღლე, – მან ბოლო წლებშიც არაერთი პოეტური კრებული შექმნა და უსახსოვრა პოეზიის ქართველ მოყვარულებს.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი დიდი წიგნია, პოეტურ ფერთა მრავალფეროვნებით აფერადებული: შოთა ხოდაშნელი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია 1984 წლიდან. მის მიერ გამოცემული პოეტური, პუბლიცისტური, მონოგრაფიული, დიდაქტიკური წიგნიდან 50-ზე მეტი ბავშვებისადმია მიძღვნილი. მისი ეს ნაწარმოებები ითარგმნა და გამოიცა ბრაილის შრიფტით უსინათლო პოლონელი ბავშვებისათვის.

1960-იანი წლების ბოლოს შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეთა კლუბი – „გონებანი გონიერთა“ და სამასზე მეტ ბავშვს ზეპირად შეასწავლა უკვდავი პოემა. 1964 წელს ქართველ მოღვაწესთან, გიორგი შათირიშვილთან ერთად, იყალთოში დაარსა სახალხო ზეიმი „შოთაობა“. ამ ინიციატივამ მისცა დასაბამი, რომ დამკვიდრებულყო „ალექსანდრეობა“ წინანდალში, „იაკობობა“ ვარიანში და ა.შ. წლების განმავლობაში იგი გახლდათ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი,

კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინსპექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების რედაქტორი, ჟურნალ „დილის“ რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „არმალინის“ სარედაქციო საბჭოს წევრი და აქტიური ავტორი. მისი პოეტური ნაწარმოებების ტექსტებზე ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს 60-ზე მეტი სიმღერა.

გაწეული შრომისათვის მინიჭებული აქვს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და მაყვალა მრეკლიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიები, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არჩეულია იყალთოს, წინანდლისა და ჩარგლის საპატიო მოქალაქედ.

რვა ათეულ წელს მიღწეული უსინათლო პოეტის სულიერი სიმტკიცე და ქართული პოეტური საგანძურის ზეპირმცოდნის გონებრივი შესაძლებლობა კვლავ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის სტიმულს აძლევს. სათანადო ორგანიზაციებისაგან ყურადღების მიღმა დარჩენილი შემოქმედის გვერდით აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თანადგომას და ღირსეულ პარტნიორობას უწევენ ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის ხელოვანს.

შოთა ხოდაშნელის დაბადების 75 წლის აღსანიშნავად, პოეტმა და გამომცემელმა თამაზ ჩადუნელმა, 2013 წელს, თავისი სახსრებით გამოსცა მისი ლექსების, სხარტულებისა და გამოცანების კრებული „საჩუქარი“, რომელიც მოზარდთათვის შესანიშნავად გააფორმეს მხატვრებმა – ალექსანდრე ციხელაშვილმა და დალი მუხაძემ.

გამომცემლობა „მერიდიანმა“ (გამომცემლობის დირექტორი გიორგი გიგინეიშვილი, რედაქციის ხელმძღვანელი კახა რუსიძე) გასულ წელს დაბეჭდა შოთა ხოდაშნელის ლექსების კრებული, მიძღვნილი მშობლიური ქალაქის – თელავისადმი („ჩემი საყვარელი ქალაქი“), აქვე, მიმდინარე წელს გამოიცა კრებული – „სიმღერები შოთა ხოდაშნელის ლექსებზე“ და სრულიად უსასყიდლოდ, განმეორებით დაბეჭდა პოეტის ორი მომცრო

კრებული: „ჩარგალში თქმული“ – მიძღვნილი უკვლავი ვაჟა-ფშაველასადმი და „ფიროსმანი“, რომელიც ეძღვნება ჩვენი დიდებული მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ამჟამად, ამავე გამომცემლობაში იბეჭდება კიდევ ერთი კრებული, რომელშიც პოეტმა თავი მოუყარა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გამიზნულია ლოგოპედთა დასახმარებლად – მეტყველებადაქვეითებული ბავშვების მეტყველების აღსადგენად და გონების სავარჯიშოდ („ქართული ანბანი, მისართში ლექსები, გამოცანები და ენის გასატეხები“).

არ შეიძლება დიდი მადლიერება არ ითქვას იმ დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის, რომელიც ხანდაზმული, ინვალიდი პოეტის მიმართ გამოიჩინა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ (თავმჯდომარე გიგა კობალაძე, მთ. ბუღალტერი ლელა ჭუმბურიძე), ქართული კულტურის მოამაგემ ბ-ნმა ჯამლეთ ხუნაშვილმა.

ამ გულწრფელი თანადგომისადმი მადლიერების გამოსახატავად პოეტის სიმღერების კრებულზე გაჩნდა ამ ადამიანებისადმი მიძღვნილი ავტორისეული ეს ექსპრომტიც:

„ახლა სიმღერა არავის უკვირს, –
ყოველ კუთხეში სიმს აჟღერებენ!

მე ბედნიერი ვიქნები, თუკი

ჩემს ლექსებს ტკბილად აამღერებენ...“

ზემოთ ჩამოთვლილ გულისხმიერ პიროვნებათაგან განსხვავებით, კარგი იქნებოდა იმ ორგანიზაციის მესვეურებსაც გამოეღოთ ხელი, რომელსაც დახმარებისათვის მიმართა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა ავტორმა. პოეტს, რომელმაც ზეპირად იცის ქართული პოეტური კლასიკა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემის ტექსტთა სხვადასხვა ვარიანტები და თავად არის 200-ზე მეტი წიგნის ავტორი, კულტურის სამინისტროდან განცხადებისა და შუამდგომლობის პასუხად მხოლოდ კეთილი სურვილები და კორექტურული ხასიათის შენიშვნა მიიღო: „2013 წელი, 1 ოქტომბერი, №03/09-4116... თქვენს განცხადებას ერთვის შუამდგომლობა, რომლის ავტორებიც ითხოვენ სახელმწიფო პრემიაზე თქვენს წარდგენას. გაცნობებთ, რომ ამჟამად სახელმწიფო პრემიას ეროვნული პრემია ეწოდება...“

თითქმის რვა ათეულწელგამოვლილ ავტორს, რომელსაც სურვილი აქვს კვლავ იღვაწოს თავისი ხალხისა და მოზარდი თაობის სასიკეთოდ, ყოველგვარი სახის თანადგომა შრომას გაუადვილებდა და შემოქმედებით სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა.

აქვე გთავაზობთ შოთა ხოდაშნელის ლექსებს 2014 წელს გამოცემული, თელავისადმი მიძღვნილი კრებულიდან – „ჩემი საყვარელი ქალაქი, რომლისთვისაც ავტორს მადლიერებისა და სიყვარულის ასეთი სტრიქონები დაურთავს: – „ეს წიგნი ეძღვნება ძირძველ თელაველებს: თელავის საპატიო მოქალაქეს – მწერალს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ზაირა არსენიშვილს, პედაგოგ იდა კონსტანტინიძეს, ინჟინერ-ტექნოლოგ ლია შავლიაშვილს, ექიმს – ლამარა კორძაძეს, მწერლებს: ვალერიან მამუკელაშვილს, ოთარ ხუციშვილს, ფარნაოზ რაინაულს, ღირიჟორსა და პედაგოგს გივი მუნჯიშვილს, აწ განსვენებულ მწერალს ავთანდილ ადვიშვილს, კომპოზიტორ შალვა დავითაშვილს, ვიქტორ კოლელიშვილს, ორმოცდაათიანი წლების თელავის კოლორიტს ფანჩქალა სიღამონიძეს. სიყვარულით - შ. ხოდაშნელი“.

პოეტს სტუმრობდნენ:

მისი მეგობარი, ხელოვნებათმცოდნე,

პოეტი **სიმონ ჯაფარიძე**

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი

გრიგოლ (გოჩა) სოზიაშვილი.

შენ, საქართველოვ...

„გზა ეკლიანი და უდაბური,
გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ“.

კოლაუ ნადირაძე

აღყაშემორტყმულ ციხის მხედრობას
სიფხიზლე უნდა ჰქონდეს, –
არ დაემონოს უიმედობას,
წამითაც არ დაღონდეს,
შენ, საქართველოვ, –
ციხევე, სიმაგრევე,
სულ სხვა სიმტკიცე მოგდევს,
რა არ გინახავს,
რა ჯოჯოხეთი,
რასაც აქამდე ვგოდებთ.
ძნაში თავთავი გამოგაცალეს
და ქვა უკუღმა კოდეს,
მაგრამ ეგ დიდი სიცოცხლის ძალა
ყოველთვის უნდა გქონდეს...
არ დაემონო უიმედობას,
გზა აღარ ჩანდეს ოდეს...
აღყაშემორტყმულ ციხის მხედრობას
სიფხიზლე უნდა ჰქონდეს!

კახეთს

„ალაზანს რომ გასცდები, საქონელი მაღალ
ბალახს ეტანება, კარგი ბალახია და თანაც სულ
მლაშეა. იცი რად არის მლაშე? უამრავი ცრემლი
დაღვრილა კახეთში და იმიტომ“..

ფოლკლორისტის ჩანაწერებიდან

უხვო, მართალო, ჩუმო, ალალო,
დილის რიჟრაჟო, ცისკრის ციალო,
ლხინის თავო და ხმების მარანო,
შე დალოცვილო, შე მაღლიანო...
როგორ ხმიანობს შენი ტევადი,
ძარღვიანი და სავსე ქართული?
სად არის ვაზი ასე ფერადი,
ასე უხვი და წელგამართული?
სად არის ეგრე სავსე მტევანი,
აუღებელი სუფრა – გაშლილი...
ლეგენდად თქმული დედას ლევანა,
და ართანელი ყარალაშვილი, –
ქვეყნის ფარ-შუბი, მსგავსი მეხისა.

და სიამაყის ბეწვის ამშლელი,
მარად მებრძოლი თავის ბედისა
ბოსტაშვილი თუ ჩოლოყაშვილი...
ტყვედ გაყიდული ათას სხვა მხარეს
მკვდრეთით აღმდგარი, მაინც დღეგრძელი,
ბევრი ქიტესა, ბევრი მახარე,
ახმეტელი თუ ალავერდელი...
არხილოსკალო – ლეწვა ბავშვების,
სისხლის წვიმები, დაუნდობლობა,
ფერეიდანი – სამარე ჩვენი,
ხოცვა, ტყვეობა, უსამშობლობა...

„ალაზნის თავსა, კლდის თავსა,
სისხლის წყარონი დიანო,
არცა სმენ მონადირენი,
არც როდის დაშრებიანო.
ის ურჯულონი, დიდონი,
წყალზეით ჩამოდიანო,
იჭერენ ქართველ ტყვეებსა,
ხანჯლით ყელებსა სჭრიანო“.
„უხილოდ არ გაივლება
იმ სისხლის ალაზანზედა,
ცხენთა შამაჰხდა მკერდზედა, –
მხედართა უზანგაზედა...“

და მოიტანე სული აქამდე,
დამბადებელმა ასე ინება...
მერე ქვეყნის ხსნად
ამოთავთავდა,
დიდი ილიას გამობრწყინება...

უხვო, მართალო,
ჩუმო, ალალო,
დილის რიჟრაჟო, ცისკრის ციალო,
ლხინის თავო და ხმების მარანო,
შე დალოცვილო, შე მაღლიანო!...

საქართველოვ

ებრძვი მიმინოს ჩიტი ნიბლია
და გიხარია – ისევ მთელი ვარ!
წუხილის მეტი რა შეგიძლია –
ამბობ – ამისიც მაღლობელი ვარ!
გულსაც გაგლეჯდნენ, სულსაც გაცლიდნენ,
თან გიდიმოდნენ – განა მტერი ვარ?!
ამდენმა ნჯღრევამ გამოგაფხიზლა, –
გამოფხიზლების მაღლობელი ვარ!

ბიორგი ლეონიკე

(პორტრეტი)

მოდის, მოანგრევს სივრცესა,
 ბეჭზე ღვთის ხელი ატყვია,
 ქართული ულურჯესი ცა,
 თვალეებში ჩაუხატია.
 მოდის მამულის მაშენი,
 მასზე ფიქრებში გართული,
 მას ყველაფერი ამშვენებს.
 დევის ნაბიჯი – ქართული,
 ქართული ჩონა უხდება,
 მთა არი წამომართული.
 ფენადგმული მთა მოღელავს,
 მთა-მთების შვილის ნათლული.
 დაიბუბუნებს – ხარივით,
 დევის ბუხუნის ზიარად:
 „ღიმნი ქმნა, კბილნი აჩინნა,
 შუქმა მთა გადაიარა“.
 ლექსივით გულგამლილია,
 არარა სცხია სიმწირის –
 ქართული ზეცის კამკამი,
 მისი თვალეებით იცინის!
 სიტყვას წარმოსთქვამს და ხვდება,
 მოსმენა სასურველია,
 ხელს ჩამოგართმევს და ხედავ –
 მხედართმთავარის ხელი აქვს.
 მან გააცოცხლა სიტყვაში
 შოთა, ილია, თამარი,
 დიდი და დიდებულია –
 ლექსების – მხედართმთავარი.
 გმირი, მოღვაწე, პოეტი,
 ამ ყველაფერზე მეტია.
 ქართული სულიერების
 დიადი ნათლის სვეტია.
 უსმენ ლექსების ქვითხუროს,
 გულებში შუქი გაება...
 ...ეს დიდი გოგლა კითხულობს
 თავის „ყივჩადის პაემანს“.

კახეთში, წიგნის ზეიმზე

კახეთში ხშირად ამბობენ,
 ამ საღლეგრძელის რა მოშლის:
 – გაუმარჯოსო მშრომელ ხალხს
 ბალ-ვენახებში გამოშლილს.
 ამ თვალუწვდენ ზვრებს ყოველთვის
 მარჯვენის მადლი მოსავდა –
 ქართული წიგნის ზეიმიც
 აქეთ გვიწვევდა მოსვლად.
 მშრომელი კაცი, ალალი,
 ვინც მიწა დაიძმობილა,
 ჩვენს დიდ მამულში, ოდითგან,
 წიგნის ტრფიალიც ყოფილა...
 მისი სიბრძნე და ქველობა
 ვის არ მოხიბლავს, მითხარი,
 ეს მიწაც დიდი წიგნია
 მზის თვალით წასაკითხავი.
 ის დიდი ხალხი, რომელნიც
 უკვალოდ არა რჩებიან,
 იბადებიან სოფელში
 მერე ქალაქში კვდებიან...
 უწყლოდ, უმიწოდ გაზრდილი
 ბალახიც სულ სხვა ფერია,
 იგი გაექცეს მიწასა
 „ვინცა თავისა მტერია!“
 ...გუთანს ეკიდა,
 ვაზს სხლავდა –
 ბრძოლაში რკინის მკენეტელი,
 რა სურდა? –
 სავსე ჰქონოდა
 ქვევრი, მარანი, ბელელი...
 მტერი კაფავდა ვენახებს,
 სიცოცხლის გადამჯეგელი,
 მაგრამ ქართველიც ვაზია,
 ფესვ-მტკიცე, გაუტეხელი...
 ჩვენში დიდიც და პატარაც –
 ყველაა ვაზის მინდია.
 დედასამშობლოს კახეთის
 იმედი მუდამ დიდი აქვს...
 ნუმც ჩაჰქრობოდეს სიცოცხლის
 და სიყვარულის მწველი მზე...
 კეთილი იყოს შეხვედრა
 კახეთში – წიგნის ზეიმზე...

ოდა თელავს

მეფის სასახლიანს და მეფის წყაროებიანს,
 ლამაზ ქედებიანს და ციხის ქონგურებიანს,
 ცივ გომბორის თბილ კალთას სულ რომ მიფიცხებია,
 თელავს, რომლის ქართულსაც ასაფრენი ფრთები აქვს!
 თელავს ქართულ თეატრის დედასა და ბებიას,
 მთებს რომ შეჰფარებია, თელავს თეატრებიანს,
 თელავს – ფანდურებიანს, თელავს – საკრავებიანს,
 თელავს, აღმოსავლეთის მეტრს და საზომებიანს,
 თელავს უღრმეს იუმორით რომ შემომფეთებია,
 თელავს ღიად მასპინძელს ბევრი ჩაჰხუტებია.
 თელავს უცხო ტომელიც რომ შეუფარებია,
 მის სახელს რომ ფიცავენ თელავისთვის კვდებიან!
 თელავს ქუჩაბანდიანს, ვიწრო ბილიკებიანს.
 მიკიბულ-მოკიბული შუკა-ქუჩბანდებიანს,
 თელავს უუუძველეს, საქარავნო გზებიანს!
 გულიანად მომღერალს და დიდებულ ხმებიანს.
 თელავს, ღვინის სამშობლოს – რასაც ზღაპრად ჰყვებიან...
 თელავს – სადაც მტერს მტრულად, ძმას კი ძმურად ხვდებიან!
 თელავს ნადიკვარიანს და ზუზუმბოს მთებიანს,
 თელავს მაწანწარიანს და დაბახანებიანს!
 თელავს აღმოსავლურად გემრიელს და ვნებიანს,
 თელავს – თელა თელიანს – სიყვარულის მთებიანს,
 სადაც უხეიროსაც კაცად გაზრდა რგებია...
 თელავს ზღაპრულ აღმზრდელთა და პედაგოგებიანს,
 ულამაზეს ქალ-ვაჟთა მშობელსა და ბებიას!
 თელავს თანამედროვეს – დიდ ტრადიციებიანს,
 თელავს მონასტრებიანს და ყადორის მთებიანს –
 თელავს გულში ჩასაკრავს, მზიანს, ქარის ფრთებიანს,
 ოცნებების ქალაქო, გულს შენი მზე გვდებია.
 გეფერები მე შენი ნახვა მომნატრებია...
 მე უშენოდ ქალაქო დაჭრილი მაქვს ფრთებია,
 სასწაულო, სიზმარო მიყვარს შენი გზებია,
 სიმღერისთვის გაჩენილს თელავს ლამაზხმებიანს,
 შენ სიყვარულს რა იტევს, სიყვარულის ზღვებიანს,
 მერცხლებივით ნოტები გულში ჩამოსხდებიან,
 მომენატრე, ქუჩები შენი მესიზმრებიან,
 წინ ახალი გზებია, წინ სავალი გზებია –
 მე შენი სიყვარულის ცეცხლი შემომგზნებია.
 სასწაულო ქალაქო ჩემთვის გასაგებია,
 რა ჩამოთვლის შენ გმირებს, ვთქვი რაც გულში მდებია?
 გესალმები, მე შენი ნახვა მომნატრებია.

ერეკლე გიფე

(გარდაცვალების ორასი წლისთავის გამო)

„შვილო თეკლა, მოგიკვდა მამა,
შენ არაბულ ნაწერში შეცდომები
ვნახე, ვაიმე, როგორ დაგაკლდა მამის ხელი“.
(ერეკლე გიფის წერილიდან შვილის, თეკლესადმი).

როგორ ზრდიდა მამა შვილს, ზრუნავდა და უვლიდა,
რა ნაღველი წვეთავდა ღიმი მამის გულიდან,
რა ტკივილი სტკიოდა, რაზე წუხდა წუხილით,
რა ფიქრებსა ფიქრობდა, ხილულსა და უხილავს,
ქვეყნის საქმე თავს ეწვა, ეწამა და ეწვალა...
და ნაწერში შეცდომის შემჩნევისთვის ეცალა.
მამა იყო ნამდვილი, საოცარი, გულთბილი.
მამა ჰქვია მრავალსაც – ამაღ შეგძრავს წუხილი.
უნაგირზე ეძინა ხმალით – ღიმი ძმობილით,
მამა იყო ქვეყნისა და არა მამობილი.
პირი – შეურცხვენელი, ხმალი – სისხლშეუმშრალი.
გული – სალი რკინისა, სიტყვა ლალი, მქუხარი.
მტერთა რისხვა – მამულს თუ მტერი იყო მომდგარი.
– შაჰთან საჩივლელადაც დაამუხლა ხონთქარი...
მომხდურები აოტა ცხრა მთა გადაატარა, –
ამიტომაც შეარქვეს ამ ლომს „კახი პატარა“,
„ეს ჩვენი მეფე ერეკლე, ერთი, პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვებს, გაჰკრა ხელი და ... გახია,
ლომისის მთასთან მოსული მტერი მარტოკამ დახია“.
მოდიოდა მომხდური უმრავლესი ფოთოლზე,
ხმაღს იქნევდა ერეკლე კასპიიდან – პონტომდე.
წიწილივით გყვიდიდნენ, მტერს დაუდგა დღეობა.
ექვსას ათასს უდრიდა მთელი მოსახლეობა.
ველარ გასწვდა ბოლომდე მტერ-მოყვარეს ამოდენს,
ყოვლგნით შემოსეული მომხდურები ბღაოდნენ...
იმიტომ, რომ ერეკლე თავს არავის უხრიდა,
რუსი, სპარსი, ოსმალთ – სამივე ძირს უთხრიდა!
იყო შინაგაცემაც, ღალატიც და ბეზღებაც...
ერთი მეფე თუნდ რკინის – განა რამდენს შესძლებდა???
ვერ შველოდა ვერც რომი, ვერც ტყვედქმნილი ათინა –
მთლად ტყვეებად გაყიდვას ერი გადაარჩინა.
ერთმორწმუნის სიკეთეს – მოთმინებით ელოდა,

მეფე იყო და მეფის მეფურ სიტყვის სჯეროდა...
 ზღვაში მაჰმადიანთა – ჩაძირულს და გარიყულს
 ძალზე კარგად ესმოდა, რომ მეტი გზა არ იყო.
 საჭურისი უთვლიდა: „ვფიც მაჰმადის წვერებს მე,
 ნუ უდგები ურუსებს, თორემ დაგსჯი ერეკლე!“...
 ხან სპარსეთს, ხან ოსმალს რაც კი გვქონდა – გაჰქონდათ.
 იფიქრა და რა ექნა – მას მეტი გზა არ ჰქონდა...
 იყო მეომრობითა ევროპაშიც განთქმული...
 ოცდაოთხი შვილიდან ექვსი იყო ასული.
 ესე იყო ქართველთა არმოსპობის დასტური.
 ერი მეფეს ბაძავდა – მრავალშვილთა ყოლითა
 და გადარჩა, ამიტომ, დღევანდლამდე მოვიდა.
 წლები ჩქარა მიჰქროდნენ, ზოგჯერ – ნელი, ტაატით,
 სამი ბრძოლა ასიდან მან წააგო ღალატით.
 და დატოვა ანდერძად, როგორც მეფის ხალათი:
 დაუბარა შვილებსა, რომ ხდებოდა მარადი:
 „სანამდე ვიყავ, ცხენსა ვჯვი, მივძრენ და მოვძრენ ზღვანია;
 ეხლა თქვენ გაამაგროდით ქალაქის მეიდანია“..
 მერე კი გლოვა ქართველთა ზეცის ჩამოშლის დარია:
 „ვერ გაიგეთა ქართველშო, შაგეხსნათ რკინის კარია,
 აღარ გყავთ მეფე ერეკლე, არც იმის ნაომარია,
 არ გვიფრიალებს დროშები, აღარ ქუხს ზარბაზანია.
 მცხეთას დგას ერთი საყდარი, გვერდზე ჩაუდის მტკვარია.
 შიგა წევს მეფე ერეკლე – ბაგრატიონთა გვარია.
 ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა, გაუხმეს ენის ტარია,
 არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ძმა არის განაყარია.
 ვერ გაიგეთა ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია.
 იმისა სამეფოზედა იცილებიან სხვანია,
 ტანზე ჩაიცვით ბეგთარი, საჭირო, საომარია“..
 ...
 მამულისათვის სისხლთხევა არასდროს არა ძველდება...
 ერისა ერთობისათვის ბრძოლა დღესაცა გრძელდება...
 დრო არი ნგრევის, შენების, ჟამნი, სულ მუდამ დიანო.
 „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშან დარჩებიანო“..
 საუკუნეებს გადავა – წინაპართ საქმე მზიური,
 კაცის ნაკეთი – კეთილი საქმეა მარადიული“
 ...იმის მერეც განგაშისა ზარი, ბევრჯერ დარეკესო!
 საქართველოს ღამაზი ცა, ბევრჯერ მოინარეკლესო.
 მაგრამ დარჩა მარადისად მაგალითად თაობებსა,
 დიდი მეფის ნაღვაწარი – მეხი რომ არ ჩამოგვექცა.
 მტერმა ჩვენი ქართველობა რომ ვერაფრით ამოფესვა.

ეს ლამაზი ედემ-ბაღი მტერს რომ არ აქვს იავარად.
 დიდ ერეკლეს სიყვარული გულებში გვაქვს დიან, მარად.
 გადის ორი საუკუნე – რაც ის მცხეთას მიეზარა...
 და სახელი ერეკლესი – სიხარულის დაქრის ქარად...
 მის დიდ ძეგლთან ვილოცებით – მომავალთა გასახარად.
 იმ სახელის იმ საქმეთა ნახელავის – ჩრდილი გვფარავს.
 ჩვენ სუყველას ყველას ერთად, აღმა მზვნელსა და დაღმა მბარავს.
 ის დარჩება – ქვეყნის ხმალად და მომავლის მაგარ ფარად...
 აჩრდილები წინაპართა – ერს მარადის დაიფარავს!

11 იანვარი, 1998 წელი

ზემო ხოდაშენს

ქრისტიანთა მზევ და გულო,
 ლოცვა – გმირთა ეს წესია:
 შენს მიწაზე ამოზრდილა
 ოცზე მეტი ეკლესია.

ეს სოფელი, საყვარელი,
 ალბათ ღმერთის ნათლულია,
 გმირებით და ფალავნებით,
 ვაჟკაცებით განთქმულია.

თუმცა ზოგმა „უფროსებმა“
 ვერ გაიგეს გასაგონი,
 და ხოდაშენის წმინდა ღვინოს
 მათ შეარქვეს „ბადაგონი“.

პოეტების, მომღერლების,
 სიყვარულის ოდა გშვენის –
 შენ ხარ მარად სანატრელი,
 საამაყო ხოდაშენი.

სიყვარულის ოდა გშვენის,
 მინდა მარად სანთლად მენტო.
 თუმც ორია ხოდაშენი,
 შენ მიყვარხარ, ერთადერთო.



ბაქა ბაქაძე

ჟურნალ

„ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ი ს “

საგანგებო ნოემბრი

„ილია მართლიდან ილია მეორემდე“

საქართველოს



ჟურნალი

2016 წელი. წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

ილია მართლიდან



ილია მეორემდე



ს ა მ ე რ ც ხ ლ ე თ ი



ამ „პატარას, იმ პატარას“...



იმერტი სტეფელი

რ ხ ი ქ ვ თ ა

მ ძ რ მ ს ქ მ რ ნ ი ლ ი



დილის ცაზე გაიცრიცა
 მთვარე ღამის მთევარი,
 ვერ დაიტევს მზის სინათლეს
 მალე ცის უტევანი;
 სულის ჟანრებს არხევს სიო,
 სხივი ნამავს ცის მდელოს, –
 ღმერთმა ნუ ქმნას ის ღამაზი
 მდელი გადაითელოს...

თუ სიმართლით გონიერთა
 გონების კარს განუხვნის, –
 სასჯელის დროს განსასჯელი
 სამართალს თავს დაუხრის!
 ყალბი მოწმე ნუ იქნები
 ბინადართა შენი ტყის,
 ბაგეთაგან არ განვრცობა
 არის სარგო ენისთვის...

ყოველი დღე ბუნების ხატს
 ხატავს, ფერებს ანიჭებს,
 მზის სხივები ანთებს სივრცეს
 შუქის მაღლით და ნიჭით
 ახმაურებს ტყეს ფრინველი,
 მზე რომ ცას აენთება,
 გათენება ფრინველების
 ავსებს სულისკვეთებას...

დღეს, ფრინველთა სამეფოში,
 ისევ ატყდა ჟღურტული,
 მეზობლებში მითქმა-მოთქმა,
 დიდი ჟრიაბულია, –
 საზეიმოდ მორთულია
 კორომები კულტურის,
 გაზაფხულის ყვავილებით
 რტოებიც მორთულია;

მომავალშიც, დღევანდელი –
 შანსს არ მისცემს მცდელობას,
 ფრინველთა და ცხოველთ შორის
 მოხდეს განუსჯელობა;
 სიკვდილი სჯობს უზნეობის
 ზღურბლზე გადაბიჯებას,
 დღე ვისაც სწამს დღევანდელი,
 ის ხვალისთვის ირჯება.

არონინებს თითქოს მზის ეტლს
 უხილავი მხედარი, –
 როცა დღესასწაულია,
 მაშინ ყველა მხნედ არი...
 მაღალი ცა მთებს დაჰყურებს,
 ზეცას შესცქერს მთა-ველი,
 ლოცავს მლოცველს მაღალი ცა,
 მიწის ყველა მტკაველი...

ტყეში უკვე სარეკლამო
ტექსტიც გამოკრულია,
სტუმრებისთვის გახსნილია
ყველა კარის ურდული,
ისევე ჩხიკვთა ქორწილია
და დღეს განზრახულია
გაიხსენონ ლამაზი დღე
გასული საუკუნის...

თურმე, ოქროს ქორწილი აქვთ
ზაქარას და ქეთევანს,
ამ ზეიმზე მოიწვევენ
ვისაც მოიხელთებენ,
აკეთებენ, – შეუძლია
ვისაც რისი კეთება, –
სურს რომ იყოს მისი წვლილი
საქმის ყველა მკეთებელს:

სუფრის გაშლა ევალეებათ
მერცხლებსა და მზეწვიებს,
კოდალები მზარეულთა
საქმეს გააკეთებენ,
მარცვლეულის კალათებით
მტრედის გუნდი გვეწვია,
ნამცხვრებით და ტკბილეულით
მოფრინავენ გედები;

თონეული ამოჰყარეს
ციცრებმა და გნოლებმა,
ღვინიანი ხელადები
ჩაამწკრივეს ქორებმა,
ქოროში რომ მამაკაცთა
გუნდი გვეიმედება, –
გვითხრან სოლო-სიმღერები
მამაკაცის ცოლებმა...

საზეიმოდ ინთებიან,
როგორც ლამპიონები, –
ცაზე სხივთა მაშხალები
მზეს გულს უკოცონებენ,
ფერად-ფერად ყვავილები
ციდან ცვივა კონებად,
ცისარტყელამ გადახატა
მთების ამბიონები...

ზეიმი ხომ ფრინველების
არის სულის ნაწილი,
ლხინი მართლაც ალამაზებს
ფრინველების ცხოვრებას,

აი ნეფე-დედოფალიც,
აი, მეფე-არწივიც, –
არი ერთი ხვევნა, კოცნა,
წარსულის მოგონება...

აღტაცება როცა ჩაცხრა,
სანადიმოდ გაშლილი,
სუფრის თავში ფრინველთ მეფე
როცა დაჯდა მახვშივით,
როცა ერთხმად აირჩიეს
სათამალოდ არწივი,
და თამადამ როცა ბრძანა
მოერთმიათ ყანწები, –

სად იყო და სად არ იყო
შემოფრინდა ყრანტალა:
„– თავხედობად ნუ ჩამითვლით
ამ ჩემს სიტყვებს კაცებო,
მეც კაცი ვარ, თუმცა ვიცი
გულზე არ გეხატებით, –
ლხინში მაინც უნდა შევძლოთ
ერთმანეთის გატანა;

როცა ქვეყნად მრავალს უჭირს,
ჭერი თავზე გვექცევა,
ამ ღროს, როცა მეფე ილხენს –
ძნელი არი ატანა:
რა ღროს ცეკვა-თამაშია,
გართობა და შექცევა
თქვენ რომ ქორწილს ეპირებით
იქ არ სძინავს სატანას!“..

„– წყნარად ყვავო! მე მოვითხოვ
ახსნას და განმარტებას,–
მოფრინდი და საყვედურის
მოგვევა კორიანტელი;
ისე, როგორც მამაშენი –
თონეში ჩავარდები,
თუ გსურს ლხინი ჩავვიშალო
ძველებური ფანდებით!

ვინც საერთო სიკეთის ჩარხს
უკუღმა ატრიალებს,
განკითხვის დღე დაუდგება –
დასცემს, გაათიალებს,
უზნეობა არ შერჩება –
საუბარი რაზეა?!
საწადელსა სატანურსა
სატანური ფასი აქვს.

თუნდაც ნისლი მთებს ებუროს,
ცის არ ჩანდეს არე,
ქარი ღრუბლებს გადარეკავს
როგორც ცხვრების ფარებს,
ავი ზრახვით ვინც ახურებს
საკირეს და ქურას,
ის მიიღებს მყისვე იმას –
რაც დაიმსახურა!...

ჰორიზონტზე თუ ჩამოწვა
საავდრო ცა, მრუმი,
მოქუფრული ცა თუ ელის
ქუხილსა და ელვას, –
როგორც მშვიდი ზედაპირი
ზღვის ინახავს ღუმელს,
ქარიშხალი გამოიწვევს
ზვირთცემას და ღელვას ...

ხშირად უკან დარჩენილა
გზაზე წინ წასული,
დაუკარგავს სამუდამოდ
აწმყოც და წარსულიც,
საბოლოოდ წაუგია
აზრიც, ანგარიშიც, –
სამხელს ამხელს ხშირად ქცევა
სიტყვების გარეშეც...

გულს თუნდ წყენა ემჩნეოდეს
და დარდისგან კვნესოდეს,
არ დაუშვებთ რომ მოვეშვათ –
კვესი უნდა კვესავდეს!
ჩემს სამეფოს დაამდაბლებს
დავიწყება მორალის, –
ბზარში წყალი როცა შედის
იძირება ბორანი!...

ყვავმა უთხრა: „შენ ხარ მეფე
და ქვეყნის მბრძანებელი,
ის რაც მოხდა, შენს სამეფოს
ნამდვილად არ შეჰფერის;
ზაქარას და ქეთევანის
ქორწილს რომ შეეწირა,
იმ ყვანჩალას ნაშიერი
ახლა ვდგავარ შენს წინა!

ქორწილის დღეს მეც მინდოდა
ცოფილიყავ წვეული,
თუმცა ლხინში მოსაწვევით
არა ვარ მოწვეული,

უჩემობა თუმცა თქვენში
არვინ მოისაკლისა –
მოვფრინდი რომ მომეტანა
ფრთები ფარშავანგისა!“

„– ამ ხალხს რაღას ემართლები,
ან ის ფრთები რა უყავ, –
თუ შენს თავს თვლი ფარშავანგად,
შე თავხედო ყვაუკავ?
„ – მოგახსენებთ: ფრენით დაღლილს
გზაზე ცოტა წამთვლიმა,
ჰოდა, თავქვეშ ამოვიდე
ფარშავანგის ათი ფრთა,

ეს ქორწილი რომ შემემკო
ფრთებით – მსურდა ძალიან
მაგრამ თქვენი საბრძანებლის
ქურდებს მოუპარიათ...“
„ – ოჰო! ეგ თუ მართალია,
ძალზე სამწუხაროა:
სამეფოში თუ ქურდობენ –
მეფეს არ უხარია!

რადგან მოხველ,
დააფასე თანამეინახენი,
ქურდს ვნახავთ და დამნაშავე
ჯონით გაილახება!“
ყვავმა წყვილი გადაკოცნა,
შეუერთდა მარაქას, –
საქორწილო სასმელ-საჭმელს
დაატანა ბარაქა...

იმღერეს და იქეიფეს,
გაატარეს დროება, –
ყოველივეს, რაც იქ მოხდა
ვერ დაიტევს პოემა...
„ – ლხინი კვლავაც გაგრძელდება! –
ფეხზე ადგა თამადა:
ქურდი უნდა დაისაჯოს,
ქეიფსა გწყვეტთ ამადა!...

უნდა შევძლოთ, რომ დავთრგუნოთ
უნდობლობა, იჭვი
თუ ავ-კარგის გვაქვს გარჩევის
და შეცნობის ნიჭი!
ნათქვამს ერთსაც დავამატებ
ამ სიტყვების ბოლოს:
არა კაცი არ ცხოვნდება
პურით ერთით ხოლო!...

უზნეობას ახლავ უნდა
 ავუფრინოთ ალალი, –
 ის საჭირო სულ არ არი,
 რაც საჭირო არ არი!
 თუ ხეპრე და უხეირო
 ახმეიანებს ავად ხმას,
 ავყიას და ავის მოქმედს
 სამართალი დალახვრავს!

ვინც მოყვარეს მოიძულებს,
 მოკეთეს არ აფასებს,
 მას საწუთრო ათამაშებს
 ხან ისე და ხან ასე;
 თუ ღვარძლი და უგულობა
 არი მისი მხლებელი,
 საზოგადო აზრი იყოს
 მისი მამხილებელი!

ვისაცა აქვს ცივი სისხლი
 და გონების ცხელება
 და მაღაყებს გადადიან
 უხედნელი ცხენივით, –
 უშვერს უნდა შევანანოთ
 შურიანი ვნებები,
 თუ გვსურს თავი მოვიწონოთ
 წრფელი წარმატებებით...

წყარო მთებში იბადება
 და ბუნებას ალაღებს,
 დრო გადის და ძალას იკრებს,
 ღამდება თუ თენდება,
 რაც არ უნდა იგრიალოს,
 გადავიდეს მაღაყებს,
 იმღვრევა თუ იწმინდება –
 ბოლოს ზღვას უერთდება...

ტინი კლდისა ვერ იკლდეგებს
 თუ არ არი კლდე სალი,
 თუ კანონი არ კანონობს
 და არ მაგრობს კლდესავით, –
 თუ არ იქნა სიმართლის ხმა
 მახვილივით მკვესავი,
 ჩვენ დავკარგავთ ამ ქვეყანას
 ზღაპრულ სამოთხესავით...”

* * *

მეფე ერთხანს განმარტოვდა,
 დაჯდა ხის კენწეროზე,
 ყოველ კუთხით გაატანა
 წერილები წეროებს:

„– გეკვალებათ, მეთვალყურედ
 რომ გამოჰყოთ ბიჭები,
 ფრთოსნებს ფრენა უკონტროლეთ,
 ნადირებს – ნაბიჯები;

ვიდრე რკინა მხურავალეა –
 უნდა დაკრათ ურო ზედ,
 დამნაშავე უნდა წარსდგეს
 მყის სამსჯავროს წინაშე,
 უნდა დარჩეს ქორწილის დღე
 ისტორიულ თარიღად, –
 ახლა დროა, ძმამ ძმას უძმოს,
 შეაშველოს მხარი მხარს;

დაეკალოს სვავთა ვეზირს
 კანონ-სამართალითა,
 ათი სვავი მოიწვიოს
 სამეუფო კარიდან,
 რადგან სვავი სვავთა შორის
 სვავზე უფრო სვავია,
 ამავე დროს ვეზირი და
 ამირსპასალარია!

ციურ სახლში მსურს კანონის
 მეუფება სუფევდეს,
 ძილის დროს ქვა უსასთუმლოს
 თავს ალია-ბალია..
 გზას არ ენდოს-სატანისა
 თუ მტვრის ნატამალია,
 დაჰკრას და არ დაახანოს –
 სატანაა, მალია...

მტერ-მოყვარე გაარჩიოს
 და აჩვენოს თავის შნო, –
 მამებელს არ მიენდოს
 ავი რამ თუ შენიშნოს;
 ვინძლო ბოროტს კეთილი სძლევს,
 ხანს ნუ დაახანებენ,
 ბოროტების მესვეურნი
 ვერსად გაიხარებენ...

დაუმცხრალ გულს ვერ დააცხრობს
 ავი ქოლვა ქარის! –
 უნდა ფრენდე, რომ მომავალს
 გაუსწორო თვალი;
 ან, ფრთოსანი სიკვდილამდე
 რადამ უნდა მოკლას,
 თუკი ფრენს და თუკი ცოცხლობს
 სხვა რა უნდა მოკვდავს!?

ამ მზით ხარობს სულიერი, –
მეტი უნდა რეგვენს!
მიწა მყარი უნდა ჰქონდეს
ფენის მომკიდებელს...
ქარის ქროლვას ჰგავს ნათქვამი
და ავციას ნდომა,
მუხთალის და მუხანათის
გულისთქმა და შრომა...

ხშირად, დიდი საქმე ითხოვს
დიდ ღვაწლსა და გარჯას,
დაემხობა თავქვე ის,
ვინც ეჯიბრება სასჯელს!
კაცი ცრუ და მკვეხარა ჰგავს
კოშკმშენებელს სილის, –
კაცადაც კი არვინ ჩათვლის
ურცხვად გამტეხს პირის...

ვინც სიცრუეს არ თაკილობს,
არ ეჩოთირება, –
არც არა ღირს ჩირის ფასად
მისი დაპირება...
ვნების ტვირთის აკიდებას
სჯობს თვალების ახმა:
რომელ ხესაც შეესია ფითრი –
ის ხე გახმა!

ის, ვინც ვიწრო ჭუჭრუტანას
შეაჩვია თვალი,
ჩაბალხეთის არჩივია,
ჩავლილი აქვს გზანი...
ფოთოლი რომ ხეს მოწყდება –
ათამაშებს ქარი,
წრფელი შრომით მოწეული
ფასობს მონაგარი...

როცა სურათს ბუნებისა
გასდევს სხივის კვალი,
როცა ხატად ცისარტყელის
თავზე ადგას რკალი, –
ნამიც ათევს რტოზე ღამეს
როცა ღგება დარი,
და ელვარებს მზის სხივებზე
როგორც ნაპერწკალი...

მგზავრს არ უნდა აშინებდეს
გზაში ღამის თევა,
ემშაკს ღამე ვერ ღამალავს
ვით სიშიშველეს-ევა!

ღამემ თუნდაც ილიდამოს,
მოიბუროს ბნელი, –
მზის სხივებით აინთება
ზეცის სამზერელი;

ავად მოვერაგებული
არ შერჩება მშოვნელს,
ქარებს მიაქვს ქონება და
აცამტვერებს დოვლათს,
ბოლოს ისე მიმოფანტავს,
კვალსაც არ დატოვებს,
ბოროტს დაიმართოხელს
ბნელი სიმართოვე...

გველის ხვერელშიც რომ ძვრებოდეს,
საცა ნახავს ღიობს,
წლები ისე გააწამებს,
ვით ტკივილი იობს!
ვერ იხილავს ამინდების
ავდრებსა და დარებს, –
იქ დატოვებს სად დუმილის
ღამდრწის ქარიშხალი...

ციურ სახლში მარადისი
მყურობა სუფევდეს, –
ცისარტყელით წარბს და წამწამს
წნავდეს წვიმის უპენი,
ავი კაცი ავი საქმით
თუ სიმართლეს შორდება
წკებლა მწარედ გაწკებლავს,
ან სახრით გაიშოლტება!“

„– სიბრძნეს ბრძანებთ!“ – ატყდა ტყეში
წიკწიკი და წრიალი, –
ჩვენი მეფის განჩინება
არი სამართლიანი!
არ დავუშვებთ, რომ ჩვენს შორის,
თვალთმაქცი და ცბიერი
დადიოდეს გველის გულით,
ფარშავანგის იერთ!“

„– არ მსურს დამსწრე უფრო მეტი
ვიდრე არის საჭირო, –
მეფე ბრძანებს: განხილვის დროს
რომ არ მოგვცეს ზიანი
სასამართლომ სამართალი
სწორად რომ განაჩინოს,
სათათბიროდ ჩემთან დარჩეს
ათი სვაკი სვიანი!

მომჩივან ყვავს უხმეთ მყისვე,
რომ გვიამბოს ყოველი,
სასამართლო არა ყრანტალს –
მართალ სიტყვას მოელის!
სამართალი გონიერთა –
სიმართლეს კარს განუხვნის
დაისჯება, სამართალს ვინც
კრძალვით თავს არ დაუხრის!“

სასამართლო შეიკრიბა –
ხმა არ ისმის ფაჩუნის
იქით ათი სვაგი დაჯდა,
აქეთ – მეფე-მსაჯული!
ყვავს მოუხმეს, რათა წარდგეს
სასამართლო კრებაზე,
დაწვრილებით ისაუბროს
საქმის ვითარებაზე...

ყვანჩალამ თქვა: „ტურფა მხარის
მეფეს – ჩემი თაყვანი!
ამ ტყეშიც და ამ ტყის იქით
სულ ყვავილნი ყვაოდნენ!
ვესალმები სიყვარულით
ამაყ კრებულს სვაგების...
მიყვარს – საცა სვაგი სვაგობს,
იქ ყვაგებიც ყვაგობენ!“

მოგიყვებით ყოველს,
სიტყვა მეც არ მიყვარს ყასიდა, –
მაშრიყის და მალრიბის გზას
მოყვევი ლასლასითა;
საფრთხეს მაშინ შევეყარე,
ტყეს რომ მოუუახლოვდი:
მამლაყინწამ დაიყვილა,
ატყდა ალიაქოთი!

აყივლდა და აყაყანდა,
პატრონს უხმო წამისად, –
მივხვდი, ძერას იარლიყით
მამლაყინწამ ჩამიშვა
ყაჩალივით უყურებდა –
ბრჭყალებში ფრთა რომ მქონდა,
მოიყვანა ბერიკაცი,
დამაყარა ქოქოლა!

ხელით ხან მზე მოიჩრდილა,
ხან მოირგო სათვალე
აცა-ბაცა თოფის სროლით
ცა დაცხრილა სადარე:

ხანდაზმულ კაცს წლები ჯაბნის
და სამზერეთს უმოკლებს, –
ეშმაკობით ვაჯობე და
მამალს გადაუჯოჯოკრე...

მამლაყინწას ფარშავანგის
უცხო ფრთები შეშურდა:
ღირსება რომ შეგელახნოთ,
თქვენს ქვეშევრდომს ეს უნდა!
თავშესაფრად ავირჩიე
კლდეში მცირე სენაკი, –
გუშინ ასე ავიცილე
ტყვიაც და ფათერაკიც;

მაგრამ ბედი, აგბედითი,
ახალ მახეს მიგებდა:
გარიჟრაჟზე, ყვილით რომ
მამალი თავს იქებდა, –
მივხვდი, როცა ჩამეძინა
ამით საქმე წამიხდა,
რადგან ფრთები ფარშავანგის,
თავქვეშ აღარ დამიხვდა...

მე არა მსურს, იმ მამალთან
საქმე მქონდეს ზიარი, –
ბოროტებას ვერ ღათრგუნავს
სიტყვა თავაზიანი!
მეფემ თუ არ განიკითხა
სულელი და ჭკვიანი,
სიავე და სიბოროტე
სხვებსაც დააზიანებს...“

არწივმა თქვა: „მე რომ ვბრძანო,
მყის დაბრდენიან მამალსო!
მაგრამ ბრძენი განმგებელი
არ იკადრებს ამასო, –
ძველებს უთქვამთ: „სიტყვას ენდე,
მაგრამ უნდა ამოწმო!“ –
მე მჭირდება მოწმე,
ნათქვამს შენსას ვინც დაამოწმებს!“

გაიხსენე, იმ სენაკთან,
სადაც თავს აფარებდი,
ვის შეეძლო შეემჩნია
ქურდის ავი ზრახვანი?
ხომ არავინ ნახა კიდევ
იმ ტყის შემოგარენი, –
იქნებ, ღმით იყო ვინმე
დამნაშავის მნახველი?“

„– დილო მეფევე, იმ ტყეს ადგა
მხოლოდ შუქი მთვარისა,
ჩემს გვერდით კი ეგლო ძვალი
მხოლოდ კუს ბაკანისა;
ახლა ცაზე არც მთვარეა,
ბაკანში არც კუ არი, –
როგორ უნდა გაარკვიო
მართალი და მტყუანი?!“

„– რადგან ღამე გითევია
კუს ბაკანთან, მთვარესთან,
და სიმართლეს ვერ დავადგენთ
რადგან მოწმის გარეშე, –
მთვარის კვალი მზემ წაშალა
ზეცის არე-მარეზე,
დარჩა მხოლოდ კუს ბაკანი,
რომელზეც მიგვანიშნე;

ჰოდა, რადგან დრო არ ითმენს
ახლა ერთი წამითაც,
წადი, ნულარ დააყოვნებ, –
შენს სადგომზე ღამისა,
მოგვიტანე კუს ბაკანი
ნიავზე უსწრაფესად, –
ვიდრე ქურდი გზას აგვირევს,
მოიფიქრებს რამესა!“

თქვა მსაჯულმა: „დამატებით
ხომ არა გაქვთ კითხვა?“
„– რა უნდა ვთქვათ? – მეფემ ბრძანა
და სათქმელი ითქვა!“ –
უთხრა სვავმა, თუმცა ავად
გულმა რეჩხი უყო:
„– რა თქვა მეფემ!? – კუს ბაკანმა
რაღა უნდა გვითხრას?!“...

ყვავმა – „თქვენის ნებართვითო! –
დავბრუნდები მალე,
დე, გადაჭრას მეფის ბრძნულმა
სიტყვამ სამართალი!“
ფრთა გაშალა, გაფრინდა და
ველარ მოჰკრეს თვალი, –
გაფრინდა და გამოფრინდა
როგორც ქარიშხალი!

როცა კაცი მართალია,
აღარ ფიქრობს სხვაზე, –
სიმართლე რომ დაამტკიცოს,
არის მისი კრედი!

მოფრინდა და კუს ბაკანი
დადო მაგიდაზე,
სადაც მეფე-მოსამართლეს
ათი წკეპლა ელო...

ყვავს უბრძანა! „სათითაოდ
დაჰკარ ათი წკეპლა,
ვიდრე სათქმელს არ იტყვისო,
ბაკანს უნდა ურტყა!“
სვავებს პირი დაეფრინათ –
ვერა გაეგოთ რა:
„მთვრალიაო!“ – მეტყველებდა
მათი სახე უტყვად...

„მოწმის“ მიმართ გახმოვანდა
მხოლოდ ერთი თემა:
„– თქვას რაც ნახა, თუ არა და
არ ასცდება გვემა!“
ყვავმაც აღარ დააყოვნა,
განემზადა ცემად:
„– მეფემ ბრძანა! – თქვა ყვანჩალამ, –
მე და ჩემმა მზემან!

სათქმელს ძალით გათქმევიანებთ,
თუ არ იტყვი ნებით,
შენ კი არა, წამების დროს
გატეხილან ქვებიც!“
მეფის ასეთ განაჩენზე
სვავებს გაელიმათ, –
(ამით, თავს რა დაიტყუებს,
რა იცოდნენ იმათ!).

„– რაო!? – მეფე წამოიჭრა, –
ვინ დასცინა პროცესს!?
ბრძანებას ვცვლი: არ გაგიშვებთ
არც ერთს დაუნოცავს!
არ სმენიათ ასეთი რამ,
არსად, არასოდეს,
არ მომხდარა სასამართლოს
ვინმე დასცინოდეს!

– მეფე ბრძანებს! – სამართლის და
სასამართლოს ნებით!
თვით სიცოცხლით აგებთ პასუხს, –
მე ვაცხადებ მტკიცედ, –
მზის ჩასვლამდე, წინ დამიწყვეთ
ფარშავანგის ფრთები,
როგორც გინდათ მოიქეცით,
თუნდ თავში ქვა იცეთ!“

ესა სთქვა და მზეს გახედა –
 „დაგივლითო წამებს!–
 ახამხამებს ვიდრე ცაზე
 მზე სხივთა წამწამებს,
 ან გაარკვევთ ფრთების საკითხს,
 მე რაც დაგავალეთ,
 ან არა და, საღამომდე
 დღეს არ დაგიღამებთ!“

* * *

ბრძენთა სიბრძნეს ბრძენიც უხმობს
 გასაჭირში თუა!
 და სვაეებმა, ნასვაემებმა,
 მყის მოუხმეს ჭკუას:
 „– მრავალ კარგს სჯობს –
 უბასუხეს, – თქვენი სიტყვა ავი,
 კარგმა მოყმემ უნდა დასდოს
 სიმართლისთვის თავი!“

თქვეს და მდაბლად თავყანი სცეს,
 გაიხურეს კარი,
 ფრთა შემოჰკრეს და გაფრინდნენ
 ქარზე უფრო მალე:
 მიხვდნენ, ახლა მსხვერპლს მოითხოვს
 მათგან სამართალი!
 მეფე ბრძანებს: „სიცოცხლე ან
 ფარშავანგის ფრთანი!“

მთის წვერს ნისლი რომ ებუროს,
 არ უჩანდეს პირი,
 სხივნათელი დღე მოჰყვება
 ცისპირის ძვრას დილის,
 ღრუბლის ქულებს რომ დაჩეჩავს
 სხივთა საჩეჩელა,
 კილით-კიდე გამოჰკიდეებს
 ხილად ცისარტყელას;

შიბწვერს, ნისლის ბადით მბურავს,
 მზე ჩამოხსნის რიდეს,
 ცალკერძ, რიდეს პირბადისა
 ზეცა აიკეცავს,
 თეთრპირრიდემონაბური,
 ნისლებს აირიდებს,
 ცადმზეაგუმბათებული
 ანათდება ზეცა...

სამკაულთა ათინათი
 ამკობს სხივთა მზერას, –
 აამალლებს ცის გუმბათის
 ამზევება ზენარს!

პირიმზითის სინათლისგან
 იმსჭვალება ყველა,
 მხოლოდ მსაჯულს, დასავლეთით
 მიუპყრია მზერა...

მზე ჰორიზონტს დაეკიდა,
 წაეკიდა ალი, –
 ამ დროს, სვაეთა მრავალწერტილს
 ცაზე მოჰკრა თვალი!
 მაშინ, როცა მთის მწვერვალზე
 მზე შემოდგა ცერად,
 ფანტელივით, ფარშავანგის
 ფრთებმა იწყეს ცვენა...

დარი დარობს, თითქოს ცვივა
 ცას ბროლი და ლალი
 ლხინის შემწემ უნდა შეძლოს,
 ჭირიც შეიწყნაროს!
 სიყვარული გვილამაზებს
 აისსა და დაისს,
 ქმნა მართლისა სამართლისა
 ჭირსაც გაამკრთალებს...

დაჯდა მორჭმით მოსამართლე,
 კვლავ მოუხმო კრებულს,
 განახლებას პროცესისა
 მეფემ დართო ნება:
 კვლავ უფლებამოსილია,
 რომ იმსჯელოს კრებამ, –
 მოწმედაა – კუს ბაკანი,
 ფრთები – ნივთმტკიცებად...

მეფემ, მცირე წინასიტყვა
 წაუძღვარა პროცესს:
 „– უტყვი მოწმე, კუს ბაკანი,
 რომ არ გამეწიკებლა,
 სვაეებს ღიმილს არ მოგვრიდა
 მოქმედება ჩემი
 მერე ვბრძანე – ფარშავანგის
 მოგეძიათ ფრთები!“

მოსამართლის, ანუ მეფის
 ჩანაფიქრი ახდა! –
 დაწვრილებით, დანარჩენი,
 თქვენ გვიამბეთ ახლა:
 ან ფრთებს როგორ მიაკვლიეთ,
 ან ქურდი სად ნახეთ,
 დამნაშავეს სად დაუგეთ
 გასაბმელად მანე!

ბრძანა ამირსპასალარმა:
 „საქმე იყო რთული,
 ეჭვი გავითვალისწინეთ
 ჩვენი მოსარჩელის:
 ჯერ ვიფიქრეთ, იქნებ დედლებს
 ჰყავდეთ დამალული!?
 გადავჩხრიკეთ ქურდი მამლის
 სადედლეთი მთელი...“

თქვენი სიბრძნე გამოგვადგა –
 „დიქტატურა ძალის!“ –
 რომ დავრწმუნდით არ გასცემდა
 ქმარს არც ერთი ქალი...
 თუმცა, ჩრდილი მივაყენეთ
 საქათმეთის სახელს:
 დავიჭირეთ დედლები და
 კარგად ვაკრიახეთ...“

ბოლოს ქურდი გამოვიდა, –
 ვერ გავტეხეთ ძალით!
 არც დედლებმა საქათმისა
 არ გაყიდეს ქმარი; –
 ვერ ვნახავდით იმ ფრთებს,
 თუნდაც რომ წაგვეძრო თავი!
 ბოლოს, ისევ მამლაყინწამ
 დაგვითანხმა ქრთამით...“

თქვა მამალმა: „სოფელშია
 ვარიების ჯარი,
 მოიტაცეთ, მომიყვანეთ
 და დამწერეთ ჯვარი!
 თითო სვავე თითო დედალს
 თუ მომიყვანს – მაშინ,
 ყველა თითო ფრთას მიიღებს
 თითო ვარიაში!“

დავალემა ამდაგვარად
 აღვასრულეთ თქვენი, –
 სეფე-სიტყვაც თქვენ გეკუთვნით –
 სამართალი ჰქენით!
 ქურდი, ფეხებდაბორკილი,
 სასამართლოს ელის,
 ქრთამით სვედამძიმებული
 მკაცრი განაჩენით...“

მეფემ ბრძანა: „ნაქებია
 ვაჟკაცობა სვავის, –
 მომწოს, რომ არ წააწყვიტეთ
 არც ერთ ქათამს თავი!“

როგორც მეფე-მოსამართლე,
 მეც ვიქნები ქველი,
 უმსხვერპლოდ რომ შეასრულეთ
 დავალემა თქვენი...“

გბრძანებ: ათ ფრთას ფარშავანგის –
 ათიც დაემატოს“ –
 პროცედურის შესრულება
 სვავეებს დაევალოთ!
 ლხინს ვაგრძელებთ და თან მიგვაქვს
 ფრთების იკებანა:
 ფარშავანგის ფრთებს მამალის
 ფრთებიც დაემატოს!

დამნაშავეც მოიწვიეთ,
 მანაც მოილხინოს
 მიესაჯოს: მამლაყინწამ
 ყანწით დალევს ღვინოს!
 მერე უნდა წავიდეს და
 საქათმეში ჩაჯდეს, –
 ვარიების კონტროლის ქვეშ
 იქ მოიხდის სასჯელს!

მაშ, ვქეიფობთ დღეს აღვნიშნავთ
 წყვილის ოქროს თარიღს! –
 მათ სიყვარულს არასოდეს
 გასჩენოდეს ბზარი...
 ზაქარა და ქეთევანი
 გაგვახარებს ორწილ,
 თუ შემდგომში დაგვასწრებენ
 ბრილიანტის ქორწილს“...“

...მძებნელს მიჰხვდეს საწადელი,
 რასაც ეძებს – ჰპოვოს!
 ქორწილები ამშვენებდეს
 წლებს, ქორონიკონის;
 როცა საქმე საზეოა,
 გულის აღმამფრენი,
 მოყვარული გული შეძლებს
 თმობას მრავალ წყენის...“

ქორწილებში, დღეობებში, –
 ვთხოვ ბუნების ძალას,
 სიმღერები ხმიანობდეს
 ცის სამრეკლოს ზარად;
 კარგს ამაღლებს ეს ზარი და
 ბოროტებას ზარავს, –
 ასე იყო, ასე არის და
 იქნება მარად!...“

წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

მკითხველს ვთხოვთ, მოუზრთხილდეს ჟურნალს
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

ოპერატორი: ნორა თიგიშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კველიშვილების ქ. №10

რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

